

4 1/2  
10

6 2/3



# ՁԵՆՈՒԹՅՈՒՆ

12

1970

# გნეოთოკი



საქართველოს მწერთა კავშირის მხატვრული  
და საზოგადოებრივ-კოლმეტიკური მუშაკების

ფურცელი 46-ი

№ 12

დეკემბერი, 1970 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შ ი ნ ა კ რ ს ი

გრიგოლ ჩიქოვანი — თეატრული დაჯგუფ... რომანი, გაგრძელება . . . . .	3
გაბრიელ უნიკაძე — მხატვრული, ლექსი, ავტობიოგრაფიული თარგმანები გივი მენდელიძემ	51
ოცნის ირმელიანი — გოგონა კონცეპტი, მოთხრობა . . . . .	53
ა. ჯონა — ლექსები, ავტობიოგრაფიული თარგმანები გივი მენდელიძემ . . . . .	59
დავით კვიციანი — მხატვრული, ლექსი, ავტობიოგრაფიული თარგმანები რომანი, გაგრძელება . . . . .	61
აბაი ბაქრაძე — ლექსები . . . . .	76
როსტომ ზეინაიძე — სახესი არაბული . . . . .	80
ირმა ჯაფარიძე — თეატრული, პოემა . . . . .	95
ვაიხანე ცინცაძე — კალიგრაფია . . . . .	108
სოლომონ ხუციშვილი — ალბანური მხატვრული . . . . .	110

### კრიტიკა და კუბლიცისტთა

აბაი ბაქრაძე — ისე არაა თქვამს . . . . .	121
გიორგი ჯიჯელაძე — კომუნისტი — მხატვრული და საზოგადოებრივი კრიტიკის . . . . .	131
გიორგი მარგალიტი — შუა საქართველოსათვის . . . . .	149
დავით უნიკაძე — ვ. ბარნოვის „ტარობა წამებულის“ მხატვრული კომპოზიცია . . . . .	182

### ფაქტები, მოგონებანი

თეატრული — ვერა ჩიქოვანი-ნიკოლოზის ხსოვნა . . . . .	191
---	-----



საქართველოს კავშირის მხატვრული კომიტეტის გამომცემლობა



მთავარი რედაქტორი ელგუჯა მალრაძე

საკრედიტო კოლეგია:

ირ. აბაშიძე, დ. ბინაშვილი, დ. ზამუარაშვილი, მ. ლეხანიძე, გ. ელენი, ა. სულაია, რი, ა. ქეთათელი, ე. სიფიანი (პ/მგ. შლეანი), ს. შანშიაშვილი, დ. შენაბაია, ვ. ფილა, კიძე, ი. შილაძე, რ. ჯაფარიძე, ზ. ჯიჯლაძე.

ტექნოლოგიური რ. ნაძვინაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი,  
რუსთაველის ქროსპექტი № 12.

ბალანსონები: რედაქტორის — 92-55-11-  
პ/მგ. შლეანის — 92-55-12, განყოფილება-  
ბის — 92-55-15, 92-55-17, 92-55-20.

გადაეცა ასაწყობად 23/X-70 წ., სელმოწერი-  
ლია დასაბეჭდად 10/X11-70 წ., ასაწყობის ზომი:  
7<sup>1</sup>/<sub>4</sub> X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108<sup>1</sup>/<sub>16</sub>,  
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12. პარობატი  
ნაბეჭდი ფურცელი 16.8.  
№ 02244. ტირაჟი 11.450. შეკვ. № 3154.

საქ. კვ. ც.-ის გამომცემლობის სტამბა  
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



## თეატრული დაღამო.

კ რ მ ა ნ ი

ოფიციალი ციკლიდან

ვაგონით ვიწრო და გრძელ ოთახში მაგიდას უჭდა მასწავლებელი და გაზეთ „ერთობა“ კითხულობდა. გაზეთი ავრელებული იყო სათაურებით:

„ჩვენი სამშობლოს აღმოსავლეთით კვლავ წამოიგრაგნა შავი ღრუბლები“. „სამხედრო წესები ტელეფონ-ტელეგრაფის ქსელზე“, „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი ფრონტისაკენ“, „ამხანაგო მუშებო! იარაღი პისხით და შეავსეთ სახალხო გვარდიისა და ჯარის რიგები!“. „საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის საზღვრების ერთგულ მცველებს ჩუმაღ, მიპარვით, თავს დაესხა ვერაგი მტერი!“. „მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას მოწოდება!“

— წამოიგრაგნა შავი ღრუბლები, — გაიმეორა მასწავლებელმა, — ჩუმაღ, მიპარვით თავს დაესხა ვერაგი მტერი. — აღშფოთდა შალვა, — ასე ოსმალები და სპარსელები არ გვესმოდნენ. — გაზეთი მაგიდაზე დაავდო, წამოდგა. პალტო მოიხურა და ისევ დაჭდა, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ აიღო, გენერალური შტაბის ცნობის კითხვას შეუდგა: „საქართველოს პროლეტარია-

ტი იცავს თავისი ქვეყნის საზღვრებს და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს დემოკრატიისა და სოციალიზმის იდეალებისათვის“.

ისევ დაავდო გაზეთი. ზარის ხმა მოესმა. სწრაფად წამოდგა, სარკმელი გამოაღო. ზარის ხმა ოთახში უფრო მხიარულად შემოიჭრა. ეს ხმა ოცდაათი წელიწადია ესმოდა შალვას, ახარებდა, სიცოცხლეს მატებდა, მის ცხოვრებას აზრს აძლევდა. წკრილი სახეზე შეეფინა, გულზე მოედო, სულში ჩასწვდა.

იღგა და უსმენდა. თანდათან ძალი, სიმზნევე ემატებოდა შეწუხებულს, შეშფოთებულს. დაავიწყდა გაზეთი. კედლიდან ქუდი ჩამოხსნა, მაგიდიდან რვეულები აიღო, კარისაკენ გაემართა...

გამოცოცხლდა ჩაჩუმებული, დამინებული სოფელი. აპრიალა ოდებისა სამზადების კარები, კიშკრები. გაისმომოწაფეების ქვიცილ-ხვიცილი, გადაძახილები, სტვენა. ერთმანეთს უხმობდნენ ბავშვები.

გამოირბინეს კიშკრიდან გულა ყორშიამ, უთუა თოდუამ, კუჭურა კუჭკვამ. ჩამოირბინა ჩანთით ხელში კიბე გვანჯი ბუკიამ.

— დაიცა, ნანა! უქმელი საღ მიხვალ?! — გამოვიდა სამზადიდან მკა.

— თავი დაანებე, სამხრამდე უქმელი არ მოკვდებო! — გამოსძახა სამზადიდან ბეგლარმა. ისიც უგვლებდა უკრს ზარის ხმას. მუხლებში სახნისი ეღო, პირს უღუსავდა. „ისევ დაირეკა სკოლის ზარი. ისევ მოხნავ იმ მიწას!“ — უთხრა სახნისს.

მირბოდნენ თემშარაზე ბავშვები. ზოგს ჩანთა ჰქონდა გადაკიდებული, ზოგს წიგნები და რვეულები აეხუტებინა, ზოგს კი ქამარში ჩაერქო. მირბოდნენ სკოლისაკენ ვახარებულები, აღტაცებულები.

— თავისი ეზოს წინ თემშარაზე კიშკართან ზოსიმე ყორშია იდგა, ხელკეტით მიწას ჩიჩქნიდა და ღიმილით გასცქეროდა ბავშვებს. გვერდით კოჩოია ატუზოდა.

— შეშინდნენ, ბაბუ ზოსიმე, — უთხრა კოჩოიამ, როგორც ყოველთვის, დინჯად.

— რა თქვი?

— შეშინდნენ-მეთქი, ბაბუ ზოსიმე.

— ვინ შეშინდა, შვილო?

— კაბიტანი. ისე გაწმინდეს, ისე გაასუფთავეს სკოლა, ენით არ აულოკავთ, თორემ სხვა არაფერი დაუკლიათ.

ზოსიმე კოჩოიას დააკვირდა. მიწის ჩიჩქნა ნიატოვას:

— მამაშენს, შვილო, ანბანი რომ სკოდნოდა, საქვეყნო კაცი იქნებოდა. — ყური მიუგდო ზარის წყრიალს. — ამ ხმას ავქსენტი: სამარეშიც გაიგონებს. ისწავლე, შვილო, უსწავლელი კაცი რქამოტეხილი ხარვიეთაა. უსწავლელი ქვაზე დაჯდეს — ქვა ქვაზედ დაემატოსო.

კოჩოია ყორშიამ შალვას ორკლასიანი სკოლა დაამთავრა. სწავლის გავრძელების საშუალება არა ჰქონდა ობოლსა და ღარიბს. ავქსენტიმ სულის ამოხდომის წინ მხოლოდ იმის თქმა მოასწრო, ჩემს კოჩოიას უსწავლელს ნუ დამიტოვებთო. სწავლაზე ლამაზაკს რომ ჩამოუგდებდნენ გულმოკლულ ბიქს,

მაშინვე სიტყვას ბანზე ააგვებდა, ახლაც ასე მოიქცა:

— ის მიწა მაინც ჩვენი ღირსეულობაზე ზოსიმე.

— ვინა თქვა, წიე?

— ბეგლარ ბუციას უთქვამს.

— აბა, სხვა ვინ იტყოდა, წიე.

— ბეგლარისათვის სხვას უთქვამს.

— ვინ სხვას, წიე?

— იმ სხვისათვის — კიდეე სხვას.

— იმ კიდეე სხვისათვის ვის უთქვამს, წიე?

— კიდეე სხვას, კიდეე სხვას, კიდეე სხვას.

— მაინც ვის, წიე?

— იმ კაცს, ბაბუ.

— ვინ კაცს, წიე?

— რუსეთში რომააო.

კლასში პირველმა გვანჯიმ შეერბინა. ავადმყოფს აღარა ჰგავდა, გაყვითლებულ, ჩაყანგულ სახეზე ფერი მოსვლოდა, ჩამქრალ, ნაღვლიან თვალეებში შუქი ჩასდგომოდა. არ სჯეროდა, რომ კლასი ისევ ისეთი იყო. მერხები თავის ადგილზე იდგა. მივიდა თავის მერხთან, ჩვეული მოძრაობით ჩანთა მერხში შეაგდო და დაჯდა. რაღაცას ფეხი წამოქკრა. ის რაღაცა ვარდენის შემოგდებული, ტყავში გახვეული და თასმით შეკრული იატაკზე ეგდო. აიღო, ვერ მიხვდა რა იყო — იფიქრა, ალბათ გვარდიელებს დარჩათო. ტყავში გახვეული და თასმით შეკრული დაკვირვებით შეათვალიერა, შეატრიალ-შემოატრიალა.

ფიქრიდან კიბეზე ავარდნილმა ნაბიჯების ბაგაბუგმა გამოიყვანა. მოწაფეები ერთმანეთს უსწრებდნენ, ცდილობდნენ კლასში პირველი შესულიყვნენ, ერთმანეთს ეძიებოდადებოდნენ, მხარს ჰკრავდნენ, გვერდით აწევებოდნენ.

კლასში ყველაზე წინ გუბა ჭგერენაია შევარდა, ტანისამოსაჩეჩილი, გვერდზე ქედმოქცეული, დაღლილი, გაოფლიანებული. შეცვივდნენ სხვა ბავშვებიც, მერხებს მიაშურეს.

— აჰი ყველაფერი დალეწესო!

— მერხები დაწვესო!

— დაფა ტყვიით გახვრიტესო!

დაფას მიაჩერდნენ. არაფერი ეტყობოდა, ისე ოსტატურად იყო ამორღესილი ტყვიით გახვრიტელი ადგილი და შავად შეღებილი.

— მარტო გოტოიას და მაკის მერხი დაუწვავთ.

— სკამი დაუდგამთ მერხის მაგივრად.

— მაკი, შენ შალვა მასწავლებლის სკამზე დაჯდები.

— შენც გოტოია.

— ორივე დაეტყვი, თქვე გაჩხიკულებო.

— ბიჭოს, რა პატივი უციათ თქვეთვის!

— თურმე შალვა მასწავლებელს უჩივლია.

— მთავრობის კაციაო ჩამოსული, იმასთან მისულა.

— იმას შავი, დღე დაუყენებია კაპიტნისათვის და მიხა ქირიასათვის.

გვანჯი და გუძა ლაპარაკში არ ერეოდნენ. მერხის ქვეშ ეჭირათ ტყავში გახვეული და თასმით შეკრული, ხელით საგულდაგულოდ სინჯავდნენ. ვერა, ვერ მიხვდნენ, რა იყო შიგ.

— იარაღს არ ჰგავს.

— არც ტყვიებია.

— ქალაღსა ჰგავს.

შალვა კლასში შევიდა ჩვეულებრივად, ისე, თითქოს არაფერი არ მომხდარიყოს სკოლაში, არაფრისთვის არ შეუხედავს, არც დაფისათვის, არც მერხებისათვის. მიესალმა ბავშვებს:

— გამარჯობათ, ბავშვებო!

— გამარჯობათ, ბატონო მასწავლებელო!

— დასხედით!

ბავშვები დასხდნენ.

გვანჯიმ და გუძამ ერთმანეთს გადახედეს — რა ვუყოთ შეხვეულოსო.

— მასწავლებელს მიეცეო, — წასჩურჩულა გვანჯის ვუძამ.

გვანჯი წამოდგა.

— ბატონო მასწავლებელო, აი, რა

ვიპოვეთ კლასში. — გაუწოდა შეხვეული.

შალვამ ჩამოართვა, შეათვალიერა და მაგიდაზე დადო.

— დაჯექი, ბუკია! — უთხრა გვანჯის.

— აბა, გავიხსენოთ, რაზე შეეჩერდით წინა გაკვეთილზე! — უთხრა მოწაფეებს და თვალი დაფისაკენ გააპარა.

ალარ ეხატა მისი დახატული ფოთოლი. არც გახვრიტელი ჩანდა.

— ჰო, რაზე შეეჩერდით!

— როდის იწყება ხენა ჩვენში, — წამოდგა მაკი.

შალვას შუბლი შეეკუმუნა, არ უნდოდა ამის გახსენება. თვალწინ დაუდგა ჩიჩუების ქალა, გვარდიელები, ხალხისაკენ დაძრული ცხენები, კაპიტნის აბრეხილი წარბი და აწყობილი უღვაში. თვალწინ დაუდგა ჯეგბე, რომელიც ვერაფერს ხედავდა, რომლის სახეს ცეცხლი ეკიდა. თვალწინ დაუდგა ნახანავში ჩამხობილი მაკა და ბეგლარის ჭიუტა. უტეხი სახე, გაიგონა ზოსიმე ყორშიას ხმა: თუ ჩვენი მთავრობაა, როგორღა გიბრძანა ზარბაზანი დაუშინეთ ხალხსო! თავი გაიქნია შალვამ, რომ მოეშორებინა ეს უსიამოვნო ხილვა.

— ბატონო მასწავლებელო, — წამოდგა გუჯა ჯგერენაია, — მამამ თქვა, ბეგლარ ბუკიამ მითხრა, ის ქალა მაინც ჩვენი იქნებაო.

— მამაჩემისთვისაც უთქვამს ბეგლარს. — წამოდგა გოტოია.

— ხარტონ ხარებავს დუქანშიაც ამბობდნენ.

— წისქვილშიაც.

— პროვიზორსაც უთქვამს.

წამოიძახეს აქეთ-იქიდან ბავშვებია.

— დასხედით. — უთხრა შალვამ მოწაფეებს. — ადამიანი ძალად ბედს ვერ ეწევა. — გაახსენდა ქალაში საოქვამი თავისი სიტყვები. დააკვირდა ბავშვებს. მათ ენერგიულ, იმედიან სახეებს. გაუხარდა, მაგრამ არ შეიმჩნია და თქვა: — ვინც მოითმინა, ვერცხლიაო, ვინც არა და ცეცხლიაო.

— მეტს აღარ მოვიტყენთო, მასწავლებლო.

— ბევრი ვითმინეთო.

— დადგაო ჩვენი დრო, — ისევ წამოდგა გუდა ყორშია.

— ეინა თქვა?

— კოჩოია კორშიამ.

მასწავლებელმა გაიღიმა.

— კარგი, განვაგრძოთ გაკვეთილი.

— მასწავლებლო, — ხელი ასწია კუჭურა კუჩავამ, — მართლა ყველას მისცემენ მიწას?

— მასწავლებლო, მართლა იქნება ომი? — ჰკითხა უთუია თოდუამ.

შალვამ არ იცოდა, ეთქვა თუ არა ბავშვებისათვის, რომ ომი უკვე დაიწყო.

— კაციჭამია რუსი ბოლშევიკები მოდიანო.

— კაცი კაცს არა ქამს, ბავშვებო, კაცი კაცის წამალია.

— აბა, რატომ ამბობენ ასე?

— განვაგრძოთ გაკვეთილი!

— ყველაფერს წაგვართმევენ, უკანასკნელ ლუკმას ამოგვიღებენ პირიდანო.

— არ დაიჯეროთ.

— სკოლას დაწვავენო.

— ტყუილია.

— გვარდიელებმა გოტრიასა და მაციის მერხი რომ დაწვეს!

— გვარდიელები დაისვენებან.

— მამამ თქვა, არ დაისვენებანო.


— დაისვენებან. დანაშაულს ვერაფერს გაექვევა.

უძინარი, გაფითრებული და გატანჯული ეგვენი ევანია ისევ ბოლთასა სცემდა თემის ერობის თავმჯდომარის ოთახში. თითქოს წუხანდელს აქეთ არ შეჩერებულა. არ შეუსვენია, არ დამჯდარა. არა, შეჩერდა, ივახშმა, დაწვა, მაგრამ მთელი ღამე თვალი არ მოუხუტუქავს. შამფურით ტრიალებდა მიხა ქირიას დანჯღრეულ ტახტზე. ვერც თვითონ დაიძინა და არც ქირია დაიძინა. შფოთავდა, ბორგავდა, ათასი ფიქრი უტრიალებდა თავში, ხიფათისა და სიავის მომასწავებელი, შავი დღისა და შავი ე-

მის მორბედი. „ომი კარს მოგვადგა. ქალაქად თუ სოფლად ბოლშევიკები დათარეშობენ. წყლის ნაყვას ყოველგვარი ცდა, ყოველგვარი იმედი. გლები დიდი ხანია გადაგვიღდა. დღესხვალებით ვატყუებდით. ჩვენი ხელით გამოვიჭერთ ყელი, ჩვენი ხელით დავანგრეთ ჩვენი აშენებული ზუზულა. დემონსტრაციების, მიტინგების, აკტიაციის, ყველაფრის ნება მივეცით ბოლშევიკებს. თავზე დავისვით“.

უნდოდა მოეშორებინა ფიქრი. თელა დაიწყო, რომ ფიქრი მოეშორებინა. „თუ კაცს არა აქვს პართალი ძილი, სიკვდილი არის მისთვის ღვიძილი. ვარდების გონებას, დაიწყებს ღონებას, წაიღებს ფიქრი“. გაახსენდა გურამიშვილის სიტყვები. მთლად წაიღო ფიქრმა, შავმა ფიქრმა, მწარე ფიქრმა. ხალხი ბრბოა, ბრბოა. ვინც მეტს შეჰპირდება, იმას გაჰყვება. არავეითარი პატრიოტული გრძობა არ გააჩნია უქონელსა და უყოლელს. ადამიანის პატრიოტიზმი მიწაა, სახლია, კარია, ქონებაა. ხალხი იმის ქომავია, იმის მეოხეა, ვინც მეტს შეჰპირდება. ბოლშევიკები ხალხს ყველაფერს ჰპირდებიან, ხალხმა იცის, რომ მათ თავიანთი დაპირება შეასრულეს. ყველაფერი მისცეს ხალხს: ქარხნები, სარეწები, ფაბრიკები, შახტები, ტრანსპორტი, ცა და მიწა, მისი ბატონპატრონობა. რა დაუდგება წინ ასეთ ადამიანებს? ჩვენი ჭარი, ჩვენი გვარდია, ერთი მუჟა იუნკრები? იავეს ვიტყუებთ. ხავს ექვიდებით“.

ამ ფიქრმა, გათენებული არ იყო. ტახტდანი რომ წამოავდო, ხელპირი დაიბანა, ტანისამოსი, როგორც ყოველთვის, გულდასმით გაიწმინდა. ცეცხლი რომ ჰვიდებოდა სახლს, ამ წესს არ გადავიდოდა. არ უსაუზმია, ისე წავიდა თემის ერობის კანტორაში. მიხა გაიყოლია, ისიც უსმელ-უშმელი. უღარდელი, უშფოთველი მიბაძებდა თემის ერობის თავმჯდომარე, უკვირდა, რა აღელვებდა, რა მიეჩქარებოდა დამფუძნებელი კრების წევრს.



ისევ ისე მიმოდრიდა ევგენი ევანია თემის ერობის თავმჯდომარის ოთახში, ისეთივე ნაბიჯით, ისევ ისე ეჭირა სათვალე ზედში და ნერვიულად ატრიალებდა. — ევ ისე იოგა მიხა ქირია სარკმლის ჩარჩოზე ზურგიით მიყრდნობილი, პაპიროსს ეწოდა, ბოლის ისეთივე პატარა ლამაზ რგოლებს ოსტატურად უშვებდა მალა და კმაყოფილებით აყრებდა თვალს.

სავარძელში აღარ იჯდა შალვა კორძაბია, სავარძლის ზურგის თავზე გვერდულად ჩამოქდარი კაპიტანი ვახტანგ ლლონტი მდუმარედ და შეფარულად, დამცინავი ღიმილით შესცქეროდა დამფუძნებელი კრების წევრს, აწკეპილი უღვაში უტოკავდა, ცალი წარბი ბოხობში ჰქონდა შემპყვარალი. იმ შეფარულ, დამცინავ ღიმილს თითქოს სახე გაეწვირილებინა მისთვის ან შეიძლება იმ ეჭვს, იმ შიშს, ევგენი ევანიას რომ იშფოთებდა, აღელვებდა.

ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მეხუთე კლასამდე ვახტანგ ლლონტი თითო საჩუქრეაღელი მოწაფე იყო. მეექვსე კლასიდან ცუდმა წარმ ჩაითრია, გაიქოლია, გაიტაცა, თავი აიწყვიტა, სწავლაზე გული აიკრუა, სვამდა, ბანქოს თამაშობდა, ბარდელში დადიოდა, ერთ კლასში ორ წელიწადს რჩებოდა. ჩამოშორდნენ ბეჭითი და პატროსანი ამხანაგები.

გვიან მოეგო გონს. შერცხვა. მიატოვა გიმნაზია, მიატოვა ქუთაისი, ოდესის სამხედრო სკოლაში შევიდა. მალე მსოფლიო ომში გაიწვიეს. იბრძოდა კავალერიაში, გულადი, უშიშარი ოფიცერი იყო. რევოლუციის შემდეგ ჯარვრანგელოან ერთად ებრძოდა ბოლშევიკებს, მერე დენიკინთან, ბოლშევიკებს ძლივს გადაურჩა, რუსეთიდან გაიქცა და ისევ ქუთაისს მიაშურა.

გვარდიაში სიხარულით მიიღეს. ახლა იმ ბოლშევიკებს აქ, თავისი მიწიდანაც, უნდა გაქცეოდა. სად გაიქცეს? წავა სოფელში და მამას ამოუღებდა მხარში, უმიწო მამას, ბუკიებივით, ესებუებივით, ყორშიებივით უმიწო მამას, მშვიერ

მამას. იქნებ ბოლშევიკებმა მამარძალა მისცენ მიწა გლეხებს, იქნებ, იქნებ! რას მიმოდის წინ და უკან ასე ნერვიულად დამფუძნებელი კრების წევრი? ყველა გზა გადაქრილია მისთვის. ჩიქოთის? ჩემთვის არა. მე ყველგან ვიპოვი თავშესაფარს, რომელი ქვეყნის ჯარში მეტყვიან უარს, ცოლი მე არა მყავს და შვილი, სახლი არ გამაჩნია და კარი. რა დამრჩენია აქ? სამშობლო? კმ, უსახლკაროსათვის, უთვისტომოსათვის ვინ თქვა სამშობლო!.. დავკრავ ფეხს და სხვა ქვეყანაში წავალ. გინდ იქ მოემკედარვარ და გინდ აქ. მკედრისთვის მიწა სულ ერთია. მშობლიური იქნება თუ უცხო, მხარის.

— აბრაგ ჰუჭვა დიხამინჯიას დასდევდით დასაპერად და ვინ დაიჭირეთ? — გამომწვევად, მკაცრად ჰკითხა დამფუძნებელი კრების წევრმა კაპიტანს. დიხამინჯიას ხსენებაზე ზიზღით დაემანჯა სახე. — დემობილიზებული ჯარისკაცი დაიჭირეთ, ამ სოფლის მკვიდრი!

— დემობილიზებული ბოლშევიკი კომისარი, ბატონო ევგენი, შტაბიდან მიღებული ბრძანების თანახმად, თქვენი თანხმობის თანახმად.

ევგენი ევანიას არ უნდოდა ამის გაგონება. მართალია, წუხელ რომ ის ბრძანება წაიკითხა, უთხრა, იმოქმედეო, მაგრამ დღეს დარწმუნდა, რომ ვარდენ ბუკიას დაქერა კიდევ უფრო არევადა ისედაც არეულ თემს. აღარ იციან ზევით, რას აკეთებენ, რა ბრძანებებს იძლევიან.

— დააპერინეთ ღვიძლ ძმას! — შედგა ევგენი ევანია კაპიტნის წინ.

— ჯარისკაცისათვის არ არსებობს არც ძმა, არც და, არც დედა, არც მამა, ბატონო ევგენ, — სიტყვა წაუქცოა ლლონტმა. — რომ უბრძანონ, ესროლე დედასო, ესროლე მამასო, უნდა ესროლოს, მე ჯარისკაცი გახლავართ და გვებე ბუკიაც ჯარისკაცია.

— დიახ, ჯარისკაცი ბრძანდებით, — უთხრა ნირწახდარმა დამფუძნებელი კრების წევრმა. — კარგად შეასრულეთ შტაბის ბრძანება, ქების ღირსი

ხართ, ჯილდოს ღირსი ხართ, მაგრამ ახლა გარემოება მოითხოვს დაუყოვნებლივ გაათავისუფლოთ ბოლშევიკი ვარდენ ბუკია.

— ბოლშევიკი კომისარი ვარდენ ბუკია, — გაუსწორა ვახტანგ ღლონტმა.

— მოგეხსენებათ, ჩვენი ბოლშევიკური პარტია ლეგალიზებულია. ციხიდან გამოვუშვით ყველა დაპატიმრებული ბოლშევიკი, ხელმძღვანელიცა და რიგითიც, პატიოსანიცა და უპატიოსნოც, თუ შეიძლება პატიოსანი ეწოდოს ბოლშევიკს.

— ბოლშევიკების განთავისუფლება მთავრობის, თქვენი პარტიის დიდი შეცდომა იყო, ბატონო ევგენი. ეს შეცდომა ერთ იგავს მაგონებს.

ევგენი ევანია კაპიტნისაკენ მიბრუნდა.

— ერთხელ თურმე, — დაიწყო ვახტანგ ღლონტმა. — ჭერიმ-ხან ზანილი ავად გამხდარა. მაშინვე სასახლის პირველ ექიმს უხმეს. მას ოყნა დაუნიშნავს ავადმყოფისათვის, ჭერიმ-ხანი განრისხებულა — ვის უნდა გაუყეთოთ ოყნა. ექიმი შეშინებულია და უთქვამს. თქვენო აღმატებულება, მე უნდა გამოიკეთონ, რომ თქვენ განიკურნოთო. ასე მოგივიდათ, ბატონო ევგენი, მენშევიკებსაც: შეგაშინეს ბოლშევიკებმა, მათთვის გასაკეთებელი ოყნა თქვენ თვითონ გაიკეთეთ.

— რა ბრძანეთ?! — აღშფოთდა დამფუძნებელი კრების წევრი, ყურს არ დაუჭერა.

კაპიტანმა არაფრად ჩააგდო მისი განრისხება, მშვიდად განაგრძო:

— ჭიმი ოყნა გაუკეთეს. ჭერიმ-ხანი შემთხვევით უკეთ შეიქნა და იმ დღიდან, როგორც კი ქვეყნის მბრძანებელი უგუნებოდ შეიქმნებოდა, ექიმს იატაკზე გააწვევდნენ და ოყნას უკეთებდნენ. მთელი პარტია იატაკზე გაწვენილი ხართ, ბატონო ევგენი.

დამფუძნებელი კრების წევრს გულში გაეცინა, მაგრამ მოსაჩვენებლად კოპები შეუარა:

— როგორ კადრულობთ! ნუთუ არ

გესმით, რა შეურაცხყოფა აკეთებთ პარტიას!

— თქვენმა პარტიამ თვითონ მიაყენა თავის თავს შეურაცხყოფა. ალბათ განსოვით, ბოლშევიკები ანე ამბობდნენათუ ჩვენი პარტია ლეგალიზებული იქნება, მუშები და გლეხები ჩვენი იქნებიანო, და ეს გამართლდა.

ევგენი ევანია ერთხანს სიტყვა ვერ დაძრა.

— ვარდენ ბუკიას რომ ვერაფერი უნახეთ ისეთი, რაც მისი დაკავების უფლებას იძლეოდა.

— მტერთან ბრძოლას უფლება არ სჭირდება, ბატონო ევგენი.

— როგორც თქვენ ბრძანეთ, ვარდენ ბუკიას არც პარტიულითი აღმოაჩნდა.

— ბოლშევიკები პარტიულითს საჩვენებლად არ ატარებენ, მაღლობა ღმერთს, მე მათ კარგად ვიცნობ რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან.

დამფუძნებელი კრების წევრს მოთმინების ფიალა ავესო.

— იმოქმედეთ, — უთხრა კაპიტანს და თემის ერობის თავმჯდომარეს მიუბრუნდა. ახედა პაპიროსის ბოლის რგოლებს, თვალი შეავლო ქირიას უღარდელსახებს. მისი სიმშვიდით და უღარდლობით შეურაცხყოფილს უნდოდა რაიმე უღიერი ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა, ცოვად და მშვიდად უთხრა: — გამყვეით კაპიტანს. გაიყოლეთ ერობის რამდენიმე წევრი, თუ მოახერხებთ, მასწავლებელი შალვა კორძაბიაც წაიყვანეთ და მათი დასწრებით გაათავისუფლეთ ბოლშევიკი კომისარი ვარდენ ბუკია. დღესვე უნდა გაიგოს თემმა, რომ ბოლშევიკებს არას ვერჩით, პირიქით, ისინი გვერჩიან. გესმით, ამხანაგო!

— მესმის, ბატონო ევგენი, — მიუგო მიხა ქირიამ.

— იმოქმედეთ!

ჩვევებ იმ ტახტზე იწვა და ეძინა, სადაც მკვას ვარდენისა და ჩვევებს სურათი ედო. სიზმარს ხედავდა ჩვევებ. ეტყობოდა, კარგი სიზმარი არ იყო. ხან შეუბლი შეეკუმხებოდა, ხან სახზე ში-

ში გადაურბენდა, ხელით იგერიებდა ვილაცას, ეძალებოდა ის ვილაცა, ვერ იშორებდა იმ ვილაცას, გლვიძება უძლოდა და ვერ იღვიძებდა.

ნელა გაიჭრიალა კარმა. ოთახში ბევლარი შევიდა. ჭალაზე შეხვედრის შემდეგ არ უნახავს შვილი. მაკამ რომ შინ მოიყვანა, ბეგლარი არ ეჩვენა, სახლიდან წავიდა. ახლა ჩუმად შეიპარა ოთახში, რომ მაკას არ დაენახა, ჭვებეს არ გლვიძებოდა.

დასცქეროდა შვილს და ღიმილს ვერ იკავებდა, მაკის თბილ ღიმილს. ხედავდა, რომ ჭვებე სიზმარში იყო, უსიამოვნო სიზმარში. რა აწუხებდა, რას ხედავდა, რცხვენოდა, რომ ქურდულად დაჰყურებდა რცხვენოდა, რომ ამდენი დღეა აქ არის ჭვებე და მისი შიშითა და რიღით შინ არ მოვიდა. გულში ყველაფერი აპატია ბეგლარმა: ჭარში წასვლა, ჭალაზე მომხდარი ამბავი. მაგრამ მინც არ გაიკარა, არც ცოლს გაუმხილა, რომ აპატია, არც გვანჯის, არც მეზობელსა და ნათესავს.

ჭვებე რომ შინ მივიდოდა, ბეგლარი უკანა კარიდან გაიპარებოდა, უკანა კიშკრიდან ვადიოდა. გულკეთილი იყო ბეგლარი, მაგრამ მისი გული ხშირად გონებას ემორჩილებოდა.

სოფელში იცოდნენ. მისი ხასიათი, პატივის სცემდნენ, ზოგს შიშიც კი ჰქონდა იგი. ზოგს სძულდა. სძულდათ იმათ, ვისაც მისი გულის ამბავი არ ესმოდა და მხოლოდ გონებით იცნობდა. თუ გული არ იცო ადამიანისა, ისე ვერ იცნობ, ვინ არის, რა გუნებისა და ხასიათისაა, რა სულისა და ხორცისაა.

გარედან ჩუმი ძახილი შეესმა:

— ეო, მენმელ!

ბეგლარმა მაშინვე იცნო ხმა. სწრაფად შეტრიალდა, ვერ მოზომა, კარი ისე გაიხურა, რომ ხმამალალი ტრიალი გაიღო.

ჭვებემ გაიღვიძა. წამოჭდა, იგრძნო, რომ ოთახიდან ვილაცა ვადიდა. დედა მეზობელთან ეგულებოდა, გვანჯი — მასწავლებელთან. ბაბა იყოო ალბათ, გაიფიქრა, ბაბა შემოვიდა ჩემთან. ვერ

მოასწრო გადაეწყვიტა, ამდგარიყო დაე უკან გაჰყოლოდა მამას, თუ დაეწოლია ლიყო და თავი მოემძინარებინა, რომ გარედან, ზედ საკმელთან, მამისა და ვილაცა უცნობის ლაპარაკი შეესმა.

— გამარჯობა, ბეგლარ!

— რალც კარგი ამბით არა ხარ მოსული, შამშე, — უთხრა ბეგლარმა.

— ბეგლარ, გვარდიელები რომ წუხელ ამბავს დასდევდნენ, ის ჭუჭუა დიხამინჯია არ ყოფილა.

— აბა, ვინ იყო?

— შენი შვილი.

— ეინა?!

— ვარდენი.

— რას ამბობ, შამშე? ჩემი ვარდენი?!

— ჰო, შენი ვარდენი.

— ჩემი ვარდენი დაბრუნდა? — არ დაიჭერა ბეგლარმა.

— დაბრუნდა, ბეგლარ.

— ვარე?

— ვარდენი დაუტყერიათ გვარდიელებს.

— რატომ?! ჩემი შვილი რა გახდა ამბავი?!

— ამბავი კი არ გამხდარა...

— აბა, რად დაიჭირეს?!

— ლენინის გამოგზავნილი ყოფილა.

— ვისი გამოგზავნილი?!

— ლენინის. მისი დავალებით მოდიოდა. კომიტეტიდან შეგვატყობინეს.

— ჩემი შვილი ლენინმა გამოგზავნა დავალებით?! მეხუმრები შამშე?!

ჭვებეს გარკვევით ესმოდა მამისა და შამშეს ლაპარაკი. არ უნდოდა დაეჭვებინა, თავზარი დაეცა, სული შეუგუბდა. ფეხშიშველი, პერანგისამარა წამოვარდა ტახტიდან, გარეთ გაიჭრა, კიბე ჩაირბინა, მივარდა შამშეს, მხრებში ჩააფრინდა, შეანჭრია.

— რა თქვი, შამშე?! ეს რა თქვი, შამშე?! — გაიმეორე რა თქვი, შამშე? ხომ არ შეიშალე შამშე?! ჭუჭუა დიხამინჯია ვარდენად როგორ იქცა, შამშე?!

შამშემ შეხედა ჭვებეს შემოიღო სახეს. ხმა ვერ ამოიღო.

ჩვენებზე ხელი უშვა შამშეს, მამას მიუბრუნდა:

— მითხარი, ბაბა, რა თქვა შამშემ! ყური ხომ არ მატყუებს, ბაბა! ვარდენი და დამიკურია, ბაბა. დიხამინჯიას მივდევი და ვარდენი დამიკურია. მომატყუეს, ჰუჰა დიხამინჯიას ვიკურათო... ვარდენი ჩემი ხელით დავიკირე, ვარდენი, ბაბა!.. მე დავიკირე ვარდენი, ბაბა! მოველა სიორდიას, დავაბრჩობ იქ ეშმაკის სულს! — დაინახა, ვერაფერს უშველიდა მამა. — ხმა ამოიღე, ბაბა, მითხარი რამე, ბაბა!.. შამშე, ეს რა ამბავი მოიტანე! — შეხედა შამშეს, მიხედა, რომ ვერც მამა, ვერც შამშე ვერაფერს უშველიდნენ, მოწყდა ადგილიდან და გაიქცა.

ბეგლარი და შამშე გაოგნებული იდგნენ. მერე შამშემ მიმოიხედა, ყურს ხომ არავინ გვიგდებსო.

— ბეგლარ, დავალებული გვაქვარა და ე უნდა დავგივდეს, ვარდენი გავანთავისუფლოთ.

— მამ, ლენინის დავალებით ჩამოვიდა ჩემი შვილი! — შეხედა ბეგლარს შამშეს.

— კომისარი ყოფილა ვარდენი.

— კომისარი... ლენინის დავალებით...

ჩვენებზე თავქუდმოგლეჯილი გარბოდა თევზარაზე, ფეხშიშველი, პერანგის ამარა, თმაგაჩნილი, გარბოდა თავლისაკენ. გარბოდა მშასთან. გზაზე შემხედურები ჩერდებოდნენ, თვალს აყოლებდნენ, რა დაემართათო.

— ჩვენებ, რა მოხდა, ჩვენებ?!

— ჩვენებ, რა ამბავია შენს თავს?!

— ჩვენებ, სად გარბიხარ ფეხშიშველი, პერანგის ამარა?!

ქიშკრებზე მომდგარი მეზობლები ერთმანეთს ეკითხებოდნენ ბეგლარს ან მკაცს ხომ არაფერი მოუვიდათო და მერე ბეგლარის ოდისაკენ გარბოდნენ. გზადაგზა მათ სხვები ემატებოდნენ. ერთმანეთს უხმობდნენ, ბეგლარს რაღაც უქირსო.

ვარდიელთა ბანაკში შორიდან დაინახეს ჩვენებ. არც გვარდიელებმა იცოდნენ, რომ ჩვენებმა მამა შეიპყრო. გავე-

რებით გადახედეს ერთმანეთს. მარჯვლი იური ორლოვი მიეჭებოდა ჩვენებებს. ჩვენებებს სხვებიც:

— რა იყო, ჩვენებ? — ჰკითხა იური.

— რა დაგემართა ჩვენებ? — ჰკითხა ზაქრო ბროლაძემ.

— რასა ჰგავხარ, ჩვენებ? — უთხრა ბოლდენიმმა.

ჩვენებს პასუხის თავი არ ჰქონდა. გულამომჯდარს ენა არ ემორჩილებოდა. გონება არ ემორჩილებოდა, თავის ჰუჰაზე არ იყო. ხელის კერით მოიშორა ამხანაგები, მოიშორა სხვა გვარდიელებიც. თავლისაკენ გაიქცა, რომლის კართან ის ამხანაგი ოსი იღვა გულგად, მასწავლებლის წინ სკოლის ეზოში მამლობანას თამაშისას ზღართანი რომ გადინა მიწაზე. ჩვენებს უნდოდა კარს დასტაკებოდა და შეეღეწა.

ოსი მიუხედა და აეტარა.

— ძველებ, სენი წირიშე, რა დაგემართა, ბიწო?! არ შეიძლება, სენი წირიშე. იქ პატიმარი ბოლსენიკი გყავს, შენ რომ დამიკირე წუხელ. აბრაგი არა, ბოლსენიკი ყოფილა, კომისარი.

— ჩემი მამა ყოფილა, ჩამბულატი, ჩემი მამა დამიკურია! გამიშვი, მამა დამიკურია, ბიწო!

— მამა ყოფილა! — შეწუხდა ჩამბულატი. — ეს რა დაგემართა, ბიწო! — ღმერთო მოგკალი, ბიწო!.. მაინც ვერ გაგიშვებ, ძველებ! გუსაგად ედგავარ, სენი წირიშე. მამა კი არა, მამა ღმერთი რომ დამიკურია, მაინც ვერ გაგიშვებდა ჩამბულატი.

ჩვენებმა არც აცია, არც აცებლა, იცელონიერად დაეჭერა ჩამბულატი, რომ ოსმა თავი ვერ შეიკავა, ზვინივით გადაიქცა პირალმა, კეფა დაკრა მიწას.

— მოკვალი ამ ურქლომ! — დაიღრიალა გამწარებულმა ჩამბულატი და ის იყო უნდა წამოჭრილიყო, რათა კვლავ აფარებოდა კარს, რომ ამ დროს, თითქოს მიწიდან ამოძვროს, ტატანია სიორდია ჰაჭივით აელანდა ჩვენებს.

— სდექ, ბუკია! — შესძახა დიციური, გამკვივანი ხმით და რვეოლვერი მიუშვირა.

— სიორდია!... ათმეთაურო... ჩემი ძმაა იქ... ვარდენი... ჩამოდევი, სიორდია!

— ძმა ბოლშევიკ, კომისარ, დაიწ! შენც დასაქვრ ხარ, მამაშენც! დაიწ, თორემ გესერ, სიორდია ვარ ტატაჩ. აბა! დაიწ, თორემ ტვინს გაგიხვრეტ!

— ჩამოდევი, სიორდია, შე ურჯუნლო! ძმა დავიჭირე, ღვიძლი ძმა, ათი წლის უნახავი ძმა!

— ძმა კი არა, ბოლშევიკ, კომისარ, აბა!

— ჩამოდევი, სიორდია! ჩაგე რევოლუერი! კატასავით წაგახრჩობ, შე ძაღლის შეილო! ძმა დავიჭირე, არ გეჰმის?! ძმა, ღვიძლი ძმა!

კარზე მომღვარი ვარდენი გაოცებით უყურებდა ჯეხებს: „მამ შენ დამიჭირე, როგორ გამაკარი მიწას! რა ღონე გქონია, ბიჭო, რა ძალა! ყოჩაღ, ჯეხებუ ხელი არ გამანძრევიან! დამშვიდდი, შენ რომ არ დაგეჭირე, მაინც დამიჭერდნენ, ჯეხებუ!“

— ჯეხებუ! — დაუძახა ძმას.

ჯეხებუ დაინახა ვარდენი.

— ვარდენი! — ძმის დანახვაზე მთლად აერია გონება. — მე დავიჭირე, ვარდენ...

— რასა ჰგავხარ, ბიჭო! წადი, ჩაიცი. ჩემი ჯავრი ნუ გაქვს. ჩემს საქმეს გაარკვევენ და გამოშვებენ.

— მე დავიჭირე, ვარდენი...

იური ორლოვი და ზაქრო ბროლიძემ აქეთ-იქით მოჰკიდეს ხელი, მაგრამ ჯეხებუ გაუსხლტა. სიორდიამ დაინახა, რომ დაეტაკებოდა, უკან დაიწია.

— ფეხ არ გაღწოდგ, თორემ გესერ. დედაგაღლეტილ! — დაისისინა და ის იყო უნდა ესროლა, რომ იური ორლოვი აეფარა ჯეხებუს.

— რას სჩადიხარ, სიორ...

გვარდა, სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო იური ორლოვი, ერთი შეხედა გაოცებულმა სიორდიას, შექანდა, მკერდზე ხელები წაივლო, მუხლებზე დაეცა და პირქვე დაასკდა მიწას.

— აბა, ტატაჩ ვარ, სიორდ.

ჩამოვარდა არაჩვეულებრივი, შემზა-

რავი სიწყინარე. ყველამ დაკარგა ენა, გვარდიელები გაქცავებულივით იდგნენ ვარდენი კარს ეცა, მაგრამ კარი საცქილოდ მაგარი იყო და ვერ ჩამოვლიჯა.

— აბა! — შებღაველა ჯეხებუ, დასწყედა სიორდიას, აიტაცა და კედელს მიანარცხა.

გვარდიელებს ეგონათ, მიწამდე არ დაჰყვებო სული, მაგრამ მისი ტანი მჩვარივით დაეცა კედლის ძირას სარეველა ბალახზე, სწრაფად წამოიჩოქა და კვლავ დაუმინა რევოლუერი ჯეხებს.

— სიორდია! — გაისმა ვახტანგ ლლონტის ხმა და სირბილით შემოვარდა გვარდიელთა წრეში.

სიორდიამ რევოლუერი დაუშვა.

კაპიტანს ერობის თავმჯდომარე მიხაქორია, მასწავლებელი შალვა კორძაბია, ფერშალი და თემის ერობის რამდენიმე წევრი შემოჰყვა.

— რა ხდება აქ?! — იკითხა ლლონტმა. არ დაუნახავს იური ორლოვი, სიორდიას და მის რევოლუერს უყურებდა, მერე ჯეხებუ ბუკიას შეხედა, შეხედა ფეხშიშველ, პერანგისამარა, თმაჩეჩილ და სახეშეშლილ ჯარისკაცს.

— ორლოვი მოკლა ძაღლის გავარდნილმა! — დაიღრიალა ჯეხებუ, დასტაცა ხელი სიორდიას, მოიქნია და ისევ იმ კედელს მიანარცხა. სიორდია ახლაც მჩვარივით დაეარდა მიწაზე, მაგრამ უგონოდ. — მე უნდა მოვეყალი და ორლოვი მოკლა.

— რატომ უნდა მოვეყალი? — ორლოვს არც დახედა კაპიტანმა.

— ძმა მინდოდა, გამომეშვა... ორლოვი მოკლა, იური მოკლა, მე მაგისი!... უნდოდა კვლავ აიტაცა მიწიდან, მაგრამ ბოლდუინმა და ბროლიძემ შეაკავეს.

— გააღე კარი! — უბრძანა ვახტანგ ლლონტმა გუშაგს.

ჯამბულატმა სწრაფად გააღო ბოლის კარი.

— გამობრძანდით! — მიმართა კაპიტანმა ზღურბლზე მდგარ ვარდენს.

ვარდენი გამოვიდა. ფეხშიშველი, ტანსაცმელდაქმუქნული იდგა კარის

წინ. არ ეხერხა ქუდი, არ ერთყა ქამარი. ღლონტს დაცინვით ჩაეღიმა: „პაპონისარა!“

— ის ვინდაა?! — ჰკითხა გუშაგს უცებ თავისი ღვიწილით შემკრთალმა.

— მებორენა. მას გადმოჰყავდა მდინარეზე ბოლშევიკი.

— გამოდი შენც! — უთხრა კაპიტანმა ბაზვას.

ვარდენი გამოსვლისთანავე დაიხარა და ორლოვი გადააბრუნა. იური აღარ სუნთქავდა. ვარდენმა თავზე მოჰკიდა ხელი. იცნო ორლოვი, გაახსენდა მისი სახე, შემკრთალი, თითქოს გაკვირვებულნი, თითქოს დარცხვენილი, გაახსენდა რა გაუბედავად უხერხულად ეჭირა თოფი, თითქოს მთელი მისი ტანი, მოძრაობა, თვალები და თოფიც კი ეუბნებოდა, თავს უშველეო.

ქუდი მოიხადა მასწავლებელმა, მიხაჭირიამ, კალისტრატე ქვარცხავამ. ქუდი მოიხადეს თემის ერობის წევრებმა.

ვარდენმა ღიად დარჩენილი თვალები დაუხუჭა ორლოვს. გაიმართა, შეხედა კაპიტანს:

— რატომ მოკალით თქვენი ჯარისკაცია?

ღლონტისათვის მოულოდნელი იყო ასეთი კითხვა. ვერაფერი მიუგო.

— რატომ დააპატიმრებინეთ ჩემს ძმას ჩემი თავი?

ვერც ამაზე გასცა პასუხი ღლონტმა. თვალი მიაც-მოაცეცა, უღვაში აეწკიპა, წარბი ბოხობში შეუხტა.

— რატომ დამაპატიმრეთ?

— რატომ?... შტაბიდან იყო ნაბრძანები... თავისუფალი ხართ... შევცდიით...

— შეცდომით დამაპატიმრეთ, ძმას დაჰკერინეთ ძმა, მოკალით ვაგი!

— თქვენ თავისუფალი ხართ. —

— მე კი ვარ თავისუფალი, თქვენ არ იქნებით თავისუფალი, პასუხს აგებთ.

მოვიდა ბეგლარი, მოვიდნენ შაშვე აქბარდია, ივანე ესებუა, ნესტორ ფილიპია, ზოსიმე, ვახუ, გაიოზი, კოჩოა, მავა, ინდა, ცაბუ, თათიკია, მოვიდნენ მოწაფეები.

— ვაი შენი ღედის ცოდვა, შევი-

ლო! — დაინახა იური ერთლოვნი მკაცრად, ლოყაზე შემოიკრა ხელის მტკნარუნდა, ვერ შეამჩნია ვარდენი, ჯეჯი.

— რა ანგელოზივით კაცი მოუკლავთ! — დაიკვნესა ცაბუმ. — ვინ ცოდვის შეიღმა გაგიმეტა სასიკვდილოდ, შეილო!

— თვალი დაუდგეს შენს მკვლელს, შეილო! — თქვა ბაზვა მებორნის ცოლმა თათიკიამ.

— დიდუ, შეილო! დიდუ, შეილო! — ატირდა მავა.

კაცები მწუხარედ იდგნენ.

არაფინ იცოდა. რა მოხდა, ვინ მოკლა. რატომ მოკლეს. მოვიდნენ ისინიც. ვინც თემშარაზე დაინახა ჯგებე. იმათ სხვები მოჰყვნენ.

კაპიტანი ვახტანგ ღლონტი და მიხაჭირია მაშინვე შეუდგნენ დამფუძნებელი კრების წევრის ბრძანების შესრულებას: შეკრიბეს თემის ერობის წევრები, დაიყოლიეს მასწავლებელი, წამოიყვანეს ფერშალი და ვინც კი შეხვდათ გზაში, რათა დაენახათ ბოლშევიკის განთავისუფლება.

აჩუჩაღლდნენ ქალები და კაცები. უცებ გაიგეს, ვინ მოკლეს, ვინ მოკლა. რატომ მოკლეს.

ორლოვის სახე სისხლით შეწითლებული მკერდის ფონზე უფრო თეთრი, უფრო ყმაწვილური, თითქოს ილიმებოდა, მისი ტანი მოხდენილად ესვენა. მიცვალებულიც ლამაზი იყო.

ვარდენმა და ბეგლარმა შეთანხმებულად ერთად ასწიეს თავი და ერთმანეთს შეხედეს. თითქოს ათი წლის უნახავეები არ ყოფილიყვნენ: მათ გულს არ შეხებია ის დიდი სიხარული, ასეთი ხანგრძლივი დროის შემდეგ მამა-შვილის შეხვედრა რომ აღძრავს, იმდენად მძივე იყო მათი მწუხარება. მათი გული დაგონება იური ორლოვს დასტრიალებდა.

— ბაბა, — უთხრა ბეგლარს ვარდენმა და მიბრუნდა სიორღიასაკენ, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო გონს მოსული, — ამ ნაძირალას გასროლილ ტყვიას აეფარა ეს რუსი ჭაბუკი, რომ შენი შვილი, თა-

ვისი მეგობარი ვადარჩინა... — რამდენი მძიმედ დატრიალი და მოკლული ჯარისკაცი უნახავს ფრონტზე, რამდენი დატრიალი და მოკლული მუშა და გლეხი უნახავს ქალაქად თუ სოფლად, რამდენი ჩამოხრჩობილი, რამდენი მეგობარი და ამხანაგი, მტერი და მოყვარე. რამდენი მომაკვდავისთვის ჩაუხედავს თვალში და რამდენ თვალს შეუთხოვია შევლა. უსამშველოსათვის შევლა რომ არ შეეძლო, ჯავრს მისცემია, მაგრამ ასე მძიმედ არ შეწუხებულა, ასე მძიმედ არ განუტღია სიკვდილი. — ჩვენ უნდა დავანაფლავოთ ეს ჯარისკაცი, ბაბა.

— კი, შეილო, — უთხრა ბეგლარმა.

— კი, ნანა, — კვერი დაეჭრა მაკამ.

შეხედეს ცოლ-ქმარს კმაყოფილებით. თითქოს ყველა იქ მყოფი ამ აზრისა იყო, ამას ფიქრობდა. მხოლოდ კაპიტანი ლლონტი შედგა ყალყზე.

— ნება არა მაქვს ჯარისკაცი თქვენ მოგცეთ დასაჯრძალავად, — უთხრა ვარდენს.

— ნებას თქვენ არავინ გთხოვთ.

— ჯარისკაცი იური ორლოვი ჩემს ასეულს ეკუთვნოდა.

— და აღარ გეკუთვნით.

— როგორ?!

— ჯარისკაცი იური ორლოვი თქვენს მოკალით.

აქამდე მდუმარედ მდგარმა ზოსიმე ყორშიამ ხელკეტი კოჩოიას გადასცა, კაპიტანს შეხედა მწყრალი, საყვედურით საესე თვალებით, მერე მივიდა და იური ორლოვის ცხედართან დადგა.

— ბეგლარ, ამ ბიჭს მარტო შენ, ოჯახი არა, მთელი თემი დაკრძალავს, მთელი თემი დაიტრეებს, — უთხრა ზოსიმემ ბეგლარს.

— ვიმეორებ, ნებას არ მოგცემთ ჩემს საქმეში ჩაეროთ.

— ავი გითხარით, ნებას თქვენ არავინ გთხოვთ, — უთხრა ვარდენმა ზოსიმეს მაგივრად და ზოსიმეს გვერდით ორლოვის ფეხებთან დადგა. — ორლოვს მთელი თემი დაკრძალავს. თქვენ რას იტყვიან, ბატონო შალვა? — ჰკითხა მასწავლებელს.

— მთელი თემი დაკრძალავს, — გვიმერო მასწავლებელმა ვარდენის სიტყვაზე, მთელი თემი დაიტრეებს, მივიდა ორლოვის ცხედართან და თავთან დადგა.

არავინ ელოდა ამას. ყველაზე მეტად ბეგლარი არ ელოდა. გადახედა შამშე აქბარდიას. შამშე ხალხს გამოეყო, მივიდა და მასწავლებლის გვერდით დადგა.

ლონტმა აქეთ-იქით მიმოიხედა. ყველას, გვარდიელებსაც კი, ერთი გადაწყვეტილება ეხატა სახეზე.

დაიხარა იური ორლოვის თავთან მასწავლებელი, დაიხარნენ შამშე აქბარდია, ზოსიმე ყორშია, ვარდენი. ნელა ასწიეს ჯერ კიდევ თბილი, თითქოს მძინარე იური ორლოვი. ვარდენი და ზოსიმე წინ იდგნენ, კაპიტან ლლონტის, მიხა ქირიას, ფერშლისა და თემის ერობის წევრების პირდაპირ, და უცდიდნენ, როდის ჩამოსცილდებოდნენ გზიდან. ვახტანგ ლლონტი პირველი გადაგა განზე. გზა უტრის სხეებმაც.

დაიძრნენ ვარდენი, ზოსიმე, შალვა და შამშე. გაჰყვა ბეგლარი, გაჰყვა ჯვებზე. გაჰყვა ხალხი, გაჰყვნენ ზაქრო ბროლაძე, რიჩარდ ბოლდუინი, ჯამბულატ ბესტაევი, მუნჯი გვარდიელი, გაჰყვნენ სხვა გვარდიელებიც. თავლის წინ ვახტანგ ლლონტი, მიხა ქირია, ფერშალი და თემის ერობის წევრები დარჩნენ.

მიხა ქირიას ოთახში ევეგნო ევანია და ვახტანგ ლლონტი პირისპირ იდგნენ მაგილის აქეთ-იქით. თემის ერობის თავმჯდომარე თავის აჩემებულ ადგილას სარკლის ჩარჩოს ზურგით მიყრდნობილი. პაპიროსის ბოლის პატარა ლამაზ რგოლებს შალვა უშვებდა და თვალს აყოლებდა, მშვიდი და უდარდელი ჩანდა, არ ერეოდა დამფუძნებელი კრების წევრისა და კაპიტანის საუბარში. ევეგნი ევანია კი ნერვიულად ატრიალებდა ხელში სათვალეს, ვერ იკავებდა მღელვარებას, ცდილობდა, მაგრამ ვერ იკავებდა მღელვარებას. მაგიდაზე უწყსრიგოდ ეყარა გაზეთები. საათურები, მსხვილი

ასოებით აწყობილი სათაურები, ეკალი-  
ვით ესობოდა თვალში ევანიას. „მოწო-  
დება ყველა ერობას!“. „პროვინცია  
თავდაცვის საქმეში!“, „შზადა ვართ  
საშობლოს დასაცავად!“

— ყველაფერი ისე წაეწყო ჩვენ წი-  
ნააღმდეგ. — ამბობდა ევგენი ევანიას: —  
ხალხის მიწიდან აყრა, სკოლის დარბე-  
ვა, ვარდენ ბუციას დაპატიმრება, იმ  
გვარდიელის მოკვლა...

— მარტო ჩვენთან ეი არა, ბატონო...

— თითქოს თვით განგება, გვემუჭრე-  
ბა გაცამტვერებით, — არ აცალა სიტყ-  
ვის დამთავრება დამფუძნებელი კრუ-  
ბის წევრმა. — სიორღია უნდა დაისა-  
ჯოს, — კატეგორიულად უთხრა კაპ-  
იტანს, სათვალე გაიკეთა, იმწამსვე მო-  
იხსნა და განავრძო: — ეს ოდნავ მაინც  
დაამშვიდებს ხალხს.

— გეთანხმებით, მაგრამ რა მოტივით  
დავსაჯოთ, ბატონო ევგენი?

— ამ საქმეს მოტივი არ სჭირდე-  
ბა, — ცივად უთხრა ევგენი ევანიას.

— გვარდიელი ჯვებზე ბუცია გუშაგა  
თავს დაეხსა, პატიმრის განთავისუფლე-  
ბა უნდოდა.

— ვიცო. იმ თქვენი სიორღია ქაჯსა  
ჭაგეს.

— ბოლშევიკებს ქაჯებით უნდა ვეპ-  
რძოლოთ.

— გვიანაა, — წამოცდა დამფუძნებე-  
ლი კრების წევრს და ენაზე იკბინა. სა-  
თვალე ისევ გაიკეთა, ისევ ერთი წი-  
მით. — კარგი ვიქნიათ, რომ ორლოვია  
დაკრძალვა არ დაგიშლიათ ბუციეზის  
ოჯახისათვის.

— თემისათვის, ბატონო ევგენი.

— თემისათვის. ახლა ჩვენ გუნდრუ-  
კი უნდა ვუცემოთ ყველას. თვით ბოლ-  
შევიკებსაც კი.

— გუნდრუკი უნდა ვუცემოთ! —  
გაიმეორა კაპიტანმა და ყბა მოექცა,  
წარბი ბოხობში შეუხტა.

— დათვი რომ მოგერევა, ბაბა და-  
უძახეო.

— უკვე მოგვერიგენენ?

— არ მინდა ასე ვიფიქრო. ოპ, რო-  
გორ არ მინდა ასე ვიფიქრო! — დახედა

გაზეთებს: — შზადა ვართ საშობლოს  
დასაცავად! ვის ვატულებთ?!

— ჯარი უქანასკენელნი წვე-  
თამდე იბრძოლებს, ბატონო ევგენი! —

— რომელი ჯარი?! — სათვალე გაი-  
კეთა და კაპიტანს მიაჩერდა. — სადა  
გვყავს ჯარი! — მოიხსნა სათვალე. —  
ჯარი ხალხი გახლავთ, ხალხი კი... —  
ევანიას უნდოდა ეთქვა, ხალხმა ზურ-  
გი შეგვაქციოთ, მაგრამ თავი შეიკავა.

— საქართველოში ერთ კაცზე ასე  
მოხბდური მოდიოდა და მაინც ვამარ-  
ცხებდით მტერს.

დამფუძნებელი კრების წევრს არ მო-  
ეწონა ეს სიტყვები, რომლებიც იდრე  
თვითონვე უთხრა მასწავლებელს.

— მაშინ ხალხი მტერს ებრძოდა. ახ-  
ლა ხალხმა იცის, რომ წითელი არმია  
სამტროდ არ მოდის.

— ამ მცდარ აზრს ბოლშევიკები  
უნერგავენ ხალხს, — უთხრა კაპიტანმა.

დამფუძნებელი კრების წევრს უნდო-  
და ეთქვა ეს მართალი აზრით, მაგრამ  
ისევ შეიკავა თავი.

იური ორლოვი შუა ოთახში ხალი-  
ჩაგადაფარებულ ტახტზე ესვენა. სახე-  
ზე გაკვირვებისა და ტკივილის მწარე  
ღიმილი ეფენა. ეს რიანანელი ქაბუკი  
ამ შორეულ ოდიშურ ოღაში შოასანი  
ქალები სამი მხრიდან რომ უსხდნენ კე-  
დლებს გასწვრივ და თმაჩამოშლილები  
ჭირისუფლებით დასტიროდნენ, ამ  
ოჯახის ღვიძლი შვილი გეგონებოდა.

მოთქვამდა მკაცრად. სასთუმალთან ჩა-  
მებლული თავზე ხელს უსვამდა, ლო-  
ყებზე ცრემლი ჩამოსდიოდა. ჯვე-  
ბეს მოსაკლავად გასროლილმა ტყვიამ  
ამ რუსის ბიჭს მოუსწრაფა სი-  
ცოცხლე, ის აეფარა მკაცრად შვილს, ჯვე-  
ბე გადააჩინა და თვითონ დაიღუპა.  
მკაცრად თუ დაიტირებდა ასეთი  
სიმწარით, ასეთი დიდი ტკივილით.

— რა გვიქვნი, ნანა! ეს რა უბედუ-  
რება დაგვატეხე თავზე, შვილო! იმ  
ტყვიას მე მოვეკალი, დედა! რა უთხრა  
შენ საცოდავ მშობლებს?! დიდუ, ნანა,  
დიდუ, სქუა!

ტიროდა ცაბე, ტიროდა თათიკა,  
ტიროდენ ქალები, მოხუცები, ახალ-  
გაზრდები, ტიროდა ინდა.

მღუმარედ იღგნენ სახეშეკრული კა-  
ცები.

— ეს რა ცეცხლი წამიკიდე მე მიწის  
საკმელს, შეილო!.. მითხარით, რა ვქნა,  
ხალხო!.. ვაი, შეილო, უი, დედა!—ღა-  
წეებს იხოკავდა მაკა. არავინ აწყნარებ-  
და, არავინ ამშვიდებდა, ორლოვის სა-  
ცოდამობით ყველა შეწუხებული იყო,  
ყველას ეწეოდა გული. დასტიროდნენ  
აღამიანს, ვინც მეგობარს, ამხანაგს შეს-  
წირა თავი, ვინც უცხო მხარეს მოკლეს,  
უცხო მიწაში უნდა დამარხულიყო, დე-  
დის დაუტირებლად, მამის დაუტირებ-  
ლად.

— რა ამბავს მიუტანენ დედაშენა.  
ნანა! რას ეტყვიან მამაშენს, სკუა! დი-  
დუ, შეილო, დიდუ ჩემს თავს, ნანა!  
შემოგველოს მაკას თავი! რა ქნას ჩვე-  
ბემ, შეილო! ჩვებზე საცოდავი კაცი  
ქვეყანაზე აღარ იქნება აწი, ნანა! სა-  
ძარეში ჩაწყებება შენი ჯავრი, ბიჭო!

ეზო ხალხით იყო გაქედილი. მოდ-  
ოდნენ და მოდიოდნენ თემის სხვადა-  
სხვა კუთხიდან, ახლომახლო სოფლები-  
დან, ქალი და კაცი, დიდი და პატარა,  
მოდიოდნენ უცნობები და ნაცნობები,  
მოდიოდნენ ათ-ათნი, ოც-ოცნი ერთად,  
ქალები — წინ, კაცები — უკან.

ვარდენმა ორლოვის მოკვლის დღე-  
ვე დაავალა შამშე აქბარდიას, მთელ  
მაზრაში დაეგზავნა კაცები ამ ამბის შე-  
სატყობინებლად, რომ ორლოვის დაჯრ-  
ძალვა მობილიზაციის საწინააღმდეგო  
დემონსტრაციად გამოეყენებია. და და-  
იძრა მთელი მაზრა. გლეხები, ხელო-  
ნები, მუშები, ინტელიგენცია, აზნაური  
თუ თავადი, მოხელეები, მკედლები და  
ხარახები, დურგლები და მებრძოლები,  
კალატოზები და ხუროები, თერქები და  
ვაჭრები და, ვინ მოსთვლის, კიდევ ვის.

მოზარენი ნაბეგარ ვერსზე რომ მი-  
უალოვდებოდნენ ბეგლარის სახლს,  
ქალები თმას ჩამოიშლიდნენ, მოთქმააა  
და კივილს იწყებდნენ. კიშკარს მოად-  
გებოდნენ თუ არა, ლოყებზე ხელებს

იცენდნენ, კაცები ქედსა და ყაბალას/  
იხდიდნენ.

მოსულეს ეზოშივე ეგებოდნენ  
განგებოდ შერჩეული ორ-ორი მიმანგა-  
რუ, ქალებს წინ გაუშვებდნენ, კაცებს  
შეაჩერებდნენ, ქედსა და ყაბალას ჩა-  
მოართმევდნენ და მაგიდაზე აწყობდნენ.  
როცა მიცვალებულიდან შემობრუნე-  
ბული ქალები კიბეზე დაეშვებოდნენ,  
ორივე მიმანგარუ კაცებს აქეთ-იქიდან  
ამოუღებდნენ და ოდისაკენ წუძლვე-  
ბოდნენ. კაცები შუბლზე ხელს ირტყამ-  
დნენ, მეკრღზე მკილს იცემდნენ.

— ახავაი, რუსო ბიჭო!

— ახავაი, შენი ცოდვა, შეილო!

— ახავაია, ახავაი!

— ეს რა უბედურება შეგემთხვა,  
ბეგლარ!

— ახავაი, ბეგლარ! ახავაი, ბეგლარ!

— ეს რა ღლე დაგიღვა, ბეგლარ!

— ახავაი, ახავაი!

ბეგლარის თვალმა ცრემლი რა იყო,  
არ იცოდა, მაგრამ ახლა ცრემლით ჰქო-  
ნდა დაბინდული. სიშწრით გაოგნებული  
კიბის თავზე იღვა, მხრით აიენის სვეტს  
მიყრდნობილი. მას უსამძირობდნენ, მას  
თანაუგრძნობდნენ მოზარენი. „ჩემი  
შეილისათვის მოკვდა“, თავიდან არ ამო-  
სდიოდა ეს შავი ფიჭო. მეტი არაფერი  
გაეგებოდა, არაფერი ესმოდა: არც მოთ-  
ქმა, არც ტირილი, არც ეზოში მოხი-  
ზიშე ხალხის ხმა. „ჩემი შეილისათვის  
მოკვდა“.

გვარდიელთა ჯგუფი გაუბედავად შე-  
ვიდა ეზოში. წინ ზაქრო ბროლაძე მი-  
უძღოდათ. თავაღუნულები მიდიოდ-  
ნენ. ეზოში იყვნენ ისინი, ვინც ჩიჩუ-  
ების ქალიდან გადაარყვეს, ეზოში იყ-  
ვნენ ბეგლარის კარის მეზობლები, ნა-  
თესავ-ახლობლები. მხოლოდ ზაქრო  
ბროლაძე, რიჩარდ ბოლდუინი, ჯამბუ-  
ლატ ბესტაევი და მუნჯი გვარდიელი  
მიდოდნენ თამამად ამხანაგის, ცხე-  
ლართან, რომ დაეტერათ, უკანასკნე-  
ლად გამოსთხოვებოდნენ.

! მოტირალთა თანხმლები ცხედართან მი-  
ცილებლები.

გვარდიელები მაგიდასთან შედგნენ, აბჯარი შემოიხსნეს, ქუდი მოიხადეს. მაგიდაზე დააწყეს და ოღისკენ წავიდნენ.

ორივე მემანგარუ გვერდით გაჰყვნენ.

ხალხი სულგანაბელი უყურებდა, თანაგრძნობით უყურებდა. ამ გვარდიელებმა დაკარგეს ამხანაგი, მეგობარი, მათი მეთაურის ტყვიამ მოკლა ორლოვი.

კიბის საფეხურები თხელი ფიცრისა იყო და თითო-თითონი აღიოდნენ. ჩაუარეს ბეგლარს. იცოდნენ, რომ იგი ჯვებებს მამა იყო. ახსოვდათ, გამორჩეულად რომ იღვკა ხალხის წინ ჩიჩუების ქალაში, რომ მან დაატაცებინა გლეხებს ჩიჩუების მიწა. იცოდნენ, რომ ის იმ ბოლშევიკი კომისრის მამა იყო. ჩაუარეს მორიდებით და ცხედრის წინ შედგნენ. ერთხანს უხმოდ, უძრავად დაჰყურებდნენ ამხანაგს, ჯერ კიდევ გუშინ სიცოცხლით, ჯანით, იმედით და ოცნებებით აღსავსე ამხანაგს, ახლა სამუდამოდ დაღუპებულს რომ ესვენა. მერე მუხლი მოიყარეს და უცებ საზარელი ხმით აზმუვლდა მუნჯი გვარდიელი, ხელები მოხვია ორლოვის გაქვავებულ მკერდს, გასისხლიანებულ მკერდს. აზლუქუნდა ჯამბულატ ბესტაევი.

— დედას მიტირებს შენს მკვლელს ჯამბულატი! მომიკვდეს შენი ჯამბულატი! ოხმე, იური, ბიწო! ოხმე, იური, ბიწო!

ტიროდნენ გვარდიელები.

აიკვლდნენ გვარდიელების შემყურე ქალები. იცრემლებოდნენ კაცები. მხოლოდ ზაქრო ბროლაძე და რიჩარდ ბოლდუინი იღვგნენ კრიჭაშეკრული.

ხელბგაკრული ჯვებზე იმ ტახტზე იწვა, დილით რომ ეძინა. ვარდენმა და ბეგლარმა გათოკეს: თავის მოკვლას ლამობდა. ვარდენმა და ბეგლარს სხვებიც მიეშველნენ, მაინც გაუჭირდათ, ვერ მოერივნენ, ვერ დაიმორჩილეს ჯავრით გადაარეული კაცი. ახლა მოქანცული, მოწყვეტილი, ღონეგამოლეული, თითქ-

მის უგრძობი იწვა ედლისაკენ პირშეპცეული.

ერქენულნი

ოთახის ერთ კუთხეში მშვენიერად და ნაბღიანები ისხდნენ. პირზე ყაბალახი ჰქონდათ ჩამოშლილი. დაბალი სამფეხა სკამები ახლოს ედგათ ერთმანეთთან და ჩომაღ საუბრობდნენ. ნაბღიანები სხვადასხვა სოფლიდან მოვიდნენ, ბოლშევიკური უჯრედების წვერები იყვნენ. მათთვის წინასწარ ეცნობებინა მაზრის კომიტეტს ვარდენის ჩამოსვლის დღე.

ვარდენი შეუთანხმდა, ამაღამ ოტობაიას ტყეში შეკრებილიყვნენ გუდუია ესვანჯიას კარავში. იქ უნდა მოსულიყვნენ კომიტეტისა და უჯრედის სხვა წევრებიც. იქ უნდა გაეცნო ვარდენს იმ დავალებების შინაარსი, მოსკოვიდან რომ მოჰქონდა, შულავერიდან რომ მოჰქონდა, თბილისიდან და ქუთაისიდან რომ მოჰქონდა. დაერიგებინა ლენინის „პასუხი გლეხების შეკითხვებზე“, მიწის დეკრეტი და პროკლამაციები. მასწავლებელმა დილითვე შეატყობინა, რომ ისინი მას ჰქონდა შენახული.

— რაც შეიძლება მეტი ხალხი უნდა მოვიყვანოთ გასვენებაზე, — უთხრა საუბრის დასასრულს ვარდენმა შამშე აქბარდიას და ნაბღიანებს. — ჩვენი პირველი ამოცანაა ჯარის მობილიზაცია ჩვეშალოთ.

კიდევ ბევრი ჰქონდა სათქმელი. მაგრამ ძალა არ შესწევდა. იური ორლოვის დაღუპვამ კიდევ უფრო გატეხა მისი დაქანცული სხეული. მგზავრობამ, გზაში გადატანილმა ათასმა ხიფათმა, შიმშილმა და წყურვილმა, დევნამ, პარტიულ ამხანაგებთან შეხვედრებმა შულავერიდან მოყოლებული თავის სოფლამდე — ყოველივე ამან მძიმე დაღი დაასვა მის ჯანმრთელობას.

თვითონაც იყო იური ორლოვის მოკვლის მიზეზი. სიხარულის ნაცვლად უბედურება მოუტანა მშობლებს. ბავშვობიდან ნაცნობი ეს მეგრული ტყუბაგოდება, ტირილ-კვილი და მოთქმა-

ქეთინი, ქვასაც რომ დაადნობდა, ახლა უფრო საზარლად ეჩვენებოდა.

ჩუმად, მოკლედ ლაპარაკობდა, როგორც კონსპირატორი. ვარდენი არა მარტო ჯარისკაცი იყო, მზვერავი იყო, მეკავშირე, მეთაური, კომისარი, იატაკქვეშა მომუშავეც. ხან ვითომ იუდენიჩის ჯარისკაცი იყო, ხან პეტლურას, ხან ვითომ ესერებს ემხრობოდა, ხან — მენშევიკებს. დიდი გამოცდილება ჰქონდა მიღებული, დიდი სკოლა ჰქონდა გავლილი როგორც პარტიული მუშაობისა, ისე სამხედრო თუ სამოქალაქო ბრძოლისა.

სტუმრები უკანა კარამდე მიაცილა, გარეთ არ გაჰყვა. ერთდებოდა ამდენი ხალხის ერთად შეხვედრას. საამისოდ არც ძალა ერჩოდა, არც გული. კარი ჩაიკეტა, ოთახს თვალი მოავლო. ყველაფერი ისე ეწყო, ელაგა, ეკიდა და იდგა, ჯარში წასვლისას რომ დატოვა: კედელთან მიდგმული ტახტი, ჯერ თვითონ რომ იწვა, შემდეგ — ჯვებზე, ახლა კი, ალბათ, გვაჩვი წევბა; კვამლით გამჟვარტლული პატარა ბუხარი, მის წინ ღამეს თეთრად ათენებდა სათავგადასავლო წიგნების კითხვაში, რომლებსაც შალვა მასწავლებელი ურჩევდა და აძლევდა; კედელზე მიკედებული კახა შველის რქისა, ზედ რომ ტანსაცმელი ეკიდა... იატაკიც კი ისე ჭრატუნებდა. უკვირდა, არც ეს ჭრატუნი, არც სტუმრებთან წედანდელი საუბარი, არც ქალების ტირილ-კივილი და არც ეზოში მოზიზშიმე ხალხის ხმაური რომ არ აღვიძებდა ჯვებებს.

იდგა ვარდენი შუა ოთახში. ყველაფერი ძველი და ღარიბული იყო, მაგრამ სუფთა და გაწყრილებული, ყველაფერს დედის მოუსვენარი ხელი ეტყობოდა. ტანში თბილმა ტკივილმა დაუარა, სევდიანი მოგონების ტკივილმა. სარკველთან დაბალ, სამფეხა სკამზე მიიმედ დაეშვა. აქედან კარგად მოჩანდა ცხო. იქ ბევრი შისი ნაცნობი და მეგობარი იდგა, იჯდა ხის ჩრდილში, ღობის ჩრდილში. ზოგი ისე დაბერებულყოფო, ზოგი ისე დავეჯაკებულყოფო, რომ ვა-

რდენმა ძლივს იცნო, ძლივს გაიხსენა მთელი სისავსით შეიგრძნო, რა დროს ვასულიყო მისი სოფელიდან წასვლის შემდეგ, თითქოს მთელი საუკუნე არ ყოფილა აქ.

ხის ძირას ზოსიმე ყორშია დაინახა. იგი გლეხების ერთ ჯგუფში იდგა, თავისი განუყრელი ხელკეტით მიწას ჩიჩქნიდა და ისე გაცხარებით, გაჯავრებით ელაპარაკებოდა მეზობლებსა და სხვა სოფლიდან მოსულ გლეხებს, რომ ვარდენს გაეღიმა. ყოველთვის ასეთი იყო ზოსიმე — ფიცხი, უწონასწორო ხასიათის, მოულოდნელად გაბედული, მოულოდნელად თვინიერი, მორჩილი, თავშეკავებული. დაბერებულა ზოსიმე, წელში მოხრილა, მოტეხილა. იქ, თავლასთან, არ მიუქცევია მისთვის ყურადღება ვარდენს. ახლა გაახსენდა, როგორ დადგა პირველი იური ორლოვის ცხედართან ზოსიმე. „ბეგლარ, ამ ბიჭს მარტო შენი ოჯახი კი არა, მთელი თემი დაკრძალავს, მთელი თემი დაიტირებს“. კვლავ შეესმა ზოსიმეს ხმა. გაახსენდა ახოვანი, ჭარმაგი, მოუსვენარი და შრომით გაუმძალარი ზოსიმე, ყველაფერში პირველი, გაჭირვების ტალკვესი, პირდაპირი, მოურიდებელი, თან უწყინარი, მაგრამ, საჭიროების ქაშს დაუდნობელი. როგორ გაუტეხია ჯავას, როგორ მოხუცებულა! გაახსენდა როგორ ეხუმრებოდნენ სოფელში ზოსიმეს:

— რას ეძებ, რა დაგიკარგავს მაგ წყეულ მიწაში, ზოსიმე?

— მამაშენის, ჯურემიას, დატოვებულ ოქროს ზომ არ ეძებ, ზოსიმე?

— რას ჩიჩქნი მაგ მიწას, ზოსიმე, მოესწრები შიგ ჩასვლას!

— შიგ ჩემი მტერი ჩავიდეს, ჩემზე აღრე, — ამბობდა ზოსიმე. მტრად ის მიიჩნდა, ვისაც ბევრი მიწა ჰქონდა, ვინც სხვისი შრომით ცხოვრობდა.

აუხდა ზოსიმეს თავისი ქადილი, გაფიქრა ვარდენმა. დაინახა ივანე ესე-ბუა, ყველაზე ღარიბი გლეხი თემში, ხათრიანი, უსიტყვო, ქინკველას რომ ფეხს არ დაადგამდა, სხვისი რომ შურდა რა, თავისი ხედრით კმაყოფი-



— იმ ჯარში მარტო რუსი მეომრები არ არიან, პავლე.

— სულ ერთია, ვინც უნდა იყვნენ. არავის უთხოვია, მოდიო და დაგვიპყარითო...

სალამოდებოდა, მაგრამ მზის ჩალისფერი ნათელი ჭერ კიდევ ადგა ქვეყანას. შალვა კორძახიას ვაგონივით ვიწრო და გრძელ ოთახში კი ბნელოდა. შექუთარიათი თუნუქის პატარა ლამაზ მხოლოდ მაგიდას ანათებდა. მაგიდაზე ეორდანის სურათის გვერდით ლენინის სურათი იდგა. ქალაღდის გამომწვარ-გამოფიტული მოწითალო შუქი ეფინებოდა მის სახეს. ლენინს კრაველის საყელოიანი პალტო ეცვა, ქუღსა და პალტოზე თოვლის ნამქერი ეყარა, ვიღაცას უღიმოდა თვალმოჭუტული.

მაგიდასთან შალვა და ვარდენი ისხდნენ, ვარდენს კიდევ უფრო მეტი დაღლილობის დაღი აჩნდა. იტყობოდა, მათი საუბარი დიდი ხნის დაწყებული იყო.

— გეტანხმები, ვარდენ. ადამიანი თავის მიზანს, მოწოდებას, ცხოვრების გზის არჩევას ფეხის ადგმის დღიდან იწყებს.

— ზოგი გზადაგზა იცვლის მიზანს. შეხედულებას, ცხოვრების გზას.

— იცვლის იმის მიხედვით. თუ რა გარემოებაში უხდება ცხოვრება, რა პირობებში. იცვლის თავისი ხასიათის, ყოფაქცევის მიხედვითაც.

— მართალია, ბატონო შალვა, ხასიათის დიდი მნიშვნელობა აქვს. ხდება ზოღმე, ადამიანს უნდა გადადგას ესა თუ ის ნაბიჯი, შეიცვალოს აზრი, შეხედულება, მაგრამ პატივმოყვარეობა აკავებს.

— ასეც ხდება, ვარდენ. არიან ასეთი ადამიანებიც, — თქვა შალვამ ისეთითქოს ეს მას ეხებოდა.

— გზის არჩევა მასწავლებლის გავლენითაც ხდება. შშობლების, მეგობრების, ამხანაგების გავლენითაც, მტრების გავლენითაც კი. — განაგრძობდა ვარდენი, — სხვისი გავიჩვენისა და ბე-

დნიერების გავლენით, სიყვარულისა და სიძულვილის გავლენით, წარჩინებულისა და წარუმატებლობის გავლენით, რჩიო ესა თუ ის გზა...

— ამას დიდი დაფიქრება უნდა, ვარდენ, — შეაწყვეტინა მასწავლებელმა, — ბოღშევიკური რუსეთი საქართველოს დასაპყრობად მოღდს...

— ბოღშევიკური რუსეთი ძმურ, მეგობრულ ხელს გვიწვდის ქართველ ბოღშევიკებს.

მასწავლებელი დიდხანს, ძალიან დიდხანს დასკებოდა ლენინის პორტრეტს. მერე ვარდენისაკენ მიბრუნდა.

— ვარდენ, მე დღესვე შევიღოდი ბოღშევიკურ პარტიაში, — უთხრა ფარული მღელვარებით, — თუ საქართველოს კომუნისტური პარტია ბოღშევიკური რუსეთის სეკცია კი არა, უშუალოდ კომინტერნის სეკცია გახდებოდა.

— ბოღშევიკური რუსეთის დაუხმარებლად საქართველოს გაუჭირდება საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. ბატონო შალვა, თვით მენშევიკები ამბობენ, რომ საქართველო ქართველებისათვის — ეს ფუქი ოცნებააო.

— ასე ქარაფშუტები ამბობენ და ფიქრობენ.

— ისინი არც ისე ქარაფშუტები არიან, — მიუგო სწრაფად ვარდენმა, — თქვენ ალბათ ხვდებით, რატომ დგა ბათუმში დიდი ბრიტანეთის სამხედრო ზომალდები!

— მე დიდი ბრიტანეთის დახმარება მირჩენია დიდი რუსეთის „დახმარებას“.

— ინგლისი დასახმარებლად არ არის მოსული. მას ბათუმის ჩაგდება უნდა ხელში.

— ასეთ ციღს ბოღშევიკები სწამებენ ინგლისელებს.

— არა, ეს ციღისწამება არ არის.

— კეთილი. ერთი წამით დავიჯეროთ, რომ დიდ ბრიტანეთს ბათუმის ხელში ჩაგდება უნდა. მაგრამ რუსეთი ზომ მთელ საქართველოს გვართმევს!

ვარდენმა ლენინის პორტრეტს დახედა. თითქოს ბოღშევიკების ბელადი

მათ საუბარს უსმენდა და ილიმებოდა.

— თქვენ გჯერათ ამ კაცის, ბატონო შალვა?

— მჯერა, — უყოყმანოდ მიუგო მასწავლებელმა და იმანაც შეხედა ლენინს.

— გწამთ მისი?

— მწამს.

— თქვენ სოციალ-დემოკრატიის ბრძანდებით, მაგრამ ბევრ რამეში სოციალ-დემოკრატებს ემხრობით.

— არც ისე ბევრში, — სწრაფად მიუგო შალვამ.

— მაგიდაზე ლენინის სურათის გვერდით ქორდანიას სურათი გიდგათ.

— სურათი საკმაოდ გაცვეთილია. ალბათ, დიდხანს ატარებდით უბით, — სიტყვა ბანზე აუგდო შალვამ.

— მართალი ბრძანდებით.

— რატომ?

— იმიტომ რომ მან მიჩვენა გზა, მიხანი, თქვენ ქორდანიამ გიჩვენათ?

— არა.

— რატომ გიდგათ მაგიდაზე მისი სურათი?

— პატივს ვცემ როგორც მოღვაწეს... როგორც სახელმწიფოს მეთაურს.

— მაგრამ მისი გზა ხომ სხვაა.

— დიახ.

— თქვენ რომელ გზას ირჩევდით?

— მე უკვე გითხარით, ჩემი გზა დიდი ხანია არჩეული მაქვს.

ვარდენი მორიდებით, მაგრამ პირდაპირ უყურებდა.

— თქვენ ჩემი მასწავლებელი ხართ; ბატონო შალვა. მაპატიეთ, რომ ასე მოუბრძნებლად გელაპარაკებით. მასწავლებელი მოწაფეს იმისათვის ასწავლია, რომ მან მეტი შეიძინოს, მეტი იცოდეს.

— ასე იყო და ასე იქნება ყოველთვის. მაგრამ მოწაფემ უნდა გაუსწროს მასწავლებელს. მე არა მრცხვენია ვისწავლო თქვენგან, კაცისაგან, რომელიც ლენინმა გამოგზავნა.

— ბატონო შალვა, მითხარით, ახლა რომელ გზას აირჩევდით?

— ლენინის გზას, თუ საქართველოს კომუნისტური პარტია კომინტერნის

სექცია გახდება, — გაიმეორა ასევე მასწავლებელმა.

ეროვნული

— მაგას ამჟამად ახსენებთ მანამდე, სანამ არა აქვს. აი თქვენ ჩემს მოსვლამდე ლენინის დეკრეტს კითხულობდით. — თვალი გადაავლო მიწის დეკრეტს, რომელიც წინ ედო შალვას. — უცქეროდით ლენინს და ქორდანიას სურათებს და მათ გზებს ერთმანეთს აღარებდით.

— ვთქვათ, მართლაც ასე იყო. მერე?

— რა დასკვნამდე მიხვედით, ბატონო შალვა? გეკითხებით, როგორც მასწავლებელს. ათი წლის ომისა და სამოქალაქო ბრძოლის მანძილზე ყოველთვის თვალწინ მედებოდა, მასსოვდით, მიუყვარდით. პირველი ჩემი მასწავლებელი თქვენ იყავით. მეორე — აი, ის! — ლენინის სურათს შეხედა.

მასწავლებელი დიდხანს დუმდა. ხელები მიწის დეკრეტზე ეწყო. გამზდარი, უფერული ხელები, რომლებსაც მღელვარების დროს ვერ იმორჩილებდა, ახლა ისინი მშვიდად ეწყო.

— შენ მეკითხებით, რა დასკვნამდე მიხვედით? — დაილაპარაკა ჩუმად ფიჭვის შემდეგ. სახე ვარდენისაყენ მიაბრუნა.

ვარდენმა თავი დაუქნია.

— მიწა იმისია, ვისიც ოფლი იღვრება მიწაზე.

— ქორდანიას სახალხო გვარდიამ მიწიდან აყარა ისინი, ვისიც ოფლიც იღვრება მიწაზე.

მასწავლებელი შეცბუნდა.

— თქვენ იდეებით იმ მიწაზე იმათთან ერთად, ხალხთან ერთად, ქალებთან ერთად. ჯვებზე დედას, მამას, მეზობელსა და ნათესავს ერეკებოდა მიწიდან. თქვენ იქ იდეებით და უყურებდით.

— ვიდეკი, ვუყურებდი, — თქვა ყრუდ მასწავლებელმა.

— უყურებდით, შვილმა დედას როგორ დაატაკა ცხენი.

მასწავლებელი გაოგნებული იჯდა და თვალს არ ამორებდა ვარდენს.

— გულში თქვენ ხალხის მხარეზე

იყავით, იცოდით, რომ მიწა იმისია, ვისიც ოფლი იღვრება მიწაზე. თქვენ მიწის სოციალიზაციას ქადაგებთ და იქვე დუმდით. ახლა აქ ჩვენ ორნი ვართ, ბატონო შალვა: თქვენ — ჩემი მასწავლებელი, და მე — თქვენი მოწაფე, აგრეთვე ეს ორი ადამიანი და კედლები. მოდით, ოთხ თვალს შორის ვილაპარაკოთ, — შეხედა ლენინისა და ჟორდანის პორტრეტებს: — ერთმა მათგანმა ბოლშევიკური პარტია შექმნა და თქვენ თანახმა ხართ შეხვიდეთ ამ პარტიაში, თუ საქართველოს კომუნისტური პარტია კომინტერნის სექცია გახდება?

— დიახ, თანახმა ვარ.

— მაშინ ამ მაგიდაზე მეორე სურათი არ უნდა იდგეს.

— აკი ვითხარით, მე მას პატივსაცემად მხოლოდ, როგორც მოღვაწეს, სახელმწიფოს მეთაურს.

— ლენინს?

მასწავლებელი არ დაფიქრებულა:

— ლენინს, რომელმაც შექმნა ეს დეკრეტი, არა მარტო პატივსაცემად, მაგრამ მე მაინც ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგი ვარ.

— მუშასა და გლეხს ძალაუფლებას ნებით არაეინ დაუთმობს, — უთხრა ვარდენმა. — მამატიეთ, რომ ასეთ გაჯეკთილ სიტყვებს გეუბნებით.

— ჩვენმა მუშამ და გლეხმა თვითონ უნდა აიღოს ძალაუფლება და არა რუსის ჯარმა მოუპოვოს იგი.

— ჩვენი მუშა და გლეხი მარტო ჯერ ვერ შეძლებს ამას.

— ეს დეკრეტი შეაძლებინებს, — სწრაფად მიუგო შალვამ.

ვარდენმა გაიღიმა და მასწავლებელს მოეჩვენა, რომ უღიმოდა ის ბავშვი, წინა მერხზე რომ იჯდა მარჯვნივ, იმ მერხზე, რომელზედაც ჯერ იჯდა და ახლა გვენიც ზის.

— არა მარტო მუშასა და გლეხს, ბატონო შალვა, — უთხრა ვარდენმა.

— მეც, სხვასაც, — მიუგო ისევ სწრაფად მასწავლებელმა და განაგრძო: — ჩვენ ჩვენი ძალით ვუპატრონებთ სამშობლოს. გარეშე ძალა მოვიდაო,

სამართალი ბანზე ავიდაო. არ გვირბა გარედან მოსული ძალა. საქართველოს საკმაოდ ნაგემები აქვს რუსეთის ცხელის თის სუსხი.

— დღეს სულ სხვა რუსეთი მოდის ჩვენთან, ლენინის რუსეთი, — ვარდენმა საათს დახედა: — ამაღამ ოტობაიას ტყეში კრება გვაქვს. ლენინის მიწის დეკრეტი და „პასუხი გლეხების შეკითხვაზე“ უნდა გავაცნოთ უკრებლების წევრებს, პროკლამაციები დავუბრუნოთ.

მასწავლებელმა მაგიდის უკრიდან ლენინის პასუხი და პროკლამაციები ამოიღო და ისინი მიწის დეკრეტთან ერთად ვარდენს გადასცა. თითო ცალი თავისთვის დაიტოვა.

— ქართულად მინდა გადავთარგმნო, — ერთი წამით დაფიქრდა: — არა მარტო უკრებლების წევრებმა, ყველა გლეხმა უნდა წაიკითხოს.

ვარდენმა ისევ სცადა საუბრის შეტრიალება:

— ბატონო შალვა, ჯარში გაწვევა უკვე დაიწყო. კარლო ჩხეიძემ თითქმის მთელი საქართველო შემოიარა. ზეგ ევგენი ევანია სიტყვით გამოვა მიტინგზე და ხალხს მოუწოდებს, უკლებლივ გადით ჯარშიო... თქვენ უნდა გამოხვიდეთ ამ მიტინგზე.

— მე უკვე მივეცი თანხმობა ევგენი ევანიას, რომ გამოვალ, — უთხრა მასწავლებელმა.

— ეს ჩვენ ვიცით.

— ვინ თქვენ?

— სამაზრო კომიტეტმა. თქვენ უნდა მოუწოდოთ ხალხს არც ერთი კაცი არ გავიდეს ჯარში.

— მე უკვე ვითხარით, რომ ძალადობის წინააღმდეგი ვარ.

— მაგრამ თქვენ ხომ მხარს უჭერთ ამ დეკრეტს.

— დეკრეტს კი, მაგრამ ძალადობას არა.

მასწავლებელი წამოდგა, ბალტო მოიხვია. წამოდგა ვარდენიც, ქუდი დაიხურა:

— კრებაზე მაგვიანდება, ბატონო შალვა. ნახვამდის.

— სურათი? — ჰკითხა შალვამ და ლენინის სურათი აიღო მაგიდიდან.

— თქვენთან დარჩეს. როგორც მოგახსენეთ, იგი ყოველთვის ჩემი თანამგზავრი იყო. მებმარებოდა ფიქრში, არჩევანში, გადაწყვეტილებაში, კირსა და ლხინში.

შალვას არ მიუცილებია კარამდე სტუმარი. როგორც ეს წესად ჰქონდა. მოწაფეებსაც კი აცოლებდა თავისი ვაგონივით ვიწრო და გრძელი ოთახის კარამდე. ახლა კი ვარდენთან საუბრით დაფიქრებული მაგიდასთან იდგა.

ტყე, ოტობაიას უღრანი ტყე, ეკალბარღით ჩახლართული, მთვარიან ღამეშიაც უკუნით, მთვარიან ღამეშიაც უკუნო და უკვალო, ოხო-კოჩისა და ტყაშიმადის საფანე, ადამიანისა და ნადირისათვის ხაფანგად ქცეული უძირო ქაობით.

ამ ტყის სიღრმეში ედგა კარავი გუდუია ესვანჯიას. ეს აბედისფერი სახის, გრძელწვერა და გრძელთმიანი კაცო, ჭაობშიაც თვალდახუჭული რომ გაიფლიდა, ნადირს რომ ხელით აბრჩობდა, შვლის ტყავით შემოსილი, ფეხშიშველი, უქალოდ დაბერებული, ხალხისაგან განდგომილად ცხოვრობდა.

ამ ტყის კაცთან მიდიოდა ვარდენი. წინათ ბევრჯერ ყოფილა მასთან. უყვარდა იგი და არ იცოდა რატომ. რა ჰქონდა გუდუიას შესაყვარებელი? მისთვის ქვეყნად არაფერი არ არსებობდა: არც სიყვარული, არც სიხარული, არც სიძულვილი, არც მწუხარება. რისთვის ცხოვრობდა, რისთვის ბოგინობდა? შიშის ზარსა სცემდა ადამიანს მისი დანახვა, დაუბანელი, ჭაობის მწარე სუნით აქოთებული მისი ტანი. მაგრამ თბილი, კრილა თაფლისფერი თვალები, სიკეთითა და სევდით სავსენი შიშს მაშინვე აქარკებდნენ.

ვარდენს ბუნდოვნად ახსოვდა, არაკად, თუ მართლად თქმული, მიზეზი გუდუია ესვანჯიას განდგომისა: ქალია ღალატმა განარიდა სოფელსო. არავინ ჩასდია, არავინ დაინტერესებულა ამის

გამორკვევით, რადგან არავინ ჰყავდა გამკითხავი.

ეროვნული

მიდიოდა ვარდენი ზღაპრულ სივრცეში. უმიწო და უსახლკარო კაცთან. იმასაც ამბობდნენ გუდუია შევლიაზე. უმიწობამ გახიზნა ტყეშიო. არც ამის გარკვევას ჩასდია სოფელმა, თვითონ უმიწო იყო სოფელი. ადამიანს თავისი სატიკვარი რომ აქვს, სხვისი სატიკვარისათვის არ უდევს გული.

გუდუია ესვანჯიას კარავში უნდა წაეკითხა ვარდენს მიწის დეკრეტი და ლენინის „მასუხი გლეხთა შეკითხვებზე“. დაიჯერებს კი გუდუია ესვანჯია? ქვეყანაზე იმედგაცრუებული, ვაველერებული, ლაბარაკს გადაჩვეული, ადამიანს გადაჩვეული კაცი! კიდევაც რომ დაიჯეროს, რაღად უნდა აწი მიწა! სამართისათვის საყოფი სამი არშინი მიწა აქ, ტყეშიც, მოიძეება. თუ ჭაობს მიწა ჰქვია, თუ იმ ადგილს სამარე ერქმევა, სამ არშინ მოშხამულ ჭაობს.

მიდიოდა ბრძოლებსა და ჭირში გამოჩევილი ჭარისკაცი, აჯანყებებში, გაფიცებებში, რევოლუციის ცეცხლში გამოჩევილი ჭარისკაცი. ჭაობშიც უფლია და წყალშიც, მთაშიცა და ბარშიც, სიყვადლის პირისპირ მდგარა, გამარჯვება პირისპირაც. ამ ტყეშიაც უფლია და ამ ჭაობშიაც. წინანდებურად მიდიოდა ახლაც. არ ერიდებოდა ჭაობსა და ქყანტობს, იცნობდა მათ მუხანათურ ზნეა, იცოდა საით მოეგლო, სად გადაეჭრა გზა. არც ნადირსა და ქვეწარმავალს უფრთხილდებოდა, არც სიბნელეს, მიდიოდა შეუცდომლად. სიბნელეშიც კი ცნობდა მრავალგზის გავილ ადგალებს. ჩქარობდა, აგვიანდებოდა. გვიან დააღწია თავი იური ორლოვის დაკრძალვის თაღარიგს, მერე მასწავლებელთან საუბარს შერჩა.

ტყე გაღრმავებული იყო. არ ქროდა ნიავი, არ ირხეოდა ტოტებუ და მაინც დროდადრო ხეთა ქრატუნი ისმოდა სხვადასხვა მხარეს. კარავთან მისვლამდე არ უნდოდა რამეზე ეფიქრა, მაგრამ მასწავლებლის სიტყვები მაინც არ შორდებოდა გონებიდან: „ეს დეკრეტი შე-

აძლებინებს... მეც, სხვასაც... ჩვენ ჩვენი ძალით ევპატრონებთ ჩვენს ქვეყანას... გარეშე ძალა მოვიდაო, სამართალი ბანზე ავიდოა..." გაელიმა ვარდენა. მასწავლებელს გაულიმა ფიქრში. ფიქრიდან უცებ რალაც უცნაურმა ხმამ გამოიყვანა. არც აღაშინანს ნაბიჯის ხმას ჰგავდა და არც ნადირისას.

თითქოს ხმელი ფოთოლი ტოტს მოსწყდა და მიწაზე დამპალ ფოთლებს დაეცაო. მხვერავის ყური კურდღლის ყურითაა. ვარდენი მაშინვე მიხვდა, რომ ეს ფოთლის დაცემის ხმა არ იყო. ერთბაშად არ მიიხედა, კიდევ წაიარა ცოტა. უფრო ახლოს გაიქორდა იგივე ხმა. მიხვდა, კვალში ედგა ვიღაც. ისე აღგამდა ფეხს, თითქოს მიწას არ აჯარებდა.

— სიორდია! — გაიკვირვა ვარდენმა. — ამ უღაბურში, ამ წყვარამში როგორ აიღო ჩემი კვალი!

ტატაჩია ხეს მოეფარა. ვარდენმა კიდევ წაიარა.

— ალბათ შეიტყო სად მივდივარ. ძალის გეში ჰქონია, ძალის გაეარდნილს! — ნაბიჯს მოუჩქარა. ისე იარა მიხვევ-მოხვევით, რეტი დაასხა სიორდიას. მერე თვითონ უკან ჩამორჩა და ქონდრის კაცი წინ გაუშვა.

არც ტატაჩია სიორდიას ეძინა ყურზე. მალე შეესმა ზურგს უკან ნაბიჯის ხმა, ნაგანი იმიშვლა, მიტრიალება კი ვერ გახვდა: მიხვდა, ვარდენი დაასწრებდა. გზა განაგრძო, მაგრამ აღარ იცოდა, სად მიდიოდა. მარჯვნივ და მარცხნივ ჰკობი ბუჭბუყებდა. მისი ქვა გულადან შორს იყო შიში. სიფრთხილეს მაინც არ თავილობდა. სიფრთხილეს შიშად არ მიიჩნდა. ამიტომ არ თავილობდა.

მიდიოდა ჰკობებს შუა, ისე როგორც თოკზე ჯამბაზი, ბუმბულივით მსუბუქი, კატასავით ფეხმარდი. საკმარისი იყო. ოდნავ შემლოდა ნაბიჯი, რომ ჰკობი სტაცებდა პირს. ფეხი და თვალი ერთნაირად უჭრიდა, უკუნით მოცულ ჰკობებს შორის მიწის ვიწრო ზოლს თვითონ პოულობდნენ ფეხები.

ზურგიდან აღარ ესმოდა ვარდენია

ნაბიჯის ხმა, ერთბაშად შეწყდა.

— პაიტ, დედაგალღეტი, კერწკლე ხვალ! — დაისისინა გველფთხი. მერე ერთბაშად შეტრიალდა იმ თოკზე, მაგრამ თვალმაც უმტყუნა და ფეხმაც, გადაქანდა და ჩაიტაცა ჰკობმა. მაშინვე იგრძნო, რომ დადგა მისი აღსასრულის ეპი. ჰკობს სამ მხარეს მალალი ლაქაში ერთყა. მთვარე მექმწვეანედ დაქანთოდა მის ზედაპირს. ტატაჩია სიორდია შეკვირვებით აცეცებდა თვალს, ვარდენს ეძებდა. გატყდა მისი ქვა გული.

— ბუკიაა! — დაიძახა დიაცური, გამკვიანი ხმით.

გაიგონა ვარდენმა ძახილი. მიხვდა, რაც დაემართა მღვევარს. უკან გაბრუნდა.

— ვიი-ხრჩოო-ბ!

სიორდიას მსუბუქ ტანს ნელა იწოვდა ბლანტი. უმწეოდ ასავსავებდა გაღეულ ზელეს, გველივით იგრინებოდა. როცა მკერდამდე მისწვდა ჰკობი, ორჯერ გაისროლა ნაგანი, იქნებ ჩემი ძახილი ვერ გაიგონა ბუკიამ, იქნებ სროლის ხმაზე მაინც მოვიდესო.

მივიდა ვარდენი ჰკობთან, შორიხლო შედგა. მთვარის უფერულ შუქზე მკვდრისფრად მოჩანდა სიორდიას მორეცილი სახე, გადმოკარკლული თვალები.

— ვიი-ხრჩოო-ბ!.. ვიი-შვეე-ლ! — დაიქანავლა მან, დაიკენესა ქვის გულმა.

ვარდენი ისევ მშვიდად, ზიზლით დასცქეროდა.

ჰკობი იღლიებში რომ სწვდა, სიორდიამ კვლავ შესთხოვა შეველა.

ვარდენი ისევ მშვიდად ზიზლით დასცქეროდა.

— ვიი-შვეე-ლ! გვი-სერ, დეე-დაა-გა-ლღეე-ტი!

ვარდენი ისევ და ისევ მშვიდად, ზიზლით დასცქეროდა.

ბეგლარმა რიჩარდ ბოლდუინისა და ზაქრო ბროლაძისაგან გაიგო, რომ სიორდია თვალს აღევნებდა ვარდენის ყოველ ნაბიჯს. ბეგლარი მიხვდა, სიორდიას გეში აღებული ჰქონდა, თუ სად აბირებდა ვარდენი წასვლას. თვითონ ბეგ-

ლარიც უნდა მისულიყო გუდუფია ესეა-  
ჯიას კარავში. ტყეში შესვლისთანავე  
დაეწია სიორდიას და ასიოდე ნაბიჯზე  
გაპყვა უკან. ახლა ჭაობის ლაქაშიან ნა-  
პირზე იდგა და თვალს არ ამორებდა.  
შვილსაც, რას იზამსო.

— გეე-სერ მეე-თქ! — დამეუქრა ჭონ-  
დრის ვაცი. იტობარს მაინც არ იტეხ-  
და. — სიი-ორდ ვარ, ტაა-ტაჩი.. ჰაეე-რშ  
კაა-პიი-კიი-ანს ვეხვ-რეტ!

— მესროლე, — უთხრა მშვიდად ვარ-  
დენმა.

ესროლა სიორდიამ, ერთხელ, მე-  
ორედ.

ვარდენმა იცოდა, შეშინებული კაცია  
ტყვია კაპიკიანს ვერ გახვრეტდა. ბეგ-  
ლარმაც იცოდა, შეშინებული კაცია  
ტყვია კაპიკიანს ვერ გახვრეტდა. ისიც  
მშვიდად იდგა. შვილთან მაშინ მივიდა.  
სიორდიას კომშის ოდენა მელოტი თაუ  
ჭაობმა რომ დაფარა.

— ყველა უწმინდურის ხვედრი ასე-  
თია, შვილო, — უთხრა ბეგლარმა, მაგ-  
რამ გულში მაინც დაენანა ადამიანი-  
სშვილი.

ვაგონივით ვიწრო და გრძელ ოთახში  
მასწავლებლის პირდაპირ, სადაც წუ-  
ხელ ვარდენი იჯდა, დამფუძნებელი  
კრების წევრი ევგენი ევანია, საჭაზრო  
ერობის გამგეობის თავმჯდომარე ირო-  
დიონ ჩხეტია და სამხედრო ვალდებუ-  
ლებათა უფროსი ვარლამ ხურცია ისხ-  
დნენ. ძლივს ეტეოდნენ ოთახში. ევგენი  
ევანია ნერვიულად ატრიალებდა ხე-  
ლში სათვალეს, უფრო ვალიზიანებული,  
სასოწარკვეთილი ჩანდა. გულხელდაკ-  
რეფილი მიხა ქირია, ზურგით საარკმლის  
ჩარჩოს მიყრდნობილი და თავაწეული  
პაპიროსს ეწეოდა, ბოლის პატარა ლა-  
მას რგოლებს ოსტატურად უშვებდა  
ზევით და კმაყოფილებით აყოლებდა  
თვალს.

თუნუქის ლამპით განათებულ მაგი-  
დაზე მარტო ლენინის სურათი იდგა.  
ევგენი ევანია თვალს არიდებდა სუ-

რათს, მაგრამ მისდა უნებურად ხშირად  
გაეჭეოდა მისკენ მზერა.

— ბატონო შალვა, — ეკვივრებოდა  
დაწყებულ ლაპარაკს დამფუძნებელი  
კრების წევრი, — ყოველი სახელმწი-  
ფო, რომელიც ძალით იპყრობს სხვა  
ქვეყანას და ამბობს მის ხელისუფლე-  
ბას, მტერია ამ ქვეყნისა. ასე იყო ყო-  
ველთვის და ასე იქნება დროის ყოველ  
ჟამს. ალბათ, დამეთანხმებით, რომ და-  
საველეთის იმპერიალიზმი სჯობია აღმო-  
საველეთის ფანატიკოსებს ან უკეთ —  
ბარბაროსებს. — ევგენი ევანია დაეი-  
ნებით უყურებდა მასწავლებელს —  
ლენინი აფართოებს რუსეთის საზღვ-  
რებს, — აუწია ხმას ევგენი ევანია,  
— ქმნის დიდი რუსეთის იმპერიას. შა-  
ვი რუსეთი და წითელი რუსეთი ჩვენ-  
თვის სულ ერთია, ორივე მტერია ჩვე-  
ნი. დარწმუნებული ვარ, ამაშიაც და-  
მეთანხმებით, — არ დაუცადა მასწავლ-  
ებლის დასტურს და გაეცხარებოდა განა-  
გრძნო: — ჩვენ ორმაგად ლაპარაკობილი  
ქვეყანა ვიქნებით: ერთი მხრივ, მეფის  
რუსეთის მიერ, მეორე მხრივ, წითე-  
ლი რუსეთის მიერ, — თვალთ თვალში  
გაუყარა მასწავლებელს. — მეფის რუ-  
სეთმა ენა წაგვართვა...

— გაგვიუქმა საკათალიკოსო, —  
შეაშველა სიტყვა იროდიონ ჩხეტიამ, —  
დაგვიყენა თავისი ეგზარქოსები, სინო-  
დალურ კანტორას დაუმორჩილა ძველ-  
თავანზე დამოუკიდებელი ჩვენი კურ-  
თხეული მართლმადიდებელი ეკლესია.

— ლენინს არ დაუმორჩილებია, —  
შეაწყვეტინა სიტყვა მასწავლებელმა.

— მართალი ბრძანდებით, — უთხრა  
ჩხეტიამ და წამოდგა, პალატუხი მოი-  
შვა, საყულო შეიხსნა, სკამის ზურგს  
ორივე ხელით დაეყრდნო, — მაგრამ  
ჩვენ სხვა პრეტენზია გვაქვს ლენინთან.  
ათას ცხრაას ოცი წლის შვიდ მაისს  
ვლადიმერ ილიას ძემ, წითელი რუსე-  
თის მეთაურმა, საქართველოს დამოუ-  
კიდებლობა ცნო...

— და მხოლოდ ამის შემდეგ გვცნეს  
ევროპის ქვეყნებმა, — უთხრა მასწავ-

ლებელმა. — ლენინს რომ არ ეცნო ჩვენი დამოუკიდებლობა...

— გვეცნო მხოლოდ ცხრა თვით, მხოლოდ ცხრა თვით, ბატონო შალვა, — დამფუძნებელი კრების წევრს ეჩვენებოდა, თითქოს ლენინი მაგიდიდან თვალს არ ამორებდა, ჩაცვიბით უყურებდა, ველარ გაუძლო მის ეშმაკურ ღიმილს, და მაშინ, როცა მასწავლებელმა ერთი წამით სახე ჩხეტისკენ მიატრიალა, სწრაფად შეაბრუნა ლენინის სურათი, მერე წამოდგა, მაგიდას მოშორდა, კედელთან დადგა, პიჯაკის ღილები შეიხსნა. — გაგვაცრუა, ბატონო შალვა, ლენინმა.

მასწავლებლის თვალს არ გამოპარვია, როგორ შეაბრუნა ევგენი ევანიამ ლენინის სურათი. აიღო და ყველას დასანახავად შემოაბრუნა.

— ამ დროს ლენინი მოსკოვში, — განაგრძობს იროდიონ ჩხეტამ, რომელსაც უნდოდა მაგიდიდან აეტაცა სურათი, მაგრამ მასწავლებლის მკაცრ სახეს შეასწრო თვალი და თავი შეიკავა. — ჩვენს ელჩს გერასიმე მახარაძეს მხარზე ხელს უთათუნებდა, ეფერებოდა, გულში კი სხვა რამ ედო. ამის შემდეგ თქვენ მაინც გჯერათ, რომ ლენინს ჩვენი ხალხისათვის სიკეთე უნდა?!

— და მაგიდაზე გიდევთ მისი სურათი! — ვერ მოითმინა დამფუძნებელი კრების წევრმა, ახლა პირდაპირ დახედა შორიდან სურათს და შეიკუმბნა. — მაგიდაზე გიდევთ ლენინის „პასუხი გლეხებს შეკითხვებზე“, ლენინის მიწის დეკრეტი!

— ლენინმა მისცა მიწა გლეხს, — აიღო მიწის დეკრეტი მასწავლებელმა,

— უთუოდ წაკითხული გქნებათ, ბატონო ევგენი!

— დიდი ხანია.

— მერე?

— ჩვენ, როგორც ამას წინათ მოგახსენეთ, მხოლოდ აგრარული რეფორმა ჩავატარეთ...

— თქვენ იმაზე წუხხართ, რომ ჩვენი კურთხეული მართლმადიდებელი ეკლესია სინოდალურ კონტროლს დაექვემდებარა, — უთხრა მასწავლებელმა დაუფარავი ირონიით, — და მიწის საკითხისათვის ვერ მოიცალეთ!

— ბატონი იროდიონი მორწმუნეა, — სხვა ვერაფერი მიუგო და უთხრა ევგენი ევანიამ მასწავლებელს, — ვისაც რა აწუხებს, იმას ჩივის.

— დღეს მიწის საკითხზე უფრო დიდი საწუხარი არაფერი გვაქვს...

— გეთანხმებით. ჩვენ დღეს დიდ ვალში ვართ გლეხებთან, მაგრამ ხვალ ვალში არ ვიქნებით.

— ეს „ხვალ“ დღეს უკვე გვიანაა, ბატონო ევგენი — სწრაფად მიუგო მასწავლებელმა.

— მაშ თქვენ გჯერათ ლენინის? — ისევ გაიშეშა თავისი შეკითხვა იროდიონ ჩხეტამ განაწყენებული კილოთი. შეურაცხყოფილი იყო მასწავლებლის სიტყვებით. — თქვენ გჯერათ, რომ ლენინი დღესვე მისცემს ქართველ გლეხს მიწას?

— ლენინი ამბობს — მიწა ხალხსო... მე მჯერა ლენინის, ვეზრობი ლენინს, მაგრამ ძალადობას არა. მეთერთმეტე არმია არ უნდა გადმოვიდეს ფოილოს ხიდზე.

ევგენი ევანიამ კმაყოფილებით გაიღიმა.

— ეს თქვენ, ბატონო შალვა, ხვალ ხალხს უნდა უთხრათ, — აიღო გაზეთი „ერთობა“. — აი, როგორ მოგმართავთ მთავრობისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ნოე ეორდანიას მასწავლებლებს: „ამხანაგო მასწავლებლებო! აუხსენით ხალხს, რომ მტერი ვერას დაგვაკლემს, თუ შიგნით წესრიგს დავიცავთ. დამშეული მტერი შემოგვესია, რომ გავცდარცვოს. ვისაც შეგვიძლია, იარაღი ავისხათ, სხვები სხვაგვარად დავეხმარებით სახელოვან ჯარსა და გვირდიას“. გესმით, ბატონო შალვა, ვისაც როგორ შეგვიძლია. თქვენ ბევრი რამ შეგიძლიათ, როგორც მასწავლებ-

ბელს, როგორც დიდად გავლენიან კაცს. თქვენ უნდა მოუწოდოთ გლეხებს ადგეს დიდი და პატარა. — გადაშალა გახეთი: — აი, გენერალური შტაბის ცნობა: „კახეთში დაიწყო გლეხთა ძლიერი პარტიზანული გამოსვლები ბოლშევიკების კავალერიის წინააღმდეგ“.

მასწავლებელი დიდხანს დუმდა. სტუმრები დაძაბული მოლოდინით შესცქეროდნენ. შალვა არ ლეღავდა, უცვირდა. რომ ასე მშვიდად ევირა თავი: მასთან სათხოვნელად მოვიდნენ დამფუძნებელი კრების წევრი, სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარე, სამხედრო ვალდებულებათა უფროსი, დიან, სთხოვდნენ. თითქმის ეხვეწებოდნენ.

— მერე რა გამოვა ჩემი თქმით? — იკითხა ხანმოკლე დუმისლის შემდეგ მასწავლებელმა და სამხედრო ვალდებულებათა უფროსისაკენ მიბრუნდა: — ვთქვათ, ჯარი შეკრებით. რას ჩააცმევთ, რით აღჭურავთ, რას აკმევთ? პოლკოვნიკი ანჯაფარიძე მთელ მაზრაში დაძრწის, აგროვებს ნაბდებს, პალტოებს, ხალათებსა და ძიქვებს, წაღებსა და ჩექმებს, ნიფხავ-პერანგსაც კი, ტანზე ხდის ისედაც შიშველ გლეხებს. ძალით ართმევს საქონელსა და ცხენს. სად გაგონილა შიშველ-ტიტველი, ულუკმაპურო და უიარაღო ჯარი! საქართველოს ამჟამად მხოლოდ ცხრა ლეგიონი, ერთი მუჟა გვარდია და იუნკრები ჰყავს.

— ბატონო შალვა, — უთხრა სამხედრო ვალდებულებათა უფროსმა ვარლამ ხურციამ, — ასე ქართველი ათასოსმალღსა და სპარსელს ფმკლავდებოდა.

— მაშინ სხვა ომი იყო, ბატონო ვარლამ, სხვა დრო იყო. სად იყავით აქამდე? — მიმართა მასწავლებელმა დამფუძნებელი კრების წევრს — ასე გვიან რატომ მოიფხანეთ თავი. რისი იმედით იყავით?

„მართლაც სად ვიყავით აქამდე?“ — მწარედ გაიფიქრა ევგენი ევანიამ და

იროდიონ ჩხეტისა და ვარლამ ხურციას გადახედა. მათ სახეზეც ისეთივე მწარე ფიქრი ამოიკითხა.

— ასე გვიან რატომ მოვიფხანეთ თავი! — გაიმეორა შეცბუნებულმა ევგენი ევანიამ. — გაგონილი გეგნებით, ბატონო შალვა, ბათუმში დიდი ბრიტანეთის სამხედრო ხომალდები რომ დგას. ჩემბერლენის იმედით ვიყავით. თბილისში იმყოფება მისი ელჩი უორდრობი, საფრანგეთის ელჩი შვეველი, გერმანიის, იტალიის, არგენტინის...

— მერე? — მათი იმედით ვიყავით... — ღრმად ამოიოხრა, — მოეტყუვდით. როცა ბოლშევიკები მეთერთმეტე არმიას ამზადებდნენ, თურმე ლენინის სავაჟრო წარმომადგენელი ლენინი კრასინი ინგლისს ნავთს ჰპირდებოდა, დაპყრობილი ბაქოს ნავთს, იმის სანაცვლოდ, თუ საქართველოში მყოფი დიდი ბრიტანეთის ჯარი და ხომალდები დახმარებდას არ გაუწევდნენ საქართველოს და გზას გაუხსნიდნენ წითლებს.

— ეს დიდი ბრიტანეთის ჩვეულებრივი ვერაგობაა, — ჩაურთო სიტყვა ვარლამ ხურციამ.

— ეს არანაკლები ვერაგობაა წითელი რუსეთის დიპლომატიისა, — ბანი მისცა იროდიონ ჩხეტამ.

— დაბრძანდით! — შესთავაზა მასწავლებელმა ევგენი ევანიასა და იროდიონ ჩხეტისა. — ამას წინათ, ერთ კაცს ვუთხარი: თუ საქართველოს ბოლშევიკური პარტია უშუალოდ კომინტერნის სექცია გახდება, დღესვე შევალ კომუნისტურ პარტიაში-მეთქი

ევანია, ჩხეტია და ხურცია სახტად დარჩნენ.

— ბატონო შალვა, ხმა შეეცვალა დამფუძნებელი კრების წევრს. — მე, მემარცხენე სოციალ-დემოკრატსაც კი, აზრადაც არ მომივა ასეთი რამ და, თქვენ, სოციალ-ფედერალისტი, ამბობთ ამას?! ნუთუ ყური მატყუებთ!

— ჩემს გოაცებსა საზღვარი არა აქვს,

ბატონო შალვა, — თქვა იროდიონ ჩხეტამ.

— ვერა ვერ დაეიჭრებთ ამას, — უთხრა ვარლამ ხურციამ.

ევგენი ევანიამ ხელები ზურგს უკან დაიწყო, ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, სათვალე გაიყვია და მასწავლებელს ისე შეხედა, თითქოს პირველად დაინახაო.

— ნუთუ არ იცით, ბატონო შალვა, რომ ბოლშევიკები ჩვენცა და თქვენც სოციალიზმის მოღალატეებს გვიწოდებენ, ბურჟუაზიის ლაქიებს, ოპორტუნისტებს, ექსპროპრიატორებს... — ლევლავდა დამფუძნებელი კრების წევრი, შუბლზე ოფლი ასკდებოდა და წარამარა იმშრალებდა. — რუსი ბოლშევიკები თვით არიან ყველაზე პირწყავარდნილი ექსპროპრიატორები. ნუთუ იმიტომ გადავადგდეთ მეფის რუსეთის უღელი, რომ წითელი რუსეთის უღელში შევყოთ თავი?! გინდათ ნიკოლოზ მეფის მაგივრად ლენინს ემონოთ?! ჩვენ ისეთი რეპრესიები მოგველის რუსი ბოლშევიკებისაგან, როგორსაც ისინი თავიანთ ქვეყანაში და სხვა დაპყრობილ ქვეყნებში მიმართავენ. მეთერთმეტე არმია საბჭოთა რუსეთიდან მოდის, იმ ქვეყნიდან, სადაც შიმშილი, სიღატაკე, სიკვდილი და ქაოსი მძვინვარებს, — დაჯდა, პიჯაკის ღილები შეიკრა, ოფლში გაწურული იყო და მინც შეიკრა პიჯაკის სამივე ღილი. — იქ უმუშევრად დარჩენილი მუშები, შიმშილისაგან სიკვდილის პირას მისული მუშები იმიტომ შედიან ქარში, რომ გამხმარი კუჭი ამოიძონ. ბოლშევიკებს ჯარისთვისაც არა აქვთ პური. ეს მშვიერი ურდო, თავის ხალხს რომ შეუჭამა, რაც კი ებადა, ბოლშევიკებმა სამხრეთისაკენ დაძრეს. გადათელეს ყუბანი, ჩრდილოეთი კავკასია, აზერბაიჯანი, სომხეთი. კალიასავით მოედგნენ ამ ქვეყნებს და პირწმინდად გადაჰმარეს. ამ ურდოებს არავითარი იდეური მიზანდასახულება არა აქვთ... მე მეთერთმეტე არმიას პირველი შევავლავ თავს ჩემს ცოლ-შვილთან ერთად...

— დიდებულად ბრძანეთ, ბატონო ევგენი, — აღტაცებით შესძახა მუშაობის გამგეობის თავმჯდომარე ტამიცი კი შემოჰკრა: — ბრავო, ბატონო ევგენი, ბრავო!

— თქვენ ყოველთვის სანიმუშო მაგალითი იყავით ჩვენი პარტიისათვის, ბატონო ევგენი! — კვერი დაუკრა ევანიას სამხედრო ვალდებულებათა უფროსმა, — ჯარისათვის, გვარდიისათვის, იუნკარებისათვის, ხაღზისათვის.

დამფუძნებელი კრების წევრს კმაყოფილების ღიმილი შეეფინა წამოთებულ სახეზე.

— მამ ასე, ბატონო შალვა, შევთანხმდით. თქვენ ხვალ მიტინგზე მოუწოდებთ ხალხს ქულზე კაცი გავიდეს სამშობლოს დასაცავად მის საბედისწერო ეამს.

ხალხი თემის ერობის შენობის წინ მოედანზე იკრიბებოდა. მოდიოდნენ სოფლებიდან, დაბებიდან, მოდიოდნენ მთიდან და ბარიდან, ზღვისპირეთიდან. მოდიოდნენ ჰაბუკები და დროული კაცები, ქალები, მოდიოდნენ ბერიკაცები, ბავშვები, ცხენებით, ურმებთან, ეტლებით, ფეხით.

ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ გლეხები, აზნაურები, შეძლებულები და ღარიბები, ხელოსნები, მოხელეები. ზოგან კი, ერთმანეთში არეულთ, ცხარე კამათი ჰქონდათ.

— უნდა დაეიცვათ ჩვენი მიწა, — ამბობდა შეჩოხიანი აზნაური ჯაბა კობახია.

— რომელი მიწა? — ჰკითხა ვილაცამ.

— საქართველოს მიწა.

— საქართველოს მიწა ჩვენს ხელში არ არის.

— უნდა დაეიცვათ თავისუფლება, დემოკრატია! — არ ცხრებოდა ჯაბა.

— სადაა დემოკრატია, ჯაბა ბატონო? შენ და მე ერთი უფლებები გვაქვს? შენ ორმოცი ქვეყა მიწის პატ-

რონი ბრძანდები, მე ერთიც არა მაქვს. ესაა დემოკრატია?

— მაგას დიქტატურა ურჩევნია, — უთხრა ვარშემო მყოფთ ჯაბა კობახიამ. ჯაბას ფხიზელს ვერ ნახავდი. ყოველთვის რამდენიმე ამფსონით გადიოდი ხალხში. ახლაც თავისი ძმაკაცებით იყო მოსული.

— ეგ გაქანებული ბოლშევიკია, — მხარი აუბა ჯაბას მისმა ამხანაგმა ანთიმოზ დგებამ.

— ხმა გააკმენდინეთ მაგ ყურუშსაღს. — დაიძახა ჯაბას სხვა დამქაშმა სპირიდონ აფაქიამ.

— ჩვენ თავისუფლებისთვის ვიბრძოდით ყოველთვის, — თავკაცივით გადახედა ვარშემომყოფთ ჯაბამ.

— არავინ გვართმევს თავისუფლებას! — წამოიყვირა ყველას გასაგონად ჯაბას უკან მდგარმა ყაბალახიანმა გლეხმა.

ჯაბა თავისი ზორზოხა ტანით მძიმედ მიტრიალდა გლეხისაკენ:

— ეს ვინ ეშმაკია! — თქვა მუქარით.

— ჩვენი თემის არ არის.

— ბოლშევიკი იქნება.

— პანდური მაგას!

— არ გვიმხელენ, ხალხო, წითელ ჯარს საზღვარი გადმოუღახავს, ომი დაიწყოს.

— ვის წინააღმდეგ, ხალხის? — იკითხა ჯაბას უკან მდგარმა ყაბალახიანმა გლეხმა.

— მენშევიკების წინააღმდეგ, — ვასცა პასუხი მკედელმა ყათრან გეთიამ.

— ბოლშევიკები ამოსაყლექი ხართ! შეუღრინა მკედელს სპირიდონ აფაქიამ. ისიც წასვამი იყო.

— გამყიდველები! — წამოიძახა ჯაბას მისამე ამფსონმა სოფრომ შუშანიამ.

— ტყვიით უნდა გაგიხვრიტონ თავი!

— ერთხმად შესძახეს ჯაბა კობახიამ და ანთიმოზ დგებამ.

— მტრები აქ გვყვანან, შიგნით. ჯერ ამით გავუსწორდეთ, ომში მერე წავიდეთ! — შემოძვრა ხალხში პავლე მეველე. მიაცეც-მოაცეცა თვალი და ჯაბასა

და ანთიმოზს შუა დაერჭო.

— რა დრო დაგვიდგა, ძმა ძმას სემკურეს უთხრის!

— მტერს კარს უღებენ, ზურგში ლახვარს გვცემენ!

— ბოლშევიკებმა ნახევარი დღემიწა დაქციეს, ახლა ჩვენი დაქცევა უნდა!

შეთქმულივით დასძახეს ჯაბას კაცებმა.

მზე გადაიხარა. შეწყდა ხალხის მოსვლა.

ეროზის შენობის აივანზე მიხა ქირიკ გამოვიდა. მოედანზე შეყრილ ხალხს გადახედა. ეცოტავა. ისე გააქნია თავი. თითქოს იცოდა, ამაზე მეტი ხალხი არ მოვიდოდა. არც მოსულები მოეწონა, არ იყვნენ ისინი, ვინც უნდა მოსულიყვნენ — არ იყო ხალხი. ერთი წამით დალონებული დასცქეროდა მოედანს. გაახსენდა, რამდენჯერ შეკრებილა აქ ზღვა ხალხი, თვალწინ დაუდგა ადამიანთა მოზუიმე, ვახარებული სახეები. ადამიანთა, რომელთაც სჯეროდათ, სწამდათ. ახლა მეჩხრად მდგარი ხალხის სახეზე იმედგაცრუების, უნდობლობის, უკმაყოფილობის ნიშანი შეიგრძნო ქირიკამ. კარგად იცნობდა თავისი თემის ხალხს, იცნობდა სხვა სოფლებიდან, თემებიდან, დაბებიდან მოსულებსაც და ამიტომ შეიგრძნო, ამიტომ შენიშნა. სევდიანი ტყვილით გაეღიმა, თვითონაც იმედგაცრუებული, გულბატეხილი იყო, თვითონაც ჩაქნული ჰქონდა ხელი, ნელა მიტრიალდა კარისკენ, აღარ უნდოდა თავის ოთახში შესვლა, უნდოდა, ჩასულიყო ძირს, გარეოდა იმ ხალხს, აება მხარი იმ ხალხისათვის, მაგრამ გვიან იყო. თავი გაიქნია რათა მოეშორებინა ეს მწარე ფიქრი და სწრაფად შევიდა ოთახში.

იქ მაგიდას უხსდნენ ევგენი ქვანია, იროდიონ ჩხეტია, ვარდენ ზურცია. პოლკოვნიკი სარდიონ ანჯათარია, კპიტანი ვახტანგ ლლონტი, აპოლონ ჩიჩუა, ელეგანტურად ჩაცმული ლამაზი მამაკაცი, მდინარის გაღმა ჭალებისა და

მდინარის მეპატრონე ძმები ჩინუების ერთ-ერთი ძმა, საქართველოს მენ-შევიკური მთავრობის რწმუნებული. რომელიც სასწრაფოდ გამოგზავნეს ევგენი ქვანიას დასახმარებლად. აპოლონს პენსზე ეკეთა და თეთრი ხელთათმანი ეცვა. ევგენი ქვანიას გვერდიო მასწავლებელი იჭდა, საგრძნობლად ლელავდა, გაფითრებული იყო, ხელები მუხლებზე ეწყო, თვალს არიდებდა ყველას.

კედლების გასწვრივ ისხდნენ თემის ერობისა და სამაზრო ერობის გამგეობის ზოგიერთი წევრი, ვარლამ ხურცია, კალისტრატე ქვარცხავა და ექვთიმე ყალიჩავა.

მიზა ქირიამ კარი შეაღო თუ არა, ყველა მას მიაჩერდა, ყველა, მასწავლებლის გარდა.

— დავიწყოთ, ბატონებო, — თქვა ერობის თავმჯდომარემ, — ხალხი მეტს აღარ მოიციდის, — ისე უთხრა ოთახში მყოფთ, რომ აგრძნობინა, ტყუილად ვიცადეთ ამდენი ხანაო.

ევგენი ქვანიამ ეს არ შეიძინია, უკმაყოფილოდ შეხედა მიზა ქირიას, რომელიც პირველი შეხვედრის დღიდან არ მოეწონა. ჟღერის ჯიბიდან ოქროს საათი ამოიღო, დახედა და ისე წამოძგა, ვითომ არ ეცოდა რა დრო იყო გასული:

— დავიწყოთ, ბატონებო.

ყველა წამოძგა. ევგენი ქვანიას გზა დაუთმის და ის პირველი გავიდა აივანზე. მას აპოლონ ჩინუა მიჰყვა, შერე სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარე და ასე სხვები სათითაოდ — უფროს-უმცროსობის კვალობაზე. მიზა ქირია კი ბოლოს. ბოლოს იმიტომ, რომ არც აივანზე გასვლა უნდოდა.

მოედანზე შეყრილმა ხალხმა მაშინვე დაინახა ისინი. აქა-იქ ტაშის ხმა გაისმა. პირველმა ჯაბა კობახიამ და მისმა კაცებმა შემოკრეს ტაში და სხვებს გადახედეს — რატომ არ უკრავთო. სხვებმა სახე აარიდეს.

ხალხი მოედნიდან აივნისაკენ დაიძრა.

გლები, თავადი და ახნაური, მონღულ და ხელოსანი, მდიდარი და ღარიბი აქაც ცალ-ცალკე ჯგუფებად შედგნენ.

ევგენი ქვანიას მაშინვე თვალში ეცანკირე ხალხი. ის ოთახშიაც გრძნობდა, რომ არ მოვიდა იმდენი, რამდენსაც ელოდა. ეს იროდიონ ჩხეტიამაც დაინახა, ევგენის შეხედა. მან თავი დაუქნია. იროდიონი წინ წარდგა, აივნის მოაჯირს ორივე ხელით დაეკრძნო და ის იყო სიტყვის სათქმელად პირი დაადო, რომ უეცრად შეჩერდა: თემშარაზე გვარდიელთა ესკადრონი გამოჩნდა. წინ ლეიტენანტი ამირან არშვა და უმცროსი ლეიტენანტი ნიკოლოზ გარდაფხაძე მოუძლოდნენ ასეულს. ცხენები ჩორთათ მოდიოდნენ. ესკადრონი მოედანზე შემოვიდა და ხალხს შემოერტყა.

იროდიონ ჩხეტიამ ახლა კაპიტნისაკენ მიიხედა. ვახტანგ ღლონტმა თვალი ჩაუკრა, ანიშნა, შეგიძლია, დაიწყაო. სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარემ ჩაახველა, ხმა ჩაიწმინდა.

— ამხანაგებო და ბატონებო, მიტინგს ვახსნილად ვაცხადებ. ჩვენს თავისუფალ ქვეყანას წითელი ურდოები შემოესია! — დაიწყო პირდაპირ იროდიონ ჩხეტიამ, — ჩვენი თავისუფლებისმოყვარე ხალხი განსაცდელის ქაშს ყოველთვის ერთად იყო, ერთად იბრძოდა დამპყრობთა წინააღმდეგ. ერთსულოვნად იბრძოდა დიდი და პატარა, ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა. ერთად იბრძოდა ყმა და ბატონი, მემამულე და ვაჭარი. დღესაც, ამ საბედისწერო ქაშს, ერთადა ვართ. ერთადა ვართ ყველა პარტია: სოციალ-დემოკრატები, სოციალ-ფედერალისტები, ნაციონალ-სოციალისტები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-რევოლუციონერები, ანუ ესერებიც კი.

— აუ, რამდენი ყოფილან რჯულძაღლები! — წასჩურჩულა ზაქრო ბროლაძემ ჯამბულატ ბესტაევს, — ამდენ პარტიას რანაირად აჯობებს ერთი პარტია?!

— გაჯობებს, ჯამბულატმა იცის, გა-

ჯობებს, — უთხრა ბესტაევმა და პირი ღმილით გაეპო.

— ბატონებო და ამხანაგებო, სიტყვას ვაძლევ საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრს ბატონ ევგენი ევანას, — მიბრუნდა ევანასაკენ: — გთხოვთ, ბატონო ევგენი! — უთხრა და უკან დაიხია.

ევგენი ევანიამ იროდიონ ჩხეტიას ადგილი დაიკავა.

გაისმა ტაშის ხმა, ისევე კანტიკუნტად.

დამფუძნებელი კრების წევრმა ქუდი მოიხადა:

— ბატონებო! ომი არ გამოცხადებულა, მაგრამ ომი უკვე დაიწყო. მოგეხსენებათ, ჩვენ როგორც ყოველთვის ახლაც მშვიდობას ვესწრაფვით. მაგრამ მშრომელი ხალხის დაუცხრომელი მტერი, ბოლშევიკური რუსეთი — ქურდულად, ვერაგულად დაგვესხა თავს. ჩვენ სამშობლოს ვიცავთ, დეზო და ძმებო, მამებო და შვილებო, და ამიტომ ვომობთ. ახლა ყოველმა ჩვენგანმა, ყველა ჩვენმა პარტიამ პირადი, პარტიული ინტერესი, ფრონტს უნდა ანაცვალოს. სამშობლოს დაცვა დიდ მსხვერპლს მოითხოვს. ყოველმა ჩვენგანმა უნდა გაიღოს ეს მსხვერპლი, ვისაც რით შეუძლია: ქონებით, შრომით, სისხლით და გამარჯვება ჩვენი იქნება, ისევე როგორც შეუძამ იმარჯვებდა ქართველი ხალხი მტერზე. — ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და თავზე გადაისვა. — ჩვენი ქვეყნისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ბატონებო, ევროპის სახელმწიფოების შიერ საქართველოს იურიდიულ ცნობას, რაც ჩვენი პარტიის სწორი პოლიტიკის მეოხებით მოვიპოვეთ. ეს არის იმ პოლიტიკური ხაზის გამარჯვება, რომელსაც სოციალ-დემოკრატია მტკიცედ ადგას. დღიდან ჩვენი მოღვაწეობისა ერთი წუთითაც არ დაგვიწყებია, რომ ჩვენი პარტია სოციალისტური პარტიაა, რომ მისი მიზანია სოციალიზმის განხორციელება, სოციალისტური წყობილების დამყარება.

ჯაბა კობახიამ და ანთიმოზ გეთიამ ერთმანეთს გადახედეს.

— ხედავ, რა მიზანი ჰქონიათ! — უთხრა ჯაბამ.

— ხე-ხე, — ჩაიციხა ანთიმოზმა.

— ამასთან ჩვენი პარტია არ ივიწყებს, რომ იგი დემოკრატიული პარტიაა, რომ სოციალიზმის განხორციელება დემოკრატიის საშუალებით, ხალხის უმრავლესობის ნება-სურვილით ხდება... ევროპამ და ამერიკამ იცნო დემოკრატიული საქართველოს არსებობა, იცნო ჩვენი ერი, ჩვენი დიდი კულტურა, მოგვცა თავისუფალი განვითარების საშუალება, სოციალიზმის აშენების საშუალება. პროლეტარიატის შრომის მეუფეობის დასამკვიდრებლად საჭირო პირობებს უკვე ჩაუყარეთ საფუძველი. აღმაფრენას ეძლევა ჩვენი ერი, ხარობს სოფელი, ხარობს ქალაქი და ამ დროს...

— ისევე რა გითხრა შენ, — ჩაიჩურჩულა ყაბალახიანმა გლეხმა.

გლეხის ჩურჩული გაიგონა ჯაბა კობახიამ. ეს ყოველთვის თავში ღვინო-შემქდარი, ქონებით გაყოფილი აზნაური, მუდამ რომ შარზე იყო და, თუ ვინმეს რაიმე ისეთი წამოსცდებოდა, რაც არ მოეწონებოდა, ან რევოლუცერზე გაიკრავდა ხელს, ან სატყვეარზე, ახლაც გველნაკებნივით მიტრიალდა ყაბალახიანი გლეხისაკენ:

— ეი, შენ, ჭირიანო, — რევოლუცერის ტარს წაეტანა, — ხომ არ გინდა, ეგ მყარალი სული გაგაფრთხოვინო!

— მაგისთანა ჭირიანი ბოლშევიკი ბევრი გვირევი აქ, ჯაბა ბატონო, — უთხრა ეპქარმა ანთიმოზ დგებიამ. — ყველას ვერ გააფრთხოვინებ სულს.

— მომრავლდნენ, თავი აიშვეს მაგ ვირიშვილებმა.

— ეგ ყაზახი კახათელი ფარნა კვარაცხელია, — ჩაუსისინა პავლე მეველემ.

— ეს სულ მაგ დემოკრატიის ბრალია, — თქვა ანთიმოზ დგებიამ და ევანასკენ გაიხედა უკმაყოფილოდ.

— წელიწადზე მეტია, რაც საქართველოს მეზობლად საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, — განაგრძობდა დამფუძნებელი კრების წევრი. — ჩვენი ხალხი, ბუნდოვანი წარმოდგენა რომ ჰქონდა წითელ რუსეთზე, დღეს უკვე გაცნობიერდნენ, რომელსაც იგი გვიზღაღებდა. ეს წესწყობილება არსად არ მკვიდრდება ხალხის ნება-სურვილით, მას მხოლოდ და მხოლოდ ძალით ამყარებენ. ხალხის ჩაჩუქება, დაშინება ხალხის უფლებების შელახვა, ხალხზე ბატონობა — აი, რა მოუტანეს რუსმა ბოლშევიკებმა მრავალი ქვეყნის ხალხებს. ახლა ჯერი ჩვენზე მოდგა, ჩვენს დამოუკიდებელ ქვეყანაზე, დემოკრატიულ ქვეყანაზე. — კვლავ გადაისვა თავზე ცხვირსაბოცი, — ქართველი ხალხი არასოდეს არ შეირიგებია სხვის ბატონობას, სხვის მონობას, მტრის უღელში არ შებმულა. არ დამორჩილდნენ წითლებს არც ბაჭოში, არც ერევანში. ასობითა და ათასობით ხერხეტენ თავისუფლებისმოყვარე ადამიანებს. სომხეთი და აზერბაიჯანი სასაქალოდ აქციეს ბოლშევიკებმა.

ფარნა კვარაცხელიამ ის იყო, პირი დაალო და რაღაც უნდა დაეძახა დამფუძნებელი კრების წევრისათვის, მაგრამ დაინახა, ჯამა კობახიას ისევ რევოლუტორზე ედო ხელი.

— საქართველოს საზღვარსაც არაერთხელ მოაწყდა ეს დამშუუღლთა ბრბო, მაგრამ უაუღღებულ იქნა ჩვენი სახელოვანი გვარდიისა და ჯარის მიერ, რომელიც ჩვენ ასე გვიყვარს.

— რომელმაც ზარბაზანი დაუშინა ხალხს. — ფარნა კვარაცხელია თვალს არ აშორებდა ჯამას რევოლუტორის კონდახს, მაგრამ მიინცვერ შეიკავა თავი.

— გლეხების ხელში მიწების წესიერად გადასვლამ, — ხმას აუწვია ევგენი ევანიამ, — მოინადირა ჩვენი გლეხის გული...

მასწავლებელი განცვიფრებით უსმენდა, მიხა ქირია — შეკავებული დამცინავი ღიმილით, აპოლონ ჩიჩუა — კმაყოფილების ღიმილით.

— არასოდეს ქართველი გლეხი არ ყოფილა წელში ისე გამართლებული გორც ამეამად. არასოდეს მისხმეუმიანამ ყოფილა დაგროვილი სახელმწიფოს სარჩო-საბადებლის ისეთი დიდი ნაწილი, როგორც ამეამად. ეს საქართველოს დამოუკიდებლობის მეოხებით მოხდა, დემოკრატიის, თანასწორუფლებიანობის მეოხებით მოხდა... ლეკს...

ველარ დაასრულა სიტყვა. თემშარაზე მოსახვევიდან სამგლოვიარო პროცესიამ გამოვიდა. წინ ანთებული კანდელებითა და გვირგვინებით მოწაფეები მოუძლოდნენ: გვანჯი ბუკია, გუბა ჯგერენაია, უთუია თოდუა, ექუტურია ექუპავა და მათი თანაკლასელები. იური ორლოვის კუბოს გლეხები მოასვენებდნენ. კუბოს აქეთ-იქიდან ამოსდგომოდნენ ვარდენ ბუკია, შამშე აქბარდია, ბეგლარი, ჯევები, პროვიზორი, ზოსიმე, კოჩოია და ბახვა.

კუბოს უკან შავებში ჩაცმული ქალები მოჰყვებოდნენ. შუაში მაკა, ინდა და დედამისი, ესმა ჩამღვაროყვინი. მათ უკან გუღუია ესვანჯია მოაბიჯებდა. განცალკევებით ღიღიოდა, ხალხს გადაჩვეული. მოდიოდა როგორც კეთროვინი, ცდილობდა არავინ შეხებოდა, არავისი ყურადღება მიეპყრო. ხელში მკლავის სიმსხო კორმეზიანი კეტი ეპირა, ტყვიასავით მძიმე და ჭოკივით გრძელი.

თემშარაზე გავიმულ ხალხს, მარჯვნივ და მარცხნივ, გზის ნაპირებზე, ნაბღიანი კაცები მოჰყვებოდნენ თითო-თითოდ, ერთმანეთის უკან. ისინი მარაში შეშავალი სოფლების ბოლშევიკური უჯრედების წევრები იყვნენ. ნაბღი იმიტომ მოესხათ, რომ იარაღში ისხდნენ. ზოგი გლეხი იყო ზოგი მუშა, ხელოსანი, სოფლის ინტელიგენტი.

არავინ ტიროდა, არც ქალი, არც კაცი, და უფრო თემშარაზე იყო პროცესიანელა, მდორე მდინარესავით მოედინებოდა შაოსანთა დაუსრულებელი ნაკადი. მოდიოდა, როგორც ავღრის მომასწავებელი ღრუბელი.

— შეუძლებელია! — შესძახა ევგენი ევანიამ და ჯერ მიხა ქირიას გადახედა.

მერე ვახტანგ ღლონტს. — აკი ხვალ უნდა დაესაფლავებინათ გვარდიელი!

— მოგვატყუეს, — მიჯგო მიხა ქიჩიაძე.

— შევცდით, — ასევე მშვიდად მიუჯგო ვახტანგ ღლონტმა.

— პროცესია ჩვენკენ მოდის. ეს წინასწარ მოწყობილი გახლავთ ბოლშევიკებისაგან, — თქვა კალისტრატე ქვარცხავამ და ბულდოგის ჯიშის ძაღლის-თავიანი ჯოხი კრაგზე შემოიკრა. — პროცესია კი არა, დემონსტრაციაა, ბატონებო!

— დემონსტრაცია! — შესფოთდა აპოლონ ჩიჩუა. — რას უყურებდა გვარდია! — ცილინდრი მოიხადა. ცივმა ოფლმა დაასხა და ფერი წაუფიდა.

— უნდა შეაჩეროთ! — უბრძანა დამფუძნებელი კრების წევრმა კაპიტანს.

— შეუძლებელია, ბატონო ევგენი, შეხედეთ პროცესიას, უკაცრავად. დემონსტრაციას. ბოლო არ უჩანს. შეხედეთ იმ ნაბღინებს, ყოველ მათგანს ნაბღის ქვეშ იარაღი ასხია.

— ეს თქვენ აქამდე უნდა გკოდნოდეთ, — უთხრა კაპიტანს აპოლონ ჩიჩუამ.

— მოგვატყუეს, ბატონო აპოლონ, — კიდევ უფრო მშვიდად თქვა ვახტანგ ღლონტმა.

— შეშინდით? — დასცინა აპოლონმა.

— ჩვენ არა, ბატონო აპოლონ, — ღიმილით მიჯგო კაპიტანმა.

მოედანზე შეყრილი ხალხი და მის გარშემო მდგარი გვარდიელთა ესკადრონი თვალმიშტერებით, შეპყურებდა პროცესიას, რომელიც აივნისაკენ მოემართებოდა.

სიჩუმეში ყრუდ, მაგრამ თანდათან ხმამაღლა უასლოვდებოდა აივანს მრავალი ნაბიჯის ხმა.

— იური, ბიწო, ცემი ხელით მომკალი, — თქვა გაბზარული ხმით კამბულატ ბესტაევმა.

— შეხედეთ რას დამსგავსებია ჩვეები! — თქვა რიჩარდ ბოლდუინმა და შავ სახეზე თეთრმა კბილებმა გაიღევა.

— ცოცხალი რომაა, არ გიყვიროს! — უთხრა ზაქრო ბროლაქემ.

აივნიდან შიშითა და დაკვირვებით მოლოდინით უყურებდნენ პროცესიას. ახლა გამოლიდა, შავი ზვირთივით მოდიოდა ხალხი მოედანზე.

გვარდიამ გზა უტია ხალხს. პირველებმა ბროლაქემ, ბოლდუინმა, ბესტაევმა და მუნჯმა გვარდიელმა დაძრეს ცბენი.

შუაზე გაიყო აივნის წინ შეყრილი ხალხი. რათა პროცესია შემოეშვათ.

— დემონსტრაციაა, აბა, რა ჯანდაბაა!

— კვლავ შემოიკრა კრაგზე ბულდოგის ჯიშის ძაღლისთავიანი ჯოხი ფერშალმა და ჭიკაძე კისერი ისე მიატრიალ-მოატრიალა, თითქოს უქერსო განიერი საყელო.

ევგენი ევანიას დანა პირს არ უხსნიდა.

— დაღერებულს დააკრაც უნდა, — წასჩურჩულა აპოლონმა ევგენი ევანიას,

— უნდა დაგვეკრა ბოლშევიკებისათვის.

დამფუძნებელი კრების წევრმა ყურადღება არ მიაქცია.

მღუშარედ იდგნენ აივანზე. მასწავლებლის, კაპიტანისა და თემის ერობის თავმჯდომარის მეტს ყველას შეადრის ფერი ედო.

კანდელიანი და გვირგვინიანი ბავშვები სულგანაბული ხალხის ორ კედელს შუა შევიდნენ. შევიდა კუბოც. თავი მოიწიშვლა ხალხმა. კახათიდან მოსული გლეხი ფარხა კვარაცხელია გვერდით ამოუდგა ჯაბა კობახიას და გამომწვევად ახედა. აზნაურმა რევოლუერის კონდას ხელი მოაშორა.

ქულები მოიხადეს აივანზედაც. მხოლოდ პოლკოვნიკ სარდიან ანჭაფარი-ან, კაპიტან ვახტანგ ღლონტსა და სამხედრო ვალდებულებათა უფროსს ვარლამ ხურციას არ მოუხდიათ ქული.

ბეგლარ ბუკია და შამში აქმარდია დაწინაურდნენ და თამამად, გაბედულად ავიდნენ აივანზე, მოაჯირთან შეჩერდნენ, სწორედ იქ, აპოლონ ჩიჩუა და ევგენი ევანია რომ იდგნენ, ანიშნეს, განზე ვალდებოთ. დამფუძნებელი კრების წევრი და მთავრობის რწმუნებული შეყოყ-

მანდენე კაპიტანს შეავლეს თვალი — ეს რას გვიბედავენო, მაგრამ ვახტანგ ღლონტიმა სახე მოაჩიდა, ევანია და ჩიჩუა იძულებული გახდნენ ბეგლარისა და შამშესათვის ადგილი დაეთმოთ. ბუკია და აქბარდია მოაჯირზე გადაიხარნენ, ქვევიდან რვა კაცმა ამოაწოდა კუბო. ბეგლარმა და შამშემ კუბო მოაჯირზე სიგრძივ დაასვენეს. ბეგლარი კუბოს თავთან დადგა, შამშე — ბოლოსთან. კუბო ხელით ეკავათ, რომ არ გადაეარდნილიყო.

აივანზე შეყრილებმა არ იცოდნენ, რა ხდებოდა, რას მოასწავებდა ცხედრის აქ ამოსვენება, მოაჯირზე კუბოს შედგმა, ეს ზღვა ხალხი.

კაპიტანი ვახტანგ ღლონტი უცებ შეიცვალა. დამფძნებელი კრების წევრს შეაკერდა როგორ მოვიქცეო. დემონსტრანტთა ასეთმა თავხედურმა მოქმედებამ დააფიქრა, რომ წელან ევგენი ევანიას ბრძანების შესრულება შეუძლებლად მიიჩნია.

დამფძნებელი კრების წევრის მთელი ყურადღება ცხედრისაკენ იყო მიმართული. ცხედარს გაკვირვებული, გაქვავებული სახე თითქოს ევგენი ევანიასაკენ მიექცა. ევგენი მწუხარებით დასცქეროდა ცხედარს. მისთვის ორლოვი ახლა იყო არა რუსი, არამედ მხოლოდ და მხოლოდ პირტიტველი აეთილი ჭაბუკი, რომელიც ამხანავს აეფარა; სიკვდილს გადაარჩინა, თავი გასწირა.

ვარდენს აივანზე რამდენიმე ნაბღიანი აჰყვა. მათი ნაბღები მარჯვენა მხართან კარბინის კონდახით იყო ამოწეული. შედგნენ ვარდენის უკან კუბოსთან.

ევგენი ევანიამ თავი დაუკრა ვარდენს. ვარდენმა მაშინვე შენიშნა, რომ ევანია შეწუხებული იყო. ევანიამაც შენიშნა, რომ ვარდენი ის კომისარი იყო, რომელიც ჯვებ ბუკიამ, საჯღთარმა მამამ, შეიპყრო. მოეწონა ვარდენი, მისი ენერგიული, მაგრამ მშვიდი სახე, მაღალი და ჯიუტი შუბლი, მისი დაღლილი და ოდნავ სევდიანი თვალები, და ეს მოწონება რომ არ შეემჩნია წითელ კომისარს, ევ-

გენიმ მისგან პირი იბრუნა და გადამეღა პროცესიას, რომლის ბოლოშიც იყო და არ ჩანდა.

— განაგრძეთ სიტყვა, ბატონო ევგენი! — უთხრა ვარდენმა ევგენი ევანიას, — თორემ დიდი ხანი მოვიწევთ ლოდინი.

ევგენი ევანია კუბოსთან მივიდა, ხალხს გადახედა.

— დებო და ძმებო, — დაიწყო უკვე არა მაღალფარდოვანი, არამედ ბუნებრივი, ნაღვლიანი ხმით. — ჩვენ წინ ასვენია სულ მთლად ახალგაზრდა რუსი ჭაბუკი, იგი ბოლშევიკი არ იყო, ჩვენთან მოვიდა რომ ბოლშევიკების წინააღმდეგ ებრძოლა, თავისი ქვეყნიდან გამოიქცა და ჩვენ შემოგვაფარა თავი. ბევრი კარგი რუსი გაიქცა თავისი ქვეყნიდან. გარბიან რუსეთიდან პატროსანი რუსები... ეს ჭაბუკი შეჭარბოდა სიცოცხლეს, ჰქონდა თავისი მიზანი, ოცნება, ფიქრები, მაგრამ ბოროტმა ხელმა მოუსწრაფა სიცოცხლე.

— ამიერიდან მისთვის ყველაფერი დამთავრდა, ის აღარ არის, რომ შური იძიოს, — დაიძახა ხალხიდან ფარნა კვარაცხელიამ და ისევ ახედა გამომწვევად ვაბა კობახიას.

ახნაურს ამჯერად აღარ დაუდგია ხელი რევოლვერის კონდახზე.

— არა, შვილო! — გადასძახა აივანიდან ევგენი ევანიამ კვარაცხელიას. — შურმა დალია სოფელი, ბაძილმა ააშენაო, შურს არავისთვის მოუტანია სიკეთე. დღეს შურისათვის არა გეცალია. მთელი ჩვენი ძალ-ღონე ჩვენი ცაფირუბ, ხმელეთ-შურმუხტის დაცვას, დავით აღმაშენებლისა და თამარის ქვეყნის, რუსთაველის, ილიასა და აკაკის ქვეყნის დაცვას უნდა მოვახმაროთ. ჩვენი თავისუფლების დაცვაში მთელი პროგრესული კაცობრიობა მოგვეხმარება...

— ვის იცავთ? — დაიძახა ხალხიდან ერთ-ერთმა ნაბღიანმა. — ხმელეთ-შურმუხტი ჩვენ არ გვეაუთენის. უმიწაწყო გლუხს რა აქვს დასაცავი! სულის მეტი არაფერი გვაბაღია ქვეყანაზე.

უცებ დამფუძნებელი კრების წევრს გვერდით ამოუდგა მთავრობის რწმუნებული აპოლონ ჩიჩუა.

— ვთხოვთ, რეპლიკას გამო ორი სიტყვის ნება დამართოთ! — არ დაუცადა ევგენი ევანიას პასუხს, ხალხისაგან მიტრიალდა და ტყბილი, მამებელი ხმით გადასძახა: — თქვენ ბრძანეთ, უმიწაყულო გლეხებსო, როგორ გეკადრებათ! წელან ბატონმა ევგენიმ მოგახსენათ, რომ გლეხების ხელში მიწები წესიერად იქნა გადაცემული. მეც ვადასტურებ ამას, როგორც მთავრობის წევრი. მიწები, მეოთხე წელია თქვენს ხელშია. ჩემი მიწები და ჩემი ძმებისაც დიდი ხანია თქვენა გაქვთ...

— ტყუილია!

— საიდან გვაქვს?!

— სიცრუეა!

ავვირდნენ ყორშიები, ჭგერნაიები, ესებუები, ხვინგიები.

— ზარბაზნით გადაგვერეკეს შენი მიწიდან!..

დამფუძნებელი კრების წევრმა შეაჩერა აპოლონ ჩიჩუა. გააოცა მისმა განცხადებამ, წამით დაიბნა, მერე, თითქოს ჩიჩუს არაფერი ეთქვას, მშვიდად მიუგონა ბდიანს:

— თავისუფლებას ვიცავთ, დებო და ძმებო, შვილებო და მამებო, დემოკრატიას ვიცავთ — ევანიას ხმა შეეცვალა, — ჩვენს სამფეროვან დროშას ვიცავთ, ვიცავთ მიწას, რომელიც დღეიდან მართლაც თქვენი იქნება.

გუდულია ესვანჯია ამ თმის სისქე ხალხშიც განმარტოებით იდგა. დამაბულად უსმენდა ევგენი ევანიას. აბედისფერი სახე სულ მთლად ჩაშავებოდა, თვლებს არაბუნებრივად აბრიალებდა. ოფლი ასკვდებოდა, მაგრამ ისე იყო აღგზნებული, დაყურადებული, ამას არ გრძნობდა. რაღაცის თქმას აპირებდა, თავის თავს ძალას ატანდა, ზიზღით, რისხვით უყურებდა ევგენი ევანიას. ბოლოს მთელი სხეული აუძაგმაგდა, შავი, მსხვილი ძარღვები დაებერა, სახეზე ეანგისფერი სისხლი მოაწვა. რისხვას, სიძულვილს წლებს მანძილზე რომ იკავებდა, გზა

მისცა:

— ვის ატყუებ, შე მამაქალღმერთო! — დასქემა ევგენი ევანიას ხალხი აჩოჩოლდა, ამოძრავდა. ქალმა და კაცმა იქით მიიხედა, საიდანაც არაბუნებრივი, არაადამიანური ხმა გაისმა. ზოგმა ვერ იცნო გუდულია ესვანჯია, ზოგმა იცნო და გაოცდა. ვერ წარმოიდგინა ადამიანის ასეთი ფერიცვალება.

— უიმე, გუდულია ესვანჯია!

— შენი ცოდვა, გუდულია!

— ოჩოკოჩი!

— უბედური გუდულია!

— სიკვდილისაჟან დაეიწყებული გუდულია!

— გატყუირებული გუდულია!

— გუდულია!

— საცოდავი გუდულია!

— გუშინ ზარბაზანს უშენდი ხალხს!

— ჰყვიროდა გუდულია. — დღეს ევერები! მე სამარის მიწა აჩენილი მაქვს. მიწა აღარ სჭირდება გუდულია ესვანჯიას. მიწა ხალხის იქნება!.. ბუკიების, ყორშიების, ესებუების, ფილიპიების, ხვინგიების, ჭგერნაიების! — მკლავის სიმსხო იმ კორძიან გრძელ კეტს მუჭარით იქნევდა. უცებ ადგილიდან მოსწყდა და აივნისაკენ გაქნადა, მაგრამ ხალხმა არ გაუშვა.

— მოკვლავ, თავს გაუხეთქე ამ კეტით! — ყვიროდა გაქაჩული გუდულია. — დაეახრობ!

— ჩვენ სიცოცხლისათვის ვიღვწვით და არა სიკვდილისათვის! — წარბი არ შეხარა დამფუძნებელი კრების წევრმა.

— ვის უპირებ მოკვლას, გუდულია? — დაუძახა ჯაბა კობახიამ, — ბოლშევიკები იმ სამარის მიწასაც წაგართმევენ. მიწა გლეხსო, ტყუილად ამბობენ, არ დაიჭეოთ! მიწა სახელმწიფოსა იქნება!

— სახელმწიფო ვისი იქნება? — ჰკითხა ფარნა კვარაცხელიამ და ისევ გამომწვევად ახედა.

— ბოლშევიკების, — მიუგო ჯაბა კობახიამ.

— ახლა ვისია?

— ხალხის რჩეულთა, — გადმოსძახა კვარაცხელიას აპოლონ ჩიჩუამ.

— როდის ავირჩიე? — ფეხის წვერებზე აიწია ფარნა კვარაცხელიამ და ისე ასძახა ქვევდიანს.

— ბოლშევიკებს არ ავურჩევია, ხალხმა ამირჩია! — გადმოსძახა მშვიდად, უშფოთველად აპოლონ ჩიჩუამ და ნაპატივებ თეთრ სახეზე კმაყოფილების ღიმილი შეეფინა.

— ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, შუარისგებას არ ვქადაგებთ, სიკვდილს არ ვთესავთ, სისხლს არ ვღვრივთ, — თქვა დამფუძნებელი კრების წევრმა და უკმაყოფილოდ გადახედა აპოლონ ჩიჩუას.

— უსისხლოდ მტერი მტერს არაფერს დაღთმობს! — ასძახა თავისი დაზეპირებული სიტყვა ზოსიმე ყორშიამ.

— სისხლს მხოლოდ ბოლშევიკები ღვრიან, ვერა და ვერ გაძღნენ სისხლით...

— დიახ, ბატონო ევგენი, — შეაგება სიტყვა ვარდენმა, — ბოლშევიკები სიციცხლეს სხვებისათვის წირავენ, ხალხისათვის წირავენ. აი, ამ ყმაწვილმა, — დახედა იური ორლოვის ცხედარს, — თავი სხვისთვის დაღო. მარტო ჩვენ არ ვიღვწვით ხალხისათვის, არიან უპარტიო პარტიისანი ადამიანები, კარგი ადამიანები, — გაიმეორა ლენინის სიტყვებმა, — უსისხლოდ არც თქვენ, სოციალ-დემოკრატები, დასთმობთ რაემს. განა ამიტომ არ მოუწოდებთ ხალხს, ქუდზე კაცი გამოვიდესო, ბოლშევიკების წინააღმდეგ ამხედრებთ.

— მტრების წინააღმდეგ! — იყვირა ფერშალმა კალისტრატე ქვარცხავამ და კრაგზე ბულდოგის ჭიშის ძაღლისთავიანი ჭოხი შემოიკრა.

ვარდენმა შეხედა ფერშალს და გაიღიმა.

— ათეული წლების მანძილზე კაცობრიობის მოწინავე ადამიანები, — კვლავ მაღალფარდოვნად დაიწყო დამფუძნებელი კრების წევრმა, — დემოკრატიისათვის, თავისუფლებისათვის იბრძოდნენ. მრავალტანჯულმა საქართველომ, თავისუფლებისმოყვარე ქართველმა ერმა შეუპოვარი ბრძოლებით ძლივს დაებრუნა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ახლა ჩვენ აღარ გვემუქრე-

ბოდნენ მამადიანური ურდოები და, აი, სწორედ ამ დროს ქრისტიანულმა რუსეთმა, უკაცრავად, ბოლშევიკებმა რუსეთმა, რომელსაც არაერთი სარწმუნოება არ გააჩნია, კვლავ მოისურვა ჩვენზე ბატონობა, პროლეტარული... არა, ბოლშევიკური დიქტატურა მოგვახვიოს თავზე. განა ჩვენი პარტია, ჩვენი მთავრობა მუშათა და გლეხთა რჩეულთაგან არ შედგება?

— ძირს მენშევიკური მთავრობა! — დაიძახა ხალხიდან ერთ-ერთმა ნაბდიანმა.

— ძირს წითელი იმპერიალისტები! — გადმოსძახა ფერშალმა აივნიდან იმ ნაბდიანს. — გაუმარჯოს სოციალისტურ საქართველოს!

— გაუმარჯოს!

— ვაშა საქართველოს!

წამოიძახეს აქა-იქ ხალხში.

— ჩვენ წინააღმდეგი ვართ, — განაგრძო ევგენი ევანიამ, — რომ ერთი კლასი მეორეზე ბატონობდეს. თანასწორუფლებიანობა ყველა პარტიისან ადამიანთა — აი, რა არის დემოკრატია.

— თანასწორუფლებიანი ვართ ჩვენ და ჩიჩუები? — ასძახა ევგენი ევანიას ზოსიმე ყორშიამ.

— გამიშვით, მე მაგისი! — მოირღვა ადგილიდან გუღუთა ესვანჯია.

არც ახლა გაუშვეს ტყისკაცი.

— უნდა იყოთ, მოხუცო, არც ახლა დაიბნა დამფუძნებელი კრების წევრი. — როცა თქვენ და ჩიჩუებს იმდენი მიწა გექნებათ, რამდენის დამუშავებაც შეგეძლებათ...

— ჩიჩუების დამუშავებული მიწა არავის უნახავს.

— სხვისი ნაოფლარით იძლებდნენ კუქს ადამის ქამიდან.

— აწი კი ვაუხმებათ კუქი შიმშილით.

— პირობას გაძლევთ, მიწა თქვენი იქნება, ხალხო!

— ამას დიდი ხანია გვპირდებით, — მხარი აუბა ზოსიმესა და ნაბდიანს ბახვა მებორნემ.

— მართალია, მაგრამ რა გვექნა, არ გვაცალეს ბოლშევიკებმა, ყელში ხელს

გვიპერდნენ. ახლა ომი დაგვიწყეს... — ევგენი ევანია ხედავდა, რომ ხალხი არ უჭერებდა, უმრავლესობა არ უსმენდა. ველარ იკავებდა მღელვარებას. — თქვენ ჩაიღინეთ ის, რაც ჩვენ უნდა გავგვეკეთებინა: ძალით დანაწილეთ ჩიჩუების მიწები, რომელიც თქვენთვის განკუთვნილი ეგონა ბატონ აპოლონს...

— კარგად ვიცი რა განკუთვნილიც ეგონა.

— ნადელს რომ ლებულობდა, არ იცოდა, რაში იღებდა?! —

— არაფერს არ ვლებულობდი... — დაიწყა აპოლონ ჩიჩუამ, მაგრამ არ აცალეს:

— ტყუის! აბა, ვინ ლებულობდა?

— ჩიჩუებს ჩვენთვის მიწა არ მოუციათ.

— მესამედ წილზეც არ დაგვთანხმდნენ.

— ვერ გავგაცურებს.

ერთად აყვირდნენ ივანე, ნესტორი, ზოსიმე და სხვები.

მთავრობის რწმუნებული აპოლონ ჩიჩუა, შეშინებული, ხან ერთ ხელთათმანს წაიძრობდა და ისევ გაიკეთებდა, ხან — მეორეს.

— ჩვენი შეცდომა და, თუ ვნებათ, დანაშაული ის არის, რომ მიწის საკითხი პირველხარისხოვან საქმედ არ მივიჩნიეთ და დღემდე ვერ მოვიცალეთ ამისთვის...

— ახლა ჩვენ მოვიცალეთ! — სხვა მხრიდან ასძახა სხვა ნაბღიანმა.

დამფუძნებელი კრების წევრმა ჩაახველა, რომ პასუხისმართის დრო მოეგო, მაგრამ მაშინვე ამჯობინა ისევ განეგრძო, თითქოს არც გაუგონია ნაბღიანის ხმა:

— დღეს კუქის გაძღომაზე კი არ უნდა ვიფიქროთ...

— კუქის გაძღომაზე მხოლოდ მაძლარი არ ფიქრობს, — უთხრა ივანე მდგარმა შამშე აქბარდიამ.

არც აქბარდიას მიაქცია ყურადღება ევგენი ევანიაზე:

— დღეს ყოველი ქართველი, ვისაც სამშობლო უყვარს, თავისუფლება უყ-

ვარს, ადამიანი უყვარს. მოვალეა წინ აღუდგეს წითლებს, მტერს, რომელმაც ომის გამოუცხადებლად გამოიღო საქრა ჩვენ წინააღმდეგ, ჩვენი ერის დასამონებლად. ევროპისა და ამერიკის მიერ საქართველოს ცნობა ლახვარი იყო ბოლშევიკური რუსეთისათვის, რომელმაც ვერ აიტანა ეს და მუხანათურად, ვერაფულად მოგვეპარა. დაე, ვინც დღემდე კარგად არ იცნობდა ჩვენს მტერს, დღეს იქით კარგად გაიცნოს, — ისევ ჩაახველა, ხმა ჩაიწმინდა, — ქართველებს ერთი დიდი ნაკლი გვაქვს — ხასიათისა და გულის სიჩვილე. თვითონ გულკეთილებს სხვა გულკეთილი გვგონია, — გატაცებით, თითქმის ვედრებით ლაპარაკობდა. — ბოლშევიკებმა, ამ ჩვენმა დაუძინებელმა მტრებმა, გაანადგურეს რუსეთი და სიკვდილის პირამდე მიიყვანეს სომხეთი და აზერბაიჯანი. ეს ბარბაროსები, ეს ვანდალები ამას არ დასჯერდნენ, და ახლა საქართველოს დაპყრობა მოუნდათ, მაგრამ ეს დღე არ გაუთენდებათ. დღეს საქართველოს ამერი და იმერი შედუღაბებულია. საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორია დღეს არ იწყება; ეს ისტორია დიდი ხანია დაწერილია. დღეიდან კი ახალი ისტორია იწყება. ეს იქნება განახლებისა და თავისუფლების ისტორია. საქართველოს ჭვარი სწერია. დამოუკიდებლობა ან სიკვდილი! — დაამთავრა ერთბაშად სიტყვა ევგენი ევანია და თავისუფლად ამოისუნთქა, ცხვირსახოცი ახლა მთელ სახეზე მოისვა.

— დიახ, ბატონო ევგენი, როგორც თქვენ ბრძანეთ, დღეიდან განახლების ისტორია იწყება, — უთხრა ვარდენმა დამფუძნებელი კრების წევრს. — მაგრამ ამ ისტორიას დაწერს არა მენშევიკური ხელისუფლება, დაწერს ჩვენი მთავრობა.

— რომელი თქვენი მთავრობა? — დაუძახა ჯაბა კობახიამ ვარდენს.

— საქართველოს ბოლშევიკური მთავრობა.

— ვინ გამოაცხო ასეთი მთავრობა? — დაუძახა ანთიმოზ ღვებიაძე.

— შულავერში შემდგარა ქართველ ბოლშევიკთა ერთი ხროვა, — გადმოსძახა ცხედრის იქითა მხრიდან დამფუძნებელი კრების წევრმა — ეს მოლაღატეთა ხროვა თავის თავს საქართველოს მთავრობას უწოდებს. გესმით, ბატონებო, თავის თავს უწოდებს საქართველოს მთავრობას. მხოლოდ ბოლშევიკები შეიძლება იყვნენ თვითმარქვეია მთავრობა.

— კარგად ბრძანეთ — თვითმარქვეია მთავრობა, ხა, ხა!

— ძირს მოლაღატენი!

— ტყვიით უნდა გაუფხვრიტოთ ტვინი!

— ვინ ბრძანდებიან ეს თვითმარქვეიები?

— გაგვაგებინეთ, ვინ ბრძანდებიან!

— ფილიპე მახარაძე, — დაიწყო ზიზლით დამფუძნებელი კრების წევრმა და სახე მოექცა, — მაშია ორაბელაშვილი, ბუღუ მდივანი, — არ შეუნიშნავს როგორ დაეყრდნო ხელით კუბოს, არ არ შეუნიშნავს იმიტომ, რომ გაკაპასეებით, სიძულვილით ლაპარაკობდა, — შალვა ელიავა, მიხეილ ოკუჯავა, ლადო დუმბაძე, ომარ ფაიკი, ამიაჯ ნაზარეტიანი. ფაიკი და ნაზარეთიანი, — გაიმეორა დაცინვით, — ალექსანდრე გეგეჭკორი და ბესო კვიციელია. აი, რა დიდებული ანსამბლი მოუძღვის მტრის ლაშქარს საქართველოს დასაპყრობად.

— ის დღე არ გაუთენდეთ!

— კუდიოთ ქვას ვასროლინებთ მაგ ნაძირალებს!

— ჩვენ გვყავს ხალხის მიერ არჩეული მთავრობა!

— საქართველოს უზენაესი დაწესებულება — დამფუძნებელი კრება!

— ზიზლი მოლაღატეებს!

ევგენი ყვანიას სახე გაუნათდა. ნიშნისმოგებით გადახედა ნაბღიანებს მთავრობის რწმუნებულმა აპოლონ ჩიჩუამ. გაიღიმა სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარემ იროდიონ ჩხეტიამ.

— ეს ვაჟბატონები დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად აღიარა ხალხის, სამშობლოს მოლაღატეებად, სამშობლოს გამყიდველებად. მათ ჩამოერთმევათ

მთელი ქონება, ასეთი თუ რამ აბადრით! ამ მაწანწალებს, სხვების შემყურეებს, თავისი ქვეყნის მოძულეებს და ჩვენს მტრების მეგზურთ. ისინი დამფუძნებელი კრების დადგენილებით კანონგარეშე არიან გამოცხადებული.

— დამფუძნებელმა კრებამ, როგორც თქვენ ბრძანეთ, ამ „უზენაესმა“ დაწესებულებამ, უკვე დაკარგა თავისი უფლებები, ბატონო ევგენი, — უთხრა ვარდენ ბუციამ.

— ამას თქვენ ბრძანებთ, ბოლშევიკები, რომლებიც ცდილობთ წესი აუგოთ დემოკრატიულ საქართველოს, ჩამოგდებულად აცხადებთ მის მთავრობას, გვეღირსა, ამოანათა საქართველოს პროლეტარული რევოლუციის მშემო. აჯანყებები დაიწყო და ქალაქიდან ქალაქს, სოფლიდან სოფელს ედებო, აჯანყებულები ძლევამოსილად მიდიან თბილისისაკენ — რეაქციის დედაქალაქისაკენო. გესმით, დებო და მშებო, მამებო და შვილებო, თბილისს რეაქციის ქალაქს უწოდებენ თვითონ რეაქციონერები. ეს კიდევ არაფერია, — ხმას აუწია დამფუძნებელი კრების წევრმა და ეშხში შესული კუბოზე გადაიხარა. — პროკლამაციებს ავრცელებენ, თითქოს მთავრობის ჭარი და გვარდია იარაღს ყრიდნენ და აჯანყებულებს უერთდებოდნენ. აი, თქვენი ერთგული, თავდადებული გვარდია თქვენთან არის, თქვენ გიცავთ, თქვენს სამსახურშია! — ხელი გაიშვირა გვარდიელებისაკენ.

უღვაშში ჩაიღიმა ვახტანგ ღლონტმა.

ზაქრო ბროლაძემ და რიჩარდ ბოლდუინმა ერთმანეთს გადახედეს.

— კარგ სამსახურს გვიწვევენ, ზარბაზანს გვიშენენ.

— ცხენებით გვთელავენ.

ამოსძახეს ქვევიდან ევგენი ყვანიას.

— ჩვენ კი არა, თქვენ გიცავენ, — უთხრა ბეგლარმა დამფუძნებელი კრების წევრს.

არც ეს გაიგონა ევგენი ყვანიამ.

— შეიარაღდით, მუშებო და გლეხებო, აჯანყდით და გაითავისუფლეთ თავი სამუდამოდ, წერენ ბოლშევიკები,

თვითონ კი ამ მუშებისა და გლეხების დასაპყრობად, თქვენს დასაპყრობად მოდიან. ასე იტყუებენ თავს და ატყუებენ ჩვენს გასაყლელად წამოყვანილ მშვიერ რუს ჯარისკაცებს. ამაზე ამყარებენ ბოლშევიკები გამარჯვების იმედს. — ჩაიცინა და ისე განაგრძო: — გაუმართლდათ ეს იმედი საქართველოს საზღვრებთან — აქ ნახეს მართლა აჯანყებული მშრომელი საქართველო, იარაღსაშეული მუშები და გლეხები, მაგრამ იარაღსაშეული არა თქვენი მთავრობის დასამზობად, არამედ ბოლშევიკების მოსასპობად. საქართველოში მართლა ამობრწყინდა პროლეტარული რევოლუციის მზე, რომელმაც რეაქციულ საბჭოთა სამეფოში შეანათა. იქიდან მოტყუებით წამოყვანილი ჯარისკაცები გაიგებენ, რომ ნამდვილი ძალაუფლება რუსეთში კი არა, აქ ჩვენში, ეკუთვნის მშრომელ ხალხს...

— ვის ატყუებ!

— მენშევიკური მთავრობა მშრომელი ხალხი არ არის!

ერთმხად დაიძახეს ნაბდიანებმა, ისინი ხალხში დასტა-დასტად იდგნენ.

— აქ შეიგნებენ იქიდან მომავალი შეუგნებლები, რომ ჩვენი მუშები და გლეხები იცავენ თავის საქმეს, თავისი ხელით ნაკეთებს, იცავენ იმ პოლიტიკურ წესწყობილებას, რომელთანაც თვითონ არიან შესისხლხორცებული. აქ მოყვანილ რუს მუშებსა და გლეხებს არ შეუძლრათ არ დაინახონ, რომ ისინი სხვის საქმეს აკეთებენ, რომ იქიდან მოგზავნილი არიან ქართველი მუშისა და გლეხის სისხლის დასაქცევად..

— მათ ჩვენი სისხლის დაქცევა არ უნდა!

— ჩვენ არ გვეომებია!

— არ წავალთ ომში!

— თქვენ გებრძვიან, მენშევიკებს!

— ეს ჩვენი ომი არ არის!

— ხალხის ომი არ არის!

ამ შეძახილებით თავზარდაცემული დამფუძნებელი კრების წევრი უფრო ჩემამალა, გაასპიტებით განაგრძობდა:

— ამებო და დებო, მამებო და შვი-

ლებო, ჩვენს წმინდათა წმინდა თავისუფლებას წითლების ბატონობა ემუქრება. გონს მოდით... საქართველოში მოკვლას უპირებენ...

— არა, ბატონო ევგენი! — ველარ მოითმინა ვარდენმა, — საქართველოს თავისუფლებას არავინ ემუქრება, ჩვენ მენშევიკურ „თავისუფლებას“ ემუქრებით. ეს ჭაბუკი აქ იმიტომ მოვასვენეთ, რომ ერთხელ კიდევ დავანახოთ ხალხს, ვინა ხართ თქვენ, რა არის თქვენი „თავისუფლება“, „დემოკრატია“.

— თვითონ ვინა ხარ? — დაუძახა ჯაბა კობახიამ.

— რუსეთის ჯაშუშია! — ბულდოგის ჯიშის ძაღლისთავიანი ჯოხი აუქნია კალისტრატე ქვარცხავამ ვარდენს.

— ძირს სამშობლოს გამყიდველი! — ხელი გაივლო რევოლუციის კონდახზე ჯაბა კობახიამ.

— წაართვით სიტყვა!

— ჩამოათრიეთ აივნიდან! — დაალო უშველებელი პირი ანთიმოზ დგებიამ.

— სიორდია! — გადასძახა გვარდიელებს ვახტანგ ღლონტმა. წარბი აეგრინხა და ბოზოხში შეუხტა. არ იცოდა, რომ სიორდია ამქვეყნად აღარ იყო.

— მე თქვენ სიტყვას გართმევთ... მე თქვენთვის სიტყვა არ მომიცია, — უთხრა სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარემ ვარდენს. — ჩაბრძანდით აივნიდან!

— სანამ ძალით არ ჩავაბრძანებთ! — დაემუქრა კაპიტანი. — სიორდია!

— ხელსაც ვერ ახლებთ!

— განაგრძე, ვარდენ!

— აცალეთ ვარდენ ბუკიას!

— თქვას ვარდენმა!

— თქვას!

იხუვლა ხალხმა.

— ძმებო და დებო, მამებო და შვილებო! — კიდევ უფრო გადაიხარა კუბოზე დამფუძნებელი კრების წევრი. — პირველ რიგში სიტყვას იმას მივეცემთ, ვინც ჩაწერილია, — სწრაფად ამოიღო ჯიბიდან სია, — სიტყვას ვაძლევთ მასწავლებელ შალვა კორძახიას.

ერთბაშად გაჩუმდა ხალხი, ყველა



შალვას მიაჩერდა. მასწავლებელი კუბოს იჭიდან ძლივს ჩანდა.

— კარგია!

— თქვას მასწავლებელმა!

— შალვას მოეუხმინოთ.

— მასწავლებელი გვეტყვის სიმართლეს.

— შალვას ყველაფერს დავეუჭერებთ!

— მასწავლებელი!

— მასწავლებელი!

ერთბაშად ახმაურდა, აყვირდა, ამოძრავდა ხალხი, ქალი და კაცი, დიდი და პატარა. მხოლოდ ნაბღიანები იდგნენ ჩუმად. მოლოდინით დუმდნენ. ბეგლარიც ჩუმად იდგა, ისევე როგორც ქალაში, ჭიუტად უყურებდა მასწავლებელს.

მასწავლებელს უყურებდა შამშე აქბარდია, ჭვებე ბუკია, ზოსიმე ყორშია. კოჩოია ყორშია.

უყურებდა ხალხი, გვარდია.

უყურებდა ყველა, ვინც აივანზე იდგა.

უყურებდნენ ხეების ტოტებზე შემსხდარი მისი მოწაფეები.

შალვას უყურებდნენ მკა, ინდა, ესმა, ცაბუ, აოზაკია და სხვა ქალები, ძუძუთა ბავშვებახუტებულუბი, ზელზე ზელჩაყიდებულუბი.

შალვას უყურებდა დამფუძნებელი კრების წევრი შიშითა და იმედით.

შალვას უყურებდნენ სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარე იროდიონ ჩხეტია, მთავრობის რწმუნებული აპოლონ ჩიჩუა, კაპიტანი ვახტანგ ლლონტი. მხოლოდ თემის ერობის თავმჯდომარე იდგა მშვიდად, პაპიროსს ეწეოდა და ბოლის პატარა ლამაზ რგოლებს შალვა უშვებდა.

მასწავლებელს უყურებდა ყველა.

შალვა იდგა კუბოს წინ. მჭიდროდ იხვევდა პალტოს, როგორც ეს მღელვარების დროს იცოდა, მაგრამ ახლა არ დელავდა.

— თქვი, ამხანაგო შალვა! — დაუძახა ერთ-ერთმა ნაბღიანმა ვარდენის უკან რომ იდგა.

— შენ გვითხარი სიმართლე! — დაუძახა პროვიზორმა ესტატე ნაჭყეიამ.

— მასწავლებელმა თქვას!

— მასწავლებელმა! თეატრალი

— მასწავლებელმა! საზღვროსი

შალვა კუბოს იჭიდან მხოლოდ ხალხის ნაწილს ხედავდა, მაგრამ ყველა წამოძახილი ესმოდა და ხმით ცნობდა თითოეულ მთვანს. ესმოდა ნაბღიანების წამოძახილები, ხალხის წამოძახილები, და ნათლად, გარკვევით, ხელშესახებად გრძნობდა, რომ რაღაც შეიცვალა მის სულში, გონებაში, გულში, თითქოს სხვა შალვას ხედავდა მის წინ, მშვიდს, ღიწკს, თვითდაჭერებულს, გამხნეებულს, არც ისე უცხოს, არც ისე სხვას, არც ისე სხვა შეხედულების, სხვა აზრის, სხვა გონების, მაგრამ მაინც სხვას, და უხაროდა ასეთი ცვლილება, უხაროდა, რომ ეს ცვლილება არ იყო მოულოდნელი, უცაბედი, თითქოს დიდი ხანი ემზადებოდა ამ ცვლილებისათვის. გრძნობდა, როგორ შემოდიოდა ის სხვა შალვა მის სხეულში და თვითონ უკან იხვევდა, საღდაც კჭრებოდა, უერთდებოდა სიერცეს, უჩინარდებოდა. და ეს არც ისე სწრაფად ხდებოდა. ხალხი ეი იცდიდა. იმ სხვა შალვას უცდიდა. დამფუძნებელი კრების წევრმა ევგენი ევანიამ, მთავრობის რწმუნებულმა აპოლონ ჩიჩუამ, სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარემ იროდიონ ჩხეტამ, თემის ერობის თავმჯდომარემ მიხა ქირიამ, სამხედრო ვალდებულებათა უფროსმა ვარლამ ხურციამ, კაპიტანმა ვახტანგ ლლონტმა, პოლკოვნიკმა სარდიონ ანჯაფთარიამ და ფერშალმა კალისტრატე ქვარცხავამ უკან დაიხიეს და ისინიც თანდათან კრებოდნენ, უერთდებოდნენ სიერცეს, უჩინარდებოდნენ, სიბნელეში ჩაინთქნენ. არც ხმა ესმოდა მათი... მოაჯირზე აუბო იდგა, ბეგლარ ბუკია იდგა, შამშე აქბარდია და ნაბღიანები იდგნენ. შალვას ეჩვენებოდა, რომ ისინი ყოველთვის მასთან იყვნენ, თვითონ მათთან ერთად იღვწოდა, მათი აზრისა იყო. უყურებდა ვარდენსა და ბეგლარს, ესმოდა ვარდენისა და ბეგლარის ხმა: „თქვენ რომელ გზას ირჩევდით, ბატონო შალვა?“ „ჩემს მოსვლამდე ლენინის დე-

კრეტს კითხულობდით. უცქეროდით ლენინის და ჟორდანის სურათს და მათ გზებს ერთმანეთს ადარებდით. „ჟორდანის გვარდიამ მიწიდან აყარა ისინი, ვისაც მიწა ეკუთვნის“. „თქვენც იღექით იმ მიწაზე მამანემთან ერთად, ხალხთან ერთად“. „კვებე მამას, დედას, მეზობლებსა და ნათესავებს ერეგებოდა მიწიდან. თქვენ იღექით იქ, იმ მიწაზე და უყურებდით ამ სურათს“. „იღექით და უყურებდით, შვილმა დედა როგორ გადათელა ცხენით“. „გულით თქვენ ხალხის მხარეზე იყავით. იცოდით, რომ მიწა ხალხის იყო და დღემდით ახლა აქ ჩვენ ორნი ვართ, ბატონო შალვა. თქვენ, ჩემი მასწავლებელი და მე, თქვენი მოწაფე. აგრეთვე ეს ორი ადამიანი. მოდით, ოთხ თვალს შორის ვილაპარაკოთ. ერთმა მათგანმა ბოლშევიკური პარტია შექმნა და თქვენ თანახმა ხართ ამ პარტიას მიემხროთ, თუ საქართველოს კომუნისტური პარტია კომინტერნის სექცია გახდება“. „მეშინ ამ მაგიდაზე მერე სურათს, მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარის სურათს არ უნდა პქონდეს ადგილი...“ „მეშამ და გლებმა ძალით უნდა აიღოს ძალაუფლება, ნებით არავენ დაუთმობს...“ „დღეს ლენინის რუსეთი მოდის ჩვენთან, ლენინის ძალა...“ ეს ვარდენის ხმა იყო. შალვა გარინდული იდგა და უსმენდა, ვარდენი იჭდა მის წინ და უყურებდა, იჭდა ისე, როგორც იქ, მის ოთახში. თუნუქის, ქაღალდის შექტარიანი ლამპის სხივი ანათებდა ვარდენის სახეს. მერე ბეგლარი დაუდგა წინ ჩიჩუბების ქალაში. შეესმა მისი ხმა: „მე და შენ ერთ პირზე ვერ დავდგებით. ერთ უღელში არა ვართ გაბმული...“ „ჩვენ ამ საქმეს ვერ გავექცევით, შალვა...“ გამოერკვა ფიჭრიდან. გადაიძრო პალტო და ბეგლარ ბუკიას გადასცა. ბეგლარი მაშინვე მიხვდა, რას იტყოდა მასწავლებელი.

ხალხი სულგანაბული იდგა.

მასწავლებელი კუბოსთან მივიდა. დაეცქერდა ხალხს, რომლის სამსახურს შესწირავდა მთელი ძალ-ღონე, თავისი გაუხა-

რელი ცხოვრება. ყველა მას უყურებდა, რას იტყოდა.

— არა, ხალხო, ვარდენს მტერი წამოუქმნა შეი არ არის, — დაიწყო შალვამ და იგრძნო, რომ ილაპარაკებდა მშვიდად, დალაგებით, იტყოდა იმას, რასაც ხალხი ელოდა მისგან, — ვარდენს ისევე უყვარს თავისი ქვეყანა, როგორც მე, როგორც თქვენ... ვარდენ ბუკიამ მიწის დეკრეტი ჩამოგიტანათ... იქ წერია, რომ მიწა თქვენია, ხალხისაა. ლენინის „გლებების შეერთებების პასუხი“ ჩამოგიტანათ.

— ლენინმა თავის გლებებს გასცეს პასუხი, — მისდა გასაოცრად პირველად დაარღვია დღემილი თემის ერობის თავმჯდომარემ მიხა ქირიამ.

მასწავლებელი სწრაფად მიბრუნდა ქირიასაკენ:

— ამხანაგო მიხა, ეს პასუხი ყველა გლების ტყვილის პასუხია.

— გვითხარი, შალვა, რასა გწერს გლებებს ის მამაცხონებული! — დაუძახა მასწავლებელს ზოსიმე ყორშიამ.

— ლენინი გწერთ ხელში აიღეთ ადგილობრივი ხელისუფლებათ. შემამულეების მიწები აღრიცხეთ, დაიციავით მათი ქონება, რადგან იგი ხალხის საკუთრება გახდება.

შალვამ იგრძნო ვიღაც თვალმოუშორებლად უყურებდა. დაინახა ბეგლარ ბუკია, იგი ქალაში არ იდგა ახლა, აივანზე იდგა ვარდენის გვერდით. უღიმოდა.

— მე მიწის დატაცების წინააღმდეგი ვიყავი... მე ვცდებოდი... მოხარული ვარ, რომ ვცდებოდი... ლენინი გწერთ, ძალით ჩამოართვით შემამულეებს მიწათ...

კოჩოიამ თავმომწონედ შეხედა ზოსიმეს:

— ხომ გითხარი, ბაბუ ზოსიმე, შალვა მასწავლებელი იმას იტყვის, რაც ხალხს უნდა-მეთქი. გახსოვს, რომ გითხარი, ლენინს ყველა გაჭირვებულს საქმე ენალელება-მეთქი.

— კი მითხარი, ბაბუ, მამაშენის შვილს ყველაფერი დაეჭერება.

— ლენინი გწერთ, მემამულეების მიწა — ეს თქვენი მიწააო, თქვენი ნაჭაფარი სხვას მიაქვსო, წაართვით მემამულეებს მიწა და დაინაწილეთ წესითა და კანონით. — უნებლიეთ ბეგლარისაკენ მიიხედა. არა, არ უგვრძენია უხერხულობა, მოწონებით შეხედა, — დეკრეტში წერია ეს წესი და კანონი. მას ლენინის მიწის დეკრეტი ჰქვია. ლენინი ჩვენი კაცია. მისი გამოგზავნილი ჯარი მოდის ჩვენთან. ეს ჯარი იმ ქვეყნის მუშებრსა და გლეხებისაგან შედგება, ვინც მიწა მიიღო უსასყიდლოდ, უფასოდ, თავისუფლება და თანასწორობა მოიპოვა. ას ორმოცდაათი მილიონი დესეტინა მიწა მიიღო...

მზის ყვითელი სხივი მთის ფერდობზე დაცურდა. საფლავებს გადაუარა. მწუხრი დაეშვა.

ნაბდინებმა სამარის ბორცვი მოასწორეს. წელში გაიმართნენ.

თავშიშველი იდგა ბეგლარ ბუკია, შამშე აქბარდია, ზოსიმე, ყორშია, კოჩოია ყორშია, ბახვა მებორნე, ჯვებე ბუაია, ზაქრო ბროლამე, რიჩარდ ბოლდუინი, ჯამბულატ ბესტაევი, მუნჯი გვარდიელი.

თავშიშველი იდგა ვარდენ ბუკია. მასაც ნაბადი ემოსა. ნაბადის მარჯვენა მხარი კარაბინის კონდახით ჰქონდა ამოწეული.

დაღამდა.

ვარდენი მარტო მიდიოდა თემშარაზე. სოფელში ჩამიჩუმი არ ისმოდა. ძაღლებიც კი არ ყფდნენ.

ოდებასა და სამზადებში აქა-იქ ბეუტაედა ლამპისა და ჭრანის შუქი.

ხარიტონ ხარებავას დუქანში, რომლის წინ დღედაღამ იდგა ეტლი, დილიჯანი თუ ურემი, არც პურის საჭმელად ჩამომხტარი მგზავრები ჩანდნენ, არც სოფლის მოსახლენი, დუქნის წინ რომ იკრიბებოდნენ შებინდებისას სამასლაათოდ და გვიან ღამემდე რჩებოდნენ. ახლა დუქანში მარტო უკანა ოთახი იყო განათებული.

ამ ოთახში ატარებდნენ დროს ჯაბა

კობახია, ანთიმოზ დგებია, სპირიდონ აფაქია, სოფრომ შუშანია და სხვნი მათნი ამფსონები. ისინი რომ ქეიფს დასწყვიდნენ, დუქნიდან ყველა გაიკრიფებოდა და აღარავინ შევიდოდა. იცოდნენ, მათი ქეიფი ისე არ დამთავრდებოდა, ან სატევარი არ დატრიალებულიყო, ან რევოლვერის ბათქაბუთქი არ ამტყდარიყო. ვარდენს გაახსენდა ზოსიმე ყორშიასაგან, გაგონილი ჯაბა კობახიას კაცებზე ნათქვამი ანდახა: ავალიანის სუფრაზე ასათიანი ცეკვავდაო. სხვისი ნაჭაფარით ცეკვავდნენ ჯაბას კაცები.

მათი ქეიფის დროს თუ გზაზე ვინმე, გაივლიდა, ძალად შეიყვანდნენ დუქანში, ძალად დააღვეინებდნენ ხარიტონ ხარებავას ორლიტრიან ყანწს, კაი დედის შვილი იყო, არ დაელია, გულზე რევოლვერს დაადებდნენ, ჯაბა გადარეულის რევოლვერს. მერე ორლიტრიანის ნაყლურწარს, კინწმომწვეტილს დასცინოდნენ, მასხარად იგდებდნენ, რას არ უშვებოდნენ. თავზე ბოთლს ან ჭიქას დაადგამდნენ და ბოთლსა თუ ჭიქას მიზანში ტყვიას ესროდნენ. უნდა გენახათ, რა დღეში იყვნენ ის უბედურები: მთვრალის დამიზნებელი რევოლვერის წინ მდგარნი, სიკვდილის წინ მდგარნი. ზოგს გული მისდიოდა, ზოგი იმუქრებოდა, მაგრამ ტყვიის პირდაპირ მდგარი კაცის მუქარა სსასაცილოდ არ ჰყოფნიდათ ჯაბასა და მის ამფსონებს.

მეეტლეებსა და მედილიყნებს ცხენებს გამოუხსნიდნენ, ზედ მგზავრებს შესვამდნენ და იმ ცხენებს უკანალზე არაყს შეასხამდნენ. თქვენს მტერს იმ არაყის სიმაგრე. ხარიტონ ხარებავას არაყი მთელ მაზრში იყო ცნობილი. არაყი კი არა, სპირტიოო, ამბობდნენ. ეს სპირტი ცეცხლად მოეკიდებოდა ცხენებს. გაგიყებულები კისრისტეხით გაენტებოდნენ, უკანა ტორებს ზევით ყრიდნენ, სიმწარით დაბრმავებულები უჯზო-უკვლოდ მიგელავდნენ. ზოგი ღობეს აწყდებოდა, ზოგი — ზეს, ზოგი თხრილში იჩენებოდა. შავდებოდა ცხენი და კაცი.

შეშინებული მეეტლეები, მედილიყნები, მგზავრები ხმას არ იღებდნენ. გან-

ძრევას ვერ ბედავდნენ. იდგნენ დაბრძოლებულნი, ახუჩად აგდებულნი, უმწეოდ შეპყურებდნენ გონებადაკარგულ მოქიფეებს, სიცილ-ხარბოცით რომ იფხრიწებოდნენ.

რომელიმე მოქიფეს სხვისი სიცილი რომ არ მოეწონებოდა ან თუ ის სხვა მარჯვედ ვერ შეასხამდა ხარბონ ხარებავას სპირტივით მაგარ არაყს ცხენს, თვითონ შეასხმდა იმ სხვას იმ ადგილზე და ახლა ერთმანეთს დაერეოდნენ.

ხარბონ ხარებავა იდგა აივანზე მშვიდი, უშფოთველი. არც როყით ტყვიის ერიდებოდა. სტვენა-წივილი რომ გაუდიოდა ყურებთან, არც სატყვარის პრკიალ-პრიალი აშინებდა, იდგა უვნებელი და უღრბელი, ყურსაც არ აპარტყუნებდა. უცდიდა, როდის დამთავრდებოდა ეს სერი. მერე იმ ჰკუა დაბერტყილებს დანახარჯს ერთიორად ახლავინებდა. ანგარიშის შემოწმებას ვერავე უბედავდა: ხარბონ ხარებავა სიგიჟით იმ თავზეხელაღებულებსაც ტოლს არ უღებდა. ეშმაკისათვის აქვს სული მიბარებულიო, ამბობდნენ მეღუქნეზე. თვით ჯაბა კობახიასაც კი მისგან შიშის ქარი ჰქონდა ჩამდგარი.

ასე მიჩუმებული არ ენახა ვარდენს ხარბონ ხარებავას ღუქანი. ყოველ ჯარობას ან თემში რაიმე დღესასწაულის შემდეგ ჯაბა და მისი კაცები აქ მოვიდოდნენ ქეიფის გასაგრძელებლად. „დაფრთხნენ, აღსასრულის დღე დაუღვათ“. გაიფიქრა ვარდენმა. რამდენი აყალმაყალი უნახავს აქ. მთელი თემი აწიოკებული ჰყავდათ ამ ლოთშფოთებს.

ვარდენმა ღუქანს ჩაუარა.

უცებ შუკიდან ვილაცამ გამოირბინა, დაფეთებული შედგა თემშარაზე, მიმოიხედა და, ვარდენი მარტო მომავალი რომ დაინახა, მისკენ გაიქცა. ვარდენმა მაშინვე იცნო. მეოთხე დღეა ჩამოვიდა ვარდენი და არ მისულა მასთან.

— ეკა, შენა ხარ?! — მიაგება სიტყვა ვახარებულმა.

— ვერ მიცანი ვარდენ? — ჰკითხა

ეკამ წინანდელი, შეუცვლელი, წერია-ლა ხმით.

— ათი წელი არ მინახავს, ეკა! — გაოცდა ვარდენი.

— დაგავიწყდი, ვარდენ?

— არა, ეკა — თურმე მთლად არ ჰქრება სიჰაბუკე, გაიფიქრა ვარდენმა.

— არ გახსოვდი, ვარდენ?

— მახსოვდი, ეკა.

— გახსოვდი და ერთი ბარათი არ მაღირსე.

— არ გათხოვილხარ, ეკა?

— არა გრცხენია, ვარდენ?!

— მაპატიე, ეკა! ათი წელი ათი დღე არ არის.

— ათი დღე არ არის, ვარდენ. მაღლობა ღმერთს, მშვიდობით დაბრუნდი, ვარდენ.

— მიცდიდი, ეკა?

— გიცდიდი, ვარდენ. რომ იცოდე, როგორ გიცდიდი ვარდენ.

— თავი ასწიე, შემომხედე, დაგინახო, ეკა.

— როგორ გამხდარხარ, ვარდენ.

— გაუხდი, ეკა.

— ათი წელი სულ ომში იყავი, ვარდენ?

— სად არ ვიყავი, ეკა.

— მაღლობა ღმერთს, მშვიდობით დაბრუნდი, ვარდენ.

— რა არ გადამხდა, ეკა.

— მაღლობა ღმერთს, მშვიდობით დაბრუნდი, ვარდენ.

— არა მჯერა, რომ სული ჩამომყვა, ეკა.

— და მაინც გახსოვდი?

— ყოველთვის მახსოვდი, ეკა.

— ერთი ბარათი არ მაღირსე, ვარდენ.

— ყოველთვის მახსოვდი, ეკა.

— ერთი ბარათი არ მაღირსე, ვარდენ.

— ტირილზე რატომ არ მოდი, ეკა?


— შინ ვტიროდი, ვარდენ.

— ვის სტიროდი, ეკა?

— ჩემს თავს, ვარდენ.

— რა გქორდა სატირალი, ეკა?!

— მეგონა, დაგავიწყდი და ამიტომ არ მოხვედი ჩემთან.



— ვერ მოვიცალე, ეკა.  
 — ათი წელი ვერ მოვიცალე?!  
 — ვერ მოვიცალე, ეკა.  
 — ჩემთვის ვერ მოვიცალე და იმ რუსისათვის მოვიცალე!  
 — ის რუსი ვერ მოვიცდიდა, ეკა.  
 — მართალია, ვერ მოვიცდილა, ვარდენ.  
 — ვერ მოვიცდიდა, ეკა.  
 — უბედური ბიჭი, სადაური სად დაიბარბა.  
 — აღამიანის ბედი საოცარია, ეკა.  
 — საოცარია, ვარდენ.  
 — მაშ მელოდი, ეკა?  
 — ინდასა და ჩემს მეტს არავის სჯეროდა შენი დაბრუნება, ვარდენ.  
 — აღამიანის ბედი საოცარია, ეკა.  
 — აქ ვინმე დაგვინახავს, ვარდენ.  
 — დაგვინახოს, ეკა.  
 — სირცხვილია, ვარდენ.  
 — ჩიჩუების მალნარი თუ გახსოვს, ეკა?  
 — რა დამაეწიყებს იმ მალნარს, ვარდენ.  
 — ის მუხნარი თუ გახსოვს, ეკა?  
 — ყოველი ძირი, ვარდენ.  
 — ერთმანეთს ვემალებოდით, ეკა.  
 — ერთმანეთს ვპოულობდით, ვარდენ.  
 — შენ პირველი მპოულობდი, ეკა.  
 — რამდენს ვიციოდით, ვარდენ.  
 — შენი სიცილი იქაც მუდამ ყურში მედგა, ეკა.  
 — ერთი ბარათი მაინც არ მაღირსე, ვარდენ.  
 — შენი სიცილი ვაშას ძახილში, კვნესაში, ყვირილშიც ყურში მედგა, ეკა.  
 — ერთი ბარათი მაინც არ მაღირსე, ვარდენ.  
 — შენ პირველი მპოულობდი, ეკა.  
 — მერე ათი წელი ველარ გპოულობდი, ვარდენ.  
 — შენი სიცილი იქაც ყურში მედგა, ეკა.  
 — რამდენს ვტიროდი, ვარდენ.  
 — აწი აღარ იტირებ, ეკა.  
 — მივდიოდი იმ მუხნარში, ვარდენ.  
 — ვიჭეჭი, ვიჭეჭი იმ მუხის ძირას, ვარ-

დენ. მერე წამოვხტებოდი და დაგვამლებოდი, მაგრამ შენ ვერ მოვიცდიდი.  
 — მე იქ რომ არ ვიყავი, ვარდენ, ვარდენ, ეკა!  
 — ჩემთვის იქ იყავი, ვარდენ.  
 — ეკა!  
 — ჩემთვის ყოველთვის იქ იყავი, ვარდენ.  
 — ეკა!  
 — ომი მართლა დაიწყო, ვარდენ?  
 — დაიწყო, ეკა.  
 — ისევე წახვალ ჯარში, ვარდენ?  
 — ახლა ჩემთვის ჯარი აქ იქნება, ეკა.  
 — სად აქ, ვარდენ?!  
 — ჩემს მიწაზე.  
 — შენს მიწაზე?!  
 — ჩვენს მიწაზე, ეკა.  
 — არ მესმის, ვარდენ.  
 — ამ დღისათვის ვიღწვოდი ათი წელი, ეკა.  
 — არ მესმის, ვარდენ.  
 — რომ მიწა ქონოდა მამაშენს — ნესტორს, მამაჩემს — ბეგლარს, ივანეს, ბახვას, ავქსენტის, პეტრეს, გახუს, ზოსიმეს, ყველა მეზობელს, მთელ თემს, მთელ გლეხობას.  
 — მთელ გლეხობას?!  
 — ყველა უმიწოსა და ღარიბს.  
 — მართლა იმ ვიღაც ლენინმა გამოგაგზავნა, ვარდენ?  
 — ლენინმა, ეკა.  
 — ის დაჯდა ხელმწიფის ადგილზე?  
 — ხელმწიფის ადგილზე არა, ეკა.  
 — აბა ვის ადგილზე, ვარდენ?  
 — მუშებმა და გლეხებმა იმ ადგილზე დასვეს, სადაც ხალხს უნდოდა.  
 — ვინ არის ასეთი ლენინი, ვარდენ?  
 — სიმართლის კაცი. მუშისა და გლეხის გამკითხავი, ეკა.  
 — რატომ ჩვენ არა გვყავს მუშისა და გლეხის გამკითხავი, ვარდენ?  
 — იმიტომ დაიწყო ომი, რომ ჩვენც გვყავდეს, ეკა.  
 — აღარ წახვიდე ომში, ვარდენ!  
 — მე ომი აქ მექნება, ეკა. შენთვის ერთხანს კიდევ ვერ მოვიცილი, ეკა.  
 — მე კიდევ დაგიციდი, ვარდენ.  
 — უნდა დამიციადო, ეკა.

— დაგიცილი ვარდენ..

ჰერზე ჩამოკიდებული ლამაზ მუქ-წვენივან ანათებდა ევგენი ევანიას ფერ-წასულ სახეს. დამფუძნებელი კრების წევრი თემის ერობის თავმჯდომარის წავიდას უჭდა, ისევ სასოწარკვეთილი, იმედგადაწყვეტილი.

მაგიდაზე ერთმანეთში არეული, ფრონტის ცნობების სათაურებით აპრელე-ბული სხვადასხვა გაზეთები და სპეცი-ალური ბიულეტენები ეყარა: „გაგრის მიმართულებით მტრის შეტევა შეჩერებულია“, „მტრის ცდა, რომ მოახლო-ვებოდა ჩვენს მოწინავე პოზიციას და-რიალთან, მოგერიებულ იქნა“, „ჩვენი ჯარები ვორონცოვის სამხრეთით და სა-დაბლოს სამხრეთით ეწევიან ბრძო-ლას“...

— გვიტყვენ დასავლეთიდან, აღმოსავ-ლეთიდან, ჩრდილოეთიდან, — ფიქ-რობდა ნალვლიანად დამფუძნებელი კრების წევრი და თვალს ვერ აშორებდა გაზეთის სათაურებს. სათვალეს ნერვი-ულად აკაუნებდა მაგიდაზე-სათაურები თითქოს მის ჯიბრზე უახლოვდებოდა, იზრდებოდა: „მიმართვა ინტერნაციო-ნალს და სოციალისტურ პარტიებს“, „რუსი ბოლშევიკები. ცდილობენ სოცი-ალისტურ საქართველოს გასარესას“, „დაუყოვნებლივ მოვახდინოთ პარტიის წევრთა მობილიზაცია, ვისაც კი იარა-ღის ტარება შეუძლია“...

— ვისაც კი იარაღის ტარება შეუძ-ლია, — წაიკითხა ხმამაღლა ევგენი ევა-ნიამ და ოთახში თავმოყრილთ შეხედა. — რაღა საჭიროა! — თქვა გაბზარული ხმით. — გვიანაა, ყველაფერი გათავე-ბულია. დამარცხდა საქართველო...

— კაცო, საქართველო კი არა, — წა-მოიყვირა ყველასათვის მოულოდნელად ექვთიმე ყალიჩავამ და სახეზე ბაღდა-დის ცხვირსაბოცი ჩამოისევა, ჩამოიწ-მინდა ოფლის ღვარი, — თქვენი პარ-ტია, თქვენი მთავრობა დამარცხდა!

აპოლონ ჩიჩუამ, იროდიონ ჩხეტიათ, მიხა ქირიამ და თემის ერობის წევრებმა, რომლებიც სხვებზე არანალებ იმედგა-

დაწყვეტილი და შეშფოთებული შეკუ-რებდნენ ევგენი ევანიას კრებულს გადახედეს, მაგრამ არაფერი უთქვამთ; არაფრით გამოუხატავთ უკმაყოფილება და შეშფოთება. მხოლოდ კალისტრატე ქვარცხავა ზამპარასავით ახტა და ბულ-დოგის ჯიშის ძაღლისთავიანი ჯოხი მ-ქარით აიქნია, წაიგრძელა ჭიკაძე კისე-რი, გაბამებულ საყელოში რომ უყან-ყალებდა.

— რაო, რა თქვი! — უყვირა მწივანა ხმით ფოსტის გამგეს.

— დაბრძანდით! — უთხრა მკაცრად დამფუძნებელი კრების წევრმა. — მარ-თალი ბრძანა ამხანაგმა...

არც გვარი იცოდა ფოსტის გამგისა, არც სახელი.

— ექვთიმე გახლავართ, ბატონო, ყა-ლიჩავა, აქაური ფოსტის გამგე, — თა-ვად შეეშველა ექვთიმე.

— დიხ, ამხანაგმა ექვთიმე ყალიჩა-ვამ, — განაგრძო ევგენი ევანიამ. — რო-მელ პარტიას ეკუთვნით? — ჰკითხა ფო-სტის გამგეს.

— ეროვნულ-დემოკრატიულს.

ევგენი ევანია შეიკუმუნა:

— კარგად ბრძანა ეროვნულ-დემოკ-რატმა. ჩვენ დავმარცხდით. ჩვენი პარ-ტია, ჩვენი მთავრობა დამარცხდა. საქა-რთველო არა, ერი არა ხალხი არა! — იილო გაზეთი „ერთობა“, წაიკითხა ერთ-ერთი სათაური: „მუხანათი მტრის-გან თბილისის დაცვის დროს დაღუპულ-გმირთა დასაფლავება საშხდრო ტაძ-რისგალავანში“. გესმით, ამხანაგებო! შე-ასე დაეწერდი ამას: „ჩვენი სოციალ-სოციალი პარტიის დასაფლავება“. გვა-ჯობეს, ამხანაგებო, ბოლშევიკებმა...

— არამც და არამც, — იყვირა ისევ ფერშალმა. არ დამჯდარა, ბუღდოგის ჯიშის ძაღლისთავიან ჯოხს კრავზე ირ-ტყამდა. — დემოკრატიის დამარცხება არ გაგონილა! — მაგიდაზე უცერემო-ნიოდ დააგლო ჯოხი და გაზეთი აიტაცა. — აი, რას წერს ჩვენი სასიქადულო ბე-ლადი ნოე ყორდანია, ხალხის მამა. მე იგი უურმძიმე თავმჯდომარედ მიმანდა. ვცდებოდი მეგობრებო. შემინდოს

უფალმა! ამ ძვირ მისტორიულ ეპოსს. ქართველი ხალხი გამსჭვალულია მხოლოდ ერთი მისწრაფებით — დამოუკიდებლობა ან სიკვდილი, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ ბრძოლაში ყველა კულტურულ ხალხთა თანაგრძნობა ჩვენს მხარეზეა.

— თანაგრძნობა! — მწარე ღიმილით შეერხა ტუჩები ევგენი ევანიას.

— მთელი ქვეყნის წინაშე ვაცხადებთ, რომ ქართველ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ბრძოლა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე თავისი სამშობლოს უსაშინლეს მტერთან, — დაამთავრა კითხვა კალისტრატემ და ყველას სათითაოდ დააკერდა. — უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, გესმით, ამხანაგებო! — გაიმეორა დამფუძნებელი კრების წევრის კილოზე და ისევ განაგრძო გაზეთის კითხვა, — ჩვენი მდგომარეობა თბილისის დაცვის საქმეში მკვეთრად შეიცვალა. მტრის შემოტევა შეჩერებულია. მტრმა უკან დახევა დაიწყო. გესმით, ამხანაგებო! — თქვა იმავე კილოზე და დამფუძნებელი კრების წევრს მიუბრუნდა, — თქვენ კი ამბობთ ყველაფერი გათავებულიაო. ღმერთმა დაგვიფაროს! — ისევ აუწყია ხმას, ისევ წაიგრძელა ქიაცელა კისერი, განამებულ საყელოში რომ უყანყალებდა საყელო ყბებზე აწებობდა და ამის გამო თავი მალა ეჭირა, რაც მის ისედაც მედიდურ სახეს, უფრო მეტ მედიდურობას მატებდა. — ერთხელ თბილისი პარიზს შევადარე. პარიზი!.. აღფრთოვანებით ვიგონებ იქ გატარებულ დღეებს...

დამფუძნებელი კრების წევრი გაკვირვებით უყურებდა ფერშალს.

— პარიზი, ომუნარების ქალაქი, — აღმაფრენით განაგრძობდა ფერშალი და ფეხის წვერებზე თანდათან მალა იწევიდა. — ფრანგები.. ყველაზე თავისუფლებისმოყვარე ხალხი, თვითონ დაუმორჩილებელი და სხვისი მომხმარებელი და მოსარჩლე. ახლა შავ ზღვაზე მდგარი საფრანგეთის ესკადრა გვერდში ამოუდგა ჩვენს ხალხს, ზარბაზნებს უშენს ბოლშევიკთა ჯარებს. აი, ვინ არიან, ბა-

ტონებო, ფრანგები! ქართველი და ფრანგი ხალხი გაქრილი ვაშლივით მტკიცედ ერთმანეთს. — გაზეთი მეორე გვერდზე გადაშალა: — ჟორდანია თბილისს ვერდენს უწოდებს, — გაზეთი დაავლო. — თბილისი ღირსია ორივე სახელის — პარიზისა და ვერდენისა. ვლელავ, ბატონებო. ლაპარაკი მიმძიმს. ჟორდანის სიტყვას ეუმატებ: თბილისი ორმაგად ვერდენია, აუღებელია. — აკლავ აიტაცა გაზეთი—აი, კიდევ ერთი ცნობა: „თბილისის მისადგომებთან დამარცხებული მტერი უკან იხევს, წამოყვანილია ტყვეები“...

— ცნობა! — მწარედ გაეცინა დამფუძნებელი კრების წევრს. — ჩვენი მდგომარეობის შეცვლა ახლა არავითარ ცნობას, არავითარ განგებას არ ძალუძს. ამხანაგო...

არც ფერშლის სახელი და გვარი იცოდა ევგენი ევანიამ. ისევ ექვთიმე შეეშვლა:

— კალისტრატე ქვარცხავა, ბატონო, ჩვენი ფერშალი.

— ექიმი! — გაუსწორა ფერშალმა და ზიზღითა და მუქარით გადახდა ფოსტის გამგეს.

— თავს ნუ იტყუებთ, ამხანაგო კალისტრატე. ლამაზ სიტყვებს რომ შეეძლოს ჩვენი ხსნა, საამისოდ მარტო ერთი კარლო ჩხეიძე იკმარებდა.

ამ შენიშვნამ გულზე უკბინა ფერშალს:

— დღეს თქვენ თვითონ აღინეთ ლამაზი სიტყვების კორიანტელი აივანზე და ჩემი ვიკვით?

— შერე რა გამოვიდა ამით? — მიუგო ევგენი ევანიამ. — ნუთუ ვერ დაინახეთ ჩემი მარცხი, ნუთუ ვერ დაინახეთ, რა ძალა იქონია მასწავლებლის ორმა უბრალო სიტყვამ!

— თქვენ გინდათ ბედის ანაბარა დეტოვით სამშობლო!

— სამშობლოს არავინ გვართმევს. როგორც წელან გითხარით, — შეხედა დამფუძნებელი კრების წევრმა ოთახში მყოფთ, — ჩვენ დამარცხდით, ჩვენი პარტია, ჩვენი მთავრობა დამარცხდა,

საქართველო არა, ერი არა, ხალხი არა!  
— გაიმეორა ისევ ევანიამ.

— განა ჩვენთვის ერთი და იგივე არ არის სამშობლო და პარტია, ხალხი და მთავრობა?

— არა, არ არის. მთავრობა იცვლება, პარტია შეიძლება დამარცხდეს, სამშობლო და ხალხი არ იცვლება.

— ჩვენ უნდა ვიხსნათ ჩვენი დიდი კულტურა, — სხვა ვერაფერი მიუვო ფერშალმა.

— კულტურას რავენ გვართმევს. არც შეიძლება კულტურის წართმევა.

— ჩვენ ჯერ კიდევ კარგად არ ვიცით, რითი ემუქრებიან ჩვენ ქვეყანას ბოლშევიკები, რა უბედურება მოაქვთ ხალხისათვის.

— ხალხმა იცის, — მიუვო ცივად ევგენი ევანიამ. — ეს ნათლად დაადასტურა დღევანდელმა დემონსტრაციამ...

— ის ნაბდიანები, ის ქირიანი გლეხები ხალხი არ არის...

— როგორ კადრულობთ! — გაწყრა დამფუძნებელი კრების წერი.

— უნდა გადავარწმუნოთ ხალხი, — სიტყვა ჩაუტოო აპოლონ ჩიჩუამ, რათა გაეზავებინა დამფუძნებელი კრების წევრი და ფერშალი.

— თქვენ დღეს შეეცადეთ მოგიტყუებინათ ხალხი, — ჩაუჭრა სიტყვა ევგენი ევანიამ მთავრობის რწმუნებულს, — ხალხის მოტყუება ადვილი არ არის. ხალხს ვერ მოატყუებ, ვერ გადაარწმუნებ. როგორც მასწავლებელმა ბრძანა, უფრო ადრე უნდა გაგვეხილა თვალი. მწარედ შევცდით, დავიგვიანეთ. ჩვენი ჯარისკაცები მტრის მხარეზე გადადიან. მხოლოდ იუნკრები იბრძვიან თავგამოდებით...

— მთლად ასე არ არის საქმე წამხდარი, — წამოდგა ტყუილში დაჭერილი მთავრობის რწმუნებული, აიღო გაზეთი, — აი, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის კარლო ჩხეიძის დეკლარაცია რესპუბლიკის ჯარების მთავარსარდლის, გენერალ კვინიტაძის სახელზე: „დამფუძნებელი კრება აღფრთოვანებით მოგესალ-

მებათ თქვენ და თქვენი ხელმძღვანელებით მოქმედ ჯარსა და გვერდობს წინააღმდეგობა თაგვანწირულთა გამარჯვებამდე“ ბრძოლით იხსნეს სამშობლო მტრის გამხეცებულ ბრბოთა თავდასხმისაგან. ქართველი ჯარის ბრწყინვალე გამარჯვება წითელ ჯარზე ოქროს ასოებით ჩაიწერება საქართველოს ისტორიაში და ამბები ამ გამარჯვებისა გადაეცემა მომავალ თაობას როგორც საზღაპრო მოთხრობა ქართველ მებრძოლთა თავდადებისა. — დადო გაზეთი. — გულს ნუ გაიტვით, ბატონო ევგენი, ისე არა წვიმს, როგორც ქუბს. მოდიეთ, მოვიკრიბოთ სულიერი მხნეობა და ვამედულად შევხედოთ მომავალს.

— კეთილი, შევხედოთ. მერე?

— გავიხსენოთ ჩვენი დიდი წინაპრები.

— უკვე გავიხსენეთ დღეს იქ, ხალხთან.

— განვიმტკიცოთ გამარჯვების რწმენა.

— ვთქვათ, განვიმტკიცოთ.

— დავიჯეროთ, რომ ჩვენს მიზანს ვერა ვიღვერდებ.

— ეს ძალა უკვე აღგვიდგა.

— არ არსებობს ძალა, რომლის დაძლევა არ შეიძლებოდეს.

— ეს ისეთივე ლამაზი და გაცვეთილი სიტყვებია, ფერშალმა რომ ბრძანა.

— ექიმმა! — გაუსწორა ფერშალმა.

— ეს ლამაზი სიტყვები კი არა, რწმენაა, — უთხრა მთავრობის რწმუნებულმა, — რწმენას დიდი ძალა აქვს, ბატონო ევგენი.

— იმარჯვებს ძალა და არა რწმენა.

გაიღო კარი და ოთახში ჯაბა კობახიძე შემოვიდა. ნასვამი იყო, მაგრამ თავშეკავებული და შეწუხებული. ყველა მას მიანერდა. კობახიამ ქუდი მოიხადა.

— ბატონებო, ეს-ესაა კაპიტან ვახტანგ ღლონტის ესკადრონი გაგროს ფრონტზე გაეშურა. კაპიტანმა მთხოვა ვადმოკცეთ, რომ ფრონტი გარღვეულია და მტერი გამალეობით მოიწევს სოხუმისაკენ.

ყველამ, ევგენი ევანიამა და მიხა ქირიას გარდა, შეძრწუნებით გადახედა

ერთმანეთს. აპოლონ ჩიჩუამ თეთრი ხელთათმანი გაიკეთა. სახეზე ხელთათმანის ფერი დაედო:

— კი მაგრამ, ჩვენ ვის ამბობ დაგეტოვებ?

— ცისა და ქვეყნის ამბობა, — მშვიდად მიუგო ევგენი ქვანიამ, — და კიდევ „რწმენის“ ამბობა, ბატონო აპოლონ.

— თქვენ, მემარცხენე სოციალ-დემოკრატები, ბევრად არ განსხვავდებით ბოლშევიკებისაგან, — ვერ დაფარა აღმოფხვრება მთავრობის რწმუნებულმა.

— სამწუხაროდ, ბევრად განსხვავდებით, — თქვა ნალელიანად ევგენი ქვანიამ.

— და ახლა ნანობთ?!

— გვიანაა სინანული. არის ისეთი შეცდომები, რომელიც შეწუხარებას არ იშახებრებს.

— ნუ გეშინიათ, ღმერთი მოწყალეა.

— თქვენ ამბობთ, ღმერთი მოწყალეა...

— ღმერთი სიმატლეს იცავს და ძალადობას თრგუნავს.

— საიდან გაქვთ ასეთი ცნობები, ბატონო აპოლონ?!

მთავრობის რწმუნებული იმდენად აღელვებული იყო, პასუხი ვერ გასცა. ქული დაიხურა. ეჩქარებოდა, უნდა გაესწრო თემიდან.

— ბატონო მიხა, სად არის ჩემი ეტლი?

— თქვენი ეტლის ცხენები ისეა დავარდნილი, მხოლოდ ხარიტონ ხარებავას არაყი თუ ააღგვევინებს ფეხს, — მიუგო ჯაბა კობახიამ, რომელსაც ღვიწი თანდათან ეკიდებოდა.

— რა ბრძანებთ?!

— არ გაგიგონიათ ხარიტონ ხარებავას არაყის ამბავი?

— არაყის? — გაოცდა მთავრობის რწმუნებული — ისიც ვილაც ხარიტონ ხარებავასი! — ზიზღით მოექცა ტუჩები, — რეებს მიბედავთ?!

— რაო, მიბედავთო? — უცებ ღვიწი თავში აუვარდა კობახიას, რევოლვერზე გაივლო ხელი.

ყველანი წამოიშალნენ. ყველაზე უწინ

ჩალასავით გამოფიტული, ბუმბულივით მსუბუქი ფერშალი კალისტრატე ქვანიამ ცხავა ახტა ზამბარასავით, ვერდიცკისა და ჯიშის ძაღლისთავიანი ჯოხი მოიჭინა და ყველას გასაოცრად მთელი ძალით ჩასცხო ჯაბა კობახიას უხარმახარ მელოტ თავში. დევკაცმა თვალები თეთრად გადაატრიალა, შეტორტმანდა და ჩაიკეცა. ერთხანს იჯდა და ირწეოდა. ხელი ისევ რევოლვერის კონდახზე ედო. ოთახში მყოფთ ეგონათ, აი, ახლა დაიძრობს რევოლვერსო და შეშინებულები თვალს არ ამორებდნენ, განძრევას ვერ ბედავდნენ. ფერშალმა მეორედ მოიჭინა ჯოხი, მაგრამ ფოსტის გამგე სწვდა ხელში: — არ არის საჭირო, გათავებულია კაცი.

ამის თქმა და ჯაბა კობახიას გვერდზე გადაწოლა ერთი იყო. სახეზე სისხლი ჩამოეღვარა. რევოლვერიდან ხელი ჩამოუვარდა. ფერშალი მივიდა, რევოლვერი ააცალა, გამომწვევად მიმოიხედა და ჯიბეში ჩაიღო.

— დაისვენეს ეტლებისა და დილიცნების ცხენებმა, — თქვა მიხა ქირიამ, — ველარ შეასხამს ცხენებს ხარიტონ ხარებავას სპირტივით მაგარ არაყს.

— ისევ ხარიტონ ხარებავა, ისევ არაყი! არაფერი მესმის! წამოიძახა განარისხებულმა აპოლონმა.

— გაწამებული ჰყავდა, ბატონო აპოლონ, ცხენები.

— ცხენები! — იყვირა აპოლონმა.

— უკანალში ასხამდა ცეცხლივით არაყს იმ უბედურებს.

— ჩვენზე უბედური არაყიანა ახლა ამქვეყნად და თქვენ კი ცხენებზე და უკანალზე წუხხართ!

— ცხენი ყველაზე უწყინარი ცხოველია, ბატონო აპოლონ, — მიხა ქირიამ, პაპიროსის ბოლის პატარა ლამაზი რგოლები მალლა აუშვა და თვალი ააყოლა.

ფანჯრის წინ აივანზე ნაბღიანებმა გაიარეს. კიბე მარცხენა მხარეზე ჰქონდა მიღგმული შენობას, ერობის თავმჯდომარის ოთახი კი მარჯვნივ იყო. ნაბღიანები ამ ოთახისაკენ მოდიოდნენ. დამფუძნებელი კრების წევრმა პირველმა



დაინახა ისინი. „ჩვენთან მოდიან“, — ამის გაფიქრებულა მოასწრო, რომ კარი გაიღო და ოთახში ვარდენ ბუკია შემოვიდა. შემოჰყვია შამშე აქბარდია, ესტატი ნაჰყებია და სამი ნაბდიანი. სხვა ნაბდიანები აივანზე ფანჯარასთან იდგნენ.

ვარდენმა ჯერ ჯაბა კობახიას დახედა, მერე ოთახში მყოფთ შეავლო თვალი:

— ბატონებო, ვთხოვთ, ოთახი დატოვოთ!

— როგორ გვიბედავ?- აენტო მთავრობის რწმუნებული.

— გაიტანეთ ცხედარი და გაბრძანდით!

შემოვიდნენ სხვა ნაბდიანებიც და გარს შემოერტყნენ დამფუნებელი კრების წევრს, მთავრობის რწმუნებულს და სხვებს.

სოფელს ეძინა.

ინდა სარკმლის რაფაზე იჯდა. ქვევით ჯვებე იდგა წვიმა აღარ ეცემოდა სახეზე, საყელი აღარ ჰქონდა გაღვლილი, აღარ ჩასდიოდა წვიმის წყალი.

— გვარდიას არ გაჰყვია, ჯვებე?

— არა, ინდა.

— შენი მეგობრები?

— ისინი ტყვიას არ ესვრიან რუს ქარისკაცს, ინდა.

— საწყალი იური.

— ძმასავით მიყვარდა იური.

— თითქოს მეც ძმა დავაარგო, ჯვებე.

— შეგილივით დაიტირა სოფელმა.

— საწყალი იური.

— ნეტა, მე მოვეყალი იმ ტყვიას, ინდა.

— ვიშო, არ თქვა ჯვებე.

— ნეტა, შე მოვეყალი, იმ ტყვიას ინდა.

— შენი გვარდია სად წავიდა, ჯვებე?

— გვარის ფრონტზე, ინდა.

— შენ რას აპირებ, ჯვებე?

— რასაც ვარდენი, ინდა.

— შენ რომ გვარდიელი ხარ, ჯვებე?

— მე ხალხის ჯარისკაცი ვარ, ინდა.

— ბაბა შეგირიგდა, ჯვებე?

— შემირიგდება, ინდა.

— ჯვებე.

— რა იყო, ინდა. ეროვნული

— მანდ რასა დგახბრჯვებე შეიქმნა

— აბა, რა ვქნა, ინდა.

— რა ვიცი, ჯვებე.

— აბა, რა ვქნა, ინდა?

— ბაბას სძინავს, ჯვებე.

— ინდა.

— ღელას სძინავს, ჯვებე.

— ამოვიდე, ინდა?

— რა ვიცი, ჯვებე.

— ამოვალ, ინდა.

— პერანგისამარა ვარ, ჯვებე.

— თვალს დაეხუტავ, ინდა.

— ხელი რომ მომიკლო, ჯვებე!

— ხელს ზურგზე დაეწყო, ინდა.

— თვალი რომ გაახილო, ჯვებე!

— მაშინ თვალი დამიდგეს, ინდა.

— ხელი რომ მომიკლო, ჯვებე!

— მაშინ ხელი გამიხმეს, ინდა.

— თვალი რომ გაახილო, ჯვებე!

— უკეთესს რას დავინახავ, ინდა!

— მაშ, ნუ ამოხვალ, ჯვებე.

— რატომ, ინდა?

— რა ვიცი, ჯვებე.

— ამოვალ, ინდა.

— არა, არა, ჯვებე.

— აბა, რა ვქნა, ინდა?

— რა ვიცი, ჯვებე.

— აბა, რა ვქნა, ინდა?

— ბაბამ რომ გაიგოს, ჯვებე?

— აბა, რა ვქნა, ინდა?

— ღელამ რომ გაიგოს, ჯვებე?

— აბა, რა ვქნა, ინდა?

— ამოდი, ჯვებე.

— ამოვალ, ინდა.

— ოღონდ არ შემომხედო, ჯვებე!

— არ შემოგხედავ, ინდა.

— ოღონდ ხელი არ მომიკლო, ჯვებე!

— არ მოგკიდებ, ინდა.

ისევ სკდებოდა კვირტები ხეებზე, ისევ ყივყივებდნენ ჩიტები ხეებზე. ტოტებში გახლართული მზის სხივები ხეივანში ეცემოდა, შუქრდილით ქარგავდა მიწას.

კოლონადიანი თეთრი სახლიდან გამოსული ლენინი ბაღში დასეირნობდა

უქედოდ, პალტოწამოსხმული გვერდით ვარდენ ბუკია მიჰყვებოდა. სამოქალაქო ტანისამოსი ეცვა.

— წელს ჩვენთანაც აღრე დადგა გაზაფხული, — უთხრა ლენინმა ვარდენს. ახელა ხეებს, დაბერილ, გახურებულ კვირტებს, ბარტყებივით რომ აღებდნენ პირს. გაუღიმა ჩიტებს: — ჩიტმა ჩიორამაო საძირკველი გადგაო.

— გაიდგეს გლეხებმა საძირკველი, ვლადიმერ ილიჩ.

— მტკიცე საძირკველი! ახლა ვერაინ იტყვის ხელისუფლება ბოლშევიკთა ერთმა ხროვამ ჩაიგდო ხელშიო. ვაერთიანდა ას ოთხმოცი მილიონი მშრომელი ხალხი და შექმნა საბჭოთა სახელმწიფო.

— უნდა გამოგიტყდეთ, ვლადიმერ ილიჩ, არ მეგონა, თუ ქართველი ხალხი ასე ერთსულოვნად მიიღებდა საბჭოთა ხელისუფლებას.

ლენინი შედგა, ვარდენისკენ შებრუნდა:

— რატომ?

— იმდენი პარტია იყო ჩვენში.

— არც ჩვენში იყო ნაკლები, მაგრამ გაიმარჯვა მუშათა და გლეხთა პარტიამ.

— დიახ, ვლადიმერ ილიჩ, მაგრამ ქართველი კაცი მაინც სხვაა.

ლენინმა გაუღიმა:

— მართალია. ქართველი კაცი სხვაა. რუსი — სხვა. ქართველი კაციც აქ იმას აკეთებდა, რასაც რუსი მუშა და გლეხი. გახსოვთ, რომ ვითხარით, რევოლუცია მარტო რუს ბოლშევიკებს არ მოუხდენიათ—მეთქი! ქართველი და რუსი ორივე ერთი საქმისათვის იღვწოდა. ამ საქმეს, როგორც მოგეხსენებათ, სოციალიზმი ჰქვია.

— ასეა, ვლადიმერ ილიჩ.

— ეს გაზაფხული სოციალიზმის კიდევ ერთი გაზაფხულია. — განაგრძო გზა ლენინმა. — სოციალიზმს კომუნიზმი მოჰყვება.

— დიახ, ასე გახლავთ, ვლადიმერ ილიჩ.

— ეს არც ისე მალე მოხდება, მაგრამ კომუნიზმი იქნება. მე და თქვენ აღარ ვიქნებით, კომუნიზმი კი იქნება. იქნება

დიდხანს, დაუსრულებლად, სანამ იქნება, სანამ ცა იქნება, სანამ მიწა იქნება...

— და თქვენ იქნებით... ხალხის გულში.

ლენინი უხერბულად შეიშმუშნა.

— გადაეციოთ ჩემი მადლობა იმ მეთაურებსა და ჯარისკაცებს, — უთხრა ვარდენს, — იმ დღეს თქვენთან ერთად რომ შევხვდი. ამხანაგმა სერგომ მითხრა, მათ დიდი წვლილი შეუტანიათ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეში.

— ყველაზე დიდი წვლილი თქვენმა მიწის დეკრეტმა შეიტანა, ვლადიმერ ილიჩ.

— ახლა კიდევ უფრო დიდი ვალდებულება გაწევთ, ამხანაგო ვარდენ.

— მესმის, ვლადიმერ ილიჩ.

— დიდებულთა. როცა ადამიანს თავისი მოვალეობა ესმის, ეს ბევრს ნიშნავს, ძალიან ბევრს. კომუნისტები დიფსაქმეს აკეთებენ. ძირფესვიანად ცვლიან ადამიანის ცხოვრებას. რა შეიძლება იყოს ამაზე ძვირფასი!

— არაფერი, ვლადიმერ ილიჩ.

ლენინი ისევ შეჩერდა, ხელეპი შარვლის ჯიბეებში ჩაიყო, ვარდენს შეხედა.

— თქვენ რევკომის თავმჯდომარე ხართ, მაზრის ხელმძღვანელი. დიდი მაზრის, ბევრი ადამიანის ხელმძღვანელი. მათი აღმზრდელი, მათი მასწავლებელი... მასწავლებელი! — გაიმეორა ლენინმა. — რა დიდი აზრია ამ სიტყვაში. ახალი ადამიანის აღმზრდელი... იყო ახალი ადამიანის აღმზრდელი — ეს საოცრად დიდი და ძნელი საქმეა.

კოლონადიანი თეთრი სახლის მხრიდან ხეივანში შემოირბინა და ლენინისაკენ გამოეშურა მისი ძმის დიმიტრი ილიას ძის შვილი, რვა-ცხრა წლის ვიქტორ ულიანოვი. მორბოდა ხელეგაწვდილი, რალაც ამბავი მოჰქონდა. დაინახა ლენინმა, მკლავები გაშალა.

— რაო, ვიტენკა? — ხელში აიყვანა ლენინმა ვიტა.

ბავშვი წარბეკვიდან შეაჩერდა ვარ-

დენს, მორცხვად, ცნობისმოყვარეობით.

— რა დაგაბარა ნადეჟდა კონსტანტინოვნამ? — ჰკითხა ლენინმა.

— სტუმარი საუზმეზე მოიწვიეო, — უთხრა ვიტამ.

— ჩვენ აარგ მაღაზე ვართ, შეხედე, რა მზეა, რა ჰაერი, რა გაზაფხული! ჰო, ერთი ქართული ხალხური ლექსი უნდა გასწავლო.

ვიტამ კისერზე ხელი მოხვია და მოლოდინით შეაჩერდა.

— თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო, ჩიტმა ჩიორამაო საძირკველი გადგაო. მოგეწონა?

ვიტამ თავი დაუქნია.

— წავიდეთ, ვისაუზმოთ, ამხანაგო ვარდენ. ნადეჟდა კონსტანტინოვნას გვარიანი ხელი აქვს. გამიგონია ქართული სუფრის ქება. ალბათ თქვენა მეუღლე გემრიელ კერძებს ამზადებს.

— მეუღლე არა მყავს, ვლადიმერ ილიჩ.

— დროა გყავდეთ.

— ვერ გამოვნახე საამისო დრო, ვლადიმერ ილიჩ.

— საამისო დრო! — შეხედა ლენინმა კეთილი, ეშმაკური ღიმილით. — აი, მე კი გამოვნახე საამისო დრო. — შეზრუნდა და სახლისაკენ გაემართა. — კარგია სიყვარული, ამხანაგო ვარდენ, — უთხრა დაფიქრებით. — საოცარი გრძნობაა სიყვარული. არ შეიძლება ცხოვრობდე და არ გიყვარდეს.

— არ შეიძლება, ვლადიმერ ილიჩ.

— ოჯახი დიდი ბედნიერებაა. გახსოვთ, ჩეხოვის მოთხრობაში „დრამა ნადირობისას“ ურბენინი რას ამბობს?

— არ წამიკითხავს, ვლადიმერ ილიჩ.

— «Отчего вы так чуждаетесь того, что составляет лучшее благо всего живущего на земле? Семейная жизнь есть благо. Она долг всякого!». Что ни говорите... а супружество — великое дело! ამაზე უფრო სხარტად, უფრო გონივრულად ვერ იტყვი.

— მესმის, ვლადიმერ ილიჩ.

— იცით, თუ არ გიყვარს, თუ ოჯახი არ გაქვს, ისე სოციალიზმს ვერ ააშენებ.

— როგორც კი ჩავალ შინ, დავექორწინდები, ვლადიმერ ილიჩ.

— გიყვართ ვინმე?

— ჭერ კიდევ ჭარში წასვლამდე მიყვარდა.

— და ამდენი ხანი გიცდით?!

— მიცდის, ვლადიმერ ილიჩ.

— ოჰო, ეს ნამდვილი სიყვარულია, დიდი სიყვარული! ნება მომეცით ერთი რამ გთხოვოთ.

— მთხოვოთ?! თქვენ მე?! ვლადიმერ ილიჩ...

— შეტს ნულარ დააცდევინებთ. თერთმეტი წელიწადი — ეს მთელი საუკუნეა.

— პირობას გაძლევთ, შეტს აღარ დააცდევინებ, ვლადიმერ ილიჩ.

ლენინმა გაუღიმა.

— სიამოვნებით გეახლებით თქვენს მეუღლის ნახელავ კერძს.

— თუ ასეთ პატივს დამდებთ, ვლადიმერ ილიჩ...

— ვეცდები, ჩამოვიდე თქვენს მშვენიერ ქვეყანაში. წავიდეთ, ნადეჟდა კონსტანტინოვნა გველოდება, ოღონდ ღირებულ სუფრას ნუ დამიწუნებთ.

ლენინი კიბეს აჰყვა.

## მ ხ ე რ უ ლ ი

სერ-სერ მიმაქროლებდა  
ჩემი მარდი მერანი,  
ხევ-ხევ ბაგაბუგობდა  
მერნის ფლოქვთა თქვრანი.

ცივი ქარი დაჰქროდა  
ქირქილით და ქილიკით,  
გარეული ვაზივით  
იხვევოდა ბილიკი...

შეუმცდარი მხედრობა  
ძნელი საქმე ყოფილა, —  
უცებ ჩემმა მერანმა  
ქვებზე წაიფორსილა.

თაგქვე დასხლტდა ერთი ქვა,  
რაკა-რუკით დაგორდა,  
წკრიალებდა კლდეებზე,  
თითქოს ზარის ხმა ჰქონდა:

— ჰეი, ჩემო მხედარო;  
ჰეი, ჩემო ძმობილო,  
გზაა ხელისგულივით,  
შენ კი, შენ კი ფორხილობ!...

ვოქვათ და — მტერი მოვარდა,  
ციბიერი და ვერაგი, —  
ხევ-ხევ უნდა აქროლო  
შენი მარდი ზერდაგი!...

შენ კი... ხელისგულივით  
გზაზე ოჩნობ, ფორხილობ,  
კლდე-ღრე უნდა დალაზო,  
დაიხსომე, ძმობილო!..

იქნებ ისევ დაანთონ  
საზარელი ხანძარი, —  
ცეცხლში უნდა შევარდე,  
გუგუნით და ზანზარით!

სანამ მგელი ცხვარს ერჩის  
საზარელი კბილებით —  
მხედარს ნება არა აქვს  
გზაზე წაფორსილების!..

სანამ მტერი ბოგინობს —  
ბოროტების სათავე —  
მხედარს ხელში ვაჭყაცურ  
უნდა ებყრას სადავე!

-- მართალია! — ბუბუნებს  
მთა და აჰყვა ხეობაც,  
-- ნება არ აქვს! — ძახილი  
კლდეშაც გაიმეორა!

აქედან და იქიდან,  
ზვევიდან და ქვევიდან,  
მარჯნიდან და მარცხნიდან,  
მთებიდან და ხევიდან, —

ერთი ისმის გუგუნი —  
 მთაშდე ამადლებული,  
 ისმის მხოლოდ ერთი ხმა —  
 ცაშდე აძახებული:

„სანამ მტერი ბოგინობს,  
 ბოროტების სათავე,  
 მხედარს ხელში ვაჭყაცურ  
 უნდა ვპყრას სადავე...“

მწვიდობის გზით იჭროლე, ~~ერქონული~~  
 ოღონდ უნდა გახსოვდეს ~~მწვიდობის~~  
 თუ გახდება საჭირო  
 თავგანწირვა ფასობდეს, —

ცეცხლში უნდა შევარდე  
 შენი მარდი მერანით —  
 სივრცეს აზანზარებდეს  
 მერნის ფლოქეთა თქერანი!“..

აფხაზურიდან თარგმნა 3030 ქნლაქიზ

## ბოშას კონსა

### ამოხრა

კვირა დღე იყო, მზიანი, უქარო. უფროსები დილიდანვე საბავშვოდ გაიქრიფნენ. ორ-სამ კვირაში თუ ერთხელ მაინც რაიმე არ გაჰყიდე და არ იყიდე, ისე ცხოვრება არ ხერხდება. სახლ-კარი ჩემი და ჩემი უმცროსი ძმის ამარა დარჩა. დედანიმემა ასჯერ დანაბარები არ იკმარა და ჭიშკრიდან ასმეერთედ მომადახა:

— ხომ გესმის, ბიჭო, წიგნი იკითხე. ის გასაწყვეტლებია ჩამობარვებული და ეზო-გარემოზე თვალი ფხიზლად გეჭიროს!

ახლა და ახლა აღარ ჩანან, თუ არა უწინ და უწინ წელიწადი ისე როგორ გაივლიდა, რომ ორჯერ-სამჯერ არ გამოჩენილიყო ბოშათა ქარავანი. ხრიგინ-ხრიგინით ჩამოივლიდნენ სოფელში ჩარდახიანი ურმები, ორთვალეები, ოთხთვალეები, უკანა კოფოზე ჯაჭვით გამობმული ძაღლები, საზიდრებში შებმული და მარჯაფად ადევნებულნი ქურანა ცხენები, წვივმაღალი კვიციები და ჯაგლაგები ქარავანს უთოვოდ და უსაბელოდ მისდევდნენ. თალხით შემოსილი, ხან-შიშესული მამაკაცები ურმებს და ორთვალეებს წინ უჯდნენ, მათრახებს ატლამუნებდნენ და ზოგჯერ ამ ხრიგინში და გნისაში, (რომელსაც მთელი სოფლის ძაღლები ასტეხდნენ) თავისთვის ღიღინებდნენ. ჩარდახის უკან ჭრელაჭრულით შემოსილი ბოშათა წერილ-

ფეხობა იყო მოკალათებული, როგორც ბარტყმარავალ ჩიტის ბუდეში. გრუზა თმიანი და რკინის ქანგისფერ სახიანი, კუნთმაგარი კაცები ზვის კიდევებს მიუვებოდნენ, ბექზე გადადებული ახალი გაქვდილი ჯაჭვით და ხელში საკეციო, ან ბურლით. სამფეხები და ნაჭები ურმის ქალებზე ჰქონდათ ჩამოკიდებული. ქალები?..

ქალები იყვნენ, რაც იყვნენ. მიწამდე ჩაფორიალებული, ნაოკაყრილი, შეიღწევა კაბებით, გაუფერავი სპილენძისფერი მოღელილი მკერდით და ამ მკერდზე ვერცხლის ფულის ყელსაბამებით. ყორნის ფრთის წარბწამწამიანი. თმანაწნავიანი ბოშა-ქალები, სანამ ქარავანი თავისი გზამრავალი, მძიმე ნაბიჯით მიდიოდა, ყველა მოსახლის ჭიშკართან ასწრებდნენ მისვლას ნატეხა სარკით, დაცვეთილი, დაჩონჩილი ათიოდე ქალღლით ხელში და ძაბილით:

— გირჩი-მარჩიელი, გირჩი-მარჩი!.. სახლებიდან ბერიკაცებიც კი გამოიხედავდნენ, ქალებს ამა გული როგორ მოუთმენდათ, თუ თვითონ არ არჩევიანებდნენ, სხვისი მაინც არ მოესმინათ. ბავშვები ხომ სანამ ქარავანი მათი ეზოს წინ მიდიოდა, ღობეებზე და ხეებზე შემჯდარი გასცქეროდნენ და გაჰყვიროდნენ: — გირჩი-მარჩი! მერე კი, როცა ბოშები მათ ეზოს გასცდებოდნენ, ღობეებიდან და ხეებიდან მწი-

ფე ნაყოფივით ცვიოდნენ და უკან მისდევდნენ ისევ ძახილით: გირჩი-მარჩი, გირჩი-მარჩი!

მისდევდნენ, სანამ ქარავანი მდინარეს არ მიუახლოვდებოდა და ფონთან, მწვანე ვაკეზე, არ შეჩერდებოდა, როცა მზე კაცის სიმაღლეზე ან იქნებოდა, ან არა. საღამოს კი აქ ბოშათა, სოფელი იყო კარვებში დაბანაკებული და ბინდისას აბრიალდებოდა კოცონები.

როცა მეზობლად ბოშები სახლობდნენ, იმ დღეებში სოფელი ფხიზლობდა. არ გამოიგონია ბოშებს სახლი ვაეძარცვოთ ან რქოსანი საქონელი მოეპაროთ, მაგრამ ხილის აწაპვნა და ქათმის ქურდობა კი იცოდნენ. ჰო, მართლა, მის დასაქერად სიმინდის მარცვალს გახვერტდნენ, ძაფს ჩააბამდნენ, გადაუგდებდნენ, გადააყლაბებდნენ და ქათამს დაუკრიახებლად ამოიდებდნენ კაბის კალთაში. ეს კიდევ არაფერი, ზოგჯერ უპატრონოდ გაშვებულ, დაშავებულ, მოუვლელ ცხენსაც თან გაიყოლებდნენ. ხილს, რა თქმა უნდა, ხილად გეახლებოდნენ, ქათამს თავისივე ნაჭედ შამფურზე შეწვავდნენ, მაგრამ თუ ცხენი ხელში ჩაუვარდებოდათ, ერთი კვირის მერე, პატრონს შეილივით რომ ჰყოლოდა გაზრდილი, ვერასგზით ვერ იცნობდა. რამდენიმე დღეში ფერსაც შეუცვლიდნენ, დაღსაც და ზნესაც თუ მკლუ იყო, შეაპატიებდნენ. მსუქანი იყო და დაამკლუვებდნენ. ზურგი თუ ჰქონდა გადაღლეთილი — მოარჩენდნენ...

ერთი სიტყვით, იმ დღეებში სოფელს ასი თვალი და ასი ყური ება.

იმ კვირა დილით, მე რომ აივანზე გამოვედი. ფარდაგადაფარებულ, მონაწილურულ ტახტზე ჩამოვჯექი, მუთაქა აედელზე ავაყუდე, ზურგით მივეყრდნე და წიგნი ხელში დავიჭირე, ჩემი უმცროსი ძმა, რალა თქმა უნდა თვალსა და ხელს შუა გაძვრა.

მე იმ დროს იმ ასაკში ვახლდით, მშობელს რომ ჰგონია: ჩემი შვილი ფიზიკა-ქიმიას აკლავს თავსო და ამ დროს კვი-კვი სქელ-სქელ რომანებს ხელში

ატრიალებს და ერთ უგულსო კარცანზე ამოკითხული ურჩევნია ერთად აღებულ ყველა მეცნიერებას.

მზე კარგად მოძალდა. ვზივარ მუთაქაზე მიწოლილი და ვკითხულობ. მერე ფეხები ტახტზე ავიტანე, მუხლებზე წიგნი მივაყუდე, ცალი ხელით მიპირავს და ვკითხულობ. აღარც ბაზარი მახსოვს, არც ალებ-მიცემობა, არც ძმა და არც ბოშების მეზობლობა.

უეცრად გაურკვეველი, ყრუ ბათქაბუთქი შემომესმა.

ჩემდა უნებურად გაშლილ წიგნს ზემოთ, მუხლებს იქით, ვახვედე სივრცეს. ეზოს ბოლოში, შუა ყანაში ერთი ბებერი მსხლის ხე გვედგა. ბოლო დროს ფითრი მოერია, მოჭრას ვაპირებდით და დიდად არ გვინაღვლია სამხრეთით ორიოდე ტოტზე ესხა ნაყოფი. თუ ჰოკით არ დარეკავდი, ზედ ასევე კატასაც გაუჭირდებოდა. აი, ამ მსხლის თხელ ფოთლებში ვხედავ, რალაც ჰრელი დაფარფატებს. ჩემგან რომ ძლივს ჩხიკვის ტოლა ჩანს.

— გირჩი-მარჩი!.. — თითქოს ჩემს გვერდით ვინმე მჯდარიყო და იმას წავჩურჩულე.

გაშლილი წიგნი ფარდაზე დავდე, აივანზე უხმაუროდ გავიარე და კაბის თავში რომ მივედი, სანამ ქვევით დავეშვებოდი, ისევ ეზოს ბოლოს ვახვედე. შეინძრა ტოტი, ისევ მოისმა ჩამოცვენილი მსხლების ბათქაბუთქი. და ხიდან ფარფატით წამოვიდა ჰრელი ჩიტი.

ჩავირბინე კიბე, წელში წახრილმა ჩაუვარე სამზადს და ბოსელს, შევძვეარი ვენახში და მწყრივებს შორის სულმოუთქმელად გავვარდი. ვენახიდან ყანაში და ყანიდან პირდაპირ მსხლისაკენ კი არ წავედი, გვერდზე გავუხვიე, გზა გადავჭერი. სოფთ ლობიოს ძირში ჩავცუცქდი და ვახვედე. მსხლის ხეს, აკი მოგახსენეთ, მისი დრო და წუთისოფელი მოქმული ჰქონდა, მაგრამ მისი ფოთლიან-ფითრიანად იმდენს შინც ახერხებდა, რომ მის ახლომახლო სიმინდს და ლობიოს ჩრდილავდა და ამ

ნაჩრდილ, დაჩივებულ ყანაში ვხედავ. პეპელასავით დაფრინავს ბოშა გოგო. ბოშავს ჩამოყრილ ნაყოფს და აკაბიწებულ, უშველებელ კრელ კაბის კალთაში იყრის.

როცა ჩემსკენ მობრუნდა და მსხალს ასაღებად დასწვდა, დაუვნახე კისერზე ყელსაბამი, რომელზეც სამი ვერცხლის ფული ეკიდა.

ხეს ნაყოფი თხლად ესხა და ჩამონაყარიც ისე იყო გაფანტული, ბოშა კრელი ფუტკარივით ხან აქეთ გადაფრინდებოდა, ხან იქით. ხან აქეთ, ხან იქით... ბოლოს წელში გასწორდა, მიიხედ-მოიხედა, სახლს გააყურა, იქაურობა მოათვალიერა — ხომ არაფერი დამრჩაო, კაბის კალთის არეები მუტში კიდევ შეიკეცა, იშვირა ფეხი და ჩემსკენ წამოვიდა.

მე წამოვიწიე და წელში გავსწორდი. პირდაპირ გულზე არ შემომასკდა!

— გირჩი-მარჩი!... — ეს ამოვიძახე რატომღაც.

ბოშამ ყორნის ფრთა წამწამ დაუხამხამებლად მომანათა ნაკვერჩხალივით ანთებული თვალები და ცხელი ნაბერწყლები მომეყარა, როგორც წაბლის და აკაციის შემამ იცის ხოლმე, ბუჩარში თუ დააჩინჩხვარებ.

ვერ გეტყვით რა ხნის იქნებოდა. მე ქალი ახლაც იმაზე ახალგაზრდა მგონია, რაც სინამდვილეშია. ალბათ მე მინდა ასე. ეს ბუნების მშვენიება — ჭილი სიბერისა და წარმავლობისთვის არ მემეტება...

გასაქცევი გზა რომ მოჭრილი შეექნა, ფრთხილად უკან-უკან დაიხია. ისე ფრთხილად, თითქოს მე არ უნდა შეგემჩნია. მერე ერთბაშად, თითქოს მინდვრიდან ოფოფი აფრინდაო, შეტრიალდა და მოუსვა.

— გირჩი-მარჩი! სად წამიხვალ! — მივაძახე და გამოვუდღექი.

ჩვენი ეზოს ბოლო ეკალ-ბარდების ზღსტეებით იყო შემოღობილი. შივა და შიგ აკაციისა და რცხილის ხეებო ხარობდნენ. ზღსტე ჩქარა და მაღალიც გაიზრდებოდა, თუ რაიმეზე ასაყოლი

იშოვნა. ისე წელს ვერ იმაგრებს. ერთმანეთს ჩაეხვევა, ჩაიბურღება, დაიჩრდილება, ამიტომ სადაც ხეებში ჩაჩხვრება, ღობის სიმაღლეზე აკაციას ცალმხარეზე მოუჭრიან, ეკალ-ბარდებზე დააწვენენ, — ჩახსტავენ. აკაცია ერთხანს ხარობს, ზედ ეკალ-ბარდებიც მიძვება და ეზოს შეუვალ, ცოცხალ ღობედ ეკვრის, მაგრამ სადაც ხის ძირია, იქ ტოტები ნაკლებადან. თუ კაცის გავუჭირდა, შეიძლება ფეხი დაიბჯინოს და იქედან გადახტომა ადვილია.

ჩემმა დაუპატიებელმა სტუმარმა ამ ჩახსტულს მიაშურა და ერთერთ ჩაწვენილ აკაციის ხის ძირზე შეფრინდა. გადაქან-გადმოქანდა. ის იყო, უნდა გადამხტარიყო, რომ მეც იმ ფოფილა კაბის კალთაში ვწვდი, ვწვდა და უკან დაექაჩე. ერთ მკლავის სიმსხო აკაციაზე შესკუბულს, კალთა დამძიმებულს, თავი რაზე უნდა შეეკაგებინა და ჩემსკენ წამოვიდა. მაშინ, რა თქმა უნდა, არ მომგონებია, რომ ის ბოშა იყო, რომ მსხლეები ამწანა. ვხედავ, ჩემსკენ ვარდება კაცისშვილი. მეც ჩემდა უნებურად ხელები გავუწოდე ეკალ-ბარდებში რომ არ ჩავარდნილიყო და დავიჭირე. ეს უცებ, უნებურად, მაგრამ როცა დავინახე, რომ ბოშა გოგო მკლავებში მყავს გამომწყვდეული, თავი აგერ, ჩემს მხარეზე უდევს, ფეხები კი ზღსტეზე აქვს გარჩენილი და კალთიდან პარტყაპურტყით ცვივა ნაპარავი მსხალი, ახლა რას შერები! დავსვა მიწაზე და ხელიც ვუშვა, მაშინ რაღასთვის მოვსდევდი. ხომ უნდა დამეჭირა. დავიჭირე და აგერ გულზე მყავს მიკრული. მისი, კეცივით ცხელი ლოკა ყვრიმალთან მაქვს მოდებული, ყელსაბამი შემობრუნებულა და ეს სამი ვერცხლის ფულიც უბეში მიიბრებს ჩაძვრომას. რას შერები ახლა! არადა, ეს საცოდავი რაკი დავიჭირე, სასჯელის ბოლოდინში ისე დაიბნა და მოდუნდა, თითქოს ხელში ხის ბოშა-თოჯინა შეჭიროს.

ვინ იცის, იქნებ გამეშვა ხელი, რომ იწყოდეს და თავი მომეჩვენებია — გა-

მისხლტა თქო, მერე კი ისევ გააოვდ-  
გომოდი, მაგრამ ნაკლები მონდომებით.

კარგა ხანს ხელში ისე მეჭირა, მის-  
კენ არ მიმიხედავს, მარტო ცხელ ლო-  
ყას ვგრძნობდი ყურის ძირთან და ჩქარ  
სუნთქვას, ბოლოს, ჰკუა რომ ისე ამე-  
რია, ვერაფერი მოვიფიქრე, თავი მი-  
ვებრუნე, მოდი დავხედავ სახეზე, ხე-  
ტავ სანამდის აპირებს ასე ჩემს მკლა-  
ვებში და ხლსტზე გადებული ყოფნას  
მეთქი. მივატრიალე თავი და მის თა-  
კარა ლოყას, ყვირიმალა რომ მივაპრუ-  
ნე, ლოყა არ მივადე! მერე, იმის მა-  
გიერ, რომ სახეში ჩამეხედა, თვალეში  
დავხუტე და არ ვიცი ის მოიწია ჩემს-  
კენ თუ მე წავეწიე მისკენ ტუჩი, ლოყა-  
ზე ვაკოცე.

აღბათ თუ მეგონა თვალეში მო-  
მაფრინდებოდა, — მაშინვე ხელები  
ეღუშე და სახეზე ავიფარე. ბომა ჩემს  
მკერდზე ჩაცურდა, ხლსტის პირას  
ეკალ-ბალახში გაგორდა. მე თვალი გა-  
ვახილე და დავხედე. მან ფეხებში გა-  
შოდებული მაყვლის ტოტი მოიცილა  
და ადგა. რა თქმა უნდა, მიხვდა, ვერ-  
სად გამეჭეოდა, ეს კოცნა, როგორც  
სასჯელი, უდრტვიწველად აიტანა და  
ცერად გამომხედა — ახლა მაინც რა-  
ტომ არ მიშვებო.

რა ადამიანი! ეს რომ დაეინახე, მა-  
შინვე გაანუსაზღვრელი უფლებები ვიგ-  
რბენი, რომ მე ვარ „მეპატრონე“, „პა-  
ტიოსანი“, შემოძლია დავსაჯო. მან კი  
დამაზარალა, დამნაშავეა და უნდა  
ზღოს. არც ვაცივებ, არც ვაცხელე, მიე-  
წვდი და ვაკოცე და ვაკოცე ისევ ლო-  
ყაზე (ტუჩებში რომ მეკოცნა, ვერ გავ-  
ბედე). ბოშამ სახეზე ხელები აიფარა,  
ნელა-ნელა უკან დაიწია, ისე შეუმჩ-  
ნევლად, მე უნდა მგონებოდა, ისევ  
აქააო, მერე შეტრიალდა და, ხლსტიდან  
თითქოს ოფოფი აფრანდაო, ეზოს ბო-  
ლოსაკენ მოუსვა, საიდანაც თავდაპირ-  
ველად გამოძვრა. მაგრამ მალე შეჩერ-  
და და ნაბიჯით გაუყვა, აღბათ სასჯე-  
ლი მოხდილი მაქვს და რაღა მიმარბუ-  
ნივბსო.

ამან ჩემში გააღვიძა უკვე პატავმოყ-

ვარე მამაკაცი, გაქრა ვინ იყო ის და  
ვინ მე. მე ვიყავი კაცი, ის ქალი! ვა-  
კოცე და მან ეს მიიღო, როგორც სას-  
ჯელი?! ადამიანს თუ შეშლის? მარტო  
გავიწყდა, სანამ ამ ძარღვს გამონასკ-  
ვავდე, კიდევ ბარეორი უტიფრობის  
ჩადენას მოასწრებ.

დავკარი ფეხი და, სანამ ვოგონა  
ეზოს ბოლოში, ჩათელილ ჩახლსტუ-  
ლამდე მივიდოდა, მივასწარი და გადა-  
სასვლელთან დავუხვდი. იგი სულ ახ-  
ლოს მოვიდა, ჩემს წინ მორჩილად გა-  
ჩერდა და წყალდასხმული მუგუზალი-  
ვით შავი თვალეებით ამომხედა: კიდევ  
რას მიპირებო.

მე შემეშინდა, ის გაწყვეტილი ძარღ-  
ვი არ გამომნასკვოდა და მაშინვე მი-  
ვახალე:

— ახლა შენ მაკოცე!

ბოშამ, რა თქმა უნდა, ვერაფერი  
გაიგო.

მე ისევ იმ ძარღვის გამონასკვის  
შიშით მაშინვე ახსნა დავუწყე:

— მე ხომ გაკოცე, — გულზე ხელი  
დავიდე — ახლა, შენ, — თითი მისკენ  
გავიწვდიხე — შენ მაკოცე და... — მის-  
კენ ტუჩეკა წავეწვიე — მაკოცე და  
გაგიშვებ!

გაიგო და გაელიმა. იმისთანა მშვენი-  
ერი ღიმილის ნახვას ბარეორი ინატ-  
რებს. არა და ახლა ამან რომ არ მაკო-  
ცოს, სიცოცხლე ჩალის ფასად არ უღ-  
ირება მეთქი.

თავი გაიქნია — არაო.

— მაკოცე და... — არ ვიცოდი რა მე-  
ქნა — მაკოცე და... — სულს არ დავი-  
შურებდი, მაგრამ მისმა ღიმილმა და  
უარმა ისე ვამადატაკა, სად მქონდა  
სული თუ არა კი! — მაკოცე და  
მსხლებს მოგცემ. — თვალით ვანიშნე  
მის ზურგს უკან ჩახლსტულის კიდევ  
დაყრილი მსხლებისაკენ.

თავი გადააქნია, ვერ გაიგო.

— როგორ ვერ გაიგე, მსხალი...  
მსხალი! — თვით ბებერ, ფითრიან ხეს  
მივაშვირე ორივე ხელი — მსხალი...  
იქნება მსხლის სახელი ქართულად არ  
იქნის მეთქი — ვაშლი, ვაშლს მოგცემ,

ვაშლს და ბიას, კომშს, კომში ხომ იცი, მაშინ ყურძენი, ყურძენი არ გინდა? მოგიკრეფი!..

ისევ თავი გაიქნია: არ მესმის რას ამბობ და არც მინდა ვიცოდეთ.

— მაკოცე! — შევედმერთე მე — მაკოცე და... შენ ისე კარგი ხარ, შენ რომ არ მაკოცო, ვაიმე რა მეშველება არ ვიცი.

„რა გინდა, რას მეხვეწებიო“ — ისევ მკითხა იმისთანა თვალებით, ბარეორი ინატრებს, მაგრამ სადაა.

— მაკოცე და გაგიშვებ კი არა... მთელ ჩემს წილ ქვეყნიერებას შენ გავატან!

არ ვიცი, რა მჭირდა მართლა მაშინ, შევეცოდე თუ წამით მის გულში თანაგრძნობის ქეშმარიტი ნაპერწკალი გაჩნდა, მომხვია მკლავი, მაკოცა და აუჩქარებლად გამშორდა, გადავიდა ჩათელალ ხლსტეზე, ყანებში შევიდა და თვალთაგან დამეკარგა.

არიჭა თქვა! გავიქეცი. სულ გადავთელე ჩაულვაშებულ-ჩატაროებული აიშინდები, ჩავიჩოქე, სადაც მას მსხლები დაეზნა, უსახელო პერანგის კალთა კბილით დავიჭირე, ორივე ხელით მოვფოთნე მსხლები, ეკლები და ბალახები, ავიტყე უბე და ფეხი არ დამიკარებია, ისე ვადევნეულ ჩახლსტულს. გავყევი მის კვალს, როგორც კი მეძებარი ძალი და სანამ მდინარესთან გავიდოდა, ჯერ კიდევ ყანებში დავეწიე.

— გირჩი-მარჩი, ა, შენ მსხლები!

„ეს რატომ“ — მხრები აიჩეჩა.

— რატომ და... — ამასობაში გამსკვნოდა ის დალოცვილი თუ დაწყევლილი ძარღვი და რომ მაკოცე, იმისათვის მოგიტანე მეთქი, ვერ ვუთხარი, — შენია, წაილე!

ამიარა გვერდი და წავიდა.

ახლა მხარდამხარ გავყევი.

— შენია, გირჩი-მარჩი, შენიცაა... მართლა და მარტო ჩემი ხომ არაა ეს ცა და ქვეყანა, შენიცაა, შენ ეზო არა გაქვს, შენ მსხალი არა გაქვს და შენიცაა.

შემოგებდა ვინმემ? მიღის თავის-

თვის, იშორებს სიშინდის ფოთლებს, სახე და ყელ-კისერი რომ არ დაუსეროს და მიღის. საცაა ყანიდან გნადწყვს!

— ეს შენია და ამას მე მსხლში მარწავილებ! — ვუთხარი, წინ გავიქეცი, ყანის კიდეზე ბალახებში დავყარე და უკან გამოვბრუნდი, რომ არ დამენახა, როგორ ამოჰავდა, რომ ჩემი არ მორიდებოდა...

წამოვედი, მაგრამ რამდენზე წამოვიდოდი. რომ ვიფარაუდე, აწი წასული იქნება მეთქი. მივედი, ვნახე — მსხალი იქვე ჰყრია.

რალა მექნა, წამოვედი სახლში. აიგანზე დავჯექი ტახტზე. ვიყავი ასე ერთ ხანს. მერე მომაგონდა: მე ხომ ვაშლს, ბიას, ყურძენს და მთელ ქვეყანას დავბირდი, მერე კი მარტო მსხალი მივუტანე.

ავდექი, წავილე კალათი, ჩავედი ეზოში, დავკრიფე ყველაზე საუკეთესო მსხალი, ვაშლი, ბია, ყურძენი, ამოდენა ვენახში რაც უკეთესი მოიძებნებოდა, დავავლე ხელი და გავსწიე. გადავედი ეზოს ბოლოში ჩათელილ ჩახლსტულზე, გავყევი ყანა-ყანა, არ შემშლია, სადაც ის მიდიოდა, მის ნაკვალევს გავყევი. სხვა დროს შორიდან დავდგებოდი, შორიდან ვუყურებდით ბოშათა კარვებს და იქიდან ვავძახოდით: „გირჩი-მარჩი!“

ახლა არ დავგრიდებივარ, მარტო ვიყავი და მაინც არ დავგრიდებივარ, სულ ახლოს მივედი კარვებთან და ავეყირდი:

— გირჩი-მარჩი!

ჩხიკვის ბარტყებივით ჰრელა-ჰრულა ბავშვები წყლის პირას ირეოდნენ ფონის რიყეზე. უფრო წამოჩიტულები კარვებიდან გამოძვრნენ. (უფროსები ალბათ საბაზროდ იყვნენ წასული. თუ რაიმე არ გაყიდე და არ იყიდე, ისე ცხოვრება ჰქონს) მოირბინეს პატარებმა. მერე მოზრდილებმა. ერთი ზუთიოდე გოგონაც გამოჩნდა. მათ შორის „ისიც“.

— აი, ეს მოგიტანეთ! — ძარღვი გამონასკეული მქონდა და მოგიტანეთქო, ვერ ვთქვი.

დაესიენ დიდი-პატარა. სულ ერთმანეთს გლეჯდნენ ხელიდან. „ის“ იდგა, ერთი კი შემომხედა და გაბრუნდა.

მეორე დღესაც ასე ვქენი. ხილით სავსე კალათა რომ მივიტანე, მარტო ბავშვები, გოგონები და ბიჭები კი არა, უფროსებიც ძალიან წაეტანენ, ის კი მოვიდა, ჩემს კაკალ-კაკალა ნარჩევ ხილულობას ზედაც არ დახედა. ისე თვალი, მერე რანაირი თვალი, მეორე დღესაც შემავლო და ისევ უკან გაბრუნდა. მესამე დღეს ერთ ჩემს მეგობარს გავენდე, გამიჭირდა და გავენდე.

სასაცილოდ არ ეყო: რას ამბობ, თვალში ბეწვს ამოგაცლისო — დაიჩემა.

— კი, მართალია მეთქი, დამწულ ვაშლს მოიპარავს, მაგრამ ერთ კოცნაში რომ მთელი ქვეყანა მისცე არ იქნე დომებს მეთქი.

რა თქმა უნდა, არ დამიჯერა, წავიყვანე, ყველაფერი თვითონვე რომ ნახა, ვითომ გაჩუმდა, მაგრამ საღამოს მაინც ატყდა: რა ვქნა, მომკალი თუ გინდა, არ შეგერავსო.

მეოთხე დღეს, დილით, თავის ეზოში აავსო კალათა და მე წამიყვანა, მაგრამ იქ აღარაფერ დაგვხვედრია. მდინარის პირას, ფონთან, მწვანე ვაკეზე, ქარი დათარეშობდა, ცეცხლის ნანთებზე დაბრჩენილ ნაცარს ფანტავდა, ცეცხლის ნანთებზე, რომელზედაც დიდხანს, ძალიან დიდხანს ბალახი არ ამოვა.



## ს ა რ ი ლ ე ბ ე ლ ი

მიწა უცვებ შეზანზარდა —  
მოგვივარდა მტერი!..  
აბობოქრდა,  
ფეხზე დადგა  
საბჭოეთი მთელი!

წვიმაში და ქარში  
ლამე თეთრად გაათიეთ,  
გამარჯვების მარშით  
შეგუტოეთ გადამთიელს.

ბრძოლის ცეცხლში დაგვიდგა  
განსაცდელი მძიმე,  
წამი რაა —  
წამითაც  
არ ვკარგავდით იმედს.

უწმინდესი ფიციით  
გუგუნებდა ცა და მიწა,  
ყველაფერი სისხლის  
მხურვალეებით გადაიწვა!..

ცეცხლის ალი  
ზეცას მისწვდა —  
მზე გახურდა უფრო!  
გუგუნებდა დედამიწა,  
ველვტდით  
მტრების  
ურდოს.

გამარჯვების მარშით  
დავედვენეთ გადამთიელს,  
მოვამწყვდიეთ რკალში  
და თავიპირი დავამტერიეთ!..

ბრძოლის ველზე  
ბეერი დარჩა  
შმაღნაფიცი ჩემი,  
ველოდები,  
მაგრამ არ ჩანს  
საკვარელი ძმები!..

— დღისით გზედავთ ცხადად,  
ყოველ ღამე  
მესიზმრებით,  
მე რომ ვმღერო ახლა —  
აქვენი ხმებიც  
მესმის, ძმებო!..

ყურა მივუგდებ გარინდებით  
უკვდავების ძაბილს:  
„— ჰეი,  
სამშობლოს რაინდებო!  
დიდება  
თქვენს  
სახელს!..“

## ბ ე რ ნ ი ე რ ე ბ ა



მე მიყვარდა ერთი გოგო,  
მეც ვუყვარდი, აბა როგორ!

ცივი წყლისთვის ორივენი  
დავდიოდით ერთ ღრმა ჭასთან,  
ჭაში მუდამ ღამე იყო —  
წყალში ვჭვრეტდით  
ბედის ვარსკვლავს...

როცა ბინდი ზეციდან  
დაბლა  
დაჭანდებოდა, —  
სიყვარულის ჩურჩულში  
კარგა დაღამდებოდა, —  
მაშინ ჩვენი ვარსკვლავი

იმ ჭის წყალში ჰჭრებოდა,  
ჯადოსნური ციმციმით  
ცაზე აენტებოდა.

ახლაც ერთად დავდივართ  
ცივი წყლისთვის იმ ჭასთან.  
ჭაში წმინდა წყალია,  
ალვის ხეც დგას  
ჭიშკართან.

თუ წრფელია სატრფოზე  
სიჭაბუკის სიმღერა —  
სიყვარულის სიწმინდე  
არასოდეს იმღერვია.

## ა ღ კ უ რ ი ხ ე

ნადირობა-  
ნადირობით  
ალბებამდე ამოესულვარ...  
სიღამაშით გადირევი —  
თვალი ხედავს ამო სურათს;

ჩქარზე —  
ჩქარი  
ჩანჩქერები.  
უფსკრულებში ჩაჩხრიალებს,  
მთებს გაფყურებ ლაყვარდებში,  
მყინვარების ჩაჩქნიანებს.

ღია ცის ქვეშ  
ერთი ხე დგას —  
საცოდავი,  
მარტოსული...  
მოღვენთილი,  
ჩამომხმარი,

მოთენთილი,  
გატრუსული.  
ტოტნი  
დაბლა  
დარწვევია,  
ვითა ფრთენი დამტერეული...  
— ხეო,  
დარდი რად გწვევია  
და სიბერე ადრეული?!  
— ქე მოყვასო,  
მტკიცა გული,  
სულს მისუთავს აგონია,  
უმეგობროდ სიხარული  
განა სადმე გაგონილა?!—  
მიბასუხებს საწყალობლად,  
მზეს კანკალით ეფიცებმა...  
მეგობრობა ღვთის მადლია,  
უმეგობროდ ხეც კი კვდებმა.

აფხაზურიდან თარგმნა 2030 წელს

## მუშაობით, უსიარო ტყაპო!

ა რ მ ა ნ ი

ნაწილი მეოთხე

საუბმე სტიოპამ მოგვეიტანა. იმ დღეს კოლია და სტიოპა იყვნენ ჩვენი მომზარაგებელნი, ამბის მომტანნი. კომლევი არა და არ ჩანდა. შიშიც კი შემეპარა, იმ პირშავმა სვისტუნოვმა ფედისას არაფერი მოსწიოს-მეთქი. თუმცა კომლევის იმედიც მქონდა, იგი უბრალოდ ხელში არავის ჩაეფხვნებოდა. აქლა კომლევზე ჩამოაგდეს სიტყვა. დილით ლიზუნოვმა ფედისას დეგენერატი უწოდა, ახლა კი იჭაჩებოდა, ხელების ქნევით გვიმტკიცებდა, ფედია ყველას ვეჯობიაო, ნამდვილი ვაჟკაციოო, თან ეშმაკობაც არ აკლიაო.

— ერთი ღონე იკითხე? — ტოლსწორივით თქვა სტიოპამ. — ისეთი ღონიერია, ისეთი, რომ...

— მაინც როგორი? — გაუუცხნე. მინდა ამდღიანდელი წყენა დავაჟიწყო. შემომხედა და გაიკრიჭა, ყველაფერი რიგზეა.

— ნაძვს მხრით რომ დაეჯახოს, წააქცევს.

— უყურე შენ.

— ერთხელ კარგა მოზრდილ არყის-ხეზე იყო მიყრდნობილი, მოზვერვივით

აფხანდა ზურგს, ხე იზნიჭებოდა, ის კი იცინოდა. გვიან მეც მივედი იმ ხესთან, კაი ხანს ვეჯაჯგურე, მაგრამ ხეს ფოთლებიც არ შეურხევია.

— ჰოდა, რას ერჩით იმ კაცს, კი ყოფილა ღონიერი, თქვა ალიოშამ და სტიოპას გაუცინა. შე მაშაძალოო, კომლევის ღონით თავი რომ წაგვჭამე, ერთი მეც შემომხედეო. თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო.

კომლევი პირველად სტიოპამ დაინახა, თუთუნის ბოლებით მოდის, მაგრამ კარვისაკენ კი არა, აულერია თავი და საით მიალაჩებს, ეშმაკი ვერ გაიგებს.

— ისეა ფიჭრით გართული, მგონი გზასაც ვერ აგნებს ეს ოხერი. — ჩაილაპარაკა კორპუსევემა.

გულში გამეცინა, ფედია მ აქაც აჯობა ვალოდიას. სვისტუნოვი იქნებ ფეხდაფეხ მოჰყვებდა, უთვალთვალებს და რა ბიჭია პირდაპირ კარავს მოადგეს! სტიოპა მაინც დავადევნე, თან მიჭები გავაფრთხილე, კომლევს ნუ მიახლით, რომ სვისტუნოვს დიდბანია ვიცნობთ-მეთქი.

ფედია მ სტიოპას მოასწრო, შემოვივლია, დაჯდა, თუთუნის ნამწვევი ჩააჭრო

და ახალი შეახვია.

— ხომ დავწყვიტე ლოდინით, ახლა მაინც ამოიღე ხმა. — ეცა კორბუშევი.

— მეთაურთან დამტოვეთ, საიდუმლო საქმეა. — თქვა კომლევმა სერიოზულად. ყველამ მე შემომხედა, საცოდაობა იყო მათი კარვიდან გაყრა.

— თქვი, ფედია, ამით იციან ყველაფერი.

— კი, ბატონო, დაბრძანდებით თუ მეც ფეხზე დავდგე?

— იქეკი, ჩვენც ჩამოვჯდებით, შენ შემოსასვლელთან დადექი, სტიოპა. არავინ მოგვეპაროს, ახალგაზრდა ხარ, მანდელანაც გაიგონებ.

...თქვენ რომ გითხარით, კარავში შედით-მეთქი. — დაიწყო კომლევმა, — მაშინ დაინახე ის. შორიდანვე შევნიშნე, წრიალებდა. თურმე მე და კოლიას ზუსტად გვისვრია გუშინ ანკესი. დიდხანს მიარა გარშემო, ცალი თვალით მზვერავდა. მე არხეინად ვაბოლებდი, თითქოს სულაც არ ვაქცევდი ყურადღებას. მოვიდა, ცეცხლი მთხოვა, მეგონა მაშინვე გამომელაპარაკებოდა, მაგრამ ეტყობა უცებ ვერ გაბედა. იქვე კურდღელივით ჩაცუქდა. თუთუნი მოვსწიე და წასვლა დავაპირე, თუ ის არის, შემაჩერებს-მეთქი, გავიფიქრე. ახლო-მახლო არავინ იყო და ამაზე ხელსაყრელ დროს როდისღა შეარჩევდა? ავიხდათ ყოველი კარგი, მართლა არ დამიძახა!

— კომლევო. — გავიგონე და განვებ შევკრთი, მგონი შევხტი კიდევ. შევდექი და მივბრუნდი.

— სად მივეჩქარება, კომლევო?

— არსად. შენ ვინა ხარ? ან საიდან იცი ჩემი გვარი, მგონი ჩვენი რაზმიდან არ უნდა იყო.

— არა. გვარი კი ვიცი, ახლო მოდი! — მიბრძანა. თავიდანვე ამიყვანა რაღა! მივედი, მაინც შორი-ახლო გავჩერდი და თვალი გავუსწორე.

— ფედია კომლევი ხარ, ხომ?

— მე ვარ. ვეცადე შიში და გაოცება ერთად გამომეხატა.

— შენთან საქმე მაქვს, კომლევო.

— გისმენ.

— ვერ ხედები, ვინაა ვერა?

— ვერა.

— რა თუთიყუშოვით მაძლევ სასუსს.

— მართლა ისა ხარ?

— თავს ნუ იკატუნებ, მომიახლოვდი, შენ თვითონ გამომდე ხელი. ტბისკენ წამიყვანე. ნუ გამოლენდები, კომლევო, სწრაფად.

ტბასთან მოფარებული ადგილი შევარჩიეთ, ბუჩქებში ჩავიმაღეთ. მინდოდა თუთუნი ისევ შემეხვია, ამიკრახლა.

— რას აკეთებ რაზმში, კომლევო?

— ჯერ კარგად გამაგებინე ვინა ხარ, დამარწმუნე.

— სუშინსკიმ არ გითხრა?

— სუშინსკი ვინ არის? — თავი მოვისაწყლო.

— ნუ სულელობ, კომლევო, თორემ ტყვიას ჩაგაყლაპებ.

არ ვიცი საქმეს მოუხდა თუ არა, მაგრამ გული მართლა მომივიდა, ისეთი თვალით შევხედე, ვაგრძნობინე, ნამეტანს ნუ გააფრენ-მეთქი. თან ვუთხარი:

— შენ მე ნუ მემუქრები, თორემ ვინ-ვის ჩააყლაპებს ტყვიას, მაგას გაჩვენებ!

— ჩვენ განსაკუთრებული ადამიანები ვართ, კომლევო, თავის შეკავება არა თუ საჭიროა, აუცილებელია.

— მერე, მე რომ მიკითხავ ლექციას, შენმა თავმა ქვა გესროლა? რას მიბღვეარი?

— დაიხსოვო, კომლევო, აქ მე ვარ შენი უფროსი, ჩემი სიტყვა შენთვის ბრძანებაა, კანონია. ნუ მეკამათები, რაც გითხრა მაგ თავში, ...ალბათ უნდოდა ეთქვა, მაგ გასიებულ თავშიღო, მაგრამ ვერ მაყადრა... — ჩაიჭედე და შეასრულე.

— სუშინსკიმ მითხრა, იქ დავიკავებ-შირდებიანო, — ამოვიღულულე.

— როგორ მიგიღეს რაზმში, როგორ გრძნობ თავს?

— რაზმში დიდი რიხით გამოვცხადდი, გერმანული ატკობატი და სათუთუნე მოვიტანე, ცოტა წავიტრაბახე კი-

დღეც, სანამ ფრიცი არ გავასაღე, თავი ღირსად არ ვცანი თქვენთან მოვსული-ყავი-მეთქი, მიცნეს, მე ხომ ერთხელ უკვე ვიყავი მათთან. ამჯერად არც ის დამიმაღავეს, უმცროსი მეთაური რომ ვარ, გარემოცვაში მოვყევი და ტყვეობას თავი ძლივს დავაღწიე-მეთქი. დავიგრიხე, დავიშინე და მგონი გავედი ფონს. ახლა ცოტ-ცოტა დავალელებსაც კი მაძლევენ. თქვენ რაღას მიბრძანებთ?

— ჭერ არაფერს, მაგათი დავალება კი რაც შეიძლება კარგად შეასრულე, არაფერი დაიშურო, ნდობის მოპოვებაა მთავარი. ახლა ეს მითხარი, დობრინოს გარნიზონზე ხომ არ აპირებენ თავდასხმას? იქნებ რაიმეს მოჰკარი ყური.

— არა, არაფერი მსმენია.  
— ათი ყური გამოიბი, მე მაქვს ცნობა, დობრინოზე რაღაც მზადდება, დამიზუსტე. ეს არის ჩემი დავალება.

უცებ რაღაც აზრმა გამოიელვა, სხვა დროს თქვენც გეტყობდით. მაგრამ იქ საკუთარ ჰქუას უნდა მივეყოლოდი.

— ესენი უფრო დიდზე ფიქრობენ.  
— ვთქვი ისე, სხვათა შორის.

— მაინც? — დანტერესდა.  
— მგონი თვით ბოგუშევსკის გარნიზონი აქვთ ამოღებული მიზანში.

— რა იცი?  
— რაკი შეერთზე, უკან რაღას დავიხედი.

— ჩვენს ოცეულში ერთი პატარა ბიჭია, სენკევიჩი... — სტიობამ მოიხედა.

— შენი საქმე აკეთე, სტიობა. — ვუთხარი ბიჭს.

ფედიამ განაგრძო: — იმ ბიჭს წამოსცდა, ბოგუშევსკის კომენდანტს მალე ხეზე ჩამოვკიდებთო. როგორ-მეთქი, გარნიზონს გავანადგურებთ და რაიონში საბჭოთა ხელისუფლებას აღვადგენთო. ეს ძალიან მალე მოხდებოდა. — წაიტრახაბა. ჩავეძიე, მაგრამ ენა გადავლავა, ააიდუმლოათ.

— ბიჭო, დაიაზლოვე, რაიმე მოიგო და ვითომ შენც საიდუმლო გაანდე, მოეფერე, კომლევო, გეტყობა ივარგებ. სუშჩინსკი სიტყვის კაცია, დავიფა-

სებს, მეც გადავცემ, რომ არ უმტყუნე, რომ მოქმედებ და საკმაოდ უკეთესი რაღაც.

— როგორ გადასცემ?  
— ყველაფრის ცოდნა გავენბს, მალე დაგაბერებს.

— ყველაფერი არც მინდა ვიცოდე, მაგრამ რაკი ერთმანეთი ვიპოვნეთ, რაკი მარტოდ მარტო არ ვარ, მეც გამარჯვებე ზოგ რამეში. ძნელია მარტოობა. შეშინია. ვთქვათ, შენ ადვილზე არა ხარ, მე კი სასწრაფო ცნობა მაქვს გადასაცემი, სად გეძებო? გაპარვა ადვილია, მაგრამ რა მოჰყვება მერე ამას?

— მოვიფიქრებ, კომლევო, ახლა წადი. ძებნას ნუ დამიწყებ. მე თვითონ მოგნახავ.

ავდექი და წამოვედი.  
...კარგად რომ შეღამდა, კარავიდახ გამოვედი და სოკოვისკენ გავსწიე, კომლევის ნაამბობი გადავეცი, მერე ორივე ერთად ბოიკოს გამოვეცხადეთ. იქ სტელმახი, მანოხინი და ვაიცეხოვსკიც იყვნენ.

ამბის მოყოლა ხელახლა მომიხდა. ისიც ვთქვი, სვისტუნოვს აღრე რომ ვიცნობდით, არც განაჩენის ამბავი დამიწყებია. ბიჭები ღელავენ, ძლივს ვაკავებ, როცა საჭიროდ მიიჩნევთ, სვისტუნოვთან ანგარიშის გასწორება ჩვენ უნდა მოგვანდოთ-მეთქი.

სოკოვმა კატეგორიულად მოითხოვა, სვისტუნოვს ხელი არ ახლოთო, ყოველგვარი პასუხისმგებლობა თავისთავზე აიღო. მეთვალყურეს მივეუჩინე, ყოველი მისი ნაბიჯი მეცოდინებო. ასე, რომ, იმ მესამე აგენტსაც მალე აღმოვაჩინეთო. ბოიკომ სტელმახს გადახედა, მისი აზრი აინტერესებდა. ის კი დუმდა, ალბათ სხვების შეხედულება და წინადადებები აინტერესებდა. ბოიკომ რაღაც თქვა, სწორედ რაღაც, რადგან მისი სიტყვიდან გადაწყვეტილი და საბოლოო ვერაფერი გავიგე. არც მწვადის დაწვა უნდოდა, არც შამფურისა. მე ისევ ვითხოვე სიტყვა და პირდაპირ სოკოვს მივმართე:

— თქვენი აზრი, არკადი დიმიტრჩი-

აღბათ სწორია, აღბათ სჯობს, რომ ჯერ-ჯერობით ხელი არ ვახლოთ სვისტუნოვს, მაგრამ ეს არც ისე ადვილია. ჩვენი მდგომარეობაც უნდა გაითვალისწინოთ: სვისტუნოვი აქ ბევრ ჩვენთან იცნობს. იგი ხომ სუბოდოლსკის ოცეულში ირიცხებოდა, მერე ყველა ერთად ვიყავით. რომელიმეს თვალი რომ მოჰკრას, მაშინვე თავს უშველის.

— რას მოითხოვ? — მკითხა სტელმახმა.

— არ ვიცი. ხომ არ შეგვიძლია მთელი დღეები კარვებში ვისხდეთ. თქვენ ბრიგადის მოწყობას აპირებთ, ჩვენ ხომ არ გამოვწყდებით. მე მგონია უმჯობესი იქნება სვისტუნოვი ახლაც შევიპყროთ. ყველა საშუალება ვიხმაროთ და ვათქმევინოთ, ვინ არის ის მესამე.

— რას იტყვით, სოკოვი?

— მისი შეპყრობა არც ისე ადვილია. თუ გადაწყვეტთ, იგი ისე უნდა „ავიყვანოთ“, არაფერს გაიგოს. ამას მოფიქრება უნდა, ასე უცებ, ასე ერთბაშად რატომ უნდა დავეტაკოთ. ერთი-ორი დღე მაინც გეცლიათ. — სოკოვი ნაწყენი ჩანდა, ჩემსკენ ერთხელაც არ გადმოუხედავს.

— უნდა მოვახერხოთ, არკადი დიმიტრიჩ, უხმაუროდ. უნდა გავთოკოთ. შევპირდეთ, სიცოცხლეს შეგინარჩუნებთო, ყველაფერს შევპირდეთ, ოღონდ ის მესამე დავგისახელოს. — თქვა ბოიკომ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ბრიგადის მეთაური მხარს მე მიჭერდა.

სტელმახმა რემოს გამოძახება მოითხოვა. ესეც უხმაუროდ.

გრიგორ ანდრიას ძე კარავში დარცხვენილი შემოვიდა, მოგვესალმა.

— გრიგორ ანდრეევიჩ, კარგად იცნობთ თქვენს მებრძოლებს? — ჰკითხა სტელმახმა.

— მეგონა ვიცნობდი. — ხელები გაშალა, — რა მეთქმის...

— ვინ არის სვისტუნოვი?

— სვისტუნოვი? — მცირე ხანს იფიქრა, — მე ასეთი მებრძოლი არა მყავს.

— გყავთ.

რემო ისევ ჩაფიქრდა, შუბლიც მოისრისა და გადაწყვეტილი თქვა:

— ასეთი გვარი პრეტელად შევამის. — ფერიც მოუვიდა, თვალებში სინათლე ჩაუდგა. დარწმუნდა შეცდნენო, გამცემი ჩემს რახმში არ ყოფილაო.

— გასაგებია, — თქვა ვაიცხოვსკიმ. — სხვა გვარით მოსულა.

რემო ისევ მოიდუმნა, საქმე კი გართულდა. იძულებული გახდით ერთი დღე მოგვეცადა. ჩვენ კარვებში უნდა დავრჩენილიყავით, სვისტუნოვის ნახვა კი კომლევისათვის დამევალებინა. სუბოდოლსკიც იხმეს, გააფრთხილეს, მეორე დღეს თქვენ და თქვენმა მებრძოლებმა კარვიდან თავი არ გამოყოთო.

კარავში რომ დავებრუნდი, ფედიას მოველაპარაკე. პასუხს დილით მოგახსენებო, შიობრა, მაგრამ გათენებამდე ისე გაპარულა კარვიდან, ჩემთვის არაფერი უკითხავს. მთელი დღე კარავში გავატარეთ. კოლია და სტიოპა ბანაკში დადიოდნენ, ყველა კუთხე გადაჩხრიკეს, მაგრამ კომლევის კვალს ვერ მიაგნეს.

კომლევში ეჭვის შეტანა არ შემძლო, თუმცა ასე მოულოდნელად მისმა დაკარგვამ ცოტა რწმენა შემირყია. არ ვამხელდი, თორემ დანა კბილს არ მიხსნიდა. ხანდახან კარავში სოკოვი გვაკითხავდა, ლეღავდა. კომლევი შეღამებულში შემოიძებნა, ყველის ვაჭარით იკრიბებოდა, ინდოდა საყვედური მეთქვა, დამეტუქსა, მაგრამ იმის გამხელაც მეთაკილებოდა, რომ ფედია ჩემდა უკითხავდ იყო წასული.

— რა ჰქენი?

მოიკალათა, უნდოდა ისევ დაეწყო ამბის მოყოლა, მაგრამ არ ვაცალე, ახლა ამის დრო არ იყო.

— ვნახე, გავიგე რომელ კარავშია, მაგრამ იმ კარავში ჩემი შესვლა არ შეიძლებოდა, უშველებელი კარავია, ოცამდე მებრძოლი ერთად წევს. მისი კარვიდან გამოყვანა ძნელი იყო. მანამდე ვიწრიალე, სანამ არ შემნიშნა, გამოვიდა და სულ ახლო ჩამიარა. არის საგანგებო, მეტად სასწრაფო ცნობა ბო-

გუშევსკის შესახებ-მეთქი. — ვუჩურ-ჩულე. ტბისკენ წადიო. არ შემიძლია, ქაღალდებაზე მივდივარ, ორი საათის შემდეგ იქ მიიღი-მეთქი. და იმ წამსვე გაეშორდი.

— და შენ გგონია მოვა?

— მოვა. ბოგუშევსკი რომ ვუხსენე, თვალები დაქანა.

— საჭირო იყო ეს ცნობა ბრიგადის შტაბში დაუყოვნებლივ მიმეტანა.

— ჯერ მე წავალ, ფედიკა. ცოტა ხნის შემდეგ გამოძევი. სადმე შტაბის კარვის ახლო ჩაიმაღე, დამელოდე. თქვენც მზად იყავით, ბიჭებო.

ჯერ კრეზიფინსკისთან შევიარე, იღბლად ანტონი იქ დამხვდა. ორი სიტყვით გადავეცი მათ მდგომარეობა და ბოიკოს მივაშურე.

— კომლევი სადღაა? — ბოიკო ოდნავ ლელავდა. არავისათვის არაფერი უკითხავს. იმ წუთში იგი ბრიგადის ნამდვილი მეთაური იყო.

— გარეთ მელოდება.

— აქ ნუ შემოიყვან, შენ თვითონ მიიღი მასთან და ჩვენი ბრძანება გადაეცი. შეხვდეს სვისტუნოვს, საუბარში შეიყოლიოს.

მე და სოკოვი კარვიდან გამოვედით. ფედიკამ შეგვნიშნა, უნდოდა ამდგარიყო, მაგრამ სოკოვმა დაუშალა, ჩვენც ბალახზე გავწეკით.

— შეხვდი მას, კომლევო. რაც გინდა. ის მოიფიქრე, ოღონდ საუბარი გაავრძელე. ტყუილები არ დაიშურო, ამა-სობაში ჩვენც მოგისწრებთ. ფედიკამ თავი მოიფხანა; შევატყე, სოკოვის წინადადება არ მოეწონა.

— შენ სხვა რამე გაქვს მოფიქრებული, თუ? — ვკითხე.

— ასე არ ივარგებს, უფროსებო. არ ივარგებს. იქნებ ახლოსაც არ მიმიყაროს. შორიდან მათქმევინოს მათქმელი და წავიდეს. რაღაც სხვაა საჭირო, თუ მენდობით, ნუ შემბორკავთ და მე ვიკოდე.

— გაგიკირდება, კომლევო.

ფედიკამ მე შემომხვდა.

— წავალ, უფროსო.

— წადი, ფედიკა!

იგი შეყოყმანდა. — რევოლვერი რაღაც მომცა... მაშინვე ამოვიღე ჩემი პისტოლეტი და მივეცი. ხელში შეათამაშა, ტყვია პირში მისცა, ჯიბეში ჩაიღო და ბეჭების რხევით წავიდა.

მეც ჩემი კარვისკენ გავსწიე, ბიჭები წამოვიყვანე და შტაბის ახლო ვალაგე.

კომლევისა და სვისტუნოვის შეხვედრიდან ორი საათი უკვე გავიდა და მერე ყოველი წუთი საათივით გაიჭიმა. გაგრძელდა. ვწევართ ერთმანეთის ახლო, ვნერვიულობთ. სულ ერთი მხრისკენ ვიციქირებით, არავითარი ხმა, არავითარი ნიშანი. გადის ათი წუთი... ოცი... ნახევარი საათი... უკვე წოლა აღარ შემიძლია, უნდა ავდგე, უნდა გადავწყვიტო რამე. იქნებ უჭირს კომლევის. იქნებ დაასწრო იმ გარეწარმა. ხომ არა სჯობს ბიჭები წამოვაყენო და მივეშველო?

...მეორე დღეს მოგვიანებით ფედიკა უყვებოდა ბიჭებს:

„დანისწულ ადგილას მე პირველი მივედი, ჩავეკეტი, თუთუნი შევახვიე, მოვუკიდე და მუტში დავიკიბე. მთელი ნახევარი საათი ვიკეტი. უკვე იმედი გადავწურე. ალბათ არ მოვა-მეთქი. შევეცდი, თავზე შეუმჩნეველად წამომდგომია, კატასავით მომპარვია. მის ხელში ვერცხლისფრად ლაპლაპებდა რევოლვერი. წამოვიწიე.“

— იკეტი. იკეტი და ისე მომახსენე, ოღონდ სწრაფად!

— არაფერსაც არ გეტყვი და საერთოდ იცოდე, ძალით შენ კი არა, ჰიტლერიც ვერაფერს მათქმევინებს.

— კომლევო! — ამოიღრინა. — სამამდე ვითვლი, კომლევო, ერთი, ორი, — ოდნავ შეყოვნდა, დაიბარა, მივხვდი, მართლა მესროდა, რაღაც წავილულულე, შევიძებერ.

— ხელები ასწიე. ასე, ახლა დაფქვი, სწრაფად.

— გეტყვი, მაგრამ იცოდე, ეს უკანასკნელი იქნება, ამის შემდეგ მე შენთვის არ ვარსებობ. ამალამვე გავიპარე.

ბი აქედან, სუშინისკისთან დაგასმენ, შენ ხელს მიშლი. შენ რა იცი რა გაჭირვებით დატყუე იმ ბიჭს ეს ცნობა.

— თქვი!

— შაბათს მიდიან ბოგუშევსკიზე, მთელი ბრიგადა მიდის, აქ დღეს იქაური იატაკქვეშელი ყოფილა, მე ეს არ გამიფია. პარასკევს ღამით გავლენ. ნაშუალამევს კი დაპკრავენ გარნიზონს. კმაყოფილი ხართ? ხელეზი დავუშვი. აღარ უყვირია, ოღონდ პისტოლეტი ისევ ისე ჰქონდა ჩემკენ მოშვერილი.

— აღეჭი.

აღეჭი, შარვალი დავიფერთხე.

— მარტოობისა მეშინია, თორემ ამ ცნობას უშენოდ მიუტანდი სუშინისკის.

— ნუ ლაყბობ, კომლეგო, ახლა უკან სვლით წადი, პარასკევს აქ შეგხვდეთ ერთმანეთს. ეცადე ყოველი წერილმასი დააზუსტო, ჩემთან მოსვლა არ გაბედო. დღესაც რა ეშმაკმა მოგაბოროილა?

— აბა სანამდე მეცადა? ასეთი ცნობა ვიშოვნე და რა გამაჩერებდა? შენ რა, დამინდობდი თუ? მაშინვე ჩაუკაკლავდი სუშინისკის, ბოგუშევსკიზე თავდასხმა რომ მზადდებოდა, კომლეკმა იცოდა, მაგრამ დროზე არ გვითხარაო. ორი თავი კი არ მაბია. — ამას რომ ვამბობდი. მისკენ ერთხელაც არ გამიხედავს.

— გაქვს კიდევ რამე სათქმელი?

— მაქვს. დღეს ერთი დავალება შევასრულე და ჭილდოც მხვდა წილად. თვითონ ბრიგადის დაზვერვის უფროსმა მარტუქა პისტოლეტი. ნახე. ხელი ჭიბისკენ წავიღე. იცოცხლე, იმას ელეთ-მელეთი მოუვიდა. შეხტა, იყვირა და პისტოლეტიანი ხელიც აიჭნია. მეც ამ წამს ველოდი. ერთი მოვსდე, მიწაზე გავშხლართე და ზედ დავახტი. პისტოლეტი ავართვი და იმდენი ვურტყი, გონება დაკარგა, მერე ილღიაში ამოვიდევდი და წამოვიღე. მეშინოდა გზაში სული არ დაველაფა.

...ფედიამ ბოიკოს კარავში ისე შეალაქა, გვეგონებოდათ ილღიაში ფქვილით სავსე ტომარა აქვს ამოჩრილიო. სვის-

ტუნოვი მართლა ტომარით დააგლოძირს. იგი აღარ სუნთქავდა სანუ დასისხლული და დალილავენული ჰქონდა. ექიმის გამოძახება დაგვეჭირდა, რომ მისთვის სული ჩაგვედგა. ტიხონოვმა პოლიციის აგენტი მალე მოასულიერა და წავიდა. მე კუთხეში ჩავჯექი, თვალებზე ქუდი ჩამოვიფხატე, ძალიან მაინტერესებდა რა ხასიათზე დადგებოდა, როცა დამინახავდა.

— აღეჭი! — უბრძანა სოკოვმა.

სვისტუნოვმა ამოიგმინა, წამოიწია, მაგრამ მაშინვე დაეცა.

— აღეჭი, აღეჭი, — უფრო ლმობიერად უთხრა სოკოვმა.

სვისტუნოვი ადგა, კარავს თვალი მოავლო, უცებ სახეზე ხელეზი აიფარა და ატირდა. კარგახანს მოსთქვამდა.

— რა გატირებს, გამცემისა და მოლაღატის ბოლო რომ ასეთია, არ იცოდნი?

გვარი?

— კარპოვი. — თქვა სლუკუნით.

— კარპოვი? — სოკოვმა გადმოგვხედა.

— დიხხ, კარპოვი. — იგი კარვის „კედელს“ ზურგით მიეყრდნო, თავი ჩაჰკიდა.

— ნამდევლი გვარი გვითხარი, თან დაიხსომე, ჯერ კიდევ გაქვს საშუალება სიცოცხლე შეინარჩუნო. იყავი გულახდილი და ამის გარანტიას გაძლევ.

— კარპოვი ვარ, მიხეილ კარპოვი.

— სტყუი.

— დედას გეფიცებით.

— დედა გყავს?

— მყავს, მამაც მყავს, და-ძმანიც.

— სადაური ხარ?

— სარატოველი.

— აქ საიდან გაჩნდი?

— ომის დაწყების წინ სტუმრად ვიყავი დასთან. აქეთ არის გათხოვილი. ვიტებსკის ახლო ცხოვრობს, ომმა მასთან მომიხსწრო.

— წითელ არმიასი არ გიმსახურია?

— არა.

— ჩვენ ყველაფერი ვიცით და თავს ნუ იგდებ.

არ მიმსახურია.

— მაშ კარპოვი ხარ, არა?

— დიახ.

— ვინ შემოგზავნა?

— არავინ, ეს ტყუილია. მე პირიქით, ამაზე — კომლევს ზიზღით შეხედა. — ეჭვი შემეპარა, გადავწყვიტე გამომეტეხა. შემოგზავნილი ეს არის, თვითონ მითხრა, ვილაც სუშჩინსკის აგენტია.

— კმარა, სვისტუნოვო!

— მე? მე სვისტუნოვი? ტყუილია. ეს გვარი პირველად მესმის, მე კარპოვი ვარ, მიხეილ კარპოვი. თუ გინდა, ჩვენს მეთაურს, ამხანაგ რემოს ჰკითხეთ.

სოკოვმა იმ კუთხისკენ მოაბრუნა თავი, სადაც მე ვიჯექი, ავდექი, ჰუდი გავისწორე და წინ წამოვიფიე.

— სვისტუნოვო. — იმავ წამს კარავში ანტონ სუხოლოლსკი შემოვიდა.

— ველარ გვიცანი, სვისტუნოვო? შეხედე, ეს ხოა ლეიტენანტი სუხოლოლსკია. შენი ოცეულის მეთაური, იქნებ გინდა მიშა ლიზუნოვს დაეუძახო, ან კორპუშევს, ან ალიოშა ტარანანეკოს, ან ვასო თორაძეს.

სვისტუნოვი ჯერ მუხლებზე დაეცა, მერე ჩემს წინ განერთხა და აღრიალდა. კარგახანს იბღაღლა, თავს მიწაზე ურტყამდა, ხელებს იჭამდა, მერე მკვდარივით გაისუსა. ანტონი მოვიდა, საყელოში ხელი წაავლო, ფეხზე წამოაგდო.

— თვალეში შემომხედე, სვისტუნოვო, ტირილი რაღას გიშველის. შენ ჯერ დეზერტირი ხარ, უსინდისოდ მიატოვე ამხანაგები და გაიპარე, მერე მოლაღატე, სისხლისმსმელი სუშჩინსკის აგენტი. შენ უნდა მოკვდე, უნდა ჩაძაღლდე... მაგრამ მე ვთხოვ ბრიგადის ხელმძღვანელებს. — ანტონმა ბოიკოს შეხედა, იგი წინასწარ იყო დარიგებული, რაც უნდა ეთქვა და ისე იყო გაფითრებული, ორი წლის ნავადმყოფარს ჰგავდა, კი არ ლაპარაკობდა, ყელში ზრიალებდა. — ბოიკომ თავი დაუქნია. — ვთხოვ, გვეპირდები და მხოლოდ ამიტომ შეგინარჩუნებთ სიცოცხლეს.

სვისტუნოვმა თავი ასწია.

— რაო, არ გჯერა? შენ წყაღუნული ბული ხარ და ხავსსაც უნდა შორეკობდა დამიდასტურეთ უფროსებო, რომ არ დახვრეტო.

— ხელსაც არ გახლებთ, სვისტუნოვო და ახლავე გაგიშვებთ. — თქვა სოკოვმა.

— მიბრძანეთ, ყველაფერს გეტყვით. — იგი ისევ მუხლებზე დაეცა.

— ვინ არის ის მესამე, ვისი მეშვეობითაც ცნობებს უგზავნი პოლიციას?

— მე უფრო მეტიც ვიცი, არაფერს დაფარავ, ოღონდ, ოღონდ ნუ მომკლავთ, მე გამოვისყიდი ჩემს დანაშაულს, მე დავიბენი, ქვეყანა დაქველურ მეგონა, მამატივთ, — ხან სოკოვისკენ მიიწევედა ჩოქვით, ხან ბოიკოსთან, ხან სუხოლოლსკისკენ.

— არ დაგხვრეტო. — მოქრა ბოიკომ.

— მეორე გორბუნოვია, ტროშკა გორბუნოვი.

— რომელ რაზმშია?

— ჩვენთან არის, ჩვენს ოცეულში.

— მართლა გორბუნოვია თუ მასაც შეცვლილი აქვს გვარი?

— გორბუნოვია.

სოკოვმა ანტონს თვალი უყო. ანტონი ფედიასთან ერთად კარავიდან გავიდა.

არკადი მაგიდას ჩაუჭდა, ქალაღი და ფანქარი მოამზადა.

— აქ მოდი, სვისტუნოვო, დაწერე.

სვისტუნოვი მაგიდასთან მიბარბაცდა, დაჭდა, ფანქარი აიღო და სოკოვს მოუხედა.

— რა დავწერო?

— მისწერე შენს უფროსს, სუშჩინსკის, რომ გორბუნოვი ჩავარდა, შენზე ჯერ-ჯერობით ეჭვი არავის არა აქვს. მისწერე, რომ ფედია კომლევეი სანდოა, მუშაობს, დავალებებს ასრულებს, თავიც გამოიჩინა. მისწერე, რომ დობრინოს საპოლიციო გარნიზონზე არავინ ფიქრობს. მშვიდად წერე, ნაწერს არ უნდა დაეტყოს, რომ ღელავ. განაგრძე. ახალი მეკავშირე მოითხოვე. დაწერე, ბოგუშევსკის გარნიზონზე თავდასხმის

შესახებ მალე გაცნობებ-თქო. გორბუ-  
ნოვი დახვრიტეს, როგორც ჩანს, ვერა-  
ფერი ათქვევინეს-თქო. ამ ცნობას ვა-  
ტან ტატინა სვეტლოვას, სანდოა, თან  
ჩემი საცოლეა, თქვენებურად ნუ მოეჭ-  
ყვით, არ დააფრთხოთ, მისგან ბეგრს  
ველი, რაც მთავარია ვუყვარვარ. და  
ჩემი სჯერა, ნურც დააყოვნებთ, ბოგუ-  
შევსკის ამბებსაც მაგის პირით შემო-  
გითვლით, მას ხშირად გზავნიან დაზ-  
ვერვაზე, ექვმიუტანელად შეუძლია  
თქვენთან მოვიდეს-თქო.

მოაწერე ხელი, სვისტუნოვო.

სვისტუნოვმა ხელი მოაწერა და ადგა.

— ჩვენ დავამთავრეთ, ვასილ ვასი-  
ლიჩ — მშვიდად თქვა სოკოვმა. მე ხმა-  
გაკმედილი ვუსმენდი სოკოვის კარნახს,  
ყოველ მის სიტყვაზე ვილაც თავში  
უროს მკემდა. ტანია სვეტლოვა ჩემი  
საცოლეაო, რაც მთავარია, ვუყვარვა-  
რო, მოდი და ნუ გაგიყდები.

წერილის დაწერა რომ უბრძანა, მო-  
მეწონა, მაგრამ სანამ ტანიას ახსენებდა,  
ვფიქრობდი, ვინ უნდა წაილოს ეს წე-  
რილი დობრინოში?

და აი, თურმე რა მოუფიქრებიათ!

მაინც რაღა ტანია ამოარჩიეს. რა მო-  
ელის იქ სვეტლოვას? როგორ შეხვდება  
მას სუშინსკი. ირწმუნებს კი სვისტუ-  
ნოვის წერილს? ან გერმანელი პენსი-  
იანი ოფიცერი, დაუჭერებს? არ აწა-  
მებს?

„ჩემი საცოლეაო“, „ჰმ! — სოკოვს  
გავხედე, ზის, პირში ჩიბუხი გაურჭვია  
და ალაკუნებს, გადაფანჯლი წარბე-  
ბი შეუკრავს, თვალები დაუწყურავს.

უცებ შემძულდა სოკოვი.

ნეტავი წინასწარ თუ შეუთანხმდნენ  
ტანიას?.. რა თქმა უნდა, მოელაპარაკე-  
ბოდნენ და უარს ხომ ვერ იტყოდა...

გორბუნოვი გათოკილი შემოიყვანეს.  
უშველებელი კაცი იყო, ასე ორმოცი  
წლისა იქნებოდა. ტანსაცმელი სულ შე-  
მოხეოდა, ეტყობა არც ისე იოლად და-  
ნებებია ჩვენს ბიჭებს. მკერდზე არწივი  
ნახატა, მკლავებზე დანაგაყრილი გული.  
მთელი ტანი აჭრელებული ჰქონდა. კა-  
რავში ხელფეხი გაუხსნეს. როგორც კი

ხელები გაითავისუფლა, მაშინვე სვის-  
ტუნოვს ეცა და, კომლევს ხელიდან რომ  
არ გამოეგლოჯა, დაახრჩობდა. საწადელი  
ვერ აისრულა და ჩვენ მოგვიტრიალდა,  
დედ-მამის სული გადმოგვიტრიალა.

გორბუნოვი გაიყვანეს და იქვე, კარ-  
ვის ახლო მიახვრიტეს.

სვისტუნოვი მე და ანტონს ჩაგვაბა-  
რეს.

კომლევმა და ტარანენკომ ხელფეხი  
მაგრად შეუკრეს და ჩვენი კარვის ახლო  
მიადგეს. მისი ყარაულობა კორპუსევა  
იკისრა.

ინთა თუ არა, სვისტუნოვს ფეხები  
გავუხსენით და ტბასთან ჩავაყვანინეთ.  
დაბალ ბუჩქნარში ერთადერთი ფიჭვი  
იღგა, სვისტუნოვი იმ ხესთან დააყუ-  
ნეს. იგი დუმდა, თითქოს დამუწვებუ-  
ლიყო. თვალებს გარეული მხეცივით  
ასისიმალებდა, ტუჩებს ისე იკვნიტდა,  
სისხლი ზოლად ჩამოსდიოდა და მკერ-  
დზე ეწვეთებოდა.

ბუჩქნარში ოცდაროი მებრძოლი იღ-  
გა და ჩემს ბრძანებას ელოდა.

ანტონიც იქ იყო, მაგრამ რატომღაც  
ყველაფერი მე მომანდო, ესაო და გა-  
ნაჩენი შენი გამოტანილიაო.

— გაუხსენი ხელები! — ვუთხარი  
ლიზუნოვს, რომელიც ავტომატმომარ-  
ჯვებული იქვე იდგა. მიშამ ხელები გა-  
უხსნა, მე რამდენიმე ნაბიჯით წინ წა-  
ვიწიე.

— შენ უნდა მოკვდე, სვისტუნოვო,  
შენ დეზერტირი და მოღალატე ხარ,  
შენ პირშევი და გარეწარი ხარ. შენ  
უღალატე და გაპყიდე ამხანაგები და  
მათ სამართლიანად გამოგიტანეს სიკ-  
ვილის განაჩენი. ვინც პირველი შეგზ-  
ვდებოდა, უნდა მოეკალი. დაე, აღს-  
რულდეს!

გვერდზე გავდექი, მაგრამ არ შევებრუ-  
ნებულვარ. სვისტუნოვი უცებ გამო-  
ცოცხლდა, ერთი ღრმად ამოისუნთქა.  
თითქოს ფეხის წვერებზე აიწია და  
იყვირა:

— ძმებო, ბიჭებო, კორპუსევო, ლი-  
ზუნოვო, ტარანენკო, მომისმინეთ, ძმე-  
ბო. — ყვიროდა ბოღმით, დეარძლით,

არნახული გაშმაგებით. თან თითო ნაბიჯით წინ მოიწევდა. — გონს მოდიო, ბიჭებო, ვის ესვრით? თქვენთანს? რუსს? მერე და რატომ? რა დაგიშავეთ? რას მერჩით? ამას უჯერით? — ხელი მომიშვირა. — ამას? ამ ქართველ ბანდიტს? დაფიქრდით. დამიჯერეთ და მომენდეთ, ძმებო, საბჭოთა ხელისუფლება აღარ არსებობს, დაინგრა ის ხუხულა. კიევი და ლენინგრადი დაეცა, მოსკოვშიც გერმანელები არიან. მე მომყევით, ოღონდ ჯერ ამას ესროლეთ. ამ სისხლისმწოველთა მოდგმას. ესროლეთ-მეთქი. — თვალები გადმოკარკლა, რაკი გაოგნებული ბიჭებისაგან საკადრისი პასუხი უცებ ვერ მიიღო, გული მიეცა.

— ესროლეთ! ჯერ კიდევ გვაქვს დრო, მომყევით და გადაგარჩენთ.

რას დაგიღიათ პირი? ესროლეთ მაგის ღედაც...

სხვა დროსაც მჭონია შემთხვევა და მიგრძენია ტყის სიჩუმე, ხდება ხოლმე, როცა ყოველივე გაირინდება, მოკვდება და გაისუფრება. ამ დროს ვილაც იტყვის, სიჩუმის ღმერთი გამოჩნდაო, ახლა ის არის მბრძანებელიო.

აღბათ ამ წუთშიც გამოჩნდა სიჩუმის ღმერთი, ბრძანა და მთელმა სამყარომ გაკინდა ხმა. იტყვიან, ისეთი სიჩუმეა, საკუთარი გულის ბაგა-ბუჯი მესმისო, მაგრამ მე არც ეს მესმის, გულიც დუმს, მიწა მქაჩაეს, ფეხებზე ლოდები მკიდია. გული არ ხმაურობს, ოღონდ ზევით ამოდის და ყელს აწვება. ეს გარეგნული ლეღვაა. შინაგანი სიმშვიდეა, რომ გაძლებინებს.

არა, ახლა მე არაფერს ვიტყვი, არც გაეინძრევი, თვალსაც არ დაევახამხამებ. ასე უნდა ვიდგე გაქვავებული. თუ ეს არის ჩემი ბოლო, თუ ამ მწითურ ღორს ანაცვალეს ჩემი თავი, კისერიც მიტეხია, ღირსი ვყოფილვარ. ოღონდ არ გავინძრე, ოღონდ არაფრით გავამყლავნო, რომ ვღელავ.

ვაი, რომ ასეთმა ფიქრმაც გამოიღწა მაშინ. მერე და ვინ უნდა მესროლოს? კორპუსევემა, ლიზუნოვმა თუ ტარანენ-

კომ? იქნებ სუხუდოლსკიმ ან ბარიკმა არ სტიოპა სენკევიჩმა? ეროვნული გამოავიჯედებით, ზუტჯვლ. მაინცსამეწა ვოლა.

და უცებ ვილაცამ არ დაუჯერა სიჩუმის ღმერთს და ისროლა.

გავარდა ტყვია. მე სვისტუნოვს ვუცქერი, მჯერა, მწამს, რომ მას ესროლეს, ან კორპუსევემა ესროლა ან ლიზუნოვმა, ან თვით სუხოდოლსკიმ.

ვასო?

ღმერთმა ნუ ქნას. თუ მან გაბედა, სჯობდა ჩემთვის დაეხალა ტყვია.

სვისტუნოვი კი დგას, ოღონდ ერთი შერიბა, მუცელზე ხელი იტაცა. ჯერ მოიკუნტა, მერე უცებ გასწორდა, კბილები დააღრჭილა.

— ღორებო!

ვილაც წინ დამიდგა, მთელი ტანით დამფარა, ვეღარაფერს ვხედავ, ვინ არის ეს ახმახი? კორპუსევემა თუ ტარანენკო?

აღიოშმა ყოფილა, იგა სულ ახლო მივიდა სვისტუნოვთან და მე გავიგონე:

— მოკვდი შენი... მერე ტყვია გავარდა, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ...

...მეოთხე დღეა ვწევარ. მალალი სიციხე მაქვს და თავი მისკდება, თვალის გახელა არ მინდა, არც განძრევა, არც ლაპარაკი. ყველაფერი მტკივა, მაგრამ არ ვკენესი, კენესისა კი არა, ფიქრის თავიც აღარა მაქვს.

რა მომივიდა? რატომ დავეცი? რა დამეტაკა ასე ერთბაშად? ახლა ამ კითხვაზე პასუხის გაცემის უნარი წართმეული მაქვს. ზანდაზან ბურანში ფიქვის ხეს, ბუჩქნარსა და დასახვრეტად გაყვანილ სვისტუნოვს ვხედავ. ვხედავ მის მწითურ ჭორფლიან სახეს, შიშამდგარ ფელებს, მისი ხმაც მესმის და გული მერევა.

მერე ყველაფერი ქრება, აღარავინ ჩანს, ვეღარავის ვხედავ და ოღონდ ვმშვიდდები.

მეოთხე დღეა ვწევარ.

არც ისე სახუმროდ ყოფილა ჩემი საქმე.

ბიჭები ფეხბურთით შემოდინ კარავში, დამხედავენ, ერთმანეთში ჩურჩულებენ. მე არ მესმის მათი ჩურჩული, მაგრამ ხეხედები, შემფოთებულნი არიან და ცოტა მიხარია.

ექიმ ტიხონოვის გამოჩენისას თვალი უნდა ვავახილო, სულ ერთია მაინც მიიქლებს და როგორც კი მის ლაპარაკს მოვკრავ ყურს, ვემზადები. შემოვა და თათარული მოიკალათებს ჩემს წინ. სწორედ თვალეში ჩამხედავს, შუბლზე ხელს დამადებს, გამიცინებს და რაღაც აბს ჩამაყლაპებს. აბი ყელში მეჩხირება, წყალს ვატან, ძლივს ჩადის ყელში. იგი თვითონ აკონტროლებს სამზარეულოს, სადაც ფედია კომლევკი ჩემთვის „სასწაულმოქმედ“ წვეს (როგორც ის ეძახის) ამზადებს. რომელიღაც სოფელში შეპარულა, ბოსტანი გადაუთხარია, „სასწაულმოქმედ“ წვნიანისათვის საკმაში უშოვნია. შემოიტანს კარავში მოზრდილ კარდალას, ჩაჯდება და თავისი ხელით მახვრუპინებს წვნიანს. ბიჭი ხარ და უთხარი უარი. ხის უშველებელ კოვზს პირთან რომ მომიტანს, მე მამაჩემის ერთი გარე ბიძაშვილი მაგონდება. შინ თუ შეგიტყუებდა, დაუთრობელს არ გამოგიშვებდა. დალიე, თორემ კისერში ჩავასხამო, იმუქრებოდა. ფედია დამუქრებას ვერ მიხედავს, მაგრამ წვეს ძალით კი მასხამს პირში. ხან მელაპარაკება, ეს ძალას შეგმატებო, მაპატიოს ჩვენმა პროფესორმა (ექიმს პროფესორს ეძახის), მაგრამ მის აბებს ეს წვნიანი სჯობიაო. მე რომ თქვენს ადგილას ვიყო, იმ დაობებულ წამალს პირში არ ჩავიქარებო.

ასეა თუ ისე, ჭამას რომ მოვრჩები, თავს უკეთ ვგრძნობ, თვალსაც ვახელო და თავბრუც აღარ მესხმის.

ახლაც თითქმის ნახევარი კარდალა „სასწაულმოქმედი“ შემახვრია, ფედია, მერე თავისი ხელით შემხვია თუთუნი, ოღონდ ენა არ გაუსვა, უკულტურობააო, ცეცხლი მომიკიდა. თუთუნი მოვქაჩე, ხველა ამივარდა.

ვასო სულ დამუნჯებულა, შემოვა.

დამხედავს და გადის. სტილია ციფრ წყლით მამარაგებს.

წელან სოკოვმა მინახულა. მინდობდა მეკითხა სვეტლოვა დობრინოში მართლა გავზავნეთ თუ არა-მეთქი, — მომერიდა. სოკოვი რომ წავიდა, სტელმახმა და მანოხინმა მომაკითხეს.

— უყურე რავეა თავადიშვილივით წამოწოლილა მხარეთმცხე? — ვითომ გაიხუმრა სტელმახმა. აქ შავი ზღვის სანაპირო ხომ არ გგონია, ძმობილო? უკეთ ხარ, ხომ?

— უკეთ ვარ.

— ხვალ ფეხზე უნდა დადგე, ასეა საჭირო.

— თქვენს პირს შაქარი.

ამ დროს ტიხონოვი კარვის ახლო ტრიალებდა, სტელმახმა მოიხმო.

— თქვენ რა, ამის პირადი ექიმი ხართ? არ დაივიწყოთ, რომ ბრიგადის სანტარული ნაწილი ვაბარიათ. ახლა გთხოვთ გორნაკის რაზმში წახვიდეთ, იქ შტაბის უფროსი, ამხანაგი ველიკანოვია დაქრული.

— ტიხონოვი მაშინვე წავიდა.

— თქვენ ველიკანოვი ახსენეთ, ადამ კონსტანტინოვიჩ!

— ჰო, შენ ხომ იცნობ მას.

— გორნაკის რაზმში საიდან მოხვდა?

— ჩვენ გავზავნეთ. გორნაკი კარგი მეთაურია, მაგრამ სამხედრო საქმეში მოიკოჭლებს, არც ჰფიცავს. თავად ვეთხოვა, ერთი კარგი შტაბის უფროსი მჭირდებო, ისეთი, მებრძოლებსაც რომ ასწავლებს და მეც, ჩვენც ალექსეი ვასილიჩი ვაუფავნეთ. იცოცხლე, მან რაზმი გაწურა. სულ წვენი აღინა ყველას. შენ კი ზეგ უნდა წაოღდე, ეს ბრძანებაა. დობრინოს საპოლიციო გარნიზონი ხომ არ დაგვიწყებია? ტყუილად ხომ არ ვაწვალეთ ის ბიჭი. გერმანელები ბოგუშევსკზე მოელიან თავდასხმას, ჩვენ კი დობრინოს ვუთაქებთ.

— ზეგ?

— ზეგ, ან მას ზეგ. დობრინოდან სვეტლოვა დაბრუნდა, ახალი ამბებია. გამოვზავნი, მაგრამ დაწოლილი ხომ არ

დახვდები? ასე. მას შემეთანხმდით, ხვალ უნდა ადგე.

ბრიგადის კომისარს არაფერი უთქვამს, საერთოდ იგი სიტყვაძეწი კაცია, იშვიათად იტყვის რამეს, მაგრამ თუ იტყვის, ზუსტად ათიანში მოარტყამს. გამილიმა და სტელმახს გაჰყვა. კარავიდან რომ გადიოდა, გასასვლელში შეჩერდა თავი მოაბრუნა.

— ნერვებს უნდა მოუარო, ყოველგვარი სისაძაგლე გულთან არ უნდა მიიტანო. უფლება არა გაქვს თავი ავადმყოფობას მოაკვლევინო. ტყვია კიდევ ხო... — ისევ გაილიმა და გავიდა.

კომისარის სიტყვა მესიამოვნა. ჩვენ ისე ვართ აღზრდილნი, რომ სწორედ კომისარისაგან მოველით გრძელ შეგონებებს, მანობინი სულ სხვა კაცია, სულ სხვა ხასიათისა.

მარტო დავრჩი, თუთუნე მე თვითონ შევახვიე, მოვეუკიდე და ფრთხილად მოვექაჩე, მეშინოდა ხველა არ ამტეხოდა. კარავში ტანიამ შემოყო თავი.

— მართლა ავად ხარ? — მოშვარდა. უნდოდა ეკოცნა, მაგრამ შევაკავე. ცოტა ეწყინა. — არ გინდა, ტანია, ზომხედავ სიცხე მაქვს, რაიმე გადამდები სენი რომ მჭირდეს? ნუ მეტუტები. იცოდეს, ღმერთმა, შენი ერთი კოცნა ტიხონოვის წამლსაც მირჩევნია, და კომლევის „სასწაულომოქმდსაც“. უკვე უკეთ ვარ. თითქოს გეკოცნოს, მგონი სიცხემაც დამიწია. თუ გინდა ნახე.

შუბლზე ხელი დამადო და უცებ მაკოცა.

— მაინცა და მაინც გინდა სიკვდილი?

— იცი, მე ისეთ საქმეში გამაბებს... — უნდა ყველაფერი მიამბოს, თან ერიდება, ან ეშინია, ალბათ, აუტრძალეს, არავისთან არაფერი დაგვდესო.

— რა საქმეა ასეთი?

— საინტერესოც არის და საშიშიც...

— ვიცი, ტანია, ყველაფერი ვიცი. — უცებ თავისი ლამაზი თვალები მომაპყრო, გაოცებისაგან თავიც კი გადააქნია.

— როცა ის წერილი იწერებოდა,

მეც იქ ვიყავი, ოღონდ ღმერთმანი არ ვიცოდი თუ შენი გაგზავნა ჰქონდათ გადაწყვეტილი. სოკოვმა რომ განხსნა, გული შემიქანდა. სუშინისკისთან ჩვენი კომლევია ნამყოფი, გერმანელი ოფიცრის კაბინეტშიც ჰქონდა პატივი მოხვედრილიყო, ტუციც უთავაზეს თავში, წარმოიდგინე რა ხასიათზე დავდგებოდი.

— იოლად გადავრჩი, გერმანელი ოფიცერი დობრინოში არ იყო, ასე მითხრა სუშინისკიმ. გამიარშიყდა, მეც ცოტა წაიეშმაკე, იმედი მივეცი. ნუ ჩქარობთ, ბატონო, თორემ მიშას ეწყინებამეთქი.

— შენი ერთი ღიმილისთვის იმ კარპოვს სულ გავაქრობო. — მითხრა.

— მაგას ვერ გადავიტან-მეთქი. — ბევრი იცინა. რატომღაც კარგ ვუნებაზე იყო. ალბათ წერილმა დაამშვიდა, რაკი პარტიზანები დობრინოზე თავდასხმას არ ფიქრობდნენ, სხვა დანარჩენი არაფრად მიაჩნდა. სამი დღე დამააკავა, მგონი რაღაც-რაღაცეებს ამოწმებდა. წუხელ თვითონ გამომაცილა. კარპოვთან სიტყვა დამაბარა, მაგრამ ის კარპოვი თუ სვისტუნოვი უკვე დაუხვრეტიათ. ამოვიოხრე.

— ჩაის მოგიდლუღებ. აქ, ტყეში ერთნაირი მარწყვია, წყალში ჩავყრი, მოვხარშავ. აუცილებლად მოგიხდება. ჩემს პასუხს არ დაელოდა, წამოხტა და გაიქცა.

...დობრინოს საპოლიციო გარნიზონზე თავდასხმა ბრიგადის შტაბის უფროსმა ვაიცხოვსკიმ მოამზადა. ოპერაციაში სამ რაზმს უნდა მიეღო მონაწილეობა.

გორნაკის რაზმი პირდაპირ სოფელში უნდა შეჭრილიყო და გვირაბი დაეკავებინა. რემოს რაზმს კი გარნიზონისათვის მეორე მხრიდან უნდა დაერტყა. ივან ივანიჩს, ჩვენი რაზმის მეთაურს სენოს რაიონული ცენტრისაკენ მიმავალი გზების გადაკეტვა და კონტროლი დაევალა. ფედია კომლევის მოტანილი გეგმით ვიცოდით, რომ გვირაბი სწორედ სენოს მიმართულებით გამოდიოდა და წარმატების შემთხვევაში პოლიცი-

ელები და გერმანელები იმ გვირაბით შეეცდებოდნენ გაქცევას. ასე რომ, უსაქმოდ არც ჩვენ მოგვიწევდა ჯდომა. მაშველი ძალების გამოჩენასაც სენოდან ვვარაუდობდით.

დობრინოს გარნიზონს სატელეფონო კავშირი ჰქონდა ბოგუშევსკისა და სენოს კომენდანტებთან. სატელეფონო ხაზის გადაჭრა, განადგურება კოლია მასლენიკოვის ამფეთქებელთა ჯგუფს დაევალა. კოლიას ოცეული უშუალოდ ბრიგადის შტაბს ემორჩილებოდა. მასლენიკოვი შუა ხნის კაცი იყო, ტარანივით გამხდარი და, როგორც საერთოდ ასეთ, ერთის შეხედვით, ფიზიკურად სუსტად ამიანებს სჩვევიათ, მეტად მოძრავი და ამტანი ვაზლათ. სულ წრიალებდა, სულ ჩხირკიმალობდა, რაღაცას ეძებდა, ვერ ისვენებდა. ხანდახან ოცეულს ორად გაჰყოფდა, ერთ ჯგუფს თვითონ წაუძღვებოდა, მეორეს მისი უახლესი მეგობარი და თანაშემწე. ვალოდია შოროპი „უსარღლებდა“ და ჰაიდა, გაუღებოდნენ გზას. ხშირად მთელი კვირამბით იკარგებოდნენ, მაგრამ ბანაკში ხელმოკარული არასოდეს ბრუნდებოდნენ. რამდენჯერმე შევესწარი, როცა მასლენიკოვი ვაიცხოვსკის ამფეთქებელთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ოპერაციის შედეგებს მოახსენებდა. დასლოებით ასე ამბობდა:

— ამხანაგო შტაბის უფროსო, ავაფეთქეთ შემადგენლობა, მოვსპეთ 22 ვაგონი, აქედან 14 ცოცხალი ძალით გაქედდით, დანარჩენი ტექნიკით სავსე.

— დაისვენე, კოლია, ჰამე და დაისვენე. — ეტყოდა მიხეილ ბორისის ძე.

კოლიას კი შოროპის ჯგუფის ამბავი აინტერესებდა, იკითხავდა, დაბრუნდა თუ არაო და თუ თანხმობის პასუხს მიიღებდა, ბავშვით გაწითლდებოდა და მაშინვე მისკენ მიეშურებოდა. ამფეთქების შედეგებს ყოველთვის მზვერავები ამოწმებდნენ. არ ყოფილა შემთხვევა, რომ კოლია მასლენიკოვს ან ვალოდია შოროპს მცდარი ცნობა მოეტანათ.

ეს დავალება რომ მიიღო, მასლენიკოვმა ყველაზე ადრე წაიყვანა თავისი

ოცეული. მასლენიკოვს გორნაევი გაჰყვა, გორნაევი — რემო. სულ ბოლოს ჩვენ დავიძარით. კრეზიენისკის შტაბი და უკვე მოშუშებოდა, შეცდომები ყავი, ყოველ შემთხვევაში, არც სიცხე მქონდა და არც თავის ტყვიელი მარტულებდა.

ბანაკიდან ნაშუალამევეს გავედით. დობრინომდე მთელ გზაზე ჩვენი ბიჭები იყვნენ ჩასაფრებულნი და პოლიციელებს უთვალთვალებდნენ.

ჩვენმა რაშმმა დობრინო ხელმარცხნივ, ასე ერთი კილომეტრით მოიტოვა და სენოსკენ მიმავალ გზატკეცილზე გავიდა. იქ ოდნავ შემალბებულ ადგილზე, ფიჭვნარში განვლაგდით. კრეზიენისკიმ ჩემს ოცეულს იმ ადგილის მეთვალყურეობა უბრძანა, სადაც გვირაბიდან ამოსასვლელს ვვარაუდობდით. ფედია კომლევის მოტანილი გეგმა კარგად მქონდა შესწავლილი. ამას ჩვენი ბიჭების მოსაზრებებიც მივუმატე და ბრძანების შესასრულებლად გავესწით. ჯერ კიდევ ბნელოდა, კაცი კაცს ვერ იცნობდა, დობრინოზე სქელი ნისლი იწვა. არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა და ისე გუმანით მივიწვედით წინ. ვათენებამდე საბრძოლო პოზიცია უნდა დაგვეკავებინა.

სოფლიდან მიმავალი გზა-შარა გადავჭირით, ცოტაც გავიარეთ და ისე განვლაგდით, რომ ერთი მხრივ გვირაბიდან ამოსული კაცი არ გაგვეპაროდა, მეორე მხრივ თუ სენოდან მაშველი ძალა გამოჩნდებოდა, შეგვემჩინა და კრეზიენისკისთვის გვეცნობებინა.

სხვა ოცეულები მთავარ გზატკეცილთან ჩაწვნენ.

თითქოს ყველაფერი წინასწარ არის დაგეგმილი და გათვალისწინებული, თითქოს წარმატებაში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, მაგრამ ბრძოლის დროს ათასი წერილმანი წამოჰყოფს თავს და შესაძლოა ერთმა პატარა შეცდომამ ყველაფერი არიოს.

თენდება. გრილი ნიავი ჰქრის და ნელა, სულ ნელა ჰფანტავს ნისლს, რომელიც ირგვლივ ჩაწოლილია.

აღმოსავლეთით მოწითლდა ცა, თვალსაწიერი მუქდება და ასე მგონია რაღაც ძალა დაჟინებით აწევბა მზეს და ზევით ამოჰყავს. წვრილ-წვრილი ვარსკვლავები ერთმანეთის მიყოლებით ქრებიან, თითქოს ვიღაც სულს უბერავს.

საცა ნიშანს მისცემენ. იერიშის წინ ცაში წითელი მამხალა უნდა აეარდეს. ალბათ ჯერ ადრეა. კვლავ ვლელავ. თვალგებს აქეთ-იქეთ ვაცეცებ. მაინც სად არის გვირაბიდან ამოსასვლელი? იქნებ კარგა მანძილით ვართ დაშორებული იმ ადგილიდან.

მოვიხედე, ვერაფერს შევნიშნე, კარგად შენიღბულან. დობრინოში ძაღლები ყვეფენ, სხვაფრივ სიწყნარეა.

მზე ჯერ არა ჩანს, თავლსაწიერი კი სულ უფრო და უფრო წითლდება, ალბათ მზეც ასევე ნელა მოიწვეს მალა.

ჩემი აზრით, დროა, მამხალა კი არა ჩანს.

წუთი წუთს მისდევს, უკვე ვლელავ. უცებ ცაში წითელი მამხალა აიჭრა, მშუღილით წავიდა და მერე ცასა და მიწას შორის ჩამოეკიდა.

სროლა და ყიჟინა ერთად ატყდა. შეტევა დაიწყო. გარკვევით მესმის ვაშას გუგუნნი და შეძახილები. ყოველი მხრიდან ისვრიან, ყოველი ქაბის იარაღი მოქმედებს. დობრინოში რომელიღაც შენობა იწვის, ჯერ კვამლი შევნიშნე, მერე ცეცხლის ალი. უცებ ექთან სოფია გამახსენდა. ვაი თუ ამ ჯოჯოხეთში დაიღუპოს, ახლა ვინ გაარჩევს მტერსა და მოყვარეს, ან ის პოლიციელს გენადი გორბი, ფედიას გვირაბის გეგმა რომ მოუტანა, გადარჩება თუ არა?

იერიში კი გრძელდება. წუიან ტყვიები, ხათქა-ხუთქი გაუდის უღმბარებს, არ ცხრებიან ტყვიამტერქვევები. ჩვენ კი ეწვევართ, არაფერს გვესვრის, არაფერს ვაწუხებთ. წამოვიწიე, ცაში ატყორცნილ ცეცხლს ვუცქერი, ხეუღლად მიიწვეს ალი ზეცაში, უფრო შორს ისე წითელია აღმოსავლეთი, გეგონებათ იქაც ხანძარი.

გაშტერებული ვეუურებ ამ სურათს ისე გავერთე, კორპუსების ძახილიც კი ვერ გავეგონე. ვასომ დამქანა, ვაღლოდებ გეძახისო. სოფლიდან მომავალ შარახეორი კაცი მობრბის, წელში მოჭრილი მოძუნძულდება. ახლო მოგუშვით, ერთ-ბმად დავაცხრით თავზე და ორივე მიწაზე ვავშლართეთ.

— ვინა ხართ? — ვკითხე.  
— დობრინოდან ვართ, იქ ხოცკა-ელეტვაა, ძლივს გამოვასწარით. — მიპასუხა ერთმა.

გაგხბრიკეთ. ერთს ხელუღმბარა აღმოაჩნდა, მეორეს — პისტოლეტი, ცხადი იყო საქმე პოლიციელებთან გეჭონდა. იქნებ მოასწრო მასლენიკოვმა სატელეფონო ხაზის გადაჭრა და სენოში ესენი გაგზავნეს. რა ვეუო ახლა ამათ, რა ვათქმევირო? ვასომ ქართულად მიტხრა, იქნებ გვირაბიდან ამოსასვლელი იციანო. მე არც ვაცივ, არც ვაცხელე და ლიზუნოვს ვუბრძანე:

— გაიყვანე, მიშა, და ორივე მიახვრიტე.

პოლიციელებმა ერთი კი შემოიხედეს, ეგონათ ვხუმრობდი, მაგრამ ლიზუნოვმა სულის მოთქმა არ აცალათ. ორივე წინ გაიგდო, მაშინ მოვარდნენ ჩემთან, დაიოქქეს და სიცოცხლის შენარჩუნება მთხოვეს.

— ვინა ხართ? — გაუშეორე კითხვა.  
— პოლიციელები ვართ, მაგრამ ჩვენი ნებით არ მივსულვართ მათთან, სუშჩინსკიმ დაგვაპატიმრა, ძალით შეგვიყვანა პოლიციაში.

— დახვრიტე, მიშა!  
პოლიციელები აღრიალდნენ.  
— ადექით. სად მთავრდება გვირაბი, სწრაფად!

— გვირაბი სკოლის შენობასთან იწყება, სადღაც აქეთ მოემართება, მაგრამ სად მთავრდება არ ვიცი.

— კრუზიჩინსკის მიუყვანე, მიშა, მან გადაწყვიტოს. შენ ამ წუთში აქ გაჩნდი. გზატკეცილს სტიოპა დარაჯობს, იგი ტკაჩენკოსა და დორონინის ოცეულებზე წინ არის ჩასაფრებული, სენოდან მომავალი მანქანები პირველად

სტიობამ უნდა შენიშნოს და გვაცნობოს. ამ შემთხვევაში სენეციჩი ყველაზე საიმედოა. მის თვალსა და ყურს მანქანა ან ფორანი კი არა კატამ რომ გადაურბინოს გზაზე. ისიც არ გამოეპარება.

ჩვენც დობრინოში დატრიალებულ ჯოჯოხეთს ვუცქერით. თვითეულ ჩვენგანს შეუძლია წარმოიდგინოს თუ რა ხდება ახლა სოფელში, ისე გაშმაგებით უტყვენ რაზმები, წარმატებაში დარწმუნებული ვარ, მაგრამ ვის შეიწირავს დღევანდელი დღე? ბრძოლა მწვავედება, მე ამას ვგრძნობ, რადგან უკვე მესმია, თრმხრვი სროლაა.

ნაღმტყორცნიც აღრიალდა, კბილებამდე ყოფილან შეიარაღებულნი. იქნებ მიშველებაა საჭირო. იქნებ სწორედ ახლა, ამ წუთებშია გასაჭირი და ჩვენმა გამოჩენამ გადაწყვიტოს ბრძოლის ბედი.

ნეტა რას ფიქრობს კრეზიჩინსკი? მე რომ მის ადგილას ვიყო, ეორა გრებელნიკოვის სამარქაფო ოცეულს სოფელში გავგზავნიდი.

კორპუსევი წრიალებს, ვერ ისვენებს. ვიცი მისი გულის ამბავი, რომ ვუთხრა, მარტო შევარდება სოფელში.

ლიზუნოვმა მოიბრბინა, რალაც დამიძახა. ვერ გავიგონე, მერე ხელი გზატკეცილისკენ გაიშვირა. სტიობა თავქუჯ-მოგლეჯილი მობრბის.

— მანქანები, მანქანები მოდიან, — ზარივით რეკავს მისი წკრიალა ხმა.

მაშინვე ბორიჩი კრეზიჩინსკისთან ვაფრინე, გრებელნიკოვი მოგვაშველემეთქი, ჩვენ გზატკეცილს შივაწყდით და ჩავსაფრდით.

ადგილებზე ვასო-და ალიოშა დავტოვე.

ნელა, სულ ნელა მობობლავენ მანქანები. სამი სატვირთო მანქანაა. ძარებზე ავტომატმომარჯვებული გერმანელები ღვანან. ყველა, როგორც ერთი კაცი, დობრინოსკენ იცქირება, ჯარისკაცები აქეთ-იქეთ ირზვეიან, თავს ძლივს იკავებენ. ალბათ სოფლის შარაზე გადაუხვევენ თუ ვაცაღეთ.

— ხელყუმბარები მოამზადეთ, მანქანები რაც შეიძლება ახლო მთუშვივი, მინდა მშვიდად გავცე ბრძოლები, მაგრამ ვატყობ ხმა მიკანკალებს. მოდიან, მობობლავენ მანქანები. მოდის სიკვდილი. შავშავი ავტომატები ჯერ ჩვენსკენ არ არის მოშვერილი, მაგრამ გავარდება ტყვია და ყველას ერთად დაგვიშენს ცეცხლს.

ლიზუნოვსაც შეუმართავს ავტომატი. თვალმომწყურული წვეს. მიშა არ დელავს. მიშა არასოდეს არ დელავს, ნება რომ მისცე, ათ მეტრზე მიუშვებს მანქანას.

— ცოტა კიდევ, ბიჭებო, სულ ცოტა, კომლევს ყუმბარა უჭირავს ხელში, ერთიც წინ უღვევს და ცალი თვალთ მიყურებს.

— აბა, ფედია, — შევუძახე.

წამოიწია და სტყორცნა. ყუმბარას თვალი გავაყოლე, ზედ პირველი მანქანის წინა ბორბლებთან გასკდა, ფედიათ თვალის დახამხამებაში მეორეც მიაცოლა.

ერთბაშად გზატკეცილის ორივე მხრიდან დაცხვით. თვალი გზის მეორე მხარეს გამქცა, ტაინეკო დაეინახე. უკაა გადაწეული სტყორცნიდა ყუმბარაა. წინა მანქანა ჯერ შედგა, მერე ცოტაზე გაიბრბინა, ათუბთუხდა, დადგა და გზა გახიდა. მეორე მანქანა პირველს მიასკდა. თავპირისმტერვეით გადმოცვიდნენ ძარიდან გერმანელები, მესამე მანქანა არა ჩანს. მტერის კორიანტელში კელარაფერს ვხედავ, თუმცა ახლი დანახვა არც არის საჭირო. ტყვიები ჩვენს ახლოს წუიან. მოუსწრიათ ჩამოსვლა და გვესვრიან, გვესვრიან ერთეულებად, ზალპით. თან ღრიალებენ და გვიახლოვდებიან.

ანტონ სუნოლოლსკი გამოჩნდა, გრებელნიკოვის ოცეული მოეყვანა, სულზე მოგვისწრო.

ივან-ივანიჩი დორონინის ოცეულში ყოფილა.

ახლა შეიძლება შეტევა, ვილაც უნდა წამოღვეს და მეტრბოლები იერიშზე გაიყოლოს. ანტონმა დამასწრო, ისეთი

დაქეპა, ყურის ბარაბანი კინალამ გამოხეთქა. მალე გზატკეცილი დადუმდა. სოფლისკენ მიმავალ შარაზე გადარჩენილი გერმანელები გარბოდნენ, მათ ჩვენი ბიჭების ტყვიები მისდევდა.

ამ დროს ვასოს ხმა გავიგონე, აქეთ, აქეთო, გვეძახდა.

გზატკეცილზე ტაჩენკოსა და დორონინის ოცეულები დარჩნენ.

მე და ანტონი ვასოსკენ გავიქეციით. ალიოშა ტაჩენკო დაქრილა, გზააბნეული ტყვია მხარში მოხვედრია.

კოლია ბორიჩს გვირახიდან ამოსასვლელი ეპოვნა. შუაზე გაჩხერილი მუხის მორებით იყო ამოკეტილი ამოსასვლელი, რაღაც კარების მაგვარი შეეკრათ, ალბათ შიგნიდან ურდული ჰქონდა გაყარილი. ისე იყო შენადბული, მხოლოდ კოლია ბორიჩისთანა „მაძებარს“ შეეძლო მისი აღმოჩენა.

გვირახიდან გუგუნ-გრიალი ისმოდა, ვილაცყები კარებს აწყდებოდნენ.

ამოსასვლელს კარგა მანძილზე მოვ. შორდით, ვასომ ორი ხელყუმბარა შეკრა და შიგ ამოსასვლელში ჩააგდო.

პაერში მწვანე მაშხალა ავიარდა. ეს ბრძოლის დამთავრების ნიშანი იყო. კრუხიჩისკიმ რაზმს თავი მოუყარა, სწრაფად დავეშვით სოფლისკენ.

სამი მეზრძოლი მოეკლათ. ცხედრები ბიჭებს თან მიჰქონდათ.

ალიოშა ერთხანს ყოჩაღად მოდიოდა, ტყვიელს არ იმჩნევდა, მაგრამ მერე და მერე ეტყობა ნამეტანი გაუჭირდა და ვასოს ხელი გადახვია.

ვასოს კორპუსევი მიეშველა, ხელები გადააჯვარედინეს და ტარანენკო ალიფაშასავით დასვეს ზედ, გაიცინა.

შეკრების აღგილზე ვაიცეხოვსკი დაგვხვდა. თერთმეტი ხელმეჭკრული პოლიციელი მის წინ ეყარა. ტყვეებს გადავხედე. მათ შორის არცერთი გერმანელი არ იყო. მოშორებით საკაცებზე დახოცილი პარტიზანები იწვნენ. ოცდაერთი ცხედარი დავთვალე.

სოფელი სწრაფად დავტოვეთ. ტყეს მივაშურეთ, მაგრამ ვაიცეხოვსკიმ რაზ-

მები ბანაკში დაღამებამდე მინც არ მიიყვანა. „კუდებს“ მოერიდა. დამე მალე ლალ ნაძვარში გავათენეთ. ტარანენკოს კრილობა შეეუხვიეთ. ძალიან წუხდა.

დილით ბანაკისაკენ წავედით. ორშავიტებსკის გზატკეცილზე ღამითვე გადავედით, ასე რომ, ახლა უშიშრად მივაბიჯებდით, თუმცა რაზმებს წინ მხვერავები მინც მიუძლოდნენ.

ბანაკში მშვიდობით მივედით, ვაიცეხოვსკიმ ბოიკოს ოპერაციის შედეგები მოახსენა და ტყვეებიც წარუდგინა. უკვე 24 ეპეკაცი ცხედარი ესვენა. ბოიკომ, სტელმახმა, მანომახმა და სოკოევა ქუდები მოიხადეს.

მასლენიკოვი და შოროპი, კი არ ჩანდნენ. მათი არ ყოფნა აქამდე არაგის შეუშინებია. ბოიკომ ვაიცეხოვსკის ლმობიერად უსაყვედურა, მაგრამ შტაბის უფროსმა თავი იმართლა. შეკრების აღგილი წინასწარ დავნიშნეთ, იქ მოსვლა ყველასათვის სავალდებულო იყო.

ბოიკომ სამომ საფლავის გათხრა ბრძანა. ბანაკის ირგვლივ კი ყარაულა გააძლიერა. უზარმაზარი საფლავი გათხარეს და ცხედრები შიგ ჩააწინეს. მიწას რომ ვაყრიდით, სწორედ მაშინ გამოჩნდნენ ვალოდია შოროპი და ამფეტქებელთა ჯგუფი. მათი დანახვა ყველას გაგვიხარდა, მაგრამ ჩვენი სიხარული ნაადრევი გამოდგა.

კოლია მასლენიკოვი დაღუპულიყო. საკაცით მოიტანეს, მასლენიკოვის ცნობაც არ შეიძლებოდა, სახე სულ ერთიანად დაცხრილული ჰქონდა ტყვიით.

კოლიაც სამომ საფლავში ჩავასვენეთ. იქვე დახვრიტეს ტყვე პოლიციელებიც, რომლებმაც სიკვდილის წინ დაუფარავად აღიარეს თავიანთი დანაშაული. ისიც თქვეს, როგორ გაიქცა სუშჩინსკი.

ამფეტქებელთა ჯგუფის მეთაურობა ცურანმა ითხოვა. მაშინვე დანიშნეს.

ბრიგადის სანიტარული ნაწილის უფროსმა პეტრე ივანეს ძე ტიხონოვმა სოფლა ექთანის სახით გამოცდილი თანაშემწე და კეთილი მეგობარი შეიძინა.

(გაგრძელება იქნება)

აკაკი გაბოვიანი

ლ მ ქ ს მ ბ ი  
სიკლიან „შოკანა“

შოკაული შუქი

მეცა მყოლია გულის სწორები,  
მეცა მჭონია ბევრი იმედი...  
ბევრი სანთელი ბეუტავდა შორით,  
და ჩაჭრა, როცა ახლოს მივედი.

შენ ხომ მთვარე ხარ, ბადრი მთვარე და  
ვარსკვლავებია შენი მაყრები...  
შენ რას უპირებ შენს მეოცნებეს —  
გზას გამინათებ თუ შენც ჩაჭრები?

ჩემი მეგობარი

მე თანამგზავრი მჭირდება  
მზის და სიცოცხლის მხარეში,  
ერთი დღეც ვეღარ ვიცოცხლებ  
მე სიყვარულის გარეშე.

ვგ არის ჩემი სისუსტე  
და ჩემი ძალაც ვგ არი:

უსიყვარულოდ ვერ გაეძლებ-  
ლადი და დაუდევარი.

ნაზი მეგობარი მჭირდება  
მზის და სიცოცხლის მხარეში...  
ერთი დღეც ნულარ მაცოცხლოს  
მე სიყვარულის გარეშე!

საგანძურის თვალი

ჩამოციმციმდებოდი,  
მოგიხუამდი გვერდით,  
არ გამიცვივდებოდი,  
გაგათბობდი მკერდით,  
ქვეყანაზე რომ სადმე  
ყოფილიყო ღმერთი.

ჯერ არ გადამიშლია  
მთელი გული სხვისთვის —  
ზოგს არა აქვს გული და

ზოგსაც გული მისდის,  
ზოგსაც თვალი ქლალატობს,  
სხეკალს ეკლად მითელის.

შენ ხარ ჩემი ოცნების  
სანუკვარი ქალი,  
კიდევ შეგიყვარდები,  
ვიცი, მთელი ძალით,  
რადგან თვითონ შენა ხარ  
საგანძურის თვალი.

## პარსკვლავნილი

მე უცნაური სიზმარი ვნახე —  
 მას შემდეგ მშვიდად არ შეძინება:  
 ჩამოდიოდა ციდან ვარსკვლავი  
 და მებნეოდა გულზე მძივებად.

ჩამოდიოდა ციდან ვარსკვლავი...  
 ხალხი სიყვარულს ეწირებოდა,  
 და თითქოს ჩემი გულის ფიცარზე  
 შენი სახელი ეწერებოდა.

## ჩემი ტაძრის ანგელოზი

არა მშურს პეტრეს ტაძრის მშენებლის,  
 არც აპოლონის, არც ანჯელოსი...  
 ვფიცავ ფხოტრეურის მთავარანგელოზს —  
 შენ თვითონ ჩემი ხარ ანგელოზი.

შენ რომ გიდეღით ფქვილს აიკიდებ,  
 გზას გაგიყენებს უთქმელი სვედა,  
 ასე მგონია, ტრფობის ტაძარში  
 მოსალაოცავად მოდიხარ ჩემთან.

ჩემი ტაძარიც უშბის ტოლია,  
 ცას არღვევს მისი თაღი მზიური,  
 შიგ არის სიტყვის საკურთხეველი  
 და ზედ გიზგიზებს ცეცხლი ციური.

კარს შემოაღებ, შემოსვალ წყნარად  
 და ხელს შემახებ ნუგეშის ცემით...  
 ვფიცავ ფხოტრეურის მთავარანგელოზს,  
 ანგელოზი ხარ შენ თვითონ ჩემი.

## შოჩანა შოჩს და შოჩანა ახლოს...

შენ თუ გაიგე სიმაღლე ჩემი,  
 შე თუ გაიგე სიმაღლე შენი,  
 შევინაგარდებთ უშბაზე მალლა,  
 ვერას დაგვაკლებს შური და სენი.

ჩემი ფიჭვი და ჩემი ოცნება  
 მხოლოდ შოჩენას ადიდებს ახლა...  
 დედამიწაზე შორი გზებია,  
 შევინაგარდოთ ღრუბლებზე მალლა.

ჩემი ოცნების თეთრო ყვავილო,  
 შენ შემოქმედი გხატავდა ჩემთვის,  
 ულამაზესი — უთამამესო,  
 და ჩემი სიტყვაც თამამად გელტვის.

მერე დავბრუნდეთ დედამიწაზე,  
 გამოვიტაცოთ ზეცის ლამაზარი  
 და ვუანდერძოთ ადამიანებს  
 ამ სიყვარულის თეთრი ზღაპარი.

## ბაბუღლი შიზანი

ეს ლამაზი სვანი ქალი  
 ვისია და ვისია?  
 მარგალიტი სხვისია და  
 ჩემი — სხივი მისი,  
 „მინდა ვიყოთ ჩვენი დროის  
 რაზინი და ვისი“.

გულითადო მეგობარო,  
 ნუ მარიდებ სახეს,  
 საიდუმლო შიკრიკებმა  
 მთები გადმოლახეს,  
 შენი სახის უკვდავყოფა  
 მიზნად დამისახეს.

## ჰაღოსნუნი შუქი



შორს, მალღა, მთაში ციმციმებს შუქი,  
მისკენ იჩქარის გვიანი მგზავერი.  
კლდემი ხარჯიხვი იცობნის წყნარად,  
ნღღა გუგუნებს კვირიკეს ზარი.

ვარსკვლავია თუ ცთომილი ცვეცხლი,  
რომ ქარისხალიც მისთვის დარია?  
არავინ იცის, ეშმაკს უჭირავს  
თუ ანგელოზის კელაპატარია.

ღა მაინც ჩქარობს გვიანი მგზავერი,  
სულის სიმშვიდე არ არის მისთვის...  
გადის ღამე და გადიან წლები,  
თეთრდება კაცი და მაინც მიდის.

მე უფრო მალე მივალწვევ მიზანს:  
მაქვს მისწრაფება ფრთამალი მერცხლის,  
და ვხედავ, ვისაც უჭირავს ხელში  
ის საოცარი ცთომილი ცვეცხლი.

## სიყვარულის ასაკი

შენ შეგაშინა ჩემმა წლებმა, ჩემმა ჭადარამ?  
ო. მეგობარო, შენ ეს სულაც ნუ გედარდება!  
ცამ, მართალია, ფანტელები ჩამომიყარა,  
მაგრამ ჩემს გულში იქცევიან უჭკნობ ვარდებად.

მემოწმებიან მწვერვლებზე თეთრი ღმერთები,  
ამ ყვავილებით დაფარულა მთა და ბარი და  
სიყვარულისთვის არასოდეს არ დავბურდები,  
სიძულვილისთვის ბებერი ვარ დასაბამიდან!

## „ი ვ ე რ ი ა“

ოცნების კოშკი ავაგე შენთვის,  
ასი სვეტი აქვს, ოცი სართული,  
შიგ ჩავასახლე ჩემი ფიქრები,  
სხვადასხვა მხარეს მიმოფანტული.

ყველაზე დიდი, მწვანე დარბაზი  
შენთვის შევამკე ათასფერადა,  
შენ კი, ფრთამალო მერცხალო ჩემო,  
გამზადებულხარ გასაფრენადა!

## სვანის სიყვარული

გინდ დაიარო მთელი ხმელეთი,  
აღმოსავლეთი და დასავლეთი,  
ისეთ სავანეს ვერ ნახავ ვერსად,  
როგორც არის ჩვენი სვანეთი.

გინდ დაიარო მთელი ხმელეთი,  
ფართო, ფერადი, როგორც ზღაპარი.

ერთიც ვერ ნახო ქვეყნად სასახლე,  
ჩვენი სვანური კოშკის სადარი.

გინდ შეაჯერო ზღვა და ხმელეთი,  
ოკეანეთა ფსკერიდან მზემდის,  
ვერსად შეხედები ისეთ მარგალიტს,  
როგორც მფეთქავ გულში მაქვს შენთვის.

## სიბერეზა შივი



მართალია, თმაში თეთრი გამურია,  
 გზაზე მწუხრის კოცონები ენთებიან,  
 მწვერვალები თითქოს თეთრი ღმერთებია, —  
 რას დავეძებ, თავზე თმები რაფერია?  
 განა თეთრი მწვერვალები ბერდებიან?

სიბერესაც მივეჩვევი თანდათანა, —  
 მე კი არა, თაობები ვცემიან —  
 მაგრამ ვისაც კაცის სახე შერჩენია,  
 არ შეშვების იმ სირცხვილის გადატანა,  
 რასაც მარტო დალუპული ეჩვევიან.

## სანათის ზეგვი

სუნთქვის ტყეში ასწლოვანი ნაძვის ხეები  
 საზამთროდ თეთრად იმოსავენ აშოლტილ ტანსა,  
 ნაიჭროლებენ სუსხიანი ფიფქის ცხენები...  
 ნეტავი ახლა, ერთხელ კიდევ, იმ ცხენზე დამსვა!

მაგრამ ჯერ კიდევ მელის ბევრი დღესასწაული!  
 იქ მგვულება ერთი ნაძვი, სხვებზე მაღალი,  
 ვით ქანაანის მიწა-წყალზე — გმირი საული...  
 ასწლოვან ტანზე აქვს კენწერო ახალთახალი.

იქ დავამაგრებ ცინცხალ ვარსკვლავს, ციდან მოწყვეტილს,  
 სტუმრად მოვიწვევ ჩიხვებს, ირმებს, არჩევებს, არწივებს...  
 წვეულთა შორის ვერ იხილავთ ერთსაც მოწყვნილს,  
 ჩემი შორენაც ჩემს სიხარულს გაინაწილებს

მე იქ ჯადო მაქვს, შემძლია თქვენი მიგნება,  
 რომ დაგილოცოთ, მგობრებო, ოცნება მწველი...  
 ახალ წლის ღამის შნო და გემოც მაშინ იქნება,  
 თორემ ეს რაა, ეს უთოვლო ახალი წელი!



არსჯომ ბებანიშვილი

## სამასი არაბველი

### ჰეროიკული ბალადა ალა-მაჰმად-ხანი

აქედან უკვე იწყებოდა გურჯების ქვეყანა.

ატლასითა და ფარჩით მოფარდაგებულ კარავთან იდგა ალა-მაჰმად ხანი და სანამ ლაშქარს დასძრავდა, წუთით გარინდებულს რატომღაც თავისი სიყმაწვილე აგონდებოდა.

შორიაბლოს ზურნა ჭყვიტივებდა. ზურნის გრძელი კვნესა ფათურაკიან ილბალზე მოუთხრობდა, აგონდებოდა როგორ ჩაუვარდა ტყვედ ალი-ყული-ხანს და მცირეწლოვანი ბიჭი უმოწყალოდ როგორ დაასაჭურისეს...

#### შირიან ბატონიშვილს

„საცყარელი შეილო! მდგომარეობამ აიძულა ამ წერილით გაუწყოს ჩვენი ახლანდელი საშიში მდგომარეობა, ხმა დავარდა, შესაძლებელია სიმართლის შემცველი, რომ ალა-მაჰმად-ხანი ჯარს ამზადებს, ჩვენი მეზობელი ზოგიერთი ხანის მოწყვეით ჩვენს საწინააღმდეგოდ, თუ მან ეს განზრახვა განახორციელა, აიძულებს მათ იგი ჩთელი სპარსეთის შახად იცნონ. და რადგანაც ჩვენ სხვა მფარველი არა გვყავს გარდა მისი უდიდებულესობის ტახტისა, გიბრძანებ შენ, ვითარცა მშობელი, გამოიჩინო

ერთგულება და ჩემი თხოვნა გრაფ. პლ. ალ-ძე ზუბოვის შუამდგომლობით მის უდიდებულესობას მიართვა... რათა რაიმე საშუალებით აგრძნობინოს მტერს, რომ საქართველო ასეთი დიდი მონარქის მფარველობის ქვეშ იმყოფება. ამ გზით შევინებულმა მტერმა იქნებ გადაიფიქროს თავდასხმა“.

მეფე ერეკლე

#### ბაიოზ აკვიმანდარიძეს

„ალა-მაჰმად-ხანისაგან სოპხეთ-ესაული მოვიდა წერილით. იბრემი შუშელი ხანის წინაღმდეგ უნებებია მზადება და ითხოვს ჩემი სამხედრო ძალები დაეახმარო ჩემი შეილისა და თავადების წინამძღოლობით. თქვენ იცით, რომ ამ წინადადებაზე მე დათანხმება არ შემიძლია იმიტომ, რომ თუ იბრემის წინააღმდეგ მან წარმატებებს მიაღწია, აუცილებლად შემდეგ ჩვენ წახდენასაც შეეცდება“.

მეფე ერეკლე

#### ბრავ ა. ბაზოროვსას

„ჩემი მოსვლის შემდგომად სერგეი ლაზარიძის (ლაშქარევის) პირით მეზრძანა, რომ თქვენი ბრწყინვალეობა დამიბარებს და ჩემი შეფისაგან მობარებულს კამისიაზე

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მელაპარაკებით, — იმ ჟამის შემდგომად  
ველი თქვენს ბრწყინვალეობას. აქამდინ მრავალის  
საქმის გამო ვერ შეგაწუხეთ, და ახლა ყოველთვის ჩემის მეფისაგან წიგნი მომდის და პასუხსა მთხოვს, რომ მივართო. წყალობას ვითხოვ ჟამი დამინიშნოთ და ინებოთ ჩემთან საქმეებზე ლაპარაკი“.

გარბევან კავკაზი

აქედან უკვე იწყებოდა გურჯების ქვეყანა.

მდორედ გაშლილი მტკვარი ნელა მიავლინებდა ზვირთებს და მოგონების ფურცლებს საითათოდ ეხდებოდა ფარდა.

დასაჭურისებული ალა-მაჰმად-ხანი მთელი ზეცოცხლე კაფანდარა კაცის სიჯიუტით სარდლის მძიმე უღელს სვეგამწარებელი მიათრევდა, მაგრამ კობები მაინც არ ეხსნებოდა. გულს სიამე არ ეფინებოდა. მისთვის ყველა სიხარული და გამარჯვება ყინულივით ცივი იყო...

ვახაჩიძე II-ს

„დამჭირნეობა ესოდენთა ქრისტიანეთა მაიძულებს მე ვედრებდა უდიდებულესისა თქვენისადმი, რათამცა აღთმისაგებ ყდ უმოწყალესისისა ტრახტატისა ინებოთ შეწვევა ჩვენს ალა-მაჰმად-ხანსა ზედა, რომელიცა მახლობლად ჩვენდა მდგომარე არს არმიითა თვისითა და ცდილობს დაპყრობას ქვეყნისა ჩვენისასა, რომლისათვისცა ცრემლით გვევდრები, უდიდებულესო ზელმწიფეო... რათა მოგვეცეს შეწვევა უძლეველითა მხედრობითა“.

დარეჯან დედოფალი

მირიან ხატონიშვილს

„მე ხავსებით დარწმუნებული ვიყავი, რომ ალა-მაჰმად-ხანი თფილისზე მოდიოდა.. თითოეული მისი ღამის გასათევი ადგილის შესახებ მე ცნობებს ვაწვდიდი ბატონ გუდოვიჩს“.

მეფე ერეკლე

„აქედან უკვე იწყებოდა გურჯების ქვეყანა.“

ალა-მაჰმად-ხანმა სიყმაწვილიდან საკუთარი უძლურების საზღაური მთელი ქვეყნიერებისადმი მტრობაში დაინახა. თვით უბედურსა და გაუხარებელს, უნდოდა, ჯანმრთელი, სიცოცხლემოწყურებულ ადამიანების სოცვით, მცირედი შეება მაინც ეერძნო. ალა-მაჰმად-ხანი განსაკუთრებით გამწყრალი იყო ერეკლე-ხანზე, ვინც ზურგი შეუბრუნა სპარსეთის ლომს და დასასმარებლად ხელი ჩრდილოეთისაკენ გაიშვირა. ეხლა ალა-მაჰმად-ხანი ერეკლე-ხანს იმ მარჯვენას მოკვეთდა და მერე რუსეთის იმპერატორსაც წაუხდებოდა მადა სამხრეთისაკენ თარეშისა...

განგაღობა გუდოვიჩს

„ჩვენ რომ ყოვლად მოწყალე დედოფლის მიერ დაიმედებული არ ვყოფილიყავით და დარწმუნებული არ ვყოფილიყავით თქვენს დახმარებაში, მაშინ სხვა მხრიდან მოწყვეული ჯარებით მას (ალა-მაჰმად-ხანს) წინააღმდეგობით, ანდა სხვა ხერხით დავიცავდით სამეფოს. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვიყავით თქვენი და უმაღლესი კარის დახმარებაში“.

მეფე ერეკლე

მეფე ერეკლე

„ვიდრე ალა-მაჰმად-ხანი თავს დაესხოდა საქართველოს, მან ჯერ ბევრი ხანი უნდა დაიმორჩილოს, რომელთაგან ზოგიერთის წინააღმდეგობის სურვილიც აქვს, განსაკუთრებით შუშის ხანს... ამიტომ მე ვერ ვხედავ საფრთხეს საქართველოსათვის“.

განგაღობა გუდოვიჩს

აქედან უკვე იწყებოდა გურჯების ქვეყანა.

მწვერავლებმა აცნობეს ალა-მაჰმად-ხანს, თბილისი თითქმის გაუმაგრებელი იყო, მოსახლეობაც სადღაც გაეხიზნათ. ამან გული დასწყვიტა ბებერ საჭურისს, რადგან ძალიან უნდოდა ქართველები ქერმანის ბინადარივით დაესაჯა, როცა მათ ლუთფ-ალის დაუჭირეს მხარი. მაშინ ბრძანება გასცა ალა-მაჰმად-ხანმა ქერმანის ყველა მამაკაცისათვის თვალები დაეთხარათ. მალე მისმა ერთგულმა და ხელმარჯვე აქიმებმა ჭრელ ხალიჩაზე ოცი ათასი წყვილი თვალი დაახვავეს. ეს... ერთი ეს გურჯების ქვეყანაც წაქცია და მერე კავკასიონს აქეთ მისი ტოლი და ბადალი აღარავინ იქნებოდა...

### მეფე პაქალა

„ამით, პატივისცემით, თქვენი სიმაღლის სახელოვან პიროვნებას, მოვასხენებ, რომ ალა-მაჰმად-ხანის ლაშქარი არტილერიით საქართველოსაკენ დაიძრა“.

იბრაჰიმ-ხან შუშელი

### მ ხ ე დ ა რ თ უ ხ უ ც ე ს ი

შავი ნაბდები აფხარა ზეცას, მთის წვერები ნისლმა გათანგა.

ქუჩბალახს ნამი ცრემლივით ვყარა და თეთრი ბურუსიდან მოძალებული მზე ყოჩივით აპირებდა ხვევებზე გავლას.

შემღვრეული არაგვი ძალუმად ეხეთქებოდა მუხიან ნაპირებს.

ერგვლეს მალემსრბოლნი ისარივით გაეკრნენ ერთგულ ყმათა სანახებს. ივერიისათვის მრავალგზის ნახმლევ მხედართუხუცესთ უსტარი ამოუტანეს ბარიდან.

ლომისში

პირიშვის სალოცავში

ლაშარის გორზე

გუდანში დარისხებულ ზარებს წუთით წათვლემილი სმლები გაუხმიანენ.

მეფის ერთგული ყმანი, ვისაც ხალხისათვის უნდა გაეგებინებინათ ელდაამბავი, შინ არ იყვნენ.

ქვეყნისა და მამულის საქმეზე გასულთ დუნია დაეღაბათ.

ზიზღილი ქვეყნისა

მალემსრბოლნი მათ კვალს მიჰყვნენ.

ღურბელა თამნიაური ხელებგაბაწრული მიჰყავდათ შანშეს ნაშიერთ. პაპებმა თუ ანანურის მოხრება იკმარეს, შვილებმა ველად გასული მწყემსებიც არ დაინდეს, ხან რას უმარებდნენ და ხან რას. ეხლაც ღურბელა თამნიაური მუჯღუგუნით მიჰყავდათ და დროდადრო მათრახსაც არ აკლებდნენ.

ნაღვლიანი თვალებით გაჰყურებდა თამნიაური სამშობლოს მთებს, გულდინჯსა და მკლავმამაც ვაგაკეს ქუთუთოსთან ნამი უბრწყინავდა; იცოდა, სადღაც უკაცურ ახოში მიაქანებდნენ. წინ გრძელი გზა ედო, მაგრამ სიკვდილ-სიკვებლის სასწორზე შემდგარი ღურბელა გრძნობდა, სამარისპირამდე უმოკლესი ბილიკი დარჩენოდა, გრძნობდა ამას და არ უნდოდა დამატყვეველთ ჯაბანი ჰკონებოდა; თამნიაურს თავი მალა აედო და შვის სიხეს ამოეშრო ის ერთადერთი ცრემლიც, სამშობლოს მთებს რომ გამოეტანებინათ.

დღემდე ეგონა ღურბელას, გლეხის ბედს ნამუსის სამართლით გაზომავდნენ, ამიტომ დალაღა მწყემსები თავზობანმა და თანამოდმის შეგინებულ ოჯახს გვერდში ამოუდგა. მაგრამ თამნიაურს კაიკაცობა თხის კუდით გაუზომეს და გულფიც ღურბელასაც რა ჩარა დარჩენოდა, ხირიმი დაცალა მოძალადის უძარღვო შუბლზე.

ეხლა იცოდა თამნიაურმა, სიტყვის ჯარას აღარ დააბრუნებინებდნენ, თავისი ხელით გაათხრევიანებდნენ სამარეს, მერე თვალებს დასთხრიდნენ და...

გაჰყურებდა ღურბელა უძირო ხეგებს, თვალი არ უბნელდებოდა, მუხლი არ ლატობდა.

იმ პაწაწკინტელა ორმოსი კი, „თამნიაურის საფლავეი“ რომ უნდა დარქმეოდა, ეშინოდა, თვალს არიდებდა, სადღაც განზე იყურებოდა.

გული უკნესოდა.

ხარირემივით ტყვიით სიკვდილი ერჩივ-

ნა, მაგრამ იცოდა, ყულფი არ ასცდებოდა და ეს ერთი კვირა იყო, შინიდან ამოდ გაიტანა ყველა თოკი და ბაწარი, ნიადგ მაინც გასანთლული ყულფი უჩვენებოდა...

მიდიოდა თამნაური. უკან ლევები მისდევდნენ, შოძალადე ხომ მათ შავ ხელებზე ყოველდღე ყვითელ ოქროს უგორებდა.

ერეკლეს მალემსარბოლების დანახვაზე ლევებმა ტყვე მიატოვეს და თავქუდმოგლეჯილი გაიქცნენ. შოძალადისგან. ისინი გაფრთხილებული იყვნენ, მთაში რაც მოხდებოდა, მეფის ყურამდე არავითარ შემთხვევაში არ უნდა მისულიყო.

ღურბელამ შორიდანვე შეიცნო მეფის შიკრიკი და გულს მოეშვა.

თამნაურს შეუხსნეს ხელები და მეფის უბტარი გადასცეს.

ერეკლე თავის ერთგულ ყმას ავალებდა, ძველი თადარიგის მიხედვით, სალაშქროდ მზადრები შეეგროვებინა.

— ომი თუ იქნება? — ჰკითხა ღურბელამ მალემსარბოლთ.

— ცუდი ამბები მოგველის ღურბელავ, ცუდი!

მალემსარბოლნი, როგორც მოულოდნელად გამოჩნდნენ, ისევე მიიმალნენ. ჯერში ესლა სბვა მხედართუხუცესები იდგნენ.

გრდემლზე მძიმედ უბაგუნებდა ურო.

გამიდან გამზე ჯულურა მჭედელი შეჩერდებოდა, ნაჭედ მახვილს ცივ წყალში ჩაუშვებდა და როცა ფოლადი ცოტა შეგრილდებოდა, ცერით ფხას გაუსინჯავდა.

მერე ისევ უბაგუნებდა ურო და გავარჯარებულ ცეცხლში იწითობოდა მახვილი.

ბოლოს, ჯულურა მჭედელი, წესისამებრ, სამჭედლოს თავზეზე ჩამოხმულ ცხენის ძუას ხმალს შემოუქნევდა და როცა უმაღ გაწვევტდა, იარაღს კედელთან მიაკუდებდა. თან ჩაიდუღუნებდა:

— არ უნდა ღიჯინი, ას თათარს გაადგდებინებს თავს!..

ქშინავდა საბერველი და მძიმედ უბაგუ-

ნებდა გრდემლზე ურო.

ჯულურა შუბლიდან ოფლს იჩენდა და დღე და ღამე, ომი იყო თუ მშვიდობა, ნაჭობა თუ ჭორწილი, ჭირი თუ ლხინი, წიკლაური იდგა სამჭედლოში და ხმლებს სჭედდა.

იცოდა, მის სამშობლოს იმდენი მტერი ჰყავდა, მჭედელს ერთი დღეც რომ მიეშაფათებინა, ვინ იცის, რამდენი ქართველის დედა ატირდებოდა.

სამჭედლოში შემოსულ თანასოფელთ ჯულურა ყუარდლებით უსმენდა, მაგრამ არ ეძახებოდა, ფუჭად დროს არ კარგავდა. გარეთ მხოლოდ შებინდებულზე გამოვიდოდა, ერთს ღრმად ამოისუნთქებდა და იტყოდა:

— ღმერთო, შენ უშველე ჩემ ქვეყანას! დღეს კი, ჯულურა წიკლაური, პირველდაძახებისთანავე გარეთ გამოიჭრა.

სამჭედლოს კართან მეფის მალემსარბოლნი იდგნენ.

ქალამნის თასმები დაიგრძელა, გუდაში საგზალი ჩაიდო და დილაუთენია გავიდა სიფათის გზაზე. გულნამცეცებს ახოები გამოეთიბათ და თემმა ხომარაულს მიანდო მომხდურის დაკვალვა.

მუქის ღელესთან მახარეს უცნობი შემოხვდა, ზურგსუკან ცელი რომ ულაპლაპებდა. ხომარაულმა სალამი უთხრა და როცა ჩაიმუხლეს, მთის ადათისამებრ, გუდიდან მცირე საგზალიც უწილადა.

ერთი ჭვამი ლუდი და ერთი ცხვარი ვერ დააპურებდა ხომარაულს. ესლა ხმელს პურსა და ხატოს დეჭავდა, თან ცელიანს ურჩევდა, გონი მოეკრიფა, სხვისა დოვლათი არ გაეტაცნა.

მახარეს ეგონა სიტყვამ გაუჭრა და გულნამცეცა ხმალს ქარქაშში ჩააბრუნებდა, მაგრამ მორე დღეს ახოებში რომ გაიარა, ადგილები ისევ გამოთიბული დახვდა.

ესლა კი ბოდმა წამოთუდლდა, ნაცელავს ათიოდღე ხელი ემჩნეოდა, მაინც მიხვდა და კვალს მარტო დაადგა. საღამოხანს ქედზე თივის ზვინები დანახვა, ფუხი აედგათ და თვალს ბაჯბაჯით ეფარებოდნენ.

ხოშერაულმა თოფი გადმოატრიალა და ზეინიდან კონკოლასავით დაშვებულ კაცის ფეხს ნიშანი დაადო.

ზეინი მოზავადა.

სხვებმა ნაბიჯს მოუჩქარეს.

მამინ ხოშერაულმა მეორედ გატენა თოფი და მეორე კონკილაც გატეხა. ესლა კი დაახვავეს ზეინები ხელმრუდეებმა და გაიტყენენ.

არ მოეშვა ხოშერაული.

ფეხდაფეხს მიიყუა.

წინქედის გადასავალზე ჩაქცეულებმა წმინდა ნინოს სალოცავისაკენ დაუხვიეს და ხატს შეაფარეს თავი.

იცოდნენ, წმინდა ადგილზე, არც ერთი მღვდარი სისხლს არ დაღვრიდა.

მამინ მახარებ მხრიდან გუდა გადაიძრო, გასანთლული ბაწარი დამჯიდა, სანთელი ხანჯლის პირით ჩაფხიკა, ცხელ მუქაში აზილა, მერე ჩოხის კალთას ორიოდე ძაფი ჩაარღვია, სანთელში ჩაფინა და გაამრგვალა. ესლა ხოშერაულს მზა კელაპტარი ჰქონდა ხელთ.

— წმინდა ნინო, — წაიჩურჩულა მახარებ, — შენს საბრძანებელში ამ კელაპტრით შემოვალ და მტრის ჯავრს კი არ შევეშვებინებო! — მერე ხმალი იმიშვლა და ნაბერწყალივით ავარდა სალოცავში.

მეფის მალემსრბოლნი ამოდიოდნენ ფერდობზე...

თამარ მეფის საფლავი ნინია აფციაურმაც არ იცოდა სად იყო, ისე როგორც არავინ არ იცოდა საქართველოში, მაგრამ გაჭირვების ფაშს, ყველა ხატსა და სალოცავში, მოზარეზე ადრე თამარი რომ ავიდოდა და საგანგაშოდ ზარებს დაარისხებდა, ეს ნინია აფციაურმა კარგად იცოდა.

ქისტებმემოჩვეულ ხატს აგრერიგად ვედარ უვლიდა თემი და ურჯულოებს დროშა რომ არ წაეხილწათ, თემმა ნინიას დაავალა დროშის უშიშარ ადგილზე გადატანა.

მტერი ყორნებს დაძმობილებოდა და გზა-ბილიკზე დახოცილი ქალისა და კაცის ბეწვსაც აღარ სტოვებდა.

ხალხი წყდებოდა და რაც უფრო სავალა-

ლო იყო, საფლავებზე ვეარგებოდათ.

დღლიპლიპებულ ხანჯალს ბრუნუნდა ქისტები მუსა. ისე სწრაფად აწვობდა ხატსა კლაობს, რომ მხოლოდ მისი ცხენის ნალი თუ გამოანათებდა.

გზაზე ნინია აფციაურს ცხვარი დაეყენებინა და მუსას უნდოდა თუ არა, ზედ უნდა წაჰყროდა.

ნინიამ ხმლის აგეთი დაგვლავება იცოდა, რომ ეშმაკსაც შეაკრთობდა, მაგრამ მტერი ვერაგი იყო.

აფციაურმა თოფი აიიღლიავა და არხეინად გადმოყუდა ფერდობზე.

გამოჩნდა მუსა და ნინიას გაჯაერებით შეუძახა:

— აქ რას დაფთრევი?

— ჩემი იალაღია და ცხვარს ვწყვსისაგ, — მშვიდად მიუგო ნინიამ.

მუსამ დამბაჩა წაიძრო წელიდან.

ნინია ერთი ნახტომით გადააფრინდა ჩირგვანარს და ლოდს უკან სწორედ მამინ ჩაწვა, როცა ტყვიამ წივილით წაატეხა ქიმი პიტალოს.

— შეგვმინდა, ბეჩავო! — სიცილი დააყარა მუსამ და დამრბევმა ურდომ ბანი მისცა ხორხოციტ.

ნინიამ არ იცოდა სად იყო თამარ მეფის საფლავი, მაგრამ თამარი რომ ესლა ყველა ხატსა და სალოცავში იჯდა, აფციაურმა ეს კარგად იცოდა და ამიტომ იმედი ჰქონდა შეწყენისა.

— სროლა გვეთი არ უნდაო, — გადასძახა მუსას, მერე წამოჯდა ლოდზე და ხახადაღებულ მტერს თოფი ისე სწრაფად დაახალა, რომ ცხენიდან გადმოკიდებულ ქისტს ისევე ხორხოცებდა და თან... კვდებოდა.

აწრიალდა ურდო.

ხმლები იმიშვლეს.

თოფები გამართეს.

ნინიამ თოფი გადააგდო, დროშა გულში ჩაიხუტა და ფარას მუცელქვეშ შეუწვა. ცხვარი შეგაკუფდა, შენივთდა და გაგულისებული მტერი ფარას დაერია.

იალადი ცხვრის მატყლით გადაყვითლდა სისხლით გადაწითლდა.

სამშვიდობოს გასულ ნინიას ერეკლეს მალემსრბოლნი წამოეწვივნენ...

## ფიცი სპინისრველიან

მალემსრობლებმა მხედართუხუცესთ მე-  
ფის ბრძანება გადასცეს და თვითონ უმალ  
თბილისისაკენ დაემყენენ, შიშინობა ახლო-  
ვდებოდა და დრო იყო საშური.

მათ ცხენების ნალს ჯერ ნაპერწყალი არ  
გაქრობოდა, რომ მხედართუხუცესებმა დაი-  
წყეს ხალხის ხმობა სალაშქროდ.

ქუღზე კაცი!

სოფლებში

ყოველ გზასაყარზე

ცახე-კოშკსა

და

ხატობის ლოდზე უზარმაზარი კოცონები  
აბრიალდა.

ციხეები ერთმანეთს უყურებდნენ და ყვე-  
ლა ყარაულს მშრალად ჰქონდა შენახუ-  
ლი ჩალის კონები.

ციხემ ციხეს გადასძახა

კოშკმა-კოშკა.

სოფელმა-სოფელს.

საყდრებზე დარისხებულ ზარებს ორი  
ღამე არ დაუძინათ.

ვისაც ნამუსის ქუდი ეხურა, ყველამ გაი-  
გო ომის ზარი, შეიარაღდა რითაც შეეძლო:

მაკართა და ხირიმი

ფრანგულითა და ლეკური

ხანჯლითა და ფარით

შვილდითა და შუბით

კომბლითა და ხელკეტით.

გამოიყვანა ნახედნი — მოვლილი

ცხენი.

უფსკრულებზე მფრინავი და

თოფის ხმის არ მოშიში.

მუხლმაგარი და გულდაუღლევი.

გავათხელი და მკერდგანიერი.

შეკაზმა

ამხედრდა

და დაიდრნენ

ფშავის ვაჟაკანი

ხევსურეთის რჩეულნი-

მთიულეთის ლომისის ყმანი

შეუპოვარნი გუდამაყრენნი...

ფშავის არაგვის

თეთრი არაგვის

შავი არაგვის სანახებიდან ყიჟინითა და  
სიმღერით გამოემურა სამასი არაგველი.

ჭირში ფიცნაქამ ძმებს მთიულეებმა სა-  
წყვეარი დაუდეს:

მთიულეთიდან გამზადნენ

ვაენი ლომისის ყმანიო,

იფიცეს ლომისის კარზე —

მამულს შავწირთ თავიო!

ლაშქრიდან გამოქცეულსა

რისხავეს ლომისის ძალიო...

დარისხებულ ზარებს ხმლის ეღრიალი  
შეუერთეს არაგველებმა.

მხედართუხუცესებმა თანამომეებს უწი-  
ლადეს დანაბარები, აჩქარდნენ და აჩქა-  
მდნენ, ვიწროები გადმოიფრინეს, გრძელი  
გზა მოსჭრეს, ფესდაფეს წაიხეშეს.

ღურბელა თამნაურს მაგარი ჰქონდა  
ხელთ. მხართან თავისზე მაღალი შვილდი  
მიუყუდებინა.

მხარე ხომეარულს ფრანგული უჭრიდა.

ნინია აფციაურს თავზე ჩაჩქანი ეხურა,  
მხარზე ფარი გადაეკიდებინა და ხმლის  
წვერი ფეხის კოჭთანა სცემდა. მარჯვნივ  
დროშა ჩაებლუჯა.

დროშისტარს ზარი ეკიდა და ყოველ  
შერხვევაზე წკრიალებდა.

ეს დროშა უყვარდათ არაგველებს. ბევ-  
რი ბრძოლის მონაწილე იყო იგი და შინ  
ყოველთვის გამარჯვებული ბრუნდებოდა.

ამ დრომით არაგველებს დამარცხება  
არ ახსოვდათ.

მედროშე კი ნიდაგ ნინია აფციაური  
იყო.

ნინიაც ჯერ წაქცეული და შერცხენილი  
არ ენახათ.

ამიტომ მხედრობა ლაღი სიმღერით მოა-  
ხმიანებდა მთებს, სიკვდილთან საომრად  
შუბლგახსნილი მიდიოდა, თითქოს მეჭო-  
რწილე მყარი ყოფილიყო.

შეგროვდნენ და დაირაზმნენ ჟინვალის  
შემოგარენში.

ციხე-კოშკებიდან გამოაბრძანეს ხატი  
და დროშიონი.

დაიკლა საკლავი.

მხედრობა მუხლზე დაეშვა.

ხვეისბერმა გზა დაულოცა:

ღმერთო, დიდება შენთვისა, ღმერთო,

მადლი შენთვისა!

ღმერთო, გაუმარჯვე დიდ ლომისასა ხო-  
როშანთ დაბრძანებულსა, ათასი ტყვიის

დამხსნელსა, ჭინისა და არაგვის თავდა-  
მყურებელსა.

ღმერთო, გაუმარჯვე ღუდას ყველას წმი-  
ნდასა ქვაწულად მქცეველსა.

ღმერთო, გაუმარჯვე ადგილის დედას,  
დიდი ადგილის ბატონ-პატრონსა, სათემო  
სალოცავსა.

ღმერთო, გაუმარჯვე კვირიაცხოველს,  
ღვთის კარზე მდგომელს, ღვთის იასაულს.

ღმერთო, გაუმარჯვე ხატის მშველელსა  
და მწყალობელს. გაუმარჯვე ბეგით საღ-  
მთოს, იალბუზ მთაზე ბრძანებულს ოჭროს  
შობიანს.

ღმერთო, გაუმარჯვე ცეცხლის წმინდა  
გიორგის ცეცხლით მოარულს, გაუმარჯვე  
სამებას არახვეთში დაბრძანებულს.

ღმერთო, გაუმარჯვე ნაღვარევის წმინდა  
გიორგის, ქაშვეთის წმინდა გიორგის, ლა-  
შარის წმინდა გიორგის ნადიბათს დაბრ-  
ძანებულს. გაუმარჯვე კობათ წმინდა გი-  
ორგის, კობათას დაბრძანებულს.

ღმერთო, გაუმარჯვე წმინდა გიორგის  
დიდი ღომისის მოძმეს. გაუმარჯვე მთავარ-  
ანგელოზს.

ღმერთო, გაუმარჯვე გუდამაყრის სალო-  
ცავებს — პირიმზე ანგელოზს უყმითა ყმა-  
თა მშველელს. გაუმარჯვე ჩოხის წმინდა  
გიორგის — ჩოხს დაბრძანებულსა.

ღმერთო, გაუმარჯვე დუმატხოს სამ-  
ღვთოს. გაუმარჯვე ღვთისმშობელ დედას.

ღმერთო, გაუმარჯვე მცხეთის წმინდა  
გიორგის

ღმერთო, გაუმარჯვე საქართველოს სა-  
ლოცავებს. იმათი მადლო და ძალაო, შენ  
შეეწივე ყველა ქრისტიანს საქრისტიანოში,  
ქართულს საქართველოში, არაგველს საა-  
რაგვოში.

ღმერთო, შენი მადლით სძლიე მტერნი  
და გაუმარჯვე ჩვენს მხედრობას!

ქადაგმა ჯარს გამარჯვება უწინასწარ-  
მეტყველა...

მერე გამოიშინდვრეს, ხეობა გაიშალა  
და რაზმი რსარივით გაფრინდა ქვემოთ,  
ქალაქისაკენ.

დასტყვილეს ცხენებს და ბებრის ციხემ-  
დე აღარ შეჩერებულან.

მცხეთასთან შემოხვდათ ქალაქიდან გა-  
მოხიზნული ხალხი.

მათ პირველი ჯულურა წიკლაური შეი-  
გება, ევება ხანჯლის მეტი რომ არაფერი  
ქონდა, მაგრამ ნაბიჯში მაინც არაფის  
ჩამორჩებოდა — არც თოფიანს, არც შვი-  
ლდოსანს, არც შუბოსანს. ხანჯალს ხმა-  
ლივით ხმარობდა და სხვები თუ მტერს  
ხმლის ყუთი ვერაფერს აკლებდნენ, ჯულუ-  
რა ხანჯალით ორივე მხარეს ერთნაირად  
სხეპავდა ხოლმე.

— ბატონი როგორა ბრძანდება? —  
მიეხვიენენ გამოხიზნულებს არაგველები.

— მეფე ერეკლე გასაჭირშია, ძმებო! —  
მიუგეს დამწუხრებულმა ქალაქელებმა. —  
მტერი ქალაქის აღებას აპირებს...

შეშფოთებული არაგველნი სვეტაცხოვე-  
ლთან შეგროვდნენ.

— ვინც მტერს გაეცქეს, შერისხულ  
იყოს ხატისაგან! — დაიძახა გუგუა ფადი-  
აურმა.

— შერისხულ იყოს! — დაიგუგუნა ხა-  
ლხმა.

— ბატონის გასაჭირი ჩვენი გასაჭი-  
რი! — შესძახა ღურბელა თამნიაურმა.

— ჩვენი გასაჭირია! — გაიმეორა ხალ-  
ხმა.

— დედა შეერთოს ცოლად, ვინც პირი  
მოშალოს! — წამოყვლყვლავდა მახარე  
ზომერაული.

— დედა შეერთოს ცოლად! — გამოი-  
მეტეს არაგველებმა.

— ლარი გაუწყდეს შვილდზე, ხმალი  
გატყდეს ვადაში, ვინც ჩვენ გვილაღატოს!  
— დაქადანა შავხალი ჩაბაიძე.

— გაუწყდეს! გაუწყდეს!... — დასწყე-  
ვლეს არაგველებმა.

— თუ გაჭირდა, შერცხვენილ იყოს,  
ვინც ბრძოლიდან ცოცხალი გამოვიდეს...  
— ხანჯალი გააშიშვლა ჯულურა წიკლაუ-  
რმა.

— შერცხვენილ... შერცხვენილ... —  
ბღღვინავდა რაზმი და სვეტიცხოველის  
სპეტაკი კედლები ბანს აძლევდა.

— გფარავდეს ამ დროშის ნათელი! —  
დროშა შეარხია ნინია აფციკაურმა და ერთ-  
ბაშად ჩამოვარდნილ მყუდროებაში ზარის  
წყრილი გრგვინვასავით გაისმა.

არაგველებმა დასცეს ყოფინა, უკანასკ-  
ნელად გაიხედეს უკან, მშობლიური არაგ-

ვის ჰალეებისაკენ და ბრძოლის ეინით გა-  
გიტებული ულაყები ნებაზე მიუშვეს.

გუგუნებდა სვეტიცხოვლის სამრეკლო.  
წკრიალებდა დედათა მონასტრის ზარები.  
ბუბუნებდა ჯვარი და ზედაზენი.

არაგვის ხეობიდან მოვარდნილ ქარს ზა-  
რების გუგუნი ცაში აჰქონდა. ცა კი საავდ-  
როდ იღრუბლებოდა.

სამასი არაგველი ბედისწერის ყვილის  
აეტაცნა და სიკვდილთან საომრად მიე-  
რგებოდა.

### პ რ წ ა ნ ი ს ი

„წარმომართებული ალა-მაჰმად-ხანი მო-  
ვიდა და დაიბანაკა სოღალულსა შინა...“

ერეკლემ ლაშქარი ხუთ რაზმად გააკყო.  
ბრძოლის მარჯვენა ფრთას მეფის შვი-  
ლიშვილი დავით გიორგის ძე სარდლობდა.  
მარჯვენა ფრთაზე განლაგებულ ქართვე-  
ლებს თბილისში შემოსასვლელი გზების  
შესაყარი უნდა დაეცვათ.

დავითი თავისი რაზმით ტაბახმელისა  
და სოლოლაკის სანახებიდან სეიდბადის  
ვიწრო და კლდოვან ადგილებს თვალს არ  
ამორებდა.

დავით ბატონიშვილს ექვეს მცირე და  
სამუალო ყალიბის ზარბაზანი აჰქონდა.

მარცხენა ფრთას იოანე მუშრან-ბატონი  
სარდლობდა.

ერეკლეს უკან ორი მცირე რაზმი იდგა.  
ერთს მეთაურობდა მეფის შვილი ვახტანგ  
ბატონიშვილი, ხოლო მეორეს ოთარ ამი-  
ლახვარი.

თვით მეფე, შუა ადგილზე, ბექობზე შემ-  
დგარიყო და ყოველივეს თვალს ადევნებდა.  
ვისაც გაუჭირდებოდა, მარჯაფად შემონა-  
ხულ რაზმებს ვახტანგ ბატონიშვილისა და  
ოთარ ამილახვრის სარდლობით მიაშვე-  
ლებდა.

ერეკლე უკვე ღრმად მოხუცი იყო, მაგ-  
რამ მთელ მის პიროვნებაში გამოსტვივოდა  
დიდებული შუქი, რომელიც შემხედვარს მა-  
შინვე აგრძნობინებდა, რომ ის იყო ხელ-

მწიფე ამ ქვეყანაში და მთავარსაოდალი  
თავის ჯარში.

ერეკლეს  
ზინალოცოქა

ორშაბათ დღეს დავით ბატონიშვილი  
თავისი მხედრობით სპარსელების მეწინავე  
რაზმს შეება და უკუაქცია.

ალა-მაჰმად-ხანი ამ უეცარმა მარცხმა  
შეაფიქრინა და დააპირა ბრძანების გა-  
ცემა ბანაკის ასაშლელად. მაგრამ იუდა  
ჯამს ეძიებდა...

სამშაბათს ყიზილბაშებმა უკვე დანამ-  
დვილებით იცოდნენ, ერეკლეს მცირე ლაშ-  
ქარი ჰყავდა.

„აღმოვიდეს მალალთა ზედა გორათა  
სოღალუხისა, ყანაბადისა, თელეთისა,  
კრწანისისა და გარემოთა მისთასა მხედრო-  
ბანი სპარსთანი და მომართეს მხედრობა-  
თა ქართველთასა...“

მარჯაფად შემონახული რაზმები ერეკ-  
ლემ დილიდანვე ბრძოლაში ჩააბა, რადგან  
სპარსელებმა ყველა მხრიდან შემოუტყეს.

ვახტანგ ბატონიშვილის რაზმი ყივინით  
გადეშვა ბრძოლაში. ვახტანგთან ჭიზი-  
ყელნი, არაგველნი და ფშავ-ხევსურნი  
იყვნენ...

თავის მხედრობას ომახიანად შეუძახა  
ღურბელა თამნიურმა.

მეომართა დასტა თან გაიყოლა ჯულუ-  
რა წიკლაურმა.

დასტყვილა მახარე ზომერაულმა.  
დროშა გამოაფინა ნინია აფციანურმა და  
ბატონიშვილის ცხენს ფეხდაფეხ მიჰყვა.

მღორბულული ცა და გადაუღებელი წვი-  
მა ისედაც პირქუშ დღეს უფრო აბნელებდა.  
მხედარნი ერთმანეთს ხმლის ფერითა  
სცნობდნენ, სულის მოსათქმელად არ ეცა-  
ლათ...

„იწყეს ბრძოლაი დილასა, შუა-ღამიდ-

გან მეშვიდე ეამსა. და ბრძოდეს მეწინავე-  
ნი მეფისანი საკვირველად...“

ხელჩართულ ბრძოლაში ქართველები  
შვილდს ველარ ხმარობდნენ და ამიტომ  
ხმალდახმალ დაურივნენ სპარსელებს.

ხმალ-ხანჯლის ნაპერწკალი ხან აქ და  
ხან იქ ციციანთელასავით გამოანათებდა.  
არაგველები ბრძოლის ველზე ვისაც გასა-  
ჭირში დაინახავდნენ, იქით გაემუშებოდ-  
ნენ.

თვალეგაფართობული და ნესტოებდა-  
ბერილი ცხენები ერთმანეთს აწყდებოდნენ,  
მხედრისათვის შემოქმეული მტრის მახვი-  
ლი ზოგჯერ პირუტყვს მისწვდებოდა და  
ცხენები ისე უცებ წაიჩოქებდნენ, რომ პატ-  
რონი ძლივს ასწრებდა უსანგიდან ფეხის  
გამოღებას.

ზოგიერთი გამოსროლილ ისარს თავს ისე  
მარჯვედ არიდებდა, რომ პირდაღებული  
ყიზილბაშები ამაოდ სხეპავდნენ ქაერს, მხე-  
დარი ცხენისმუცელს იყო ამოკრული. ჩა-  
ივლიდა საფრთხე და თასმასავით მოჭნი-  
ლი ქაბუკი გადაეფლებოდა ცხენს და თვი-  
თონ შეუტევდა.

მტერი გამშაგებული მოიწვედა, იმდენი  
იყო, ლამის ყოველი არაგველი ალყაში მო-  
ექცია... უცებ კვუსა აღმოხდა მეწინავეთ.

„მაშინ მიაშველნა მეფემან კვალად ძე  
თვისი ვახტანგ მეწინავეთა და სხვათაგანა  
გუნდთა აღმორჩევით მებრძოლნი...“

მტერი სხეულს უზარმაზარი ფარით იფა-  
რავდა, არაგველებს კი მარცხენით მტკავე-  
ლა ფარები დაებღუჯათ და ელვისუსწრა-  
ფესად ათამაშებდნენ, საიდანაც მეტი საფ-  
რთხე ელოდათ, იქ უფარებდნენ. სპარსე-  
ლები სანამ ვეება ფარს ასწევდნენ ან გან-  
ზე გაზიდავდნენ ქართველი მხედარნი წამ-  
დაწამი მიშველ ადგილს დალანდავდნენ და  
ზუსტად იქ გაურჭობდნენ მახვილს.

გამწარდნენ სპარსელები.  
ორმწკრივად შემოარტყეს რკალი არაგ-  
ველებს.

გარე მწკრივიდან ისარქე უშენდნენ, ხო-  
ლო შიდა მწკრივი ხმალდახმალ უახლოვ-  
დებოდა.

მტერი ირგვლივ დასასიჩორებულ გვაგე-  
ბად ეფინებოდა, მაგრამ ყულფს თანდათან  
პკრავდა და დაჭრილ მხედართ ნაბდისხე-  
ლა დეღეში აქცევდა.

ქართველები მიხვდნენ ვერაგი მტრის  
მახეს.

არაგველებმა ერთმანეთს მზარი მისცეს  
და სცადეს რკალის გაჭრა. მაგრამ ბრძო-  
ლით არაჭაოგამოლეულებს და თავიდან  
ფეხებამდე განბასრულთ ძალა აღარ შეპ-  
ყათ.

მტერს ცოცხლად მაინც არ დანებდნენ და  
როცა პირველ მწკრივს მშვილდოსანი ყი-  
ზილბაშები მიეშველნენ, მაშინ უმოწყალოდ  
აიკაფნენ — ბახა და ხოლიგა ჭინჭარაუ-  
ლები.

## დ ე დ ის ლ ო ც ვ ა

მამაცთა შორის უმამაცესთა მაინც  
შესძლეს ალყის გარღვევა, სისხლისაგან  
დაცილილი თავისიანებისაკენ გაიჭრნენ და  
მტერი მტკვარ ზემოთ, კლდესთან მიიმ-  
წყვდიეს.


სპარსელები ღრიალით ცვიოდნენ ადი-  
დებულ მდინარეში, ვინც შიშს არ გაეგი-  
ფებინა ბრძოლაში ებოდა, მაგრამ თანა-  
მოძლეა სიკვდილით გამწარებული არაგ-  
ველები ხულ უფრო ქვევით ერგებოდნენ,  
ავიწროვებდნენ, სდევდნენ.

მტკვრისპირას მირეკილმა ყიზილბაშებ-  
მა დასაკლავ ძროხებივით დაიწყეს ზმუ-  
ილი და რაღაცის ძახილი. მალე მათი ხმა  
მისწვდა მეზარბაზნეთ და უცებ არაგველე-  
ბის ფეხთან ყუმბარა დაეცა...

როცა მტვერი და ბოლი დაიწმინდა, იმ  
ადგილზე აღარც სპარსელები იყვნენ და  
აღარც მამაცთა შორის უმამაცესნი.

სიკვდილმა ქარს გაატანა დედის თბი-  
ლი უბიდან გამოყოლილი ლოცვა:

აქა სახელი ღვთისაო, სამჯერ სახე ვარ  
ღვთისაო.



ივანე ღამისა დაძინ-დაბჭობისა.  
მე ივანეს ნათლული ვარ ნათელდებას  
შესწრებული.

მე ქრისტე ვარ ქრისტეს შვილი ქრის-  
ტეს ხელით შექმდილი.

ივდა მიქელ-გაბრიელი —  
ბჭობდა

ღაღადობდა —  
მოიტათ

მოგვართვით  
ბადე რვალისა — კლიტე რკინისა!

შევბოჭოთ  
შეგვრათ მოარული სიკვდილი!

სადაც სამი თავი საზარება ხსენდება —  
იქ ყველა მანვე გაჭრება და განიადდება.

დედის ლოცვამ ვერ შეინახა ვერც ბუ-  
ჩუკურები.

ერთხანს ჩაჩუმდა აღაღუას ზარბაზნები,  
რადგან ხელჩართულ ბრძოლაში ზარბაზანი  
თავისიანსაც გასწყვეტდა. მხედრებს სა-  
კუთარი ხმლით უნდა გეკაფათ გზა და  
როგორმე ქართველთა ლაშქრის მარჯვენა  
ფრთას შეერთებოდნენ.

ურიცხვი მტერი ნაცად ფანდს მიმარ-  
თავდა:

ქართველების ლაშქარში სოლებად შეჭ-  
რილი, პატარა-პატარა გუნდებს ალყაში აჭ-  
ცვედა და მერე ცდილობდა მათ განადგუ-  
რებას.

ყიზილბაშები გაშლილი ბრძოლით ვერ  
ბუდავდნენ იერიშზე გადმოსვლას, თუმცა  
ერთზე ათი მოდიოდა...

ვახტანგ ბატონიშვილს არ უნდოდა თავი-  
სი საუკეთესო მხედრობა უაზროდ ჩაეხოცა  
და არაგველებს მოუწოდებდა ალყა გაერ-  
ღვით.

ამ დროს გამოჩნდა ნინია აფციაური,  
თეთრ ცხენზე, მაღლა შემართული დრო-  
შით.

არაგველებმა სიხარულით დაიგმინეს,  
ხმლები დააკვესეს და ისეთი ძალით შე-  
უტყეს, რომ ერთ ადგილზე სპარსელების  
ალყა გატყდა, ყიზილბაშები შებრუნდნენ  
და კუდამოძუებულები გაიქცნენ...

არაგველების რაზმს შეუერთდა ტფილის-  
სელ მოქალაქეთა რაზმი მანაშელის წინა-  
მძღოლობით. ქალაქელთა საყვარელი მსა-  
ხიობი ბარბითზე უკრავდა საჭიდაოს და  
თან ახერხებდა ყიზილბაშებისათვისაც  
ხმალი გადაგვრა. ბარბითის ხმამ მხედრე-  
ბი აღაფრთოვანა, მათ ისევ აიწყვიტეს და-  
მტერს უშიშრად ეკვეთნენ.

შეომრები ერთიმეორეს ზურგიან აგვერ-  
ნენ და მოახლოებულ სპარსელებს წამახუ-  
ლი ხმლები დაახვედრეს. მაგრამ სპარსე-  
ლებმა წინ მრავალი შუბოსანი წამოსწიეს  
და განგმირეს ქართველები.

ჩაუქი არაგველები თანამოძმეთა დაცემამ  
არ შეაკრთო, ისინი მკერდში დამიზნებულ  
შუბს ქვემოთ ჩაუწვებოდნენ და მუხლში  
შემოკრავდნენ მტერს. ხოლო თუ მტრის  
შუბი მუცელში იყო მომარჯვებული, ერთს  
ქურციკივით შესტებოდნენ, შუბს ლაჯემ-  
შუა გაატარებდნენ და გაოცებულ ყიზილ-  
ბაშებს კისერში ხმაღს ისე დააგვებდ-  
ნენ, რომ მტერს შუბი ისევ ხელში ეჭი-  
რა, თავი კი ძირს მიგორავდა.

დაჯაბნეს არაგველებმა შუბოსანი. მა-  
შინ სპარსელებმა ახალი რაზმი მორეკეს,  
რომელთაც შუბი მარცხენა ხელში ეჭირათ.

ქართველი მხედრები ნაცადი ხერხით  
მიეგებნენ, მაგრამ ყიზილბაშებმა მარჯვე-  
ნით დამბაჩები დაახალეს. არაგველების  
ხმაღმა მტრის შუბები კი მისდრია, მაგ-  
რამ ტყვიასთან ველარაფერი გააწყყო...

პირტიტველა ჭაბუკების სიკვდილმა და-  
ღლილ რაზმს ბოღმა და ბრძოლის ქინი  
გაუორკეცა.

ნინია აფციაურის თეთრი ცხენი ხან აქ  
დაიჭიხინებდა და ხან იქ.

ქართველ მხედრებს გულით ეწადათ ყო-  
ველ წუთს გაეგოთ დროსაზე ჩამოკიდე-  
ბული ზარის წკრიალი, ამიტომ იმედის  
თვალთ შემოსცქეროდნენ ნინიას. ყველა  
ნატრობდა, უწინ თავათ მოგვლათ, ვიდრე

აფციაურს დროში გაუვარდებოდა ხელიდან.

ივერიელთა ყინვად შემართულმა დროშიამ ყიზილბაშებს მოთმინება დაუკარგა.

სეტყვასავით დააყარეს ისარი.

მაგრამ შეაბჯრული ნინია აფციაური, საკვირველი მხნეობითა და სისწრაფით, გამოსროლილ ისარსა და ნატყორცნ შუბს ოსტატურად თავს არიდებდა და რაც ყველაზე გასაოცარი იყო, ცხენიდან ჩამოსვლასა და სადმე მოფარებულ ადგილზე გადაწაცვლებას არცა ფიქრობდა. ძველმა მედროშემ კარგად იცოდა, მაღალ ცხენზე დროშას ყველა ზედავდა. მტერიცა და მოყვარეც. ყიზილბაშების გულის გასახეთქად დააქროლებდა თეთრ ულაყს, აქდრიალებდა დროშას და შიგადაშიგ ხმლით ისეთს გამოუსვამდა ხოლმე, რომ ცხენზე შემობობულულ სპარსელებს ძირს პანტაპუნტითა ჰყრიდა.

მაშინ მტერმა საიდანღაც თავისი ჭრელი დროშია მოიტანა და ააფრიალა. ამან არაგველები არათუ შეაკრთო, პირიქით, უფრო გააგულისა. ის რაც მტერმა მოელი დღის ბრძოლით ვერ შესძლო, ქართველებმა ერთი ხელის დაკვრით მოინდომეს, ალყაში სამშვიდობოდ გაჭრილი ბილიკი შიატოვებს და მტრის მედროშეებისაკენ დაიძრნენ...

ფარებიც კი აღარ იფარეს, ისეთი სწრაფი ნახტომებით მიიწივნეს ალა-მაჰმადხანის სისხლიან დროშებამდე. წაქციეს კიდევ მედროშენი, მაგრამ უცებ ტალღასავით მოფარდა ათასამდე სპარსელი.

არაგველებმა უკან მაინც არ დაიხიეს და სისხლით მორწყეს კრწანისის ველი ერთი ფესვის ნაყარმა თურმანაულებმა.

სამშვიდობო ბილიკზე გასული არაგველები თანამომშეთა სისხლმა ისევ ბრძოლის შუაგულში დააბრუნა. ისინი მისცვივდნენ ყიზილბაშ მედროშეებს. ქართველებს მუშლივით შეესია მტერი, მაგრამ არაგველებმა იმარჯვეს და ხმლით აკუწეს მტრის დროშები.

ამან სპარსელებს ცივი წყალი გადაახსა. ყიზილბაშებმა თავისი საბრძოლო დროშები დაკუწულ-დაფხრეწილი რომ დაინახეს, თითქოს ბრძოლის ხალისი დაკვარგათ და არაგველებს ისე დაუწყეს ცქერა, რო-

გორც გრძნეულთ, სიკვდილთან პირმყინარენი რომ თამაშობდნენ.

მტრის გაოგნებით ისარგებლეს ქართველებმა და ხმლებს ისეთი ტყავაჭურჭლავტყენეს, ბრძოლიდან თუ ვინმე ცოცხალი გავიდოდა, უთუოდ მიიტანდა ხმალს ჯუღურა წიკლაურის სამჭედლოში გასაალესად. მტერი უკუქცა...

„მაშინ მოიგონა ღონე საკვირველი ალა-მაჰმად-ხანმა რომელ ჰყვეს მას მარადის თავისსა თანა განუშორებლად მხედარნი შინაგანთაგან თურქმანთა, შომშიდულნი კაცნი ექვსი ათასნი, რომელნიცა არა ვგრეთ მოყვარე არიან სპარსთა და არცა სპარსნი მათნი არიან მოყვარენი, არამედ სძულთ მათ ფრიად ურთიერთი. და თვითმცა იგინი ორნივე არიან მაჰმადიანნი. განა განყოფილნი არიან იგინი სეკტითა და ეგრეთვე წესითა და ჩვეულებითაც. ესე თურქმანნი ერთბაშად იხმო მას ჯამსა ალა-მაჰმა-ხანმა და უკანით მხედრობისა თვისისა დაადგინა იგინი. და დასდგა თვითცა მათ თანა ამცნო მათ რათა, უკეთუ მებრძოლთა მხედრობათაგანნი იელტოდეს ბრძოლისაგან შიშითა წინააღმდეგეთათა, მყისვე მლტოლვარე იგი, დიდი იყოს გინა მცირე, უკეთუ მხედართმთავარიცა იყოს მყისვე მოკლან იგი. და აღასრულეს მათ სიხარულით ბრძანებული იგი. და რომელნიცა იელტოდინ ბრძოლისაგან სპარსნი მყისვე უწყალოდ მოიკვლიდიან მათ მიერ“.

### ცალკვარანგინი დედისერთები

წინ წყალი, უკან მიწყერი..

ექვსი ათასი თურქმანი დაერია გაქვეულ სპარსელებს და დაუწყო ფლელთა.

ალა-მაჰმად-ხანმა თურქმანთა გულიც მოიგო და დარბეული მხედრობაც გამოაფხიზლა.

ყიზილბაშები მიხვდნენ, ირგელიც ყველგან სიკვდილის ცელი ტრიალებდა. კვლავ შეესია არაგველებს ურიცხვი ხმლიანი, შუბოსანი და დამბაჩოსანი.

განიგმირნენ ტანაყარი, ნალოლიავეები

დედისერთები:

დავითურისა

ბეჭაურისა

კაიშაურისა

ლუღუშაურისა.

„იხილა რა ალა-შაჰმად-ხანმა სიმხნე ესე ვითარი ჭართველი მხედრობისა, განუკვირდა ფრიად და იტყოდა: სიყრმითგან ჩემით, ვიდრე აქამომდე დამიყოფიეს ბრძოლასა შინა და არასადა მიხილავს მე წინააღმდეგნი, ვითარ ესე კაცნი ჩემთა მიმართ ჰყოფენ ბრძოლასა“.

ყიზილბაშებმა მალე ისევ ალყაში მოიგდეს არაგველების დასტა, მაგრამ ძვირად დაუფასა თავი კომბალივით აყუდებულმა შველიკა მოლოდინმა.

შველიკას არ ჩამორჩნენ, გუდანის ჯვარში, მუხლზე ჩოქვით დაფიცებული არაბულები...

### გ ვ ა რ ა ვ დ ე ს პ ი რ ი მ ე ჯ

„მაშინ მოუწოდა ალა-შაჰმად-ხანმა შესვენებულთა მხედრობათა ქვეითთა-მაზანდარანდთა და სხვათა, რომელნიცა ჰყვეს უკანით მხედრობისა მისისა. ღაფარვით მსხდომარენი და დასვენებულნი...“

დასვენებულნი ყიზილბაშები დოლის ბრავაბრუვით შემოიჭრნენ ბრძოლაში. მოდიდებულ მტკვარსა ჰგავდა მათი ტალღა, ერთიმეორეს თავზე რომ ახტებოდა, წიოდა და კიოდა.

წვიმა უგაჟუნებდა, ატალაბებულ მიწას ორთქლი ასდიოდა.

ცხენები ფრუტუნებდნენ, ფრთხებოდნენ; ყალყზე დგებოდნენ. დაჭრილი და გამწარებული პირუტყვი თავისი მხედრიანად მტკვრის ტალღებში ცვიოდა.

ამხედრებულ ყიზილბაშებს არაგველთა ის გუნდი შეხვდა, რომელთაც ცხენები ჯერ

კიდევ ჰყავდათ. სხვები, ცოცხლად დარჩენილები, ფეხდაფეხ იბრძოდნენ, მაგრამ ტახტა გააწყობდნენ ცხენოსნებთან. დასვენებულმა ყიზილბაშებმა განიმართვეს დაღლილი არაგველები.

ალა-შაჰმად-ხანი ხედავდა, გამარჯვების სახწორი მისკენ იხრებოდა, მაგრამ კაფანდარა საჭურისმა გამოცდილებით იცოდა, ჭართველები ბრძოლის ველიდან ცოცხალი არ გავიდოდნენ და ამიტომ ახალ-ახალ ურდოებს ერგებოდა კრწანისისაკენ. ჩირგენარში ჩასაფრებულმა ყიზილბაშებმა გზა უყველეს დაჭრილ ჭართველებს, ალყის გასაჭრელად გაშმაგებული ბრძოლით წინ რომ მიიწვედნენ.

სიონელ ილიკო კობიძეს შეშინებულის აგვაროში ჰქონდა უფსთან:

დედაშენმა შეგაშინა?

მამაშენმა შეგაშინა?

ხარის ყვირილმა შეგაშინა?

სიზმარმა შეგაშინა?

ძალღის ყუფამ შეგაშინა?

დედამიწის ძვრამ შეგაშინა?

ყიზილბაშმა შეგაშინა?

წყალო მიდევ და მოდევ

გულო მიდევ და მოდევ

და თავის ადგილზე დადევ.

აგვაროშია შეინახა სიონელი, არ შეშინებულა, ისე დახუტა თვალები.

ზვიადაურები საკვირველი სიღინჯით იბრძოდნენ, უფროსი უმცროსს მკერდით ეფარებოდა და ამიტომ

ჯერ აპარევე წაიქცა

მერე გოგოთური;

ჯერ იმედა

და მერე თორელი;

ჯერ მამუკა

და მერე ჯურხა... ჯურხა ყველაზე უმცროსი იყო და მხოლოდ იმას წასცდა გათეთრებული ტუშებიდან: „გაი დედა!“

### ლ ა შ ა რ ი ს გ ო რ ი

„ჭართველები თუმცადა დაუძღურდებოდეს, მაგრამ არა ეგრეთცა მისცეს თავ-

ნი თვისნი უძლურებასა და არცა ივლტოდეს იგი ურიცხვთა მათგან და ძლიერთა და ბრძოლასა შინა გამოცდილთა...“

ბრძოლა უთანასწორო იყო და ჯარის სიმცირემ გატეხა ქართველობა.

ერეკლე მისვდა, მისი საბრძოლო გეგმა სწორედ მხედრობის სიმცირის გამო არ გამართლდა.

მარჯვენა ფრთა ვერ გავიდა მტრის ზურგში.

ვახტანგ ბატონიშვილის სახელოვანი მხედარიანი, იოანეს გულნამაცნი ჭაბუკნი, ოთარ ამილახვარის არწივაბიჭები ცალცალკე გამოჩნა მტერმა. თუმცა ერეკლეს ლაშქარი ერთი ათად ნაკლები იყო, აღამამად-ხანმა მიანიც ვერ გაბედა გაშლილად შებრძოლება და ქართველთა პატარ-პატარა გუნდებს თვითონ დაატყა ალყა.

„მყოლოდა ორჯერ მეტი ლაშქარი, — ფიქრობდა მეფე ერეკლე, — და მაშინ ნახავდი მამად-ხან...“

ერეკლე დაღონებული გაპყურება ბრძოლის ველს, ხედავდა, მისი შეყარდენაბიჭები მტერს არ ებუებოდნენ, დაღლილ-დამაშვრალნი, დაჭრილ-დაჩეხილნი იარაღს ხელიდან არ აგდებდნენ და იბრძოდნენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე...

მეფის ერთგული არაგველები და ქიზიყელნი აკლავდნენ მტერს თავს, გზამოჭრილთ სათითაოდ მზე უბნელდებოდათ.

თვალსაცერა აკუმოსჭალელი ელგუჯა აბრამიშვილი ყველაზე მეტად თვალებს უფრთხილდებოდა, თვალისჩინი არ დავკარგო და ხალაშქორდ წამოსვლის წინ ბერდვას შეალოცვინა:

შავილოცავ თვალისასა...

ვინც ავი დაგიპიროს, იმის თოლი ეკალსა, გული სამართებულსა.

მლოცავი მე ვარ, ელგუჯაუ, შენი ბერდვდა, მარგებელი შენა ხარ.

ღმერთო, არგე და აწამლე, ჩემი ლოცვა შენს ლოცვად გადაუქციე ჩემ შვილსა!..

ელგუჯა აბრამიშვილს არ უშველა ბერდვდის ლოცვამ. მტერმა მზუღაბნელებული ვაჟაკი დათვით დატორა.

გუდამაყრელი აფციაურები ისეთი ხმით ყვიროდნენ, რომ ზარბაზნების ქუხილიც კი აღარ ისმოდა. ამ ხმას ჯერ უფრთხოდ-

ნენ ყიზილბაშები, მერე ბექობზე გადმომდგარმა შვილდოსნებმა აფციაურებს ყანყრატოში დააყარეს ისარი, მათი ყვირილით შეშინებულთ გონი რომ დაბრუნებოდათ.

ნაბოლოვარა, დაჭრილი კრასანა აფციაური კბილებით ჩააფრინდა ერთ ყიზილბაშს და მასთან ერთად მტკვარში გადახტა. ეგონა, მტკვარი ვერ მოერეოდა, მაგრამ მტკვარი მოდიდებული იყო...

## 3 უ ღ ა ნ ი ს ჯ ვ ა რ ი

„არაგველნი ვიდრე უკანასკნელ ძალედვით, ბრძოდეს სიმხნითა უღმატებულისათა — ძლიერად, რაოდენ და ვიდრემდის ბუნება კაცისა თავს იღებდა და ძალედვა ბრძოლად...“

ნინია აფციაური ცხენზე აღარ იჯდა.

მისი მაღალი ულავი ხმლით აჩებეს ყიზილბაშებმა.

დაჭრილ ნინიას დრომა ხელიდან არ გაუტდია.

დროშისტარი ბაწრით მკერდზე მიიკრა, რომ ორივე ხელი თავისუფალი ჰქონოდა. ის ხომ ცაცისა მარჯვენასავით ხმარობდა...

დააფრიალებდა მკერდზე დროშამიკრული ნინია არაგველების ხატსა და ჯვარს და ორივე ხელით მტერს სხებდა.

ნაიარევი, ყურჩამთლილი, მკლავებდასერილი ბრძოლიდან არ გამოდიოდა, რადგან იყოდა, დროშის წაქცევა ქართველებს უკანასკნელ იმედსაც მოუსპობდა.

იმედი კი თითქმის აღარაფერი იყო...

გულდახურული ზეცა და მოდიდებული მტკვარი თითქოს მათი სამშობლოს ცასა და წყალს აღარა ჰგავდა...

არაგველები მიხვდნენ, ბრძოლის ველიდან ცოცხალი ვეღარ გავიდოდნენ და ამიტომ თვითვე უნდოდა, რაც შეიძლება ძვირად დაეთმო სიცოცხლე.

თვითველმა იცოდა, სულ მალე სამზეოს უნდა გამოსთხოვებოდა, არც ერთს შუბლი არ მოღუშვია, გული არ გასტეხია.

მეფე მხნედ იყო და ნინია აფციაური ფეხზე იდგა.

მაშ, დანარჩენთ, ვალეფათ, სიკვდილს დირსეულად შეძვედროდნენ.

მშვიდად, თითქოს იძინებენო, ეფინებოდნენ კრწანისის ველზე არაგველები.

მათ სახეზე არც შიშის, არც საყვედურის და არც სინანულის ნატამალიც არ ჩანდა.

მათ მხოლოდ ჯავრი მიჰქონდათ მტრისა, რომ მეტი ძალ აღარ ედვათ, შებრძოლებოდნენ მომხდურს.

ისინი უთანასწორო ბრძოლაში ეცემოდნენ...

და როგორც გვირებს სჩვევიათ, ეცემოდნენ უდრტვიწველად და ვაჭაკცურად.

მედროშე ნინია აფციაური კი იხვე მუხლმაგრად იყო.

ნაჭრილობებს სისხლი სდიოდა, მაგრამ სელიდან არც დროშა გაუგდია და არც სმალი. მან თავისი თვალთ დაინახა როგორ გადაეშვა ბრძოლაში ჭარმაგი მეფე.

## მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე

„ერეკლე თუმდაცა იყო ფრიად მოხუცებულ, გარნა ბრძოლასა შინა მისი ყოფაქცევა იყო მრავალთა ჭაბუკთაგან სანატრელ“...

მეფე ერეკლეს ბრძოლაში შემოსვლა სიონის მთავარი ზარის შემოკვრასა ჰგავდა.

— მეფე იბრძვის, მეფე! — ყვიროდნენ არაგველები და სახებენდინი უჭურებდნენ რა მარჯვედ იბრძოდა ერეკლე, რა ჩაუქად არიდებდა თავს შემოქნეულსა და ნახროლს, რა სწრაფად მოიწვედა აქეთ, თავისი საყვარელი მხედრებისაკენ.

არაგველები, ვინც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მეფის ცხენს მიეხვივნენ და საკუთარი მკერდით იცავდნენ ერეკლესაც და მის ცხენსაც.

ყიზილბაშები შიშით შესცქეროდნენ ჭარმაგ მეფეს, მერე იხუვლებს და მეფეს დატყვევება დაუპირეს.

ატყდა უმოწყალო ქლევტა და... აჩეხეს ჯულურა წიკლაურიც გულბოროტმა ყიზილბაშებმა.

სპარსელები ახალი ძალით ეკვეთნენ ერთეულებს.

ჯერ კიდევ მწნედ იყო აღალუა-მეცხარეა ზნეთუსუცესი.

— გფარადეს პირიმზე! — ერთმანეთს დასძახოდნენ და გვერდიგვერდ წვებოდნენ გუდამაყრელნი.

— ლომისის მადლმა, გამიჭერ! — შესთხოვდნენ ხმალს მოხვევნი.

კვდებოდნენ, მაგრამ სჯეროდათ ლამარის გორზე ავიდოდნენ ფშაველნი.

გუდანის ჯვარს უცრემლოდ ეთხოვებოდნენ სეხსურნი.

ტფილისის ციხიდან სეიდებადის გადმოსასვლელზე უბაგუნებდა აღალუას ზარბაზნები და სპარსთ მუსრს ავლებდა. მაგრამ მტერი, როგორც მიწიდან ამოსული ჭიანჭველა ურიცხვი იყო...

მაშინ მიიჭრა მეფესთან ნახმლევი-ნაიარევი ნინია აფციაური, დროშა წინ წარსდგა, მუსლი მოიდრია და ერეკლეს შეუღდა:

— უწყის ყოველმან, დიდო მეფეო, სკიპტრისა თქვენისა ქვეშ მოყფმან სიმხნე და გულოვნება თქვენი და რომელ არარიდებთ თავსა თქვენსა სიკვდილისა ერისათვის და მსხვერპლ ექნები მამულსა საყვარელს! მაგრამ გეაჯები, მეფეო, მამავ და პატრონი ჩვენო, განერიდე ბრძოლასა, რადგან შენ თუ გეწიოს ძვირი ან ბოროტი რაიმე, უმეტეს განლადლდნენ მტერნი და უარესს უყოფენ ქვეყანასა ჩვენსა...

მეფე ერეკლე იდგა მდუმარედ და თვალზე ცრემლმომდგარი გასცქეროდა კრწანისს.

სუთი ათასი ჭართველი მძივივით იყო ჩაბნეული თხუთმეტათასიან გვამით მოხუნულულ ჭრელ სპარსულ ხალიჩაზე.

გაწყდნენ რჩეული ვაჭაკები... გაწყდნენ არაგველები.

მეფეს ყულთან უბუყბუყებდა რალაც თბილი და მწარე; ჭარმაგი ერეკლე, ბრძოლებში დაევაჭაკებული და გამობრძმედილი, პირველად განიცდიდა დამარცხების ბალდამს...

„ხალხი გაეხიზნე... მშვიდობიანი მოსა-

ხლეობა გადავარჩინე, — ფიქრობდა მეფე, — ჩემი საუკეთესო მხედრობა კი დამელუპა... მტერი თბილისს დააქვევს... რას შევესწარი სიბერეში, ღმერთო დიდებულო!”

ერეკლეს გვერდით იდგნენ მახლობლნი და გადარჩენილნი, იდგნენ და იზიარებდნენ მეფესთან ერთად დამარცხების ნაღველს. ყველა ელოდა მეფე რას იტყოდა.

— შეილებო, — ხმადაბლა თქვა ბოლოს მეფემ, — აჰ, კრწანისთან დაეფიცოთ, რომ მტრის ჯარის არასოდეს შესჭამს საქართველო...

ყველა სულგანაბული უსმენდა მეფეს.

— ესლა ხალხს მივხედოთ... — ცხენზე შეჯდა ერეკლე, — გმირების ოჯახებს პატრონი სჭირდება...

თქვა მეფემ, ცრემლმორეულმა ერთხელ კიდევ გახედა კრწანისს და ცხენი დასძრა. აელაბრის ხიდივით ერეკლე გავიდა ქალაქიდან.

თან ახლდა ასორმოცდაათი კაცი დაჭრილ-დაჩეხილი.

ისინი მიდიოდნენ სახიზრად მთიულეთს.

იყო წვიმა გადაუღებელი.

მეფის მცირე რაზმს მისდევდა ნინიაც. დაჭრილი ხელით დროსა კვლავ მტკიცედ ჰქონდა ჩაბლუჯული და არ იცოდა რა პირობით სჩვენებოდა არაგვის ტალღებს.

სამასი არაგველიდან მხოლოდ ერთი, მედროშე ნინია აფციაური ბრუნდებოდა ბრძოლის ველიდან ცოცხალი...

დაუნდობელმა მტერმა დაუცველი ტფილისი ბრძოლის შემდეგ იოლად აიღო.

ცარიელ საყდარს ეშმაკები დაეპატრონენ.

ქალაქი გაძარცვეს და გადასწვეს.

საჭურისის მოჭურტული თვალებიდან ელვის ნიაღვარი არ დამცხრალა... ალა-მაჰმად-ხანმა რჩეული მხედრობა გახიზნულთა მღვერად და საძარცვავედ გაგზავნა.

ათას შეიდას ოთხმოცდათხუთმეტი წლის სექტემბრის მოჭურტული დღეები იყო.

კრწანისთან საქართველოს დაკარგული გული ფოჭავდა...

ერეკლეს  
ხიზლირთხვა

ეინვალში მეფისა და მხედრობის გზები გაიყარა.

ერეკლემ მთიულეთს გასწია.

მეფემ რაზმის ნაწილი სახიზრად გასულ ხალხთან დაგზავნა. ჭირნაცადი სარდალი გრძობდა, ალა-მაჰმად-ხანი მთისკენაც შემოუტყვედა.

ერეკლემ გაიარა ხევი და მთიულეთში ავიდა.

ხალხს გაეგო კრწანისის ელდა და მთებში გლოვის ზარი იდგა.

მეფის დანახვაზე ცრემლს მალავდნენ, ქვეყნის პატრონს ცოცხალს რომ ხედავდნენ, თავიანთი უბედურება ავიწყდებოდათ.

ერთმა ბერდემამ კი, ველარ შოითმინა და მეფის დანახვაზე ატირდა.

მისმა ტირილმა ბოძები ლიბოდან ჩამოსხნა.

— ქართველო ქალო, ვისა კვლოვობ?

— ჰკითხა ერეკლემ.

მოზარემ ცრემლი მოიწმინდა, თავმალა მოიხსნა, ჭადარა თავზე დახურული ჩაჩქანი გამოაჩინა და მიუგო:

— კულურა წიკლაურის დედა ვარ მშობელი... მიბრძანე და მიშასხურე, მეფეე ბატონო!

— მოგვხედე ღმერთო! — ხელები ზეცად ალაპყრო ერეკლემ. — ამ დალოცვილ მიწაზე, კაციცა და ქალიც, ყმაწვილიცა და ბერიც მეომარია... ცოდო არ იქნება, ეს ხალხი ღვთისპირიდან გაიწიროს?

დარისხებული ზარების გუგუნს მთების ყრუ მოძახილი უერთდებოდა.

ჭარმაგი მეფე აღმართზე მძიმე ნაბიჯით მიდიოდა.

მორჩილი ცხენი უკან მისდევდა.

ნისლით თავწაკრულ მთებს დასხტეტოდა მზის ობოლი სხივი და ბილიკზე სატე ვარივით ელავდა.

## თავდაპირველი

პოემა

1

თუ აწმყო გვხიბლავს თავისი ეშხით,  
საამაყო შორი წარსულიც...  
ქართლის ერთ ლამაზ მყუდრო უბეში  
იშვა სხეთით სავსე ასული.  
და მას სახელად დაარქვეს ლილე,  
ბედნიერია მშობელი მხარე,  
ყველაფრით ჯობდა სხვა ქალიშვილებს  
ცის კაბადონზე შობილი მთვარე.  
დამშვენდა იგი, როგორც ტყის შველი,  
და მალე ქართლის შეიქნა თვალი,  
იმისი მსგავსი სათნო და მწველი  
არ დადიოდა ამ ქვეყნად ქალი.  
ასლა რომელ ღმერთს უნდა ვუმაღლოთ,  
ვის უნდა ვუთხრათ სიტყვა ქებისა,  
თვითონ ბუნებამ შექმნა უბადლო  
ეგ სილამაზე უკვდავებისა...  
შექმნა და თვითონ გაოცდა მყისვე,  
არავინ არ სცნო ამ განძის ღირსად,  
და ის აჩუქა ქვეყანას ისე,  
როგორც სიმბოლო სილამაზისა.  
ღიმილი მისი გულს შვებით მოსავს,  
რა შეედრება მშვენიერებს მისას!  
წმინდაა, როგორც მორწმუნეს ლოცვა,  
ვით თოვლის ფიფქვი მაღალი მთისა.  
მის ეშხზე კრძალვით ყველგან მღერიან,  
მაგრამ კარგს მუდამ ბევრი ყავს მტერი,  
და მაინც დიდად ბედნიერია —

დიდი სიკეთის მშობელი ერი.  
და ამ მშვენიერს ჩუმად, შორიდან  
გაუნდა ბევრი თავყანისმცემი...  
ვინ ტყვიავიდან და ვინ გორიდან,  
ვის არ სდენია ტრფობისგან ცრემლი!  
მათ შორის ქუჯის — ყველაზე უფრო  
შემატებია ცეცხლი, ხალისიც,  
შესწირავს ლილეს მთელ მის საუფლოს-  
ოღონდ ის გახდეს მეუღლე მისი.  
ტყვეთა გაყიდვით გახდა მდიდარი,  
მეფურად ცხოვრობს მფლობელი დიდი-  
არ გააჩნია არავითარი  
მას ღვთის წინაშე კრძალვა და რიდი.  
ოდნავ არ ცხრება ბუნება მგლური,  
სულ თვალწინ უდგას ლილეს ხატება,  
მაგრამ დაპყრობა ამაყი გულის  
ქუჯის ძალღონეს აღემატება!

II

ჩვენ ხომ ცხოვრება ხშირად გვაღონებს,  
ხან ქარიშხალს პგავს, ხან მინდვრის  
ყვავილს,  
მაგრამ ის უფრო ტანჯავს გვაგონებს,  
მტრების მუქარა — ყორნების ჩხავილს.  
მაინც დიდია ცხოვრების ძალა,

ერთი ლხინის დღე ყველაფერს უდრის, ვერ გატეხს ჭირი, თუნდ იყოს მწყურალად თუ კაცს კაცური ახურავს ქედი. აგერ, დღეობაც, აქვე ხეფაში ყანწებს ხშირად სცვლის ჯამი და კულა, შეჯიბრი არის სიმღერის თქმაში, ცეკვა-თამაშიც გაჩაღებულა.

ჭიჭყინებს ზურნა, დაფი, დაირა, სროლაც გაისმის საერთო ხმაში. გუნდი და გუნდი, ნაირ-ნაირი ცდიან ერთმანეთს ცეკვა-თამაშით. ცეცხლს აკეფებენ ხმლები, ფარები, ჰქუხს ტაშისცემით მავურბეგლი, ცეკვაა, მაგრამ ცეცხლის ალები კრთიან სიცოცხლის მაუწყებელნი. მზით აღმოდებულ მოედანს უცებ ცვლის ქალთა მწყობრი, ნარნარი დასი, თითქოსდა, მოაქვთ მათ ხელისგულზე პირამდე საგვს სიცოცხლის თასი, და ხალხს ანიშნენ: ბიჭებმა ხმლებით სომ გაგრძნობინეს ვრისშვილობა! ჩვენ კი ნარნარი სიცოცხლის გზნებით ვბადებთ ხალისს და მოგვაქვს მშვიდობა! ისევ გაისმის მუსიკის ხმები, და ჰა, იწყება ცეკვა ქართული. გამოდის ქუჯი ამაყი გზნებით მხიარული და მხრებგამართული. გაუსვა ფები, საოცრად მარდი, მან ლილე წრეში გამოიწვია. შგათამაშებს ქალწული მანდილს, ყველას ატყვევებს გულმკერდი ღია. მაგრამ ვინ არის აგრე რომ უცქერს ლილეს და ცეცხლით მიბნედილია გული რომ მკერდში ძალუმად უცემს, იგი გორელი მჭედლის შვილია. შეიჭრა წრეში, გაშალა ფრთები, და ლილევ თვისკენ გაიყოლია, აქ ქუჯის ფალყზე დაუდგა თიები, მის წინ მხარგაშლილს ხედავს გოლიათს. არ შედრკა, აბა, რა ჰქნას ვაჟკაცმა, მომხდურს უსწორა მრისხანედ თვალი, იძრო მაშინვე მახვილი მკაცრად, ჰა, შავლეგომაც იშიშვლა ხმალი... გაჩაღდა ბრძოლა, ტრიალებს ხმლები ირგვლივ ცეცხლოვან ნაპერწკლებს ჰყრიან, ვინდა უყურებს კვიცილს ქალების და ბრბოს უაზრო ხმაურს და ღრიალს!

და მიხვდა ლილე — საქმე მანდილზე მიდგა და იგი ესროლა ისევ, რომ გააქვავა იქვე ადგილზე გაავებული ღომები მყისვე.

## III

მაგრამ ეს მცირე დაშოშმინება მეტოქეთ შორის ღრობებით არის, ახლა იწყება მძლე შერკინება, თამაშს ჰგავს, მაგრამ ბრძოლაა ცხარი. დაკიდეს ხეზე თავსამკაული, უკეთესს კაცის ვერ ნახავს თვალი, ვინც მას ჩამოხსნის დეთის სასწაულით. ტრფობაზე უარს ვერ ეტყვის ქალი. დაჰკრეს ნალარა, პირველმა წყებამ, უცებ მოსწყვიტა ადგილს ცხენები, გაავებული ეინი არ ცხრება ბედაურ ცხენთა სწრაფი ქენებით... მიიჭრნენ, მკვირცხლად სტყორცნეს შუბები, ნადავლისათვის ბრძოლაა ცხარი. მანაც ხეზეა ხელშეუხები, საცილო ჯილდოს არხევეს კვლავ ქარი. და ჰა, დაიწყო ბედის ცდა კიდევ, მოცილეთ შორის ქუჯიც მზად არის. იგი წინა ხაზს გულდაგულ მისდევს, ჰა, გაუსწორა მეტოქეს მხარი, მიიჭრა ხვსთან, ფრთას შლის ოცნება, გახურებული მკერდში ცემს გული... სტყორცნა შუბი და ო, საოცრებაც, დარჩა ბედისგან გაწბილებული. გაშეშდა ქუჯი, არსაით შეველა, ხედავს დასცინის ქალთა კრებული, და ახლა თავის ბედის საცდელად მოჰქრის შავლეგო ამხედრებული. ბილიკზე დადგა კვლავ მეტრის ქარბუქი, თითქოსდა მხედარს ორბის ფრთები აქვს, ისეთ რაშზე ზის გმირი ჭაბუკი, რომ მას მათრახით არც შეხებია. ცხენს მოაქროლებს, ყოველი მხრიდან მას ეგებება ხალხი ხმაურით, მისწვდა და შუბით ჩამოხსნა ხიდან ხელთსაგოგმანო თავსამკაული. მოხსნა და მიჰქრის, ირგვლივ ხმებია ელვისებური სწრაფი და მალი, დიდ მღელვარებით მისჩერებია მის შემართებას ამდენი ქალი.

ნეტავ ვის უძღვნის, ვისკენ აქვს თვალი, ვის გაუღიწებს ბედის ვარსკვლავი, და, ჰა, შევლევომ ვაჟაკურ კრძალვით ლილეც წინაშე დახარა თავი. თავსამკაული გადასცა ფრთხილად, თუმც გულში ერთო ვნებები ცხელი, ორიოდ სიტყვით მიუხმატებილა და უმაღ ადგილს მოსწყვიტა ცხენი. დგას ქუჯი მარტო, გაწმინდებული, თავის შერცხვენას აშკარად ხედავს, შურისძიებად მზად არის გული, მაგრამ ვაჟაკურს ვერაფერს კბედავს. რა ქნას, ხედავს, რომ არ წყალობს ბედი. მაგრამ არ ცხრება ბუნება მგლური, და ახლა ცოცხლობს იმის იმედით, რომ მეტოქეზე იძიოს შური.

## IV

გავიდა ხანი. შევლევოს ლილე ვერსად ვერ ხედემა, ვეღარ ახარებს, ხალხის სამსახურს თავს წირავს გმირი, იმდენს იღწვის, რომ არ სძინავს ღამე... მაგრამ ფიქრით სულ ლილესთან იყო, არ ასვენებდნენ სიზმრები ღამით, ძლიერი ვნებით მოწამლულიყო, მაგრამ ეს მისთვის არ იყო შხამი. ლილეც თავის მხრივ იტანჯებოდა. არ ჩანდა არსად რჩეული მისი. ქუჯი კი ისევ ბრაზით კვდებოდა, ფარავდა მის ბნელ გონებას ნისლი. გზავნიდა მასელებს, ელოდა შედეგს, იმედის მაინც არ ჩანდა კვალი. და გადაწყვიტა ყოყმანის შემდეგ, მკაცრად დასაჯოს თავნება ქალი. და ჰა, ამხედრდა, არ უცდის დილას, უკვე მზად არის ბედთან იდავოს... და ვით ყაჩაღი, მიადგა ფრთხილად ლილეს მშობლების ვრცელ კარმიდამოს. შევლო ჩუმად ოთახის კარი, ვერავს ვისი აქვს კრძალვა და რიდი, და გაიტაცა ლილე იმ მხარეს, სად გაუვალი ტყე იყო დიდი. მაგრამ გამოჩნდა გზად მიმავალი ამ დროს მის ბედზე მამაცი გმირი, რა გაიგონა კივილი ქალის, შევლევომ ტყისკენ იბრუნა პირი...

და მიჰქრის იქით, გააგებული რისხვა მატულობს ვაჟაკის ხმაში. არაფერს ზოგავს ამხედრებულს, რომ უცნობ მხედრებს უყულოს გზაში. იყნოსა ქუჯიმ, რაც საფრთხე არის, ცეცხლს აკვებსებენ ქვაზე ნალები, მზლებლებიც უკან მისდევენ მალი. დაჭყეტილი აქვთ შიშით თვალები... და ამ ბობოქარ მძვინვარე ქარში უახლოვდება მამაცი მტერი. შიშისგან ლილე მიადგო გზაში და ავ ზრახვასე აიღო ხელი. ასეა, ავკაცს შიშს ჰგერის სინათლე, სულ წყვდიადისკენ გაურბის თვალი, თუ ოდნავ მაინც არ გაქვს სიმართლე, ღონეც რომ გქონდეს, მაინც ხარ მხდალი.

## V

ზეიმობს გორი. უკვე ქალ-ვაჟის ერთ ჭერქვეშ შეყრა ბედმა იწება. ყველას ეამა მთაში თუ ბარში ბედნიერ წყვილის დაქორწინება! ლაღობს და ხარობს შევლევო დიდად, თითქოსდა ბაღში ჰგერედეს ყვავილებს, მას ულოცავენ ყოველი მხრიდან, თავის კეთილ ბედს უმაღლის ლილეც. მაგრამ სად არის იგი, ვინც წინათ უკუღმართი გზით ქვეყნად იარა, ჟანგმოდებული გდია, ვით რკინა, თუ კვლავ იბრძვის და არ ჰყრის იარაღს! წუხს ქუჯი, ბრაზის ცრემლი ასველებს, თუმც გარეგნულად ისევ მხნედ არი, და მაინც გულში აღარ ასვენებს ბოროტს — ბოროტი ნამოქმედარი. საკვირველია კაცის ბუნება. რატომ არაფრით არ ძლება გული, ხან სიფიცხე სჭირს, ხან ფუფუნებას ეძებს, მასზეა გადაგებული. რაც აქვს, ის მისთვის არაფრად ფასობს, ეცოტავება, კვლავ უნდა ბეგერი, სულ იმას ცდილობს, როგორ აავსოს აუვსებელი უძირო ქვევრი. და თუ აავსო, დაიწყებს კვენას, ღვთაებად ქცევის აწუხებს დარდი... უბედურია ის, ვინც ამ ქვეყნად — უკმარისობის სურვილით დაღის!

ამ გრძობით ხშირად იღვიძებს მტრობა. ის კაცში სინდისს ჰკლავს და ათავებს, ყველაგან, ყოველ დროს გაუმადლობა მანკიერების არის სათავე.

ქუჩისაც ეს სჭირს, გახდა თავზედი, აღარ ისვენებს ბოროტი სული. ცდილობს როგორმე შეცვალოს ბედი. შავი ბურუსით გარემოცული. ბევრი აწვნია ლილვს სიავე და ღვარძლით სავსე, დროს ელოდება, რომ ღვთით მოძღვნილი დიდი სიამე გადაუქციოს ტანჯვა-გოდებად. და ჰა, ამისი დადგა ამინდიც, გულშემწარავად გუგუნებს ზარი, სოფლიდან-სოფლად ჩამოწვა ბინდი, ქართლს შეესია დამპყრობთა ჯარი. ჯერ ხომ კახეთზე იჯერეს გული, მოძმეთა სისხლის დიოდა ღვარი, დატოვეს იგი გადამბეგული და ახლა ქართლის შეაღეს კარი. კაფეს გმირებმა მუმილი და მლილი, მაგრამ მტრის მაინც ვერ ტამეს ჯავრი, და იხევეს უკან სასომიხილი, დამარცხებული ქართველთა ჯარი.

## VI

დაბრუნდა სახლში გოგოლაურიც. დედა შავლეგოს შეხვდა კარებთან, ომში განცდილი დიდი ზღვაურის ის გულში მიიმე ცეცხლს ატარებდა. — ცუდი ფერი გაქვს, დამარცხდით,

შვილო?

ნუთუ დაბრუნდი მტრისგან ვნებული? — განა ღმერთნი ვართ. ჩემო დედილო, სულმუდამ ვიყოთ გამარჯვებული! ისევე წინ მოდის მტერი ჯალათი, მხეცნი უსუსურ ბავშვებსაც ჰკლავენ, აქა-იქ გაჩნდა შავი დალატი, ფარულმა მტრებმაც იჩინეს თავი. ქუჩიც იქ არის — ეს ჯუჯა დათვი, იმის შავ ზრახვებს ბრიყვიც კი ხედავს, წარჩინების და პატივისათვის მზად არის გროშზე გაჰყიდოს დედა. — ო, ვიცი, შვილო, დიდი ნაკლი აქვს, იგი კაცია ხარბი, მზეზნელი, სხვას ჰკლევს ხელიდან. რაც მას აკლია,

რომ მით შევისოს შეუვსებელი. ნეტავ სულ გაწყდეს იმისი ჯიშნი მისი წილხვედრი ცაც მორქუფროს... თუ ვისმეს, შვილო, შენი აქვს შიში-იმას უფროხილდი ყველაზე უფრო! — კი, დედი, სწორედ ასეა... ხალხში უკვე შეიმობს ყველა პირშავი, ეჯიბრებიან ერთმანეთს ცდაში — მტერს ოქროს ფასად მიჰყიდონ თავი! აქ შეგრთა დედა, აღელდა კიდევ. შვილის პასუხზე ეცვალა ფერი, და ვით შეჰფერის მლოცველს სიმშვიდე, ისე აღაპყრო ზეცისკენ ხელი. — ღმერთო, მიეცი ბუნება სრული, ვინც ხალხისათვის სიკეთეს ეძებს. და თუ გულს აძლევ — მიეცი გული და წვრილად ნურვის დაუნამცეცებ... თორემ ეს რას ჰგავს, გამოდის ისე, ზეცაც არ ბრწყინავს ნათლის სვეტებად. არ უნდა უძღურს ნუგეში მისცეს, მისთვის სიკეთე არ ეშეტება!

## VII

არის ამ ქვეყნად ცოტა კი არა-საკმაოდ ბევრი უძღუბი სული. სხვისი მაღლი რომ ეწვის იარად, სხვის ღიმილზე რომ უკვდება გული. ასეთი იყო ბუნებით ქუჯი — კაცი ვერაგი, ყველას მძრახავი, ავთა საქმეთა საყრდენი ბურჯი, ის ჯოჯო პირქვე დასამარხავი. და ჰა, საღამოს, ანაზდად, უცებ, ხვდება შავლეგოს გზისპირად ქუჯი, გოგოლაური თვალეხში უცქერს, ქუჯის კი თვალის შევლება უჭირს. — სად მიბრძანდები ამ ღამით, ქუჯი? ხმას რად არ იღებ, ხომ არ ხარ მუნჯი? განრიხსდა ქუჯი, — კმარა ეს რისხვა, ვიცი, დაცინვა მწარე გრვევია. განა არ ვხედავ, მოკეთე მტრისგან შენ ჯერ კარგად ვერ გაგირჩევია! — თუ მოყვარე ხარ, უნდა იწვოდე, მტერს წინ აღუდგე მხნედ და გულადად, და თუ მტერი ხარ, ბარემ ვიცოდეთ, ჩვენც რომ დაგიხვდეთ სადმე მტრულადა! შენი ძმა ომში უშიშა იყო,

ცხარე ბრძოლაში დახუტა თვალი,  
 ნეტავი ერთხელ შემართულიყო  
 ნტრის წინააღმდეგ ეგ შენი ხმალი!  
 — მე, ჩემო შავლეგ, მტრებს ვუბევე  
 თვალებს,  
 თავს განგებ სანდო კაცად ვაჩვენებ,  
 ცოტა დაიცა, ნახავ შენ მალე.  
 მე მაგათ ჯილავს ვით შევაჩვენებ!  
 — რა ვიცი! სიტყვით თითქოსდა, გვშველი.  
 მაგრამ გვაჩვენო უნდა საქმენიც! —  
 თქვა ეს შავლეგომ და უცებ ადგილს  
 ვლვის სისწრაფით მოსწყვიტა ცხენი.

## VIII

თვეა, რაც დასცეს დედაქალაქი,  
 ადგილის დედაც ცრემლით ატირეს,  
 ეს საფიცარი წმინდა ალაგი,  
 თითქოს ადგომას აღარ აპირებს.  
 მოდის წინ მტერი და როგორც ქორი  
 სოფლებს ჯერ კიდევ გარედან უვლის,  
 დიდ ბრძოლის შემდეგ დაეცა გორი,  
 მტრის ურდოებით გარემოცული.  
 ქალაქმა თითქოს სული განაბა,  
 მაგრამ შვა ყველგან რისხვა და ზიზღი,  
 მტრებმა ციხენი გააჩანაგა,  
 რუგბად მოჩქეფს დაღვრილი სისხლი.  
 მედროვეები ჩუმად მიდიან —  
 მტერთან ლაქუცით მიიღონ ჯილდო.  
 შაიცი გულუხვობს, კაი ფლიდია,  
 ხალხი ოქროთი სურს მოისყიდოს.  
 შექმნა მომხრეთა დასი ძლიერი,  
 ყველას უბოძა მან საჩუქარი.  
 ლიქნით დააბა ზოგი ცბიერი.  
 უფრო მძლავრი კი — მუშტის მუქარით.  
 შაქსევანებად მონათლა დასი —  
 ისე ჩუმად, რომ არც იხმაურა.  
 ამ ქვეყანაზე ყველაზე თარსი —  
 ქუჯი დაუსვა მას მეთაურად.  
 და ასე გატყდა ერთობა ერის,  
 დაეტყო ხალხის სულსაც კინიება.  
 სამაგიეროდ გალალდა მტერი,  
 და იწყო ღვარძლმა აღორძინება.  
 გაქრა სიწმინდე, ნამუს-სინდისი,  
 შავნელ ზრახვებსაც აღარ ფარავენ,  
 ყველგან გამოჩნდა შერცხვენის ღირსი —  
 დაბალ გრძნობების სიბატარავე,

და დადის ასე არა კეთილი —  
 შური ამყავდ, თავაშვებული,  
 სხვისი სიკეთით გულდაწყვეტილი,  
 ბოროტი თესლით აფუებული.  
 და მაინც დარჩნენ იმედად ხალხში  
 ცოტანი, მაგრამ გმირთა გმირები,  
 მათი გარჯით ამ ბობოქარ ზღვაში,  
 არც ვილუპით და არც ვიძირებით.  
 ასეთი იყო გოგოლაური —  
 შენოდა ვაგაკაც ვეფხვის იერი.  
 იყო ქველი და თან უხმაური,  
 სულით მდიდარი. მკლავით ძლიერი.  
 წამს არ ისვენებს და ვით ნუგეში,  
 დადის ხალხში ეს სული ზვიადი,  
 ცრემლის და ტანჯვის საუკუნეში,  
 რომ მოუმზადოს ხალხს განთიადი.  
 გულს როდი იტყეს, ლომგულობს ისევ.  
 სურს გაუმართლოს მშობელს შვილობა  
 და ხალხმა იგი მიიღო ისე,  
 როგორც ბუნების ხელგაშლილობა.

## IX

დილაა, ჯერ მზე არ ჩანს ლაღარი,  
 ხვესა და მინდვრებს ნისლეში აესებს,  
 ადგა შავლეგო, უკვე მზად არის  
 გაჰკურცხლოს ცხენით ტყვიავის გზაზე.  
 ცოლს ეუბნება: — მივდივარ, ლილე,  
 შენ იცი, გტოვებთ. მარტოკა ქალებს.  
 მაგრამ რა გიჭირთ. მიხედეთ შვილებს,  
 არ შეგვემინდეთ, მე მოვალ მალე.  
 წავიდა. ამ დროს მზეც ამოგორდა  
 წითელი, თითქოს გასვრილი სისხლით,  
 მთის კალთებზე კი მოჩანდა ოდნავ  
 მცირე ფთილებად მოთეთრო ნისლი.  
 და დაქრის მინდვრად გაღვიძებული  
 დილის ნიავი ცხოველმყოფელი,  
 ცხოვრების ტვირთით დამძიმებული  
 შრომის ფერხულში შედის სოფელი.  
 ქუჯი კი ღელავს, ვერავის უთხრა  
 თავისი ბოღმა, თავისი წყლული,  
 ჯავრის საყრელად ახლა ამ მუხთალს  
 უნდა ლილეზე იჯეროს გული.  
 ასეა მუდამ, ტრფობის ხალისი  
 სანამდე ჰყვავის — სიციცხლეც ხარობს,  
 მაგრამ თუ ჩაქრა შესაბარალისი —  
 მერე ის მტრობის იქცევა წყაროდ.

აი, შენიშნა ქუჯომ, რომ ლილე  
ლოცვისთვის მარტო საყდარში მიდის,  
ამაზე მეტს რას მოისურვილებს  
სინდისისაგან დაცლილი ფილი...  
გაკურცხლა მყისვე გორის ციხეში,  
ჯერ უთენია ცისმარე დილით,  
და ისე უქო მტერს ლილვს ეშხი,  
რომ მირზაც დარჩა მით კმაყოფილი.

მირზა:

ასე კარგია?

ქუჯი:

ბადალს ვერ ნახავ!

მირზა:

ქალიშვილია, თუ გათხოვილი?

ქუჯი:

გათხოვილია, თუ გნებავს ახლა  
წამო, გაჩვენო მინდვრის ყვავილი!  
ერთი ნახე, რა სილამაზეა,  
დახატულია ბუნების ფუნჯით!  
— რას ამბობ, ნუთუ მართლა ასეა?  
— თუ გატყუებდე, მოგიკვდეს ქუჯი!  
ნახვა თუ გინდა, ახლა კი დროა...

მირზა:

— კარგი, წაგყვები ჯანდაბას იქით,  
მაგრამ ის დიდად სამწუხაროა,  
რომ გულის მწველი აღმიძარ ფიქრი...  
მე შენ უმანკო შემპირდი ქალი,  
ის კი ჩანს, თურმე გათხოვილია!  
— რას ბრძანებთ! ჩიტის ნაყენი ბალი  
ხელუხლებელზე უფრო ტკბილია!  
— მერე, ის ქალი სად უნდა ვნახო?  
— შორს კი არ არის, აქვეა ახლო,  
მაღე საყდარში იქნება იგი...  
— საყდარში? — დიახ, ბატონო ჩემო!..  
— მერე, ეს არის წესი და რიგი?  
მე ხომ აგვრძალე არ ყოფილიყო  
არც დღე, არც დამე წირვა და ლოცვა!

ეს რას ჰგავს? ლანის გული გამიხმოს  
გათავებდებულ ბრიყვების სოციალურ  
ახლა წავალ და ის თუ იქნება...  
მოვასობ, ვფიცავ მაკმადის სახელს!  
წავიდნენ, სოფლის მივარდნილ მხარეს,  
სად მისდევს ბილიკს ვერხვების ჩრდილი,  
გამოჩნდა ლილეც, გავსებულ მთვარეს —  
ეაღვრება ნიაგი დილის.  
მოდის ამაყად, არც ეშინია,  
თავის მშვენებას არცკი აფასებს,  
თვალს კი იტაცებს ხარბს და თინიანს  
ქრელი სარტყელი ფარჩის კაბაზე.  
აქ შედგა მირზა. ვერაგის თვალი  
თითქოს ზედმეტად ჩანს კმაყოფილი,  
ჯერ არ ენახა ასეთი ქალი,  
მშვენება უცხო და სრულყოფილი.  
უბრძანა ქუჯის, დასტოვოს მყისვე  
და ქუჯიც გაქრა, როგორც ღრუბელი.  
მიეშურება შემკრთალი ტყისკენ  
სინათლისა და მზის დამლუპველი.

## XI

შევიდა ლილე საყდარში კრძალეით,  
დგება ხატის წინ სახე ნათელი,  
და ღვთისმშობლის წინ გამოჩნდა მკრთალი  
ორი პატარა წმინდა სანთელი.  
დაიწყო ლოცვა, და ამ დროს უცებ  
შენიშნა იქვე უცნობის სახე,  
ახლა კი შიში ეჯახა გულზე,  
აქ არ ელოდა დაგებულ მასეს.  
შეკადრა მირზას: — ვინ ხარ, ბატონო,  
რისთვის მოხველ აქ, რამ მოგიყვანა?  
— შენთვის, ლამაზო, ცის კაბადონო,  
გნახე და სულმაც ნახვით იხარა!  
— წადი, გამეცა! — არა, ლამაზო,  
მე დღეს აქედან წამსვლელი არ ვარ.  
განა არ ვხედავ, როგორ აღმასობს  
შენი ნაკვეთების ლალი და ქარვა!  
მე დავიპყარი ქვეყანა შენი,  
მაგრამ შენ ჩემი ხარ დამპყრობელი,  
და როგორც წმინდა, ძვირფასი ძღვენი,  
მინდა მოგიძღვნა ეს ჩემი ხელი!  
ორი ცოლი მყავს და თუ გწავია —  
გახდი მესამე, ძვირფასო ლილე,  
შენი იქნება, რაც მახადია,  
სულიც რომ მთხოვო, არ გაგაწმილებ!

— არ მსურს მესამე ცოლობა შენი  
და არც წაშწმენდი ცბიერი ძღვენი!  
— მაშ, მეორეზე იყავი ყაბულს —  
და უყოყმანოდ მოგიძღვნი ამ გულს... —  
ვიქნები შენი პატივისმცემი,  
და თუ შენ ესევტ გეცოტავება —  
აჰა, გპირდები სულ აყვავებას,  
პირველი ცოლი იქნები ჩემი!  
— წადი, გამშორდი, იჭით, ურჯულო  
ჭკუაზე შეცდი, თუ რას ჩურჩულობ? —  
აქ მოთმინება დაჰკარგა მირზამ,  
ცეცხლოვან ენებით აეესო გული,  
და რაკი თხოვნით ვერ მისწვდა მიზანს,  
ეცა ქალს მხეცი გამაგებელი.  
იბრძვიან... ვნება წრებაგადასული  
უფრო და უფრო ცეცხლებრ იალეებს,  
გაუსხლტა მირზას ქართლის ასული  
და ამბიონის ირგვლივ ტრიალეებს.  
მირზაც თან დასდევს ქოშინით, ქშენით,  
სირბილით დაღლილს არ ახსოვს თავი,  
ლილეც დარბის ვით დამფრთხალი შველა,  
ცდილობს გაეჭყეს ვერაგის ჩხავილს...  
და ამ ტიდილსა და ბორიალში —  
ქვის ნიშზე ქალმა ჯვარს მოჰკრა თვალი,  
აიღო უცებ, დაჰკრა მტერს თავში  
და მირზაც იქვე დაეცა მკვდარი.  
გაიქცა ლილე... შიშით ცემს გული,  
ათრთოლებული შინისკენ გარბის...  
უსულოდ ქვაზე გადაშვართული  
დატოვა იქვე მუსუსი, ხარბი!  
ცოტა ხნის შემდეგ ქუჯიც დაბრუნდა,  
ხედავს რომ მირზა ძირს გდია მკვდარი,  
შეშინდა მზღალი, გაქცევა უნდა,  
მაგრამ გაქცევა რალა დროს არი...  
მიხვდა, ვინც მოჰკლა ვერაგი მტერი,  
მაგრამ რომ გათქვას საქმეა ძნელი,  
ლილეს მაგიერ ყიზილბაშებმა  
იქნებ მას თვითონ მოჰკიდონ ხელი  
და უთხრან: შენ თვით მიგიძღვის ბრალი,  
ბნელს რომ ქომავლობ და თეთრს აშავებ,  
აღბათ, როგორც შენ, ისე ის ქალიც  
მირზას სიკვდილში ხართ დამნაშავე!  
და ამ გონიერ განსჯას და აზრსაც  
დაემორჩილა ზრახვები ბნელი,  
ისევ ირჩია კრინტი არ დასძრას  
და არც ახსენოს ლილეს სახელი!

## XII

მირზა მოჰკლესო, დაირხა ხმები,  
ხალხის სიხარულს აღარ აქვს ბოლო,  
აქამდე ჭირში გაგლილი ძმები  
ამის იმედით ცოცხლობდნენ მხოლოდ.  
ასე დიდია იმედის ძალა,  
კაცისთვის იგი დიდი რამ არი,  
არ მიგატოვებს ჭირის დროს ცალად,  
ძმის უმტკიცესი დიდი ძმა არის.  
და აღსდგენ ახლა, მოეცათ გული,  
თითქოსდა გალხვა ყიზული ცივი,  
სულ ახლოს ჩანდა მოძალებული.  
მტრისგან გამოსხნის იმედის სხივი.  
ქუჯის კი ახლა აღარ ეძინა,  
ყოველ დღე ადგა თავს ფათერაკი,  
გაუტანელი თუ იყო წინათ,  
იმაზე მეტად გახდა ვერაგი.  
სულ მტრებთან დადის, თავზე ევლებს,  
ბეზღობით გასცა ხუთასი კაცი,  
გამოაცხადეს ყველა მძევლებად,  
უმალ დაადეს სასჯელი მკაცრი.  
საწყლებმა უნდა პასუსი აგონ,  
მათ გადარჩენას არავინ ელის,  
გაფლეტენ ყველას ულაპარაკოთ  
თუ ერთ კვირაში ვერ ნახეს მკვლელი.  
და ეს ამბავი სასტიკი, ავი  
შეატყობინეს შავლეგოს მთაში,  
აფეთქდა გმირი, როგორც მთის ზევაი,  
უცებ მოჯარდნენ ფიქრები თავში.  
სწერს ჯანყის თავი: — გოგოლაურო,  
ვიცი, რომ მუდამ მარჯვედ იყავი,  
და ახლა, ჩემად და უზმაროდ  
უნდა შეიპყრო ქუჯი პირშავი.  
სადმე ციხეში ჩაკეტე მზღალი,  
მისი იქ ყოფნა არვინ იცოდეს,  
რომ ეს შაჰინშას ყური და თვალი  
ჯოჯოხეთური ცეცხლით იწვოდეს!

## XIII

მიჰჭირს შავლეგო. მან ჯერ არ იცის,  
საყდარში თუ რა ამბავი მოხდა,  
დღე არის ცხელი, ბოღმისგან იწვის,  
სადავე მაინც უჭირავს კოხტად.  
და ჰა, მდინარე ლიახვის გაღმა  
მოლანდა ქუჯი, მიჰჭროდა ცხენით,

დაბურული ტყის მისდევდა აღმართს თავის სამშობლოს სასტიკი მტერი. ასეა, ავის მოქმედი მუდამ, ღამურასავით უნდაა, ფრთხილი. ბილწია, მაინც სიცოცხლე უნდა. არც დამით არ აქვს მსუბუქი ძილი. ვერსად ისვენებს გული აფთარის, თავისუფალი არა აქვს სული, და იწვის მუდამ ცეცხლის ღადაართ მის სულში ცოდავ აბორჯებული. ასე უწია ქუჯისაც ცოდვამ, არ დააყოვნა წამიც აღარა... შავლეგო უცებ შედგა კლდის ლოდთან და მუხთალს რისხვით პირში ახალა: — საით გარბიხარ, შესდექ პირშავო. წყულოც იყოს შენი გაჩენა, როგორ გაგვყიდე, უძღებო სვავო, ბინძური სულის გადასარჩენად! შენ ხალხის გმინვა გესმის გალობად, რაკი შაქინშას ძღვენი დიდა, მაგრამ შაქიც ხომ შენებრ ფლიდია, კარგად იცის, ვის აძლევს წყალობას!

### ქუჯი:

როგორ მიბედავ, განა არ იცი, ბედისკენ გზები როგორ მიდიან?

### შავლეგო:

როგორ არ ვიცი, მტერთან ლაციცი კეთილ მგზავრისთვის ცუდი ხიდაა!.. იცინის ქუჯი, თავს არ იწუხებს, მაგრამ შავლეგო მძლედ დაიქუხებს: — შენ აქ ბრიყველად ნუ იღიმები, უნდა მარყუევი გიპურდეს ყელში, არა გრცხვენია, ქვეყნის შვილები მტერს რომ მძველებად ჩაუგდე ხელში? გაშეშდა ქუჯი, ახლა კი ხედავს, ბედი რომ რალაც ცუდად ტრიალებს. უნდა როგორმე გაშორდეს მხედარს, შავლეგო რისხვით თვალს უბრალებს... იბრუნა პირი, გაიქცა მყისვე, მხდლისთვის უცხოა სირცხვილი მწველი. შეშინებული მიფრინავს ტყისკენ, შავლეგომ ადგილს მოსწყვიტა ცხენი და გამოუდგა გაქვეულ ქუჯის,

სტყორცნა — ქამანდის ძალა აჩვენა, შეიპყრო ქვეყნის ორგულე, ურჩი მთისა და ბარის გადასარჩენად. ხედავს ქუჯი, რომ მოტყუეს კბილი, რალას უშველის მუქარა მტრული, ისევ არჩია, შავლეგოს ტკბილი ხოტბით და ლიქნით მოულობს გული. — გამიშვი, შავლეგ, ნუ მიცქერ მრუდად, მიიღე ჩემგან ვგრცხლი და ოქრო, აბა. რად გინდა, ქვეყნისთვის მუდამ სულ იბრძოლო და სულ იბოძოქრო. ჯობს რომ იფიქრო საკუთარ თავზე, თუ გინდა შეგრჩეს თვალში სინათლე, ხალხის გულისთვის რად იბრძვი ასე ხალხი არაფერს არ დაგიმადლებს. სიმართლეს ყველგან ცუდი დღე ადგას, მას მუდამ ტანჯვის კვალი აჩნია, არსად მუშტარი არა აქავს, რადგან ხელსაყრელ საქმედ არ მიიჩნიათ! მაგრამ ეს ცივი მუდარის ეშხი როდი ხიბლავდა გმირის სულს ზვიადს, წაიყვანა და ქსანის ციხეში — ქუჯი თავივით გამოამწყვდია.

### XIV

შეკრბენ წისქვილში ქსნის თავაკცები, აქაც წუხილის მწარე ხმა არის. მსჯელობენ ცხარედ და გატაცებით. იმათი დარდი — ზღვაზეც ღრმა არის. წისქვილის ქვემოთ ბრუნავს ბორბალი, ზევით — გათლილი დიდი ქვა არი, იქვე ხვიმირში ლაღობს ხორბალი, ქვევით ორეში ფქვილის ზღვა არის! და ამ ხმაურში წამოდგა მშვიდად, ჭარმაგი კაცი ჯანლონით საესე, შეწუხებული ჯავრისგან დიდად. ხალხს გულისწყრომით მიმართა ასე: — ძმებო, ხომ იცით, ხალხის რჩეულნი, როგორც მძველები ციხეში ყრიან! ისმის დღედაღამ გაავებული მათი გოდება კლდეს დაშლის ქვიანს. მკვლელს მოითხოვენ, იმუჭრებიან, მძველებს უთუოდ მოჰკვეთენ თავებს, ხალხის წამებით ველარ ძღვებიან. მოწყალე გული ვინ მისცა სვავებს! თქვით, იქნებ იცით ვინ მოჰკლა მირზა, ან აქაც იყოს იქნება მკვლელი.

ერთს შეუძლია ის ხალხი იხსნას  
და დაიმკვიდროს სასუფეველი.  
იგი იტყვება ხალხისთვის ღმერთად.  
დაემსგავსება უჭკნობელ ყვავილს,  
ხუთასი კაცის განწირვას ერთად  
ჯობია ერთმა გაწიროს თავი!  
აქ წამოდგება შავლეგო დუნედ,  
წყნარად, მშვიდი ხმით ჩაიბუბუნებს:  
— რა გაეწყობა, მე თვითონ წავალ,  
დავიხსნა სული ჩვენი გმირების.  
რა საჭიროა ამაზე დავა,  
სამშობლოს დღესვე შევეწირები.  
ეს თქვა და ადგა, გავიდა გარეთ,  
ყველას ძალუმად უცემდა გული,  
გულდათუთქული კვლავ იდგა მწარედ  
ხალხი ზაფრისგან გაქვავებული.

## XV

აქ კი შავლეგოს სახლში დადარი,  
ცეცხლი ტრიალებს ჩაუქრობელი,  
წუხს ლილე. იცის, თვითონ რომ არი  
მაიმე სახმილის წარმომშობელი.  
მირზა მან მოჰკლა და ამის გამო  
მძევლები სიკვდილს ელოდებიან,  
ფიქრობს მთელი დღე მთელი საღამო.  
ფიქრები ფიქრებს ენაცვლებიან...  
თითქოს ყურებში ძაბილი ესმის,  
იხსენო მტრისგან უბრალო ძმები,  
თუ გააღვივე სიკეთის თესლი,  
სამშობლოს მაშინ გამოადგები!  
მირზა შენ მოჰკალ, მსხვერპლია შენი,  
უნდა გეჭიროს თავი მეფურად.  
განა უმსხვერპლოდ დიდი საქმენი  
ქვეყნად ოდესმე გაკეთებულა!  
და გადაწყვიტა წავიდეს ღამით,  
(ეს საქმე წინათ შევნოდა რაინდს)  
თქვას ყველაფერი და იხსნას ამით  
ხუთასი კაცის სიცოცხლე მაინც.  
შავლეგო არ ჩანს, მარტოა ლილე,  
ცეცხლი აწვება გულს უმწარესი,  
მიუახლოვდა მძინარე შვილებს  
გულის დამწველი ჩუმი ალერსით.  
— შვილებო, ჩემო მარგალიტებო,  
ბედგანწირული უდედოდ გტოვებთ!  
წასვლის წინ გკოცნით, ჩემო გვრიტებო.  
ამაყი მუზის პატარა რტობეს.

რა ჯნა, მიედივარ ცრემლით ნალექი,  
უდედოდ ვინ თქვა გაზრდა შვილისა,  
არ გვამებთ სხვისი ალერსი  
და არც ღიმილი მზიან დილისა.  
დედის გულივით ვინ შეგიყვარებთ,  
ცხოვრების წიგნშიც ასეა თქმული,  
ვერც თქვენი ცქერით ვერ გავიხარებ,  
ვერც თქვენ დიდ წუხილს გაიგებს გული.  
რომ გაიზრდებით იკითხავთ დედას.  
თქვენს გულში დარდი მწარედ ითოვებს,  
ვერც მოცილებთ თავიდან სევდას,  
ეგეთ სამინელ ნალველს გიტოვებთ!..

## XVI

უკვე დამეა... გაიღო კარი,  
მოდის შავლეგო გაფითრებული,  
ეტყობა, დიდად დაღლილი არის,  
მაინც დარდისგან არ ტყდება გული.  
რატომ დაბრუნდი, შავლეგ, დღეს გვიან,  
ნუთ უკვლავ ცუდი ამბავი არი?  
— წუხს ხალხი, ლილე, ტყეში გარბიან,  
მირზას მკვლელობამ თავს დასცა ზარი,  
შვეიყარენით, ვიმსჯელებთ ბევრი,  
მაგრამ საშველი არ მოინახა,  
დიდი რბევისგან ჩანს გატყდა ერი,  
და რომ არ გატყდებ, განა რკინა ხარ?  
მტერი კვლავ ითხოვს, რომ მიეცეთ  
მკვლელი.

მძევლების ბედი ბეწვზე კიდიდა.  
არ ჩანს არსაით მცირე ნათელი,  
მწარე ჭირის დღე ისე დიდიდა!...  
ნეტავი მაინც იცოდეს ვინმემ,  
თუ ვისმა ხელმა მოჰკლა სატანა,  
თუმც ჩაგვიყვნა გულში ჩვენ მღვიმე,  
და ძნელიც არის ამის ატანა,  
მაგრამ ღმერთს ვფიცავ. იმის მარჯვენას  
ვემთხვით ზედ და არ გვადრო ცუდი,  
ასეთი კაცის ქვეყნად გაჩენა,  
ჯერ გაუგონარ სასწაულს უდრის!  
აქ კი ძალღონე მიეცა ლილეს.  
ღამის მკერდიდან ამოხტეს გული...  
— მე მოვკალ იგი, ვფიცავ ჩემ შვილებს,  
ძალღმა ძალღურად დალია სული.  
— შენა? რას ამბობ? საიდან, როგორ?  
— ვეგონე ალბათ, მორჩილი გოგო...  
უცებ მეტაკა ის მუზის მღილი,

რომ აებადა ჩემთვის მანდილი,  
მაგრამ რაც მოხდა სიზმარი არის...  
იქვე საყდარში დავტოვე მკვდარი.

## XVII

აქ საუბარი შეწყდა მათ შორის,  
აღარ იძროდნენ თართოლვით ბაგენი,  
წყვიდადს მოეცვა ქალაქი გორი,  
ძილს მისცემოდნენ მოქალაქენი,  
არც მთვარე იყო, ჩასულა ადრე,  
არც ხმა, არც ბინდი არემარენი,  
და ტანკრიალა ვერხვებს და ჭადრებს  
ჩუმად ეძინათ მყუდრო ღამეში.  
უცებ სკამიდან წამოდგა ლილე,  
უთხრა მიუღღეს ოდნავი წყევლით,  
— ხალხის ცოდვა რად დაეადო შეილებს  
წავალ, ვეტყვი მტერს, რისიც ვარ მქნელი  
— როგორ თუ წახვალ, რას ამბობ; ლილე,  
თვითონ ვარდები ხახაში ჯიქის?

— რომ გაიგებენ, მე მოვკალ იგი,  
მძევლებს ახსნიან ფეხზე ბორკილებს.  
არ დავიმძიმებ სულს სხვისი ცოდვით,  
არ მიინდა გამყვეს სამშობლოს წყენა,  
ცხოვრებას დიდხანს ვაკვირდებოდი,  
ბრძოლაში სიბრძნის ვისწავლე ენა.  
დამძიმებული, ტანჯული სულით  
ჯერ ქვეყნად არვის გაუხარია,  
ერთხელ ცოდვისგან ამორგებულნი  
სულიერ ქვეყნის ცეცხლში არიან.  
გიტოვებ შეილებს, მიეც მათ შეველა,  
დღეს ცრემლით ვნამე სასლის კარები,  
ღმერთმა მწვინდობით გამყოფით ყველა,  
აწ ვერ მიხილავს თქვენი თვალები.  
მაგრამ წასვლის წინ ეს გთხოვო მინდა,  
არ დამივიწყო, შავლევ, აროდეს.  
ეს შენი გული თოვლივით წმინდა,  
მინდა ჩემს შემდეგ დიდხანს ხარობდეს!  
— რას ამბობ, ლილე! უნდა გახარო,  
სწორედ ხვალ ღამით სულს დალევს მტერი,  
თუნდაც რომ ქვაზე თავი ახლოს,  
მას არ შერჩება წამება ერის.  
ეს საიდუმლო არ უნდა მეთქვა,  
მაგრამ რაღა დასამალავი,  
ხვალ მტრების გულის შეწყდება ფეთქვა.  
ზე იფრიალებს ძლევის ალაში!  
— ღმერთო! ნუთუ ეს მართალი არის?  
— დიახ, ხვალ მსვეცი იქნება მკვდარი!  
იცრუა გმირმა, მაგრამ სინათლის

არ დამცრობილა ამით ხატება,  
სიცრუს სიბრძნე ზოგჯერ მამარხელს;  
ძალას ათასჯერ აღემატება სიბრძნის  
სისარულისგან აღელდა ლილე,  
თვალეში შევების ცრემლი ციალებს,  
ხან ძუ ვეფხევივით დაწვდება შეილებს,  
გულში იხუტებს სახეშიანაგბს.  
ბედნიერია, რა ვუყოთ მერე,  
თუ წუთიერად ცრემლები შრება,  
ბედიც ხომ სშირად წუთით გვამღერებს,  
აბა, მუღმივი სად გვაქვს ჩვენ შეება!  
დაწყნარდა ლილეც. ახლა იმის გულს  
აღარ აწუხებს შეილებზე დარდი,  
მშვიდად მოელის ქვეყნის გასაფხულს.  
და გულშიც ჩუმად იშლება ვარდა.  
დაღლილს ნელნელ ჩათვლიმა კიდევ.  
უკვე მამლები ყოილი იმის,  
მთებიდან ბარში ჩამოგვიდნენ  
თითო-თართლა ფთილები ნისლის.

## XVIII

ღამეა, ნაღველს არ უჩანს ბოლო,  
შორს სადღაც ჭოტი საბრალოდ ტირის,  
აქ კი შავლევოს არ სძინავს მხოლოდ,  
დიდ განსაცდელში ჩავარდა გმირი.  
რა ქნას, ჯერ კიდევ ბურანში არის.  
ტყვედ ჰყავს ვაჟკაცი ფიქრებს გუშინდელს.  
უკვე ვარზეა საფრთხე მომდგარი  
და უნდა ამ ფიქრს არ შეუშინდეს.  
შვილების დარდი აწუხებს დიდად,  
რომ ტოვებს ობლად გაუმღულ ყვავილთ,  
ხმა იდუმალი ჩასძახის მშვიდად,  
— არ შედრკე, მამულს შესწირე თავი...  
რა უჭირთ შეილებს, ცრემლები ნამად  
თუკი წამოვა, კლდეს დაშლის ქვიანს,  
დედა თუ ჰყავთ და დაჰკარგეს მამა,  
დაღუპულები მაინც არ ჰქვიათ!  
ფიქრები მაინც მძიმედ გროვდება.  
მწვლია ასე გასწირო თავი,  
ხედავს სიკვდილი უახლოვდება  
თავისი ცივი, ძლიერი მკლავით.  
წამოდგა ზეზე, შეილებთან მიდის,  
უკანასკნელად შეავლო თვალი,  
არ უღალატებს საკუთარ სინდისს.  
მოსახდელი აქვს მამულის ვალი.  
იცის, რომ დიდი საქმისთვის კვდება.  
თავის დასასრულს წინასწარ ხედავს,

და მაინც დინჯად ემშვიდობება —  
 ერთგულ მეუღლეს, შვილებს და დედას.  
 მათ ძინავთ, განა ესმით რა ხდება,  
 განშორების ეამს მუდამ ასეა,  
 ვინც სასახლეოდ ქვეყნისთვის კედება  
 მარად უჭკნობი სილამაზეა.  
 რა ვართ? ნამივით ჩვენც ავორთქლდებით,  
 ბედის ლოდინში სულ ასე ცივა,  
 ცხოვრება სეა, ჩვენ ვართ ფოთლები —  
 ხანდაზმულ რტოებს მუდამ რომ ცივა.  
 და ამ ფიქრებით დამიძვებული  
 მივიდა, კალამს მოჰკიდა ხელი,  
 აღმოდებული დელავდა გული,  
 წვაგდა სტრიქონებს ნაღველი მწველი.

### 111

მივდივარ, ლილე, ცრემლებით დაღბა  
 ჩემი კაცობის ფიქრი მრავალი,  
 რაც განვიზრახე, იმისთვის, ალბათ,  
 მაღლობას მეტყვეს შთამომავალი.  
 კაცი ის არი, ვინც შობს სიხარულს,  
 კაცებს საქმენი ჰქმნიან გმირებად,  
 ვინც თმობს პირადს და ხალხის სიყვარულს  
 წარბშეუხრელად შევწირება!  
 ხომ ვიცით ისიც, რომ მზისფერია,  
 რასაც ამ ქვეყნად სიცოცხლე ჰქვია,  
 ისე კი დიდი არაფერია —  
 ადრე წავალთ თუ ცოტათი გვიან!  
 ბედის განაჩენს უშიშრად ვხვდები,  
 შორი ქარებიც სასტიკად ჰქრიან,  
 ვიცი მოკვდავი ერთხელ მოგვედები,  
 მაგრამ ეს დღემდე არც მიფიქრია.  
 და მაინც მინდა ვთქვა გატყბილად.  
 ხანდაზულობაც გვებრძვის, ვით მტერი,  
 ხომ მოგვედებოდი, მე რომ მუხილა  
 ვარდის სახეზე ნაოვის ფერი.  
 დროის მიმართ შენ გეთქვა ვყვდრება,  
 და მეც დამეწყო ჯოხით ტაატი,  
 და სულ გვეფიქრა, ხად გაჩერდება —  
 ჩვენი სიცოცხლის ოქროს საათი!  
 უკვე გატებზე ზღუდე დამისა.  
 დრო ულმობელი რამივით მიჰქრის,  
 თუ რა იქნება შემდგომ ამისა —  
 რა საჭიროა ამაზე ფიქრი!..  
 ვიცი, გასჭირან სამარეს ქვიანს,  
 აღიხოცება გულისგან დარდიც,  
 და ჩემს საფლავზე ადრე თუ გვიან

დრომ თუ ინება ამოვა ვარდი.  
 გამაგრდი, გულო, წადი ამაყად,  
 არ შეგეშალოს შენი გზა-კვადრი,  
 აღარ ვიქნები ალბათ, ამაღამ,  
 მაგრამ მოხდილი მექნება ვალი...  
 ცუცხლს მიეცემა ყველა სარკმელი,  
 მაგრამ წმინდა ღვანის ხელს ვერ ახლებენ,  
 სიკვდილის შემდეგ შენი საქმენი,  
 გულო, შენ ცამდე აგამაღლებენ!  
 აჰა, დავწერე ჩემი ფიქრები-  
 მაგრამ შეველ კი რა უნდა მეთქვა?  
 განთიადისას აღარ ვიქნები,  
 მართალი გულის შეწყდება ფეთქვა!  
 მასთან შეწყდება ჩემი ოცნებაც,  
 მაგრამ მე სულმთლად არ დავცემი,  
 ამას გთხოვ. შენმა პატიოსნებამ  
 ჩემს ობლებს თვალზე მოწმინდოს ცრემლი-  
 დასარდე, დრო-დრო მიუხმატვილე,  
 მძიმეა მათთვის ეს დაღონება,  
 მაგრამ არ ვარგა არც დაყოვნება,  
 დროზე უთხარი სიმართლე შეილებს...  
 ოღონდ აღსარდე ვაჟაკი ისე,  
 რომ კაცმა თავი იგრძნოს კაცურად.  
 კეთილად აღსარდილა რომ გაუჭირდეს,  
 ზიმართლისათვის ზღვას გადაცურავს.  
 ბოროტმა იცის, რა ფასი ადევს,  
 მუდამ რომ დადის მრუდე ბილიკით,  
 თვით გაბრწყინილია, მაგრამ შვილი კი-  
 მას სიბილწეში არ სურს რომ ჰგავდეს.  
 ბევრს ნუ იღარდებ, მუხუდი მას მშვიდად-  
 ხალხის ხსნიისთვის რომ თავი გავეწირე,  
 ნუ დავცემი, ნუ იწყენ დიდად,  
 დიდი ვიშვიო არ უყვართ გმირებს.  
 შენ ასახელე შენი ქალობა  
 და საკადრისად დასაჯე მხეცი,  
 და მით ჩემს კაცურ შეუვალობას  
 ჯერ არნახული პატივი ეცი.  
 მივდივარ, გტოვებ, გაბარებ შეილებს,  
 ჩუმად რომ წაველ ამას ნუ მიწყენ.  
 და ერთს კიდევ გთხოვ, ძვირფასო ლილე-  
 სიკვდილის დღემდე ნუ დამივიწყებ!  
 ადგა, დატოვა ბარათი... შემდეგ  
 ცოლსა და შეილებს მიუალერსა,  
 მშობელ დედასთან მცირე ხნით შედგა,  
 დაკოცნა იგი უმხურვალესად.  
 გავიდა გარეთ, ჭიშკართან მდგარსა  
 წინ ეგებება ჭიხვინით ცხენი,  
 არ მოუთმინა გულმა და მასაც

ალერსიანად გადუსვა ხელი.  
შემდეგ წაივინა, დატოვა ობლად  
მიდამო, ზვრები, ეზო, სახლკარი.  
ეძინა ყველას, სიმშვიდეს სოფლად  
შუქს ჰყენდა მხოლოდ ნათელი მთვარის.

## XX

გათენდა უკვე, გორის ციხეშიც  
დილის მზემ მორცხვად შემოიხედა,  
შორს არის, მაგრამ წუთისოფელში  
ის არის ყოველ სულდგმულის დედა!  
მიადგა ციხეს გმირი მეფურად,  
მტკიცედ შეალო გალავნის კარი.  
უცებ აღმოჩნდა მის უნებურად  
ციხის უფროსთან პირისპირ მდგარი.  
უთხრა: მე ვარო იგი, ვინც ძერას  
გულში აძგერა მახვილი მჭრელი,  
მძველებს რას ერჩი, გაუშვი ყველა,  
მკვლელს თუ დაქვით, აქა ვარ მკვლელი!  
შეკრთა უზბაში. შეწყვიტა დავა,  
არ მოელოდა ასეთ გამირობას.  
ის მხედრულ სიტყვას როგორ გადავა,  
წინ უდევს მუხთალს შაჰის პირობა.  
წამს ალაყაფის აღებენ კარებს,  
სიკვდილიც უკან დროებით იხვეს,  
მძველები უცებ გარეგეს გარეთ,  
დაცარიელდა შავბნელი ციხე.  
შავლევოც ჩუმად აქვე დგას, უნდოდ,  
მაინც გმირულად უჭირავს თავი,  
წამოებსია ყიზილობათ ურდო,  
ერთზე მოიწევს ათასი სვავი.  
ახლა შეიცნო სიცოცხლის ძალა,  
უთმრად როგორ დახუჭოს თვალი,  
შემოტრიალდა ვაჟაკი მწყურალად  
და გამოსტაცა ყიზილობას ხმალი...  
შეკატა ერთი რიგი შუამდე,  
ახლა მეორეს სწვდა გახელებით,  
სისხლით შეღება ხმალი ყუამდე,  
მტრის ხოცვით ვეღარ ძლება ხელები.  
კვლავ იბრძვის, ოფლმა დანამა შუბლი,  
დგას წრემი მტრებით გარემოცული.  
ზოგი ხმლით ებრძვის და ზოგი შუბით  
და ამ ბრძოლაში დაღია სული.

## XXI

არ არის გმირის ძლევა მტრის.  
დიდხანს იბრძოდა მტრის მხედრიონი,  
და რადგან გმირმა დახუჭა თვალი,  
მკვდრის მიმართ ყველა დევამირი არის.  
ხარობენ, დიდი გნასი ატყდა,  
ხედავენ ვეფხვი ძირს გდია მკვდარი,  
აჰა, კვლავ ერთი სიმარტეც გატყდა,  
მტრების სიხარულს არ აქვს საზღვარი.  
როცა თხას უთხრეს — მოჰკლესო მგელი,  
თხა სიხარულით ტყეში გაიქცა.  
თხოო, რას დასტი, ნუგემს რად ელი,  
ნუთუ სამგლეთი სულმთლად დაიქცა!  
განა რა მოხდა, ეთქვათ მხეცი არ ჩანს,  
მგლის ჯიშისანი არა კვდებიან?  
მაგრამ იმას რომ ლეკვები დარჩა,  
ისინიც მგლებად დაიზრდებიან!  
დაიზრდებიან მაგრამ მრისხანე  
მტერს ჯერ კიდევ აქვს ბასრი ეშვები,  
ასე ჰგონიათ ირანის ხანებს —  
სულ მუდამ ასე ითარეშებენ!  
გადაწვეს ჭართლი, მომხდურ ნადირებს —  
ლილემ ოჯახით გაასწრო შთაში,  
რა უყოს ქვრივმა აღსაზრდელ შვილებს,  
დარდით ჭაღარა გაუნდა თმაში.  
ქუჯი კი ხარობს, ციხიდან ღამით  
სპარსთა მხედრობამ იხსნა ვერაკი.  
ისევე სახევა ყელამდე შხამით,  
არ გაუბნია გველის პერანგი.  
შავლევოს დასჯით მოიკლა დარდი,  
მაგრამ ვერ სძლია შიშს და ციებას,  
იციხს ვერაკმა, ჩუმად რომ დადის  
სადღაც ფარული შურისძიება.  
ის დადის, შოვა ადრე თუ გვიან,  
წალკეს ქვეყნის ჭუჭყს ცხოვრების გზაზე,  
თუ წინ აღუდგა, გასჭირს კლდეს ქვიანს,  
და სულს მალალი ზრახვით აღავსებს!

## XXII

ოი, იმედო, შენ ხარ ის ერთი,  
რომელსაც ვერ კლავს მუხთალი ბედი,  
და მუდამ, როგორც მოწყალე ღმერთი,  
კაცს მძიმე უღელს უმსუბუქებდი!  
უშენოდ ცრემლი დიოდა თვალზე,  
ხალხის სიცოცხლევ არარა იყო,

როცა შენ მოხველ ამ ქვეყანაზე,  
 ყველგან დახშული კარი გაიღო.  
 ამ რწმენით დიდხანს ითმინა ხალხმა,  
 ატარა ტანჯვით უღელი მძიმე,  
 და როცა უცებ ცხოვრების ჩარხმა —  
 გზა გაუკაფა სანუკვარ იმედს,  
 აღსდგა, აზღვავდა ბედით ჩაგრული —  
 სუსტი იყო თუ დიდი, პატარა  
 და აჯანყების ძლიერი სული  
 ქობიდან ქობში ჩამოატარა.  
 შეშინდა ქუჯი, რა ქნას, არ იცის,  
 ხედავს ეცემა მისი დიდება,  
 ვისღა დაუწყოს ახლა ლაციცი,  
 ხალხს მლიქვნელები აღარ სჭირდება.  
 ასეა: ვინც რომ ფონს გადის კვებნით,  
 ძალაუფლების სიტყვებით თვრება,  
 ბოლოს თუ ერთხელ დაუცდა ფეხი —  
 მერე ჭიაზე საწყალი ხდება.  
 თითქმის ყოველდღე ესმის გალობად  
 შავლეგოს ღვაწლი, შექება მისი,  
 და მასთან ლილეს კაი ქალობაც  
 გახდა ხალხისთვის პატივის ღირსი.  
 მაინც ლილეს გულს აღარ შორდება  
 აღმოდებული გრძნობების ზეავი,  
 მუდამ დღე ფიქრი, მწარე გოდება-  
 ლამის სახმილით მოიკლას თავი.  
 ცრემლით საფეხ ატეხ თვალების უბე-  
 ბოღმა მწიფდება შურიისძიებად,  
 „ჩემო ძვირფასო, მე შენ დაგლუბე,  
 და ეს არასდროს შეპატიება.  
 ახლა უფრო ვგრძნობ, თუ რა იყავი,  
 ღირსი ვარ, შენთვის რომ ჩავიქოლო,  
 წახვედი ჩემგან განუკითხავი,  
 მე ამის დარდი მომიღებს ბოლოს.  
 შენს მოხვლას — დილის მზე მოპყვა  
 სოფლად,  
 შენს წასვლას — ცაზე შავი ღრუბელი,  
 დავდივარ ცალი ხარით თბლად,  
 ურმის უღელში გამოუბმელი.  
 სანამდე ვიყო ასე მწუხარედ,  
 სანამდე უნდა ეწამოს გული,  
 მდიოდეს მუდამ ცრემლი მდუღარე  
 ძირმწარე შხამში ამოუღებული!“  
 ხალხიც ტირიდა, დიდების ღირსი —  
 დაფარულიყო შალდამში ეკლით,  
 და როცა ნახეს საფლავი მისი,

უმალ შავლეგოს აუგეს ძეგლი.  
 ასეა, კაცს თუ გული არ ბტკიბა  
 დარდს ვერ გაიგებ სამშობლო მიწის,  
 ცოცხლებს ჩვენ მუდამ ვეპყრობით ცივად,  
 და მხოლოდ მკვდრების შექება ვიცით!

## XXIII

სოფელი მაინც გულქვა არ არის,  
 ესმოდა გმირის ოჯახის კვნესა,  
 გულიც რომ იყოს ნალველით მკვდარი,  
 იმედი მაინც იარაღს ლესავს.  
 და აღსდგა უცებ სოფელი ზეზე,  
 დიდი. პატარა ყველა აქ არი,  
 გამოიტანეს სიმართლე მზეზე,  
 სულ დაარბიეს ქუჯის სახლკარი.  
 დაშალეს სახლი, გადაწვეს ზეარე,  
 გაქრა მარანი, შემდეგ ბოსელი  
 ისე, რომ ქუჯი ძლივს გაძვრა გარეთ,  
 ფეხშიწველა და შეუმოსელი.  
 გაიქცა, მაგრამ წვავს ცეცხლის ალი,  
 გულღრმ ვერაგი ბედს ემდურება,  
 ხედავს ეს ჯოჯო საკუთარ თვალთ  
 მთელი ოჯახის განადგურებას.  
 ინგრევა ისე, ვით იყო ღირსი,  
 ის კი შენდება, ვინც მან გაწირა...  
 და მიაჭვთ ასე ქონება მისი  
 ფიცარ-ფიცარ და ნაწილ-ნაწილად.  
 წუხს ქუჯი, მაგრამ ნალველს არ აჩენს,  
 ვისღა დაუწყოს ახლა ყვედრება...  
 ამ ქვეყანაზე ხალხის განაჩენს  
 არც ერთი რისხვა არ შეედრება.  
 ის ძლიერია სიმართლის თქმაში,  
 და არ ეშლება სიკეთის ზღვარი,  
 თავის ფიქრსა და თავის განსჯაში  
 ხალხი ყოველთვის მართალი არის.  
 ნაცვლად დამწვარი ნაფუძვარისა  
 შავლეგოს ობლებს აუგეს სახლი,  
 რაც უნდა ბედმა თვალი არისხოს,  
 ჭირის დროს მაინც დიდია ხალხი.  
 და ჰა, ქუჯისაც მიუბტნენ ღამით.  
 ჩაქოლეს ქვებით ბოროტის თესლი,  
 აწ ვერ მოწამლავს ხალხს მისი შხამი.  
 დაანთხვევინეს ასპიტის გესლი.  
 ხომ ძლიერია ბოროტი, შხაგი,  
 სიკეთე მასაც სძლევს ბუმბერაზი,  
 და რაც არსებობს ამ ქვეყნად კარგი,  
 სიკეთე ჰქვია ყველა ენაზე!

კვირის სინამაღსე

## ქ ა შ ი ე ბ ი

• • •

უძვირფასესი, მკითხავ, კარგო,  
ქვეყნად ვინა მყავს?  
შენზე ძვირფასი, გეტყვი, თურმე,  
არვინ მყოლია!

როცა პირველად გნახე, ვიგრძენ:  
თვალეში გაგყვა  
და ჩქარა მივხვდი, თურმე, გულიც  
შენ გაგყოლია!

• • •

ძველ ნაცნობს შეხვდა  
ჭირში მყოფი გამოუცდელი,  
უთხრა: მიხსენი,  
დიდი ჭირი მიდგას კართანო.

მან მოუსმინა,  
ჰკადრა, ძმავო, ჭირს გაუძელი,  
ჩემს ჭირთან შენი  
მოსჩანს, როგორც წვეთი ზღვასთანო!

• • •

მრუდნი სისწორეს მარად მტრობენ,  
ახშობენ, გმობენ,  
ცდილობენ ავნიონ იმის ნაშენს,  
დააგდონ ოხრად,

მაგრამ რაც მეტად თავხედობენ,  
მით უფრო გრძნობენ,  
რომ მოუხდებათ მის წინაშე  
მათ ქედის მოხრა.

• • •

დაჭრილ გულს  
სევდა ჭრილობაზე ქორივით აზის;  
ჭრილობა შრება,  
მაგრამ რჩება ჭრილობის ხაზი.

ხოლო ის ხაზი  
მამინ უფრო ხდება უღრმესად,  
უახლოესმა თუ დასტოვა,  
სულზე უტკებსმა.

უყურადღებო ყვაფილები  
ჩქარა ხმებიან;  
ხვე ხმება, ფოთლებს თუ წაერთვით  
ამაგზ მზისა...

მხოლოდ უეცნი ამა ქვეყნის  
ვერა ხედებიან  
იგივეობას — მზის და კაცის  
ყურადღებისას.

შედნიერებას —  
ნაკლიც ახლავს მიუღებელი:  
ხშირად გვაბრმავებს!

უბედურება —  
თუმცა გვწაგვრავს,  
მოაქვს დღე ბნული  
ავიხელს თვალებს!

ო, მორწმუნეთ,  
თქვენი ხმები როცა ერთდება,  
იმ ხმათ წინაშე  
ყველა ძალა ქედს ხრის, მუნჯდება.  
მაგრამ უფროხილდით

მოკვდავების თქვენ გაღმერთებას,  
თუ ხედავთ,  
იგი სხვა მოკვდავებს  
ძვირად უჯდებათ!

გამოწამორებას  
ბუზმა დათვის ყურში უცადა;  
როცა გამოძვრა,  
დათვის მადლობა გამოუცხადა.  
დათვმა მიუგო:

„ნეტავ ვინ ხარ, ბოდავ რახაო?  
შენი  
არც მოსვლა გამოიგია  
და არც წასვლაო“.





## სოლომონ ხატიშვილი

# ახსნსრული მელროვისა

როგორ გავრძელდა ეს გზა! რა ტრიალი მინდვრებია, დაგუბებული მდინარეები. ეს ოთხ-ოთხადაც რა ღრტირითა და ხეთქებით მიდის მტერიან გზაზე!

ადრეც უვლიდა ასე შორს. ათი წელიწადი გავიდა მის შემდეგ, რაც პირველად დაადგა დიდ გზას. მაშინ სულ სხვა იყო. ჭრე ერთი, ჯანმრთელი იყო და შორი გზა სრულიადაც არ ჰქონდა, მიდიოდა უცხო ქვეყანაში, ხედებოდა სხვადასხვა ხასიათის ადამიანებს, ყველაფერს ხარბად აყვირდებოდა.

რა სიხარულით მიდიოდა მაშინ და რა დიდი იმედით. თითოეული ქალაქი და სოფელი ახსოვდებოდა და როცა ეტლი დიდხანს წერდებოდა ცხენების გამოსაცვლელად, უცხად შემოირბენდა უბნებს, საეპრობებში შეიხედავდა, შემზვდვდრს გამოელაპარაკებოდა.

რა გაოგნებული შესცვიროდა მოსკოვს, როცა მის მიუახლოვდა, როგორ შეაერთო დიდმა ქალაქმა — ამ ზღვა ხალხში და ამ დახლართულ ქუჩებში როგორ უნდა მიეგნო გიორგი ავალიშვილს.

ახლა კი, ეს დაუსრულებელი, უსიხარული და უიმედო გზა ედო წინ. წელიწადი და შვიდი თვე იყო გამოშფედეული, ზემარბა ხომ არ არის ამდენი დრო! რამდენი წამების დღე, რამდენი დამამყრებელი ლაპარაკი. ბოლოს დამთარდა ყველაფერი და, აი, ისევ შევიწიდა დიდ გზას.

მარტო რომ ყოფილიყო ასატანი იქნებოდა ეს წამების გზა. წელიწადისა და შვიდი თვის ახსნაელობაში თითქმის შეეჩვია მარტოობას, ახლაც ეჩრჩინა მარტო ყოფილიყო. რაზე ვაამწარა ეს ნაეშვები ასეთი უხიავი მგზავრობით? ახლა ეღენე! რა თაეშვავებელი აღმოჩნდა ეს ქალი. დიდი გზა კარგი გამოცდა იყო მისთვის. უღრტირველად შეუდგა ქმართან და შეიღებ-

თან ერთად ამ გზას და, არა თუ მოეღუწა სახე, თითქმის ბედნიერცააო, რომ თავის ქმარ-შვილ-შია და დიდი ხნის უნახავ საყვარელ მასპინძელთან მიუხარიაო.

ელენეს ასეთი ხასიათი მალამოსავით ედებოდა მის დამიშქებულ სულს.

ნეტაც არ ეთხოვნა ოჯახის წამოყვანის ნება. რა ლმერთი გაუწყებოდათ ნათესაეებს, როგორ არ მიხედავდნენ ობლად დარჩენილებს. ამდენ ხალხში მარტო მან ითხოვა ცოლ-შვილის წამოყვანის ნება.

როცა განაჩენი წაუციოხეს და გამოუცხადეს — საქართველოში ველარ დამბრუნდებო, იმედი გადაიწყვიტა და ეს იყო მიზეზი. საქართველოში ველარ დავბრუნდებო და ვის აძარა უნდა დაეტოვებინა უშწყო ელენე და ორი პატარა ბიჭი — ვანო და კოტე. ამიტომ აიყიდა ეს დიდი ცოდვა და თავისას დაუძატა ცოლისა და შვილების წილი.

ქალაქ პენსამდე მათთან ერთად სოლომონ რახმაეც მოდიოდა. გზაზე სალაპარაკო არ დაუღუდა. რას არ იგონებდნენ—პეტერბურგს, ბატონიშვილებს ბავარტსა და ფარნაოზს, მათთან ცხოვრებას, იოანე ბატონიშვილთან შეხვედრებს. რა მშვენიერი საუბარი იყოდა, გონების რა ენჭულში ჰქონდა დაგროვებული იმდენი ცოდვა. „ხუმარსწავლას“ რომ წაიკითხავდა, ცოცხლად წარმოუდგებოდათ ერთს ქართლი, მეორეს — ქიზიუი. იონა ბერმა კი ყოველთვის გაზვიადება იყოდა ნათქვამისა, სულ ლმერთი და ლმერთი, დარიგება და ჰქუის სწავლება შემდეგ თბილისი, შეხვედრები, კრებება.

მათს გამყოლს, ხერსონის გრენადერთა პოლკის მოტუჩიკს ფილიპოვს თბილისის სამხედრო სასამართლოსაგან დავალებული ჰქონდა ფიზულად ჰქეროდა თვალი დამნაშაეებზე, შეუფერებელი სიტყვა თუ ჰქუევა, ან უცხოთან გა-

მოლაპარაკება უნდა აეკრძალა, ხოლო ქალაქებში გაჩერება, თუ აუცილებელი საქიროება არა, უნდა თავიდან აეცილნა.

რა მშვენიერი დღეა გათენდა 24 ივნისს. მთელი ღამე თვალი არ მოუტუქავს, ფიჭობობდა მომავალ ცხოვრებაზე, რომელიც გათენებისას დაიწყებოდა. ციხის ეზოში შეხედნენ ერთმანეთს რაზმამდე და დოდაშვილი. კარი რომ გაიღო და ეტლი ქუჩაში გამოვიდა, იქვე დახვდა ელენე ბავშვებითა და ბარგიით. რა სიხარულით ჩაიკრა გულში ბავშვები და შეუღლებუნეს დედა და მამობილი აცლებდნენ. სხვა არავინ მიუშვეს.

სოლომონ დოდაშვილმა შორიდან გახვდა მთაწმინდას, თვალებზე ცრემლი მოადგა. თავი წიკავა და შემდეგ, თითქოს ემდურისო საყვარელ ქალაქს, მისკენ აღარ გაუტეხდა. ეტლი სპეჩარად დაიძრა. ელენეს დედამ ძლივ მოასწრო შეღიშვებებისათვის ერთხელ კიდევ ეკოცა. ეტლი ისინიდან ქუჩაში ჩავიდა და აეკლან გზას დაადგა.

სოლომონ დოდაშვილს შორიულ ვადასახლებში მიხვევებოდა თავისი მუდლუ ელენე კობიაშვილის ქალი, ორი შვილით.

სოლომონი გრძნობდა, რომ საღამოობით სიხუტე მძლავრობდა მის დაღლილ სხეულში, თუმცა ცოლისთვის არ გაუშვლია. ისინი ერთმანეთს ამხნევედნენ გზაზე, სოლომონი ელენეს ზოგჯერ ქართულ მარია ვოლკონსკაიას უწოდებდა, ეამაყებოდა, რომ ქართველი ქალიც თავგანწირვით მიდიოდა ქმართან ერთად ვადასახლებში, თანაც შვილებით.

ელენე სოლომონ რაზმამდე თბილისში გაეცინო, როცა იგი ვრაც სიჭინის ჩამოყვამა საქართველოში თერანას გასამგზავრებულად. სოლომონ დოდაშვილმა დაჰპატიჟა თავისთან პოეტო რამდენჯერღაც. სპარსეთში გამგზავრების წინა საღამოსაც იყო დოდაშვილთან, აქუქსანდრე ორბელიანიც შემოვიდა და ცალკე ოთახში დიდხანს ჰქონდათ საუბარი.

ახლა კი გზაზე ერთად დგანან და ჩრდილოეთისაკენ მიემგზავრებიან.

პირველი დიდი შესვენება, სიმაგრე ვლადიკავკასში ჰქონდათ. 28 ივნისს ჩავიდნენ სიმაგრეში და ორი დღე დარჩნენ. ბავშვები ეტლიდან გადმოვიდნენ და ფეხში გაიშლნენ, მოზრდილები ფილიპოვმა კომანდარტ ორანსკის მიერ გაწყოფილ ოთახებში მოათავსა. მხოლოდ ელენეს ჰქონდა ნება ოთახიდან ვასულისა. გუშინ დასრულდა საქართველო...

სოლომონ რაზმამდე ბავშვი იყო, როცა იგი დედასთან ერთად თეიმურაზ ბატონიშვილმა გორიდან პეტერბურგს წაიყვანა. ეს იყო 1810 წელს. რუსეთის დედაქალაქში ქართველები ბევრი იყვნენ და რაზმამდე იქაც არ მოჰყვებოდა მშობლიური ენის სიტბო. თეიმურაზი თავის მდივნად ამზადებდა შას, აწერინებდა, ათა-

რგმინინებდა. სოლომონი საკეთარ თხზულებებსაც წერდა.

მადრიდისა

როცა 1832 წლის მარტში საქართველოში საქართველოში მოვიდა, თითქოს ახალი სიცოცხლე ჩავდგაო, თბილისში ჩამოსვლისთანავე წერილი გაგზავნა პეტერბურგს: „არ ვიცი სიდან დავიწყო, დიდი ხანა მინდობდა წერილის მოწერა, მაგრამ რაღაც მაჩერებდა... წერილში აუცილებლად უნდა გამოიხატოს ის შთაბეჭდილება, რომელიც შექმნდა, როცა სამშობლოში ჩამოვედი. სუბედროდ ვერ აეწერ კავკასიონის ბრწყინვალეებას, რომანტიკულ-პოეტურ ადგილებს. საქართველოს გამოსახვას უნდა გენიოსი მწერალი. საკეთარი თვალთ უნდა ნახო, რომ დარწმუნდე... თბილისში ბევრია ისეთი ქართველი, რომელიც დიდი პატრიოსტების ღირსია. ზმირად გავდივარ ქალაქიდან, ვარ ხოლმე პალეზში, ვნახე სოლოლაკი, ყოჯორი, იყავი ზედაზნის მონასტერში, რომელიც მაღალ მთაზე დგას გუბარიათ მამულში. მომხბველული ადგილმდებარეობაა. როცა იმ მაღალი მთიდან ჩიქორებოდი, თითქმის მთელი საქართველო ვიქნა და უნებურად წარმოთქმევი: რატომ ან რაფელი არა ვარ, ან ტორკვატო ტასო მეტიქი?“

გუშინ ვადამოლაბა საქართველოს საზღვარი და, ვინ იცის, ეღირსება როდისმე სამშობლოში დაბრუნება? მწუხარებოთ აღმოხდა გუშინ: ნეტამე, მამულა, არ მომხბვებოდა შენის ხილვისა სურვილის ალი, ურვის სახშილში არ დადნებოდა ეს ჩემი გული, მომავლა ძალი. ემა, მამელო, ემა მამელო!

ვაჰკირ, რად მინდ უმისოდ სულაო?

გულმტკივნეული იყო სოლომონ დოდაშვილიც. რა სიხარულით შემოვიდა იგი თერგის კარში ამ შვიდი წლის წინათ, რა ამაყად მოჰქონდა თავისი პეტერბურგში დაბეჭდილი წიგნი. რა მონდობებითა და აღტაცებით მეშობოდა კეთილშობილთა სასწავლებელში, ვინაზიზადა, რედაქციაში. რა სიხარულს განიცდიდა, როცა „სალიტერატურო ნაწილის“ საღებავმუშეშრალ ნომრებს გადაფურცლავდა.

გუშინ კი უკანასკნელად შეავლო თვალი იმ კარს და მწუხარებით გახებრა იგი.

ვლადიკავკასს შემდეგ მინდვრები დაიწყო. ცხრამეტი დღე ქელეს ეს მინდვრები და 17 ივნისს ჩავიდნენ პენაში. სადაც მორტიყ ფილიპოვს გუბერნატორ პროკოპოვიჩ-პიტოისკისათვის სოლომონ რაზმამდე უნდა ჩაებარებინა.

ჟე კი ვეღარ შეიკავეს თავი სოლომონ რაზმამდე და სოლომონ დოდაშვილმა. ცრემლიანი ამბორით გამოესალმნენ ერთმანეთს. მართალია თქვეს, კიდევ შევხვდებითო სადმე ურთიერთს, მაგრამ თითოეულს ისე მამედ ჰქონდა დაბურული გული და ისეთი ნაღველი აწვა, რომ შენაგანად ორივეს გადაწყვეტილი ჰქონდა —

ეს იყო უკანასკნელი გამოთხევა სამუდამო დაშორების წინ.

21 ივლისს ფილიპოვმა სოლომონ დოდაშვილი და მისი ოჯახი ვიატკის გზას გაუყენა.

როგორ გაგრძელდა ეს გზა, რა დაუსრულებელი და ერთნაირი იყო ყველაფერი. ათი დღე იარეს პენზიდან ვიატკამდე და მეთექვსმეტე დღის დასაბრუნეს მიადრწიეს.

როგორც იქნა ათთვიან აღმართი და ქალაქში შევიდნენ. არც ვარუდნაში და არც ქალაქში მათთვის ყურადღება არავის მიუძღვებოდა. ვიატკელებისათვის ზვევლები იყვნენ ამბავი იყო გადასახლებულთა ჩასვლა. პოლიციებისტერის სამმართველოსთან გაიქცა ვიატკის ვეტი.

სოლომონ დოდაშვილი ვიატკაში 1834 წლის 31 ივლისს ჩაიყვანეს. გუბერნატორმა არც იმ დღეს და არც პირველ აგვისტოს არ იხილა ფილიპოვისა და გადასახლებულის მიღება. ორს დამე დოდაშვილი და მისი ცოლ-შვილი პოლიციის ოთახში იყვნენ მოთავსებულნი. ვიატკის გუბერნატორმა — კირილე იაკობის ძე ტუფიყევა 2 აგვისტოსათვის ბრძანა ფილიპოვის მოხსენების მოსმენა. რამდენიმე დღით ადრე მას მიღებული ჰქონდა შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულება, რომ უმაღლესი ნებნა საკლასო წოდებამართველი ყოფილი მასწავლებელი თბილისის გიმნაზიისა სოლომონ დოდაშვილი, საქართველოში აღმოჩენილი მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობისათვის იგზავნება თქვენდამი რწმუნებულ გუბერნიის სამმართველოში, კანცელარიის უმცროს მოხელედ. მას აღკვეთილი აქვს უფლება მიიღოს დამსახურება ათი წლით, ხოლო საქართველოში დაბრუნება სამუდამოდ აქვს აკრძალული. ასეთივე შინაარსის ქალაქი ხომ რიზენშიც გაუგზავნა ვიატკის გუბერნატორს 14 ივნისს, ხოლო 12 ივლისს მიწერილობით შინაგან საქმეთა მინისტრი ბლდოვიც აცუობინებდა ტუფიყეს — თქვენთან იგზავნება დოდაშვილი, რომელიც კანცელარიის დაბალ მოსამსახურედ უნდა დანიშნოთ. უნდა დაუწესოთ მკაცრი საიდუმლო თვალყურით და დროდადრო მომახსენოთ მისი საქცილის შესახებო.

პორუნიკმა ფილიპოვმა სოლომონ დოდაშვილი 2 აგვისტოს დღით მიიყვანა საგუბერნატორო სამმართველოში. გუბერნატორი ჭერ არ იყო მობრძანებულნი. დიდ დარბაზში მოეყვანათ თავი სამმართველოს უფროს თანამშრომლებს. აქვე იყვნენ ქალაქის პოლიციებისტერი მიხეილ კიტანი და გუბერნიის პოლიციის უფროსი სერგეი ორლოვი. ყველა ჩურჩელით ლაპარაკობდა და თვალს ზშირად გააპარებდა კარასვენ. კარგი უცხად გაიღო და შემოვიდა არცთუ მაღალი, მხარბუქიანი, ხანშიშესული აღამიანი. რომელსაც ბუდოვიცის მსგავსი თავი მტრებში ჰქონდა ჩამძვარი. ყბის ძვლები უფრო ამხავსებდა ძალის ამ ჭიშს, სახეზე ავბორცული

ღიმილი გადაჰკარავდა, წერტილი, ნაცრისფერი თვალების სწრაფი მოძრაობა და სწორი მტრებგუბერნატორი არავის მისამჩნებია. შეხედა თუ არა პოლიციის უფროსს, შავი დღე აყარა — გზები გაუფუჭებულა, კინაღამ გადაიმბრუნდა გუშინ ეტლით. უცხო აღამიანის დანახვაზე შეჩერდა და ანიშნა რა გინდოთო.

ფილიპოვი წინ წასრდგა. გაუწოდა პაკეტი და მოახსენა — ესა და ესა ვარ და ესა და ეს ჩამოვიყვანე საქართველოდან თქვენს განკარგულებაშიო.

— რაც წერია ამ პაკეტში, მე უკვე ვიცი. თქვენმა კორპუსის მეთაურმაც შეცნობა და შინაგან საქმეთა მინისტრმა. — და პაკეტი ჩამოართვა. შემდეგ სოლომონ დოდაშვილს მიუბრუნდა და ჰკითხა.

— თქვენ გიმნაზიის მასწავლებელი იყავით არა?

— დიაღ, თქვენო აღმატებულება, ვმსახურობდი გიმნაზიაში.

— მერე, რას ასწავლიდით გიმნაზიაში თქვენს მოსწავლეებს?

პასუხისთვის აღარ დაუცდია, ისე შეპყვირა: — აღენიცი!

დარბაზში სურავანდანი ახალგაზრდა კაცი შემოვიდა.

— აი, თბილისის გიმნაზიის მასწავლებელი. შავან, აღბათ, სამსახურის გარდა ყველაფერი იცის. მის იმპერატორებთან უმადლესობას უნებებია, რომ ზვევთან გამოიწვრთნას ეს კაცი. წაიყვანე შენთან, მიუჩინე საქმე და — ხმადაბლა დაატანა — პირადად მომახსენებ ხოლმე მაგის ქვევაზე.

გუბერნატორი ისევე ფილიპოვს მიუბრუნდა და ჰკითხა — დოდაშვილის ცოლი და შვილები სადღა არიან და, როცა პასუხი მიიღო, პოლიციის ოთახში არიან შეფარებულნიო, პოლიციებისტერი მიხეილ კიტანის განკარგულება მისცა — სასწრაფოდ გამოუძებნე დოდაშვილს ბინა და ჩაასახლოთო.

დოდაშვილი დარბაზიდან აღენიციმა გაიყვანა. ერთ დაბალ თაღებთან ოთახში შეუძღვა, სადაც რამდენიმე მოხელე ეჭდა და თავბაღუნული რაღაცის წერდა. ერთმა მთავანმა ყვირილი ასტება და ქართულად დაიძახა:

— მასწავლებლო, მასწავლებლო, შენც აქა ხარ, შენი ჭირიმე! — და ტირილი აუვარდა.

მოულოდნელობისაგან დაბნეულმა დოდაშვილმა ძლივს იცნო იოსებ მამაცაშვილი, რომელიც შარშან დეკემბერში გადასახლეს თბილისიდან. აი, თურმე სად მოუყვანიათ!

მოულოდნელი იყო ეს შეხვედრა. დოდაშვილმა ციხეში კი გაიყო, იოსებ მამაცაშვილი არსეთს გაგზავნესო, შავრამ არ იცოდა, რომელ ქალაქში იყო გამწესებული. მამაცაშვილს კი ეინ შეატყობინებდა დანარჩენთა ამბავს და, აი,

ტუფიავეის სამმართველოში შეხვდნენ ერთმანეთს დოდაშვილი და მამაცაშვილი. ორივე მღვდელმთავრებამ მოიცვა, ხან სახის ფერი დაჰკარგეს, ხან წამოკარბლდნენ, ეხვეოდნენ ერთმანეთს და უბოძდ ერთერთის თვალებში კითხვობდნენ ბედის უუღღმართობასა და სიწმარეს.

ოსტე მამაცაშვილმა, როცა გონზე მოვიდა, დოდაშვილს უთხრა, რომ ხალხ ავთანდილაშვილი პერში ცხოვრობს. ხოლო დიმიტრი ყიფიანს ვოლოგდა შეურჩიეს საცხოვრებლადო. ზაალისთვის ზუთი თვის სამსახურში მიეცათ უკვე მეთორმეტე კლასის ხარისხი, დიმიტრისათვის კი მეთუე კლასისა. მე წერილი მიწერე იმათ და თავი იმხვეი იმათაც მაცნობესო.

დოდაშვილს გაეხარადა თავის ნამოწაფართო სიტყვით, იოსებს წასწერჩედლა: თუ მოახერხო, შეატყობნენ ჩემი აქ ყოფნაო.

აღწერილობა დიდხანს არ აცალა თანამემამულეთ საუბარი, მამაცაშვილს სამეშაო მავიდასაკენ მიუთითა, ხოლო დოდაშვილი წინ დაიხსა და ჰკითხა:

- წერა იყო?
- როგორ წერა? რის წერა?
- ესე იგი, როგორი ხელი გაქვთ?
- რა მოვახსენოთ!

პეტრე აღწერილობა ქალღლი და კალამი მიაცილოდა, დაბნულმა დოდაშვილმა კითხვით შეხვდა აღწერილის — რა გინდა, რა დავწერო?

— დაწერეთ, მავალითა: როგორც თქვენს კეთილშობილებას მოესვენება... მართალი ვითხრობ, იმპერატორთან არ დავჭირდებთ მიწერ-მოწერა, მგარამ...

ვითაც ვუბერნატორზე აღეკსანდრე გერცივი შემდეგ გვიამბობს: „ტუფიავეი ტობოლსკში იყო დაბადებული, მისი მამა, მგონია, გადნასახლები ყოფილა და უღარიბეს მეშინათა წრეს განეკუთვნებოდა. ცამეტი წლის ტუფიავეი მოხეტიალე კომედიანტების ხროვას მიჰყვალდებოდა, ბაზრიდან ბაზარზე რომ დაეყოლიებენ, გამაზობდენ, ჯარასავით ტრიალებდენ და სხე-მითონ ერთად უღელა ტობოლსკიდან პოლონეთის ვუბერნატიმად და მართლმორწმუნე ხალხი შეუქცევია. იქ არ ეიცო, რატომ, დაუჭერათ და რადგან შეუხედავი იყო, მაწინწალთ მიუღლიათ და სხვა პატიმრებთან ერთად ფეხით ტობოლსკში ვაუსტუმრებიათ... ათ წელიწადში მღვინდ იქცა გენერალ-ინტენდანტთან. კიდევ ერთი წლის შემდეგ იგი მთელი რუსეთის გამგებლის არაჩევეის კანცელარიაში ერთი ექსპედიციის უფროსად იყო. იგი გრავს ახლდა პარიზში მოკავშირეთა ჯარებისაგან მისი აღების ხანს. ტუფიავეი თურმე თავადებულად მჭარა საღაშქრო კანცელარიაში და პარიზის ერთი ქუჩაც კი თურმე არ უნახავს. დღეღამამე ადგენდა და წერდა ქალღლებს თავის ღირსეულ ამხანაგ კლანიშხელთან ერთად. არაჩევეის კანცელარია სპილენძის მადნის მღაროსა მკავე-  
ბ. „მნათობი“ № 12.

„თბილისისა“ და „სამოქალაქო ტრაიდი“ ერთგვარად აღაქვევს პოეტურ ციკლებში აღ-ბეჭდილი განწყობილება სულ უფრო და უფრო მტკიცეობდა ბორის პასტერნაკის შეგნებაში ოცდაათიანი წლებს პირველი ნახევრის მანძილზე. ეს ხანა მოიცავს, როგორც ვიცით, საქართველოში მეორე გამგზავნებას, ქართველ მოღვაწეთა მუცხობრის გაღრმავებას, ქართული პოეზიის თარგმანებზე მეშაობის პირველ ეტაპს, 1934 წელს საბჭოთა მწერლების პირველ ურილობას (რომელზედაც პასტერნაკი ბრწყინვალე სიტყვით გამოვიდა ტიციან ტაბიძესა და პაოლო იაშვილთან ერთად), 1935 წელს პარისის მწერალთა მსოფლიო ანტიფაშისტურ კონგრესზე გამგზავნებას (გალაქტიონ ტაბიძესთან ერთად), ტიციან ტაბიძესთან და პაოლო იაშვილთან გაცხოველებულ მიმოწერას. ამ სიაზღაოებრივ და ბიოგრაფიულ საფუძველზე სულ უფრო და უფრო მყარად გამოკვეთილია განწყობილებებმა სათანადო გამოხატულება პოეტს როგორც ბორის პასტერნაკის მიმოწერაში, ისე მის შემოქმედებაში. 1936 წლის ერთ-ერთ ლექსში („უდროოდ გარდაცვლილს“) ასეთ სპაროგრამო სტრუქტურას ვხვდებით:

Эпохи революций  
Возобновляют жизнь  
Народа, где струсает,  
В громах других отчизн.  
Страницы века громче  
Отдельных правд и кривд.  
Мы этой книге коричей  
Простой устойчивый шрифт.  
Затем-то мы и тянем,  
Что до скончания дней  
Идем вторым изданием,  
Душой и телом в ней.

განა სიტყვებში „საუკუნის ფერკლების“ შე-სახებ, რომლებიც „ცალკეულ სიმართლზე თუ უსამართლობაზე ხმადაღნი არაა“, არ ისმის გამოამბილი ტიციან ტაბიძისადმი მიმართული, ჩვენთვის უკვე ნაცნობი შეგონებისა: „აენდეთ

რევოლუციის მის მთლიანობაში, ბულისწერას, თქვენსავე ახალ სულისკვეთებაში... და მწიფდება, ცხოვრების სანახაობას... ენდეთ...“ და არა კვირებულს?“. იქვე იწერება მეორე ლექსიც, სადაც არა ნაქლები თვალსაზრისით მდებარეობა შეხშინება კვლავ ტიციანისადმი მიმართულ სიტყვებთან „ხალისი, მიწისა და ზეცის“ შესახებ, რომლებიც საკუთარი გულის სიღრმეში და სულის წიაღში უნდა ეძიოს შემოქმედმა:

Тебя ищили на полях  
В года, когда в огне невзгод  
В золе народонаселения  
Оплавились ядро: народ.  
Он для тебя вода и воздух.  
Он — прежний лютик луговых,  
Копной черемух белогрозных  
До облак взмывший головой.  
Не смытай ему отметок.  
Растроганности греш цена.  
Грозой пади в объятья веток  
Дождём обдай его до дна.  
Не улыбайся, — не подтянем.  
Сгнись без пести, вернись без сил.  
И по реьям и по плутаньям  
Поймем, кого ты носил.

პოეტის ხალხთან კავშირის ასეთი გაგება წითელ ხალხს გაყვება ბორის პასტერნაკის შემოქმედებასა და მიმოწერას. ცოტა წინ გადავიხედოთ. 1946 წლის მიწურულს, როდესაც ბორის პასტერნაკს, რომელმაც სამამულო ომის წლებში განსაკუთრებული ძალით განიცადა ხალხთან, სამშობლოსთან, რევოლუციის მონაბოვრობა საგანგებო სისხლორციული ნათესაობა, თავს დაესხნენ ზოგნი და ზოგნი კონსტიტუციონალური ეფრნალისტები და ბრალად დასდეს ხალხისაგან განდგომა, თვით მან, ნინო ტაბიძისადმი მიმართულ წერილში, ჩვეული პირდაპირობით გამოთქვა თავისი აზრი ამ საკითხზე: „ამ შემოღობის ციხე-სხედებში მე სრულადაც არ შემაწუხა. განა რომელიმე ჩვენთაგანი იმდენად ჩლუნგი და კადნიერი, რომ დაქდეს და იფიქროს — ხალხთან ვარ მე თუ არა? მხოლოდ ფრაზიოლოგებსა და უსინდისო მოლაყებებს შესწევთ უნარი ამ მკაცრი და დიადი სიტყვის ხმაარებისა ისე, რომ თავსაც კი არ იწუხებენ, რათა დაფიქრდნენ, შეჩინა თუ არა ამ სიტყვას, მათს მიერ წარმოთქმულს, რაიმე მნიშვნელობა მიანიჭ...“ 1950 წლის გახატულ-ზე, როდესაც ანა ახმატოვა, დიდი ხარვეზის შემდეგ გამოაქვეყნა ეფრნალ „ოგონიოკი“ პატრიოტული და სამოქალაქო შეგნებით გამსჭვალული ლექსების ციკლი, გულწრფელად გახარებულმა ბორის პასტერნაკმა გაანდო ნინო ტაბიძის ასეთი გუშანიც: „არ მსიაზღვრებს ოლონდ,

რომ ანალოგიის ძალით ყველამ ჩემვენ დაიწყო უტრება რაღაცის მოლოდინში. მაგრამ უცვლელი, რაც მან ახლა წარმოთქვა, მე უკვე ნათქვამი პაქს ამ ოცი წლის წინათ და თანაც ერთ-ერთ პირველთაგანს, როდესაც ასეთი ხმები მეტად იმეფათად და მხოლოდითს რიცხვში ვაისმოდა. ასეთ სიტუაციაში არ იმეორებენ წამადღწეში. მათ ან აქეთ რაიმე ახალი, ან არაფერს არ გამოხატავენ და ამ უცანასკნელ შემთხვევაში ვერაფერი განმეორებენ ვერ უშველის საქმეს.

ძველი მისახვედრი რაღაცა, რომ „ოცი წლის წინათ ნათქვამში“ ზორის პასტერნაკი თავის „ტალღებს“ და საქართველოსთან დაკავშირებულ ლექსებს, „სამოქალაქო ტრიადას“ და, საერთოდ, „მეორედ დაბადებას“ სათანადო სტრიქონებს გულახდობს. ეს ხახვი გავრცელებულია იცდათათის წლებების შეავლეს შექმნილ ლექსებში და დაგვირგვინებულია კვლავ საქართველოსადმი მიძღვნილ ორ ახალ პოეტურ ციკლში — „მგზავრის ჰანაწერები“ (ანუ „1936 წლის ზაფხული“) და „მხატვარი“ (ანუ „1936 წლის ზაფხული“). პირველი ამ ციკლთაგანი უმთავრესად ტიციანისა და შაოლოს სახელებს უკავშირდება და მათი შეველუბით არის შექმნილი საქართველოს წიაღში, ხოლო მეორე მთლიანად გიორგი ლენინის პიროვნებითა და პოეტური არსებით არის შთაგონებული და მისდამი არის უშეალოდ მიძღვნილი.

ზორის პასტერნაკის ტიციან ტაბიქსა და შაოლო იაშვილთან მეგობრობა, რამაც მეოცე საუკუნის ერთი უდიდესი შემოქმედთაგანი სუფრად და ბიოგრაფიულად სამუდამოდ დაუკავშირა საქართველოს, მართლაც რომ ლეგენდარულ მოვლენას წარმოადგენდა და თავისი ბუნებით გოეთე-შილერის, ბაირონ-შელლის, პუშკინ-მიკოვიჩის, ილია-ავაქს სულერ და უწყველბუთაა მონათესავე ტიპს განასახიერებდა. ეს სულიერი ნათესაობისა და მოღვაწეობის პარამონიული თანხმობის ისეთი შემთხვევაა, რომელიც ადრე თუ გვიან სიმბოლურ და ემბლემატური შარკანდელით იმსახურა ხოლმე და, საზოგადოების შეგნებაში ღრმად შეღწეული, როგორც წესი, მოითხოვს თავისებურ მატერიალიზაციას ზელოვნებს პოეტურ თუ პლასტიკურ ფორმებში (სკულპტურა, ფერწერა, ლექსი, სცენა, ეკრანი). ამ სულიერი და ბიოგრაფიული „დეფუზიის“ გასაღებს ზუსტად შეგნებულ ზორის პასტერნაკის „მიმოწერის“ პირველმა უცხოელმა შემფასებელმა ვიტორიო სტრადამ: „ტიციან ტაბიქე და შაოლო იაშვილი... პასტერნაკისათვის იყვნენ ორი უნივერსალური ნიშან-სიგნალი მუდმივად აქტიური ცდისა, რაც სი ორიგინალად ერწყმოდა მისი სულის ყველაზე ინტიმურსა და ყველაზე ნათელმზილველ ნაწილს, სადაც, როგორც დროის ენიგმური და ძახილბერი გამოხატულებანი, თავიანთ გამოცხადებულ პოეტის ორი სხვა დიდი, ასევე ტრაგიკულად დაღუპული მეგობრის —

ელადიმერ მიაკოვსკისა და მარინა ცვეტაევის ხმები... და ამ სახეთა გვერდით დგინდებოდა რი ტომოგრაფიის ადგილები, სადაც საქართველოს, მარადიული რუსეთის შემდეგ, რაღაც მისტიური და გრძნული კომპლექსურობით უპირატეს ესოდენ პრივილევირებული ადგილი... ენეე 30-იანი წლების დასაწყისიდან საქართველო, როგორც ვრცელი და სულიერი მთლიანობა, როგორც სიცოცხლე და როგორც პოეზია, პასტერნაკისათვის იქცევა კემპარიტ გამოცხადებად და მთელი თავისი უშეალო ინტენსივობით შედის მის შემოქმედებით აქტიში. ხოლო „მეორედ დაბადებად“ მოყოლებული, ის კიდევ უფრო უძლეველი ძალით იჭრება პოეტის სულიერ ცხოვრებაში და იკავებს იქ თავდაპირველად უქსატოსა და აღტყინებულ სიყვარულის, უფრო გვიან კი ტიციანისა და სასო-წარკვეთის ადგილს, პასტერნაკში კი საქართველო ცოცხლობს უპირატესად მისი ორი დიდი პოეტის — ტიციან ტაბიქისა და შაოლო იაშვილის სახით“. (თარგმანი იტალიურიდან ბ. ბრეგაძისა).

ახლა კი დროა თვით ზორის პასტერნაკს მიეცეთ სიტყვა, რამეთუ მან ჩვენს მიერ უკვე დამოწმებულ ავტობიოგრაფიულ პროზაში „დაბადებად და გარდაცვალებამ“, (რომელიც მისივე „მწარველობის სიგელის“ ბუნებრივ გაგრძელებას ან, უფრო ზუსტად, ვარიაციულ პარიულს წარმოადგენდა) სერიაზინის, რილეს, პლუტის, მიაკოვსკისა და მარინა ცვეტაევის გვერდით — შაოლო იაშვილისა და ტიციან ტაბიქის ადგილი მოხაზა თავის სულიერ სამყაროში, და ერთდროულად მათი უბალო პორტრეტები დაგვიხატა.

„შაოლო იაშვილი სიმბოლიტების შემდგომი ხანის შესანიშნავი პოეტია. მისი პოეზია ემყარება შეგრძნებათა ზუსტ მონაცემებსა და მოწმობას. იგი ენათესავება უახლოეს ვეროპულ პროზას ანდრეი ბელისას, ჰამსუნისას, პრუსტიანსა და ისევე, როგორც ეს პროზა, აღსავსეა მოუღვინელი და ზუსტი დაკვირვებით. ეს უკიდურესად შემოქმედებითი პოეზიაა. იგი არ არის გადატვირთული მასში მჭიდროდ ჩატრეული ეფემტებით, მასში ბევრი სიერცე და ჰაერია. იგი მოჩაობს და სუნთქავს.

პირველმა მსოფლიო ომმა მოუსწრო იაშვილს პარიზში, სადაც იგი სირბინის სტუდენტია იყო. იგი შემოვლითი გზით ბრუნდებოდა სამშობლოში. მიყრუებულ ნორვეგიულ სადგურზე იაშვილი მატარებელს ჩამორჩა. ახალგაზრდა ნორვეგიელმა ცოლ-ქმარმა, სოფლის მეცხოვრებელმა, რომელიც ქვეყნის სიღრმიდან იყვნენ მოსულნი ამ სადგურზე ფოსტის მისაღებად, და რომლებიც მოწმენი გახდნენ ამ ამბისა, შეიკოდეს ეშხიანი ქართული, უფალმა უწყის, როგორ გამოვლადარაყენ მას და წაიყვანეს თავიანთ ფერმაში შემდეგი მატარებლის მოსვლამდე, რასაც მხოლოდ მეორე დღეს ელოდნენ.

იაშვილმა მშვენიერი თბობა იცოდა. ის თავ-  
გადასავალთა ნამდვილ მისობებულ იყო დაბა-  
დებული. მას მუდამ კვალდაკვალ სდევდნენ  
მოულოდნელი შემთხვევები, რომლებიც მხატ-  
ვრულ ნივთებს წაავადნენ. შემთხვევითობა  
პირდაპირ მიიღებოდა მისგან, ეწებებოდა მას.

ნიკიერება გამოყოფოდა მთელი მისი არსები-  
დან. სულიერი ცეცხლით იყო განსხივებული  
მისი თვლები. ენებათა ალმა დაამჩნია კვალი  
მის ტერებს. განცდილის მტკნვარებით იყო  
დამწვარი და ჩაშვეებული მისი სახე. ასე რომ  
იგი თავის ასაქმე უფრო ხნიერად გამოიყურე-  
ბოდა.

ჩვენი ჩამოსვლის დღეს პაოლომ შეკრიბა მე-  
გობები, იმ დამწვარების წევრები, რომელსაც  
თვითონ მეთაურობდა. არ მახსოვს, ვინ მოვიდა  
მასთან. უმკველად იქნებოდა მისი მუზობელი,  
პირველხარისხოვანი და უზადო ლირიკოსი კო-  
ლაუ ნაღირაძე, აქ იყო ტიციან ტაბიძე თავისი  
ცოლით.

...თითქოს ახლაც ვხედავ იმ ოთახს. ანდა  
როგორ უნდა დამეჩვენებოდა იგი? მე მაშინვე,  
იმავე საღამოს, თუმცა არც კი ვიცოდი, რა სა-  
შინებლებანი ელოდა მას, ერთხელად, რომ არ  
დამასტრუფოყო, ჩავუშვი იგი ჩემი სულის სო-  
ღრმეში ყველა იმ საშინებლებასთან ერთად,  
რომლებიც შემდეგ მასში ან მის მახლობლად  
მოხდა.

რატომ მომეცლინა მე ეს ორი ადამიანი? რა  
ეუფლო ჩვენი დამოკიდებულებას? ორივე გახ-  
და ჩემი პირადი სულიერი სამყაროს განუყოფე-  
ლი შემადგენელი ნაწილი. არცერთ მათგანს არ  
ვანიჭებდი უპირატესობას, იმდენად განუტრეღ-  
ლი იყვნენ ისინი და შეატყობდნენ ერთმანეთს.  
ორივეს ბედო, ცვატავას ბედთან ერთად, უნდა  
გამხდარიყო ჩემს უდიდეს მწუხარებად და ტიცი-  
ვილად.

...თუ პაოლო იაშვილის ბუნება უმთავრე-  
სად ცენტრიდანულ მისწრაფებაში ვლინდებო-  
და, ტიციან ტაბიძე ერთთავად შინასამყაროსკენ,  
ველს სიღრმისკენ იყო მიმართული და ყოვე-  
ლი სტრუქტურით, ყოველი ნაბიჯით მოვიხიზნებოდა  
თავისი მდიდარი, მიხვედრებითა და წინათგარ-  
ნობებით აღსავსე სულის უღრმეს წიაღისკენ.

მის პოეზიაში გადაწყვეტილი ლირიკული პო-  
ეტრიკის დამწვრებლობის შთაბეჭდილება, რა-  
მელიც თან ახლავს ყოველ მის ლექსს; გრძობა,  
რომ იგი ამოწურული არ არის, რომ ის, რაც  
პოეტმა კვლავ უნდა თქვას, რაც მას დარჩა სა-  
თქმელად. აშკარად ჭარბობს უკვე გამოთქმულსა  
და ვარდობილს. ეს ხელუხლებელი სულიერი  
მარაგი ქმნის ტიციანის ლექსების ფონსა და მე-  
ორე პლანს და ანიჭებს მათ იმ თავისებურ გა-  
ნწყობას, რომლითაც გამსჭვალულია ყოველი  
მათგანი და რაც შეადგენს მათს უმთავრეს  
ტექნიკურ სიმშვენიერებს. მის ლექსებში იმ-  
დენივე სულიერებაა, რამდენიც იგი თვით მის  
არსებაში იყო. ტიციანი კი რთული, ღრმა, მუ-

დამ სიყუთისაგან მიმართული სულისა და თავ-  
განწირული სულისკვეთების ფაქტორები უნდა  
როდესაც პაოლო იაშვილზე ვსაუბრობთ, უნდა  
წინ ქალაქური გარემოებანი წარმოვიდგებო-  
თათხები, კამათი, საყარო გამოსვლება, იაშვი-  
ლის მჩქებარე მკვერმეტყველება დამლომობით  
გამართულ ხალხმრავალ ნადიმებზე.

ტიციან ტაბიძეზე ფიქრს კი გადავყავარ ბე-  
ნების წიაღში, თვალწინ წარმოვიდგება სოფლის  
არე-მარტ, აყვებულ მდელითა ლალი სიერცე-  
ზღვის ტალღები.

მიუტარვენ ღრუბლები, ხოლო მოშორებით,  
მათ გასწვრივ, აზიდულან მთები. მათ ერწყმის  
მოშიშობა პოეტის მკვერვი ფიგურა. მან  
ოდნავ მოშლილი სიარული იცის, როდესაც  
იცინის — მთელი ტანი ეწვლრება. აი,  
იგი წამოღდა, გვერდით მიყვრდნო პავილას და  
დანა მთარაქუნა კიქას, რათა გვანიშნოს, რომ  
სიტყვა აქვს წარმოსათქმელი. ერთი მხარის მდ-  
ლა აწევა უყვარს და ამიტომ, ცოტა არ იყოს,  
გვერდელის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ყოფორში, გზის შესახვევის კუთხეში, სახლი  
დგას. გზა მისი ფსაღის გასწვრივ მიემართება,  
შემდეგ ვარს უვლის სახლს და მიჰყვება მის  
უკანა კედელს. ყველას, ვინც კი ამ გზას ადგას,  
ხედავ ოჩქერ.

ეს ის დროა, როდესაც ანდრი ბელის ხე-  
რობისა არ იყოს, მატერიალიზმის გამარჯვებამ  
მოსპო ქვეყნად მატერია. არც საჭმელ-სასამელია  
და არც ტანსაცმელი. გარშემო — არაფერი ხე-  
ლმესახები, მხოლოდ იდეები. თუ არ დავიდუ-  
ბეთ — ეს ჩვენი თბილისელი ქალიქარი მეგო-  
ბრების დამასტრუბებაა. მუდამ რალაცას რომ შო-  
ულობენ და, ღმერთმა უწყის, როგორ ახერხე-  
ბენ ჩვენთვის გამომცემლობებში არარსებული  
ნაწარმოებების ხარჯზე ავანსურის მოვარებას.

უკვლავი შევიკრიბეთ, ვუყვებით ერთმანეთს  
ცხელ-ცხელ ამბებს, ევახშობთ, ვითხულობთ  
ჩვენი-ჩვენი ახალ ნაწარმოებებს. საღამოს გრი-  
ლი სით თითქმის თითებს აფთხურებს ვერხვის  
მოყვრებლისთვის ფოთლებში, რომელთაც მეო-  
ცი მხრიდან თფარხვერდოვანი ელფერი და-  
კრავთ. ჰაერა მითქმა-მოთქმასათვის გაელენთი-  
ლი სახმურეთის დამათრობელი სურნელებით.  
ღამემ ცის გუშნაზე დინჯად შეატრიალა თავი-  
სი ვარსკვლავოვანი ურემი. გზას კი მიჰყვებიან  
მიწიერი მთებისა და მანქანები და ყოველ მათ-  
განს ჩვენი სახლიდან ხედავ ოჩქერ.

ან აი, ჩვენ დარიალის ხეობაში ვართ, ან ბო-  
რჯომში, ან აბასთუმანში, ანდა უთავბოლო ზე-  
ტილის, მშვენიერებათა კერეტის, ათასგვარი  
თავგადასავლისა და ლიხის სმის შემდეგ, ვინ  
რა შენაძენით. მე კი, ბაქურიაში დამხიანებელი  
თვლით, სტუმრად ვარ ლეონიძესთან, საოცრად  
თვითმყოფ პოეტთან, რომელიც ყველზე ღრმა-  
და დაკვირვებელი იმ ენის საიდუმლოებას-  
თან, რომელზედაც იგი წერს და ამიტომ ყველა-  
ზე ახლად სათარგმნელია.

ნაშთადამევის ღრებათა ტყეში, ბალახზე, ტყე-რთა დიანახლისი, ორი პატარა თვალწარმტაცი ქალიშვილი. მეორე დღეს — მესტერის, მოხეტიალე ხალხის იმპროვიზატორის მოვლადნელი სტუმრობა და ექსპრომტად დალოცვა მთელი სუფრისა და თვითთული სტუმრისა მისთვის შესაფერი ტექსტით და საოცარი უნარი ყოველგვარი საბაბის (თუნდაც ჩემი დაზიანებული თვალის!) გამოყენებისა სადღეგრძელოს წარმოსათქმელად.

ანდა ჩვენ ზღვაზე ვართ, ქობულეთში, თავსხმისა და დღელაში, და ჩვენთან ერთად სასტუმროში სიმონ ჩიჭოვანი — ბრწყინვალე ფერმწარღერი სახეების მომავალი ოსტატი.

და ყველა მთისა და პორზონტის ხაზს ზემოთ გამოყრდის ჩემთან მხარამხარა მიმავალი მომღიპარი პოეტის სახე, მისი უზომო ნიჭიერების ნათელი ნიშნები, დარღისა და ბედნიერების ჩრდილი, ჩაქსოვილი მის ღმილში, და თუ მას კიდევ ერთხელ დავეშვიდობები ამ ფურცლებზე, დე ფუს ეს, მისი სახით, ყველა დანარჩენ მოგონებასთან ვამოსაღმება\*.

არანაღლებ საინტერესოა ამ შთაბეჭდილებათა და პორტრეტულ ჩანახატთა წინამორბედი პოეტური ვარიანტი — „მგზავრის ჩანაწერები“, სადაც თბილისისა და საქართველოს სხვა კუთხეების პეიზაჟებს ერთვის ტიცინანისა და პაოლოსადმი მიძღვნილი სტროფები. აი პაოლოსადმი მიმართვა, აღსავსე აღტაცებითა და შადღეერებით:

რაკი არ გემართებს წარსულის კილვა  
ნაძალადევი და უთავბოლოდ  
და მეც მოწვეურდა კელაგ თქვენი ხილვა —  
გადავხევიოთ ლექსში, პაოლო!

სქემის კარნახით მომშეთა მიმართ  
სიტყვის მისხალიც არ დამცდენია.  
თქვენ კი მეგვლეთ ცხადად თუ სიზმრად  
პირველ ტრფილად, კეთილ გენიად.

ძველი უზნებაც ეშხით გავძები  
თუ სხვა რამ განძის გავხდი მხილველი —  
თქვენვე იუაით ჩემი გამძები,  
ჩემი მეგზურთა გასაკვირველი.

ნეტავ რა ნიჭმა უნდა უკვდავოს  
ნათელხილვანი, ჩვენ რომ მოვკვდედნენ!  
ამით უზომავდი მე თქვენს მონაყოლს  
საარაკოს და გამოგონებელს.

არც კი ვიციზობდი ჟერ თქვენს სტრიქონებს,  
მაგრამ მათს წყაროს ნაზიარებმა,  
უსიტყვოდ ვიგრძენ და შევიგონე  
ბჭყარედთა გაის ახმინება.

ამ ლექსისადმი ბორის პასტერნაკს იქნეული  
დამოკიდებულება ჰქონდა. მას სულ ეჩვენებო-

და, რომ ვერ შესძლო სათაყვანებელი მეგობრის ღირსეულად შეგონა. უფრო მეტიც: იგი დაეკვებულე იყო საერთოდ ამ სამსტერტინო, ვარეგნულად უბრალო, იამბიკურ ლექსად წერილი ციკლის მხატვრულ ღირსებაში. ასეთი დაეკვების ნოტები ვლდერს პასტერნაკის არაერთ წერილში. 1936 წლის პირველ ოქტომბერს იგი სწერს ტაბოტებს: „როგორ შეიძლება ბოდა ასეთი სამტერტიანი უზადრუობის შეთხზვა, ასეთი ჩიტისებური, უსულგულო ტია-ტიასი საქართველოს შესახებ? რა უმსგავსობაა პაოლოზე ასე ცოტას თქმა... გამოგავზავნე თუ არა ეს ვარიანტილი უსარესობა, მთელი საღამოები ვფიქრობდი პაოლოზე, ვავიხსენე მისი ვაქანება, ჩემდამი დამოკიდებულების კეთილშობილება ჩემთვის ყველაზე გადამწვევად და პასუხსავედ წუთებში. რა უზადო გამჭკარაობა ჰქონდა მას მდამ — დიდბუნოვანი და დიდსულღვანი აღამინისა.“

ასეთი თვითშეფასება რა თქმა უნდა, არ იყო საშართლიანი და იგი, ერთის მხრივ, ადრესატთა გლმერთებით, მეორე მხრივ კი ახალ პოეტურ უაღბთა მიების პროცესში წარმომობილი ყოყმანით ზოგიერთი სხვა წმინდა სუბიექტური იმპულსითაც იყო ნაყარნახევი. ამას ადასტურებს თვით პასტერნაკის მეტად ღრმა და მახვილგონიერი აღიარება, სადაც სწორედ ხსენებული პოეტური რაკი იგდლისსხმება, თუმცა მას უფრო ზოგადი მნიშვნელობაც ენიჭება: „პოეტის უნდა იყოს ვაყაცობა, თემატური წრისა და მასალის შეცვლისას, ახალ მასალაზე გადასვლისას, დროებით იწყოს თითქოს და ცუდად წერა ე. ი. არა საერთოდ ცუდად წერა, არამედ ცუდად თავისა წინანდელი თვალსაზრისით. ასე ეწერდი მე ჩემი წიგნის „მეორედ დაბადების“ შემდეგ. მე ამას ჩადლოდი შეგნებულად, ვინადან უამისოდ ვერ დავძლავდი პუბლიცისტიკითა და აბსტრაქციებით ვიზავებულ, ნაკლებად ხატოვან და ნაკლებად კონკრეტულ სიერტეს“ (სულხარი ა. გლადყოვანთ 1942 წლის 25 დეკემბერს, ჩისტობოლოში, ევაკუაციონში, იხ. აგრეთვე „ლიტერატურნაია გაზეტა“, 1936, 16 თებერვალი).

ეს აღიარება საგნებით ნათელს ხდის პასტერნაკის მკაცრი თვითშეფასების ხსიოთსა და ნამდვილ მნიშვნელობას. თვით მისი უქმაყოფილო ტირადებიც მიმოწერაში თითქოს მოითხოვდნენ მეგობრების მხრივ უარყოფას და შეკამათებას, რათა იგი განმტკიცებულყო თავის ახალ ძებნებსა და პოეტურ მონებებში. ტიცინან და ნინო ტაბიძეების, ისევე როგორც პაოლო იაშვილის, გამოხმარებაც სწორედ ასეთი იყო. მაგრამ დადებრუნდეთ თვით ამ ლექსებს.

პაოლოსადმი მიმართვის მოსდევს ტიცინანის ბრწყინვალე პორტრეტი:

ნაბილიკართა აღმართ-ხადმართი,  
ტყე ნაშეხარი, ნაგრიგალევი,

გამოიღ სუფრაზე შექმნილი ხლართი, ღვინო, სანთლები და ვარსკვლავები.

როგორც ნაკადმა დიდიბაშუმმა, ხან ჩანჩქერმა და ხან ცისარტყელამ, თინათებით ამოლამებულმა ტიციან ტაბიძემ დარჩილა ყველა.

ის ახლა სიტყვას მოაგვარაყვებს ქადაგის მრავალსახეობითა და საოქმელს ბლუქად ამოლავებს საყვებეშებით ამ ხეობიდან.

თამაქოს მოსწევს ცხელებ-ციებით, ხან თენიერი და ხან პირბასრი, მკაფიო, როგორც ბარელიფი, აწყარა, როგორც თვალი ძვირფასი.

არც უკვდავია, არც მთისოდენა, ყმაწვილკაცივით ფიციხი ხანდახან, შინც ისეთი, როგორც როდენმა ერთხელ ბალზაჟი მოაქანდაცა.

ის თითქოს ქვაში ჩასახლებულა, რომ ათასგვარი სახესხვაობით, მუდამ ანაზღად და ახლებურად იშვას ღმერთაცის გამბედაობით.

უზომო ნიჭი და გაქანება მკიერ კელაბტრად აკაიფა, რაჟი სერობის კანონს თავენებას ბედითი ბედი თვითვე მიბა.

აქ თანაბრად ძლიერია პლასტიკური ფერწერა და სულიერ სიღრმეთა გავშქება და, რაღა თქმა უნდა, საყვებით გადალახულია „ასტრია“-ციებით განსაზღვებული სივრცე“ ახალი პოეტური პორტიონტებისა. თითქოს თვით ტიციანის პიროვნებაში, მოეზიოს შიდალი ძაბვის ღვინო დამუხტულმა მისმა არსებამ გამრჩვეთა ორი მეგობრის ზღვარგამოყოფ სივრცეში ეს ელვარე და ჭკაფიო შექმნილია შფენი ნაბერწყლები. აქ ბედნიერად და სასწაულმოქმედად შეხვდა ერთერთს, შეეზო და შეეგახა ორი პოეტის სულის ყველაზე თვისტოში და მონათესავე ატომი, რომელიც თავის დროზე გიზვიზებდა ტიციანის „ლექსი — შეწყერში“ —

შე არ ეწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს, ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს, შე ლექსს ვეწოდებ მოვარდნილ მეწყერს, რომ ვაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს,

— ხოლო პასტერნაკმა გამოაღვინა თავის არაყლებ გაეარეარებულ სტროქონებსში:

მეცოდნოდა მაინც, რომ ეს ასეა, როცა ამ ტრალ გზას დაეადგეტი, რომ ლექსი ჩემი ცოდვით წავსევა და სასიკვდილო შფოთის ახტენი.

ღმერთმანი, ასეთ უღვთო გასართობს გავისტუმრებდი ცივი უარით. თუშეა რა მქონდა მაშინ სადარდო? დღე იყო მშვიდი და უტყუარო.

მაგრამ სიბერე ყოფილა რომა... და თუ მოსწყურდა ომის ჭარწყვიმა — მოთხოვს არა სცენიდან თხრობილს, არამედ ნამდვილ მსხვერპლს და განწირვას.

როდესაც სტრაქონს განაგებს ვნება — იგი სცენაზე მონას ახოქებს. რის ხელოვნება, რა ხელოვნება! — მიწა იძვრის და სისხლი გადმოსჩქვეს.

1935 წლის 17 ივნისს ტიციანმა გაუგზავნა ბორის პასტერნაკს წერილი, რომელიც მას დიდხანს დაჰქონდა თან (რაინერ მარია რილეს წერილთან ერთად), სადაც კი არ მოუხდებოდა წასვლა, პარიზშიაც კი გაიყოლია მწერალთა კონგრესზე და ბალიშის ქვეშ ინახავდა „რადაც ცრუმორჩმუნის იმედით, რომ იქნებ მას მოეტანა სულიერი მშვიდობა და დავფრთხო უძილობა, რომელიც მთელი ზაფხული სტანაქვდა“ (წერილიდან ტიციანს). ტიციანი კი თავის წერილში სწორედ პასტერნაკის ამ ლექსის ბოლო სტროქის იმეორებდა და საკუთარი ბედუეღმართობის წინათგარძობით გამსჭვალული, პასტერნაკის გახსენებაშივე ჰპოვებოდა შევას: „ეს თქვენი ნიადაგისა და ბედისწერის სუნთქვა, თქვენი მოლოდინი „სრული დაღუპვისა“ — სულმოუთქმელად თანმდევს და მიხობს, და მე მწამს, რომ სწორედ ახლა შევექმნი ყველაზე ძვირფასს, რისი შექმნაც კი მიწყრა... თქვენი თან შეხედვებში ჩემთვის ნამდვილი საღბანობელია, განწმენდისა და სულიერი აღორძინების მომასწავებელი — მე მხოლოდ ამ დროს ვუბრუნდები პოეზიას. გამოვიტყვებით, რომ დიდი ხანია არ განმიცდია ასეთი გრძობა, ეს მხოლოდ ადრიაან სიერში, პირველი სიყვარულის ვნებათაღელვისის ხლები ხოლმე. ასე მგონია, რომ ამ პირველი სიყვარულის განცდა თქვენთვის პერმანენტული, უწყვეტელი მდგომარეობაა, და მე გხვდავთ თქვენ მუდამ მარბურგის სტუდენტურ პეიჟანთა სიტუაციათა და განწყობილებათა ატმოსფეროში, უპალტოოს, ბერლის მიმავალ მატარებელში მზორგავს, პირველი მტანჯავი სიყვარულის ცრემლებმორეულსა და სუნთქვაშეხუთულს, — ეს აქანალეხელი, ვათომილი, აცხაკახებული თუ მორთოლვარე ლიკიკა აძლევს სწორედ შეფერილობას მსოფლიო ლირიკის პასტერნაკისეულ პირობას.“

განაყვით თანა, რომ ტიციანის დაღუპვის

შემდეგ მისმა მეგობარმა განსაკუთრებული სი-  
ცხადით და შემაჩრქუნებელი სიმძაფრით ვანი-  
ცადა მისი პიროვნების მთელი სიდიადე და დი-  
ნაყარვის განუზომელი მასშტაბი. „ტიციანი  
ჩემი არსებობის პირველი პიროვნებაა, იგი  
ღმერთია ჩემი ცხოვრებისა, ამ სიტყვის ბერ-  
ძნელი და მიოლოგიური მნიშვნელობით“,  
„მე ვიყოლი, რომ მიუვარს ტიციანი, მაგრამ  
თურმე არც კი წარმოამდგინა, რა ადგილი ეკუ-  
თვნის მას ჩემს ცხოვრებაში უნებლიეთ და უი-  
ნგარიშოდ“, „ტიციანი ჩემთვის ჩემი საკუთარ  
ცი ცხოვრების საკუთესო ზატია, იგია მიწისა-  
დში და პოეზიისაში ჩემი დამოკიდებულება,  
რომელიც გამომეცხადა ერთ უბედნიერეს სიზ-  
მარში“ (წერილებიდან ნინო ტაბიძეს). თამარ  
იშვილიან ოცდამეცხრეტი წლის ავსიკტოს გა-  
გზავნილ წერილს კი ბოროს პასტერნაკი ასე ამ-  
ბობარებდა: „მე თითქმის ახლებურად დაფიქრდი  
მასზე. მუდამ მზიბალადა მისი ნიჭი, მისი უბა-  
დლო, შეუდარებელი ფერმწერლური აღლო, ეგ-  
ზომ იშვიათი არა მარტო ქართულ, არა მარტო  
მოდლ ჩვენს თანამედროვე ლიტერატურაში,  
არამედ ფუნდამენტული უწყობან და ყოველ-  
თვის. მუ იგი მუდამ მანკეფერდება... მაგრამ  
იმჭარად პირველად დაფიქრდი მასზე დამოუ-  
კიდებლად ჩემი მისდამი გრძობისა. როგორც  
მეტად ღილი, ღიადი მოკლენისაგან დამორბი-  
სას, მხოლოდ დანაყარვის საბედისწერა დის-  
ტანციაზე იწვეს გამომდრეგება მისმა აბსოლუ-  
ტურმა კონტრუბმა: რასაც იგი წარმოადგენ-  
და უჩვენოდ, უხემოდ, უტკიანოდ, უგოვ-  
ლად, რაც იყო იგი არა მარტო გარეშე ჩვენი  
აღტყებისა და სურვილისა—უცენახა მუდამ სი-  
მარჯებულა, არამედ პირიქითაც, ამ ჩვენი სი-  
ყვარულის საწინააღმდეგოდ და საპირისპიროდ:  
რაც თვითონ, იყო, თავისთავად, მხოლოდ წყა-  
ღთან, ტყესთან, ღმერთთან და მომავალთან ერთ-  
თად. ვანა საქირთა ამაზე მეტო ლაპარაკი?  
იმამე, თუ ვინ იქნებოდა რამდენიმე წლის შემ-  
დეგ ქართული მიაყარესკი? ან ეის მიაგალითზე  
და ნიმუშებზე ვაიზრდებოდა მომავალი ახლ-  
გაზრდა ლიტერატურა, თუ კი მას ეღირსებოდა  
ზრდა და განვითარება? მაგრამ სიკვდილის შემ-  
დეგ შემედრდობის ეი მჭარე არასდროს არ  
მიაღუგებდა. მე ვანმცხოფრთა სულ სხვამ, თუმ-  
ცა ეს მეტად ძნელი გამოსათქმელია. მან, თუ  
როდენ მჭარხად დარჩა იგი ყოველივეში, რა-  
საც კი შეეხოს ან რაც დაასახელა: დღევანდის  
სათემში, ყვეილებსა და ცხოველებში, ტყის  
სიმწვანეში, შემოდგომის სილავარდში. ჩვენ  
კი ვცხოვრობდით და არც კი ვგვეონა, რარგ  
მძლავრად იყო იგი ჩვენში დამკვიდრებული და  
რა ძლევამოსილებით განაგრძობს სუფევს  
დღესაც“.

...როგორც უკვე ვთქვით, „მგზავრის ჩანახა-  
ტებს“ წინ უძღოდა ლექსების რვალი „მხატ-  
ვარ“, სადაც პირველად იელვა ბოროს პას-  
ტერნაკის პოეტური აღქმაში გიორგი ლეონიძის

სახელმა, იგრმა, გაგრმოცემ, ოჯახმა, ბედ-იღბ-  
ლმა, სეგბენდიერმა ნიჭიერებამ... თქმას არა  
ამ რეალსაც უსწრებადა 1933 წლის შემთხვევაში  
უეიწუარი შთაბეჭდილებები, რომლებიც თბი-  
ლისელ მეგობრებთან არა ერთ წერილში იყო  
აღწერალი ან ნაგულისხმევი, დაწვებული იმადე  
წლის ნოემბერს ტიციანთან და ნინოსთან ვან-  
დობით აღსაბრებით: „მოკითხვათა შორის, რომ-  
ლებითაც მე თქვენ ახლა დაგტვირთავთ, იქნება  
ერთი, რომელსაც მე ჭაროვანად ვერც გამოი-  
თქვამ, იმდენად ვანცდილია იგი და მე შემარბიტო.  
ამ მოკითხვის არსი იმამა, რომ მე ვესალმებო  
პოეტ ლეონიძეს და მისი პოეზიას ისეთადვე მო-  
წყობით, როგორც მის მეუღლეს, მის სვებედს.  
მის ოჯახს. და მე შემიძლია ვაძიელო ჩემი თა-  
ვი გამოეიქა ეს კიდევ უფრო ზუსტად: მე ვე-  
სალმებო და ვუთვლი მოკითხვას იმ ზაგულებს ნა-  
პერწყალს, რომელიც გამოსლტება მის ხელ-  
თაგან და ხელნაწერთაგან, რათა ზეგარდმოე-  
ღინოს მის ქალიშვილებს, და მე ვვალისხ-  
მობ არა იმ ყალბ, რადეაღიზიერებულ და გე-  
ტბილებულ წარმოდგენას ზაგულობაზე, რომე-  
ლიც ქვეყნად არც კი არსებობს, არამედ მის  
ლოფებს, თუ არ ჩავთვლოთ, არამედ ზაგულის-  
მიამიტობას, ეინაინობას, გულბრყვილო თა-  
ვამუცელობას, მის ელმტრთაგანმტარობას. ზა-  
გუების უნარს სათამაშოზე ააგოს სამყარო და  
დაიღუბოს ქუჩაზე გადასვლისას. მე ვვალისხ-  
მობ სანახაობას, როდესაც ზაგუში შექრილია  
ვეება, შეუძნეველად უკვე შორის წასული ცხო-  
ვრების ვაღმში, რომელსაც იგი მიანც დამატო-  
რებია ზაგუერად, მიამიტად. ეინაინად, ხელ-  
მარჯვად და თავედუცელო თავაშემტებით“,  
უფრო გვიან ბოროს პასტერნაკმა თვით გიორგი  
ლეონიძეს გაუზიარა თავისი პირველივე შთა-  
ბეჭდილება მასზე და მის უახლოეს გაგრმოც-  
ებაზე: „მე მუდამ აღიქვამდი თქვენს სახლსა  
და ყოფას, როგორ ზღაბრულსა და ამაღლ-  
ბულს. თქვენ ეს იცით. და მე კვლავინდებუ-  
რად ავღვდი, როდესაც ძლევამოსილების,  
სილამაზისა და ბედნიერების ამ შენაერთი-  
დან ჩემთან საახალწლო მოლოცვამ მოაღ-  
წია. მე რაღა ვისურვებო? რომ ეს მჭარდ  
ისე იყოს, რომ თქვენ სიბერე არ მოგვეკაროთ.  
რომ საქმარისი იყოს ერთი თქვენი სიტყვა, რა-  
თა მე კვლავ თვანთლოვ დავინახო სოლოლა-  
კის აღმართთ... სადაც იმ, ერთ-ერთ ფანჯარა-  
ში (რა შუამაა იქ ქუჩა, ან რატომ, ჩანან ხე-  
ნი?) ახალგაზრდა სახელი გრიგალივით იჭრება  
ისტორიაში და იქ მკვიდრდება: ეს ბევრად დი-  
დი მოკლენაა, ეიდრე მხოლოდ კარგი პოეტი — იგი  
თვით არის პერსონაჟი და ვმარო, რომელიც წა-  
რმოადგენას იმერთს, თითქმის მასზე ვინმეს  
ზღაპარს მოვთხროს“.

ლექსში კი ეს შთაბეჭდილებები ასე გამოი-  
კვეთა:

მუდროა ბინა, მაგრამ გადაჯერებ  
თუ არა ღვინოს — ივლებს ხილვა  
და მუისვე აქცევს სარდაფს — ჩარდახად,  
ფარდაფის მღილს კი — სადაფის ღილად.

კაბის შრიალი, კითხვა-პასუხი  
მინუშდა, მიწყდა, ვით ჰანგი სიძუბე  
და მხოლოდ ნიჭის გამონაშუქი  
დაეპატრონა ოთახის სივრცეს.

მასპინძლის ბანი ბატონკაცური  
ქექსს და გაღმოდის შენთან ალავერდს.  
ლითონს დააღწობს, კლდეს დააქურებს,  
გამოგზარბავს და მოგაკალებებს.

სახელს, დიდებას, ქებას პირთუნელს,  
ქვეყნად ყველაფერს დათმობს, თუ ერთხელ  
მღუღარე მადნის მადლი და სუნთქვა  
შთაბერა სიტყვას გრძნეულს და მეტყველს.

ეს შეიძლოს და რას არ იღონებს —  
სინდისს, გონებას, ქონებას, სახლკარს  
ცეცხლად შეუთნებს ჩიუტ სტრაქონებს,  
დარდს და სიხარულს გულშივე ჩაქლავს.

რითმის ზოდები (თუთქავენ ოსტატს,  
დუღს შენადნობი და აღღობს ბორჯილს.  
...საწოლ ოთახში შევა და ლოცავს  
მძინარე ბავშვებს ამ წმინდა ორთქლით.

ამ პორტრეტული ჩანახატის მიმდევრო და, სა-  
ერთოდ, ციკლის დასკვნის ლექსში კი ბორის  
პასტერნაკი თვით ლეონიძეს აძლევს სიტყვას,  
რათა გამოათქმევინოს საქართველოს წარსული-  
სადმი და მომავლისადმი დამოკიდებულება,  
აძვიზინოს პოეტის ადგილი ამ წარსულსა და  
მომავალში, მათ შემოერთ თანამედროვეობის  
გზაშარბზეც, სიღიანე მერმისში აპირებს გაჭ-  
რას „რევოლუციურ ბანაკად“ დარაზმული სამ-  
შობლო:

აი, წამოვდა და... დროთა ციკავს  
შეველო მზერა: ელავს ტაძარი!  
ნეტავ, ვინ დასძრა გელათის წიად  
ძაბრისქედთან სპათა ლაშქარი?

კვლავ დრონი, დრონი... გამოსცდა წარსულს,  
მომავლის ცისკარს შეხსნა ურდული  
და მის გულისყურს, სიშორით დახშულს,  
შეგხმინა წრფელი ჩერჩულით.

— ცხოვრება ჩემი არა ჰგავს ნარკვევს,  
ვინმე ბეცმა რომ მისტამბ-მოსტამბა.  
ვიცო, ღირსეულ სახელს დამარტყვე,  
დამიკავ ტარტუც კრიტიკოსთაგან.

განა ეპოქას ბოქლომი ადევს?  
საუდგარია თუ ციხე-სიმაგრე,

ზედ მის კიშკართან მოეწეე საღაფს,  
ცხენს შევავყენებ სერვილისმჭვრელს

მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ აქ პოე-  
ტმა გიორგი ლეონიძის მიმართაც გამოიყენა  
ის შედარება და, თუ შეიძლება ასე ითქვას,  
მასაც მოესადაგა ის „მზიანსენა“, რომელიც  
მან რევოლუციისა და „სოციალისტური შორე-  
თის“ საკუთარი ხილვისა და აღქმის გამოსაყვე-  
თად ჩამოაყალიბა „ტალღებში“, სადაც აწმყო-  
ში შობილი მომავალი კავკასიონის ქედის სიმა-  
ღლიდან დანახულ საქართველოს შეადარა  
«Ты рядом, даль социализма... как вы-  
ход... в Грузию из Млет» და ა. შ.), გიორ-  
გი ლეონიძის ამ მონოლოგს პასტერნაკის ლექს-  
ში (ჩემს მიერ მოყვანილი სტრაქონების შემ-  
დეგ, ერთ-ერთ ვარიანტში) კიდევ ერთი ფრაგ-  
მენტი ჰქონდა ჩართული, რომელიც იქნებ მხე-  
ტრული მთლიანობის თვალსაზრისით მართ-  
ლაც შესაბამელებელი იყო, მაგრამ უფრო შე-  
ფიოდ და ზახვასშით გამოხატავდა ლექსის მ-  
ვისტრალურ იდეას:

რევოლუციავ, სასწაულს ავლენ,  
და რადგან ერთად ყოფნა გვეღირსა,  
მეც უფრო ცხადად შემოგვსალმე,  
ვიღრე პოეტურ ჰვამწყვეტისას.

არც ყურმოჭირილი მონობა მინდა,  
არც ყურმოკრელის ვაზიარება.  
მხოლოდ საწუკვარ გულის სიღრმიდან  
გვადრე ცნობა და აღიარება.

საბოლოო ვარიანტში კი, სადაც ეს ორი  
სტროფი ამოღებულია, მონოლოგი უშუალოდ  
გრძელდება «გელათის საუკუნოდან» დაბრუნე-  
ბული და „მომავალ საუკუნეებში“ ვაჭირი,  
ახალი ეპოქის კარიბჭესთან შემდგარი, ამ მომა-  
ველის ჭერ კიდევ ბინდში მოკიაფე რევოლუ-  
ციური „სამხედრო ბანაკისადმი“ მიმართული,  
მისი „ბედის სიმაღლიდან“ შეწყურე პოეტის  
სიტყვებით:

არ ვარ ენაბლუ და არცა უბედი,  
ჩემი მერანეც სივრცეს მიაპობს,  
რათა ვიხილო, თუ შენი ბედი  
ქამთა ბრუნვაში როგორ კიაფობს.

უანგარიშოდ გავინავარდე,  
ამხედრებულო, მე შენს კრებულთან,  
ვეყვეთ სივრცეს და სილავეარდეს,  
ჭერ კიდევ წყვიდადს შეფარებულთა.

ვინმლო, მოიკავ ელქექის გზნებით  
ბედიღბალს, სიყვდილს, სიციოცხლს

ანუ გონების მიწიერ გზნებით  
უჯვადევაში თქმულეზად შეხვალ.

ლაშქრობა შენი შეცვლის გარემოს,  
სადაც კი დაქრავ ფლოქვეებს ჰენებით —

უჩუქარა დარღობა განსაზღვრულად აზღაურდება ღირებულებით.

ყოველი სახლის ქვა და კარბიჭვე, ყოველი ქობის ზღერბლი და ვზო უჩინმანის ქუდსაც გააგონეს, ველსაც გაიფიქრეს სასაპარტიოდ.

...სიმონ ჩიქოვანი ასე იგონებს ბორის პასტერნაკთან პირველ შეხვედრასა და დაახლოებას: „ბორის პასტერნაკი პირველად პაოლო იაშვილმა გამაცნო, ბესარიონ ქლენტი და მე ქობულეთში სასტუმროში ეცხოვრობდით. პაოლომ ჩამოიყვანა პასტერნაკი, რომელსაც თან ახლდა მისი ახალი მეუღლე ზინა ნიკოლაიშვილი... პაოლომ გამაცნო და ეთხრა — შენი დიდი პარტიისმეუღლეა. იგი გამეცნო. მგონი ჩემი ვაჟი აღრეე ვაგონო. მაშინვე პატარა ჩემოდანიდან ამოიღო ახლად გამოცემული პოემა „სეპტიორსკი“ და შეგობარულად წააწერით მარჯვნივ... ყოველდღე ერთად ვიკავით... პასტერნაკი თავისი წაადილობით შთავრების სასადილოში სადილობდა, ბესო და მე კი კერპალში... საუბრის საქმე გართულებული იყო... პური არ გვექონდა... ბორისმა ვაიგო ეს და ყოველდღე სადილობიდან დაბრუნებული პურის დიდ ნაჭერს შემოგვიტანდა, ან თუ ოთახში არ ვიყავით, ფანჯარაზე დადებდა. ეს ჩვეულებად გადავიქცა... იგი დიდიდობით შემოხიზდა... ეს რს დრო იყო, როცა პასტერნაკმა დაიწყო თავისი „ტალღების“ წერა, სასტუმროს ზეშო სართულიდან დიდიდობით ისმოდა ბორისის თავისებური დღედნი. ეს იმას ნიშნავდა, რომ პოეტს უხშირდ დაწერდა სტრუქტურებს საერთო ხმაზე, ხმაზადლა სინჯავდა და სტრუქტურა მუსიკალურ რაიმას ამოწმებდა... მე მაშინ წყაიბებული მქონდა მისი „მფარველობის სიგელი“, აღტაცებული ვიყავი და ჩემი აღტაცება გაუფიქრებ, მითხრა — გორკისად მიუწერია... მე იმ ხანაში დაწერილი მქონდა „უშველის კომპაზიონი“ და მისი წყარადი ვაკეთებელი მქონდა. გადავეცი ბორის ლეონიდეს ძეს, მას წაეკითხა, და მეორე დღის შემოვიდა და მითხრა — მომეწონო, ის არისო საყრადღებო, რომ პეიზაჟი და სოციალური თემა ასე ენაცვლებიან ერთმანეთს და ძლიერ კარგ შთაბეჭდილებას სტოვებენო. მე ქართული პოეტების თარგმანს ვამარტებ და ამასაც უსათუდ გადავთარგმნი... თბილისში ჩვენ ერთად დავბრუნდით... ეს ზაფხული არ აღმოჩნდა საკმარისი ჩვენი საბოლოო დაახლოებისათვის... მე მისი აზრის განვითარებას თვალს ვერ ვადევნებდი და აზრის წყობასა და დინებას ბოლომდე იშვიათად ვწვდილობდი. საუბარი მან მოიარაბეთი იცოდა, კითხვაზე პირდაპირი პასუხის ვაგონი არ იცოდა თუ არ უყვარდა... ისე საოცრად საუბრობდა, რომ მე ადრე და არც შემდეგ ასეთი მოსაუბრე არ შემხედრია. როგორც ვთქვი, ძნელი იყო საჭირო

მაჯის თვალის დევნება, თუ დაკარგავდი ამ ძაფს, მაშინვე ყველაფერი დაიკარგებოდა. მაგრამ თუ დაიკარგე და გაიკვევრდა, კლდეტყუბაში მოიკეთებოდა. ვხადავსა პირი ინტელექტუალი და სიციხესტენი იქნება, თვით მისი აზროვნების პროცესი საოცრება იყო... ერთ ჩემს შეგობარ ქალიშვილს ვაეცანი, ისაუბრეს და იმ ქალმა თქვა — რა საყვირველი კილო აქვსო, ასე გგონია მტარებებზე ავკიანდება და სადგურზე წასვლა ექნარებაო!... ირი წლის შემდეგ, როდესაც მწერალთა ბრიგადასთან ერთად ჩამოვიდა კვლავ საქართველოში, მწერალთა სასადილოში შეხვედით ერთმანეთს, იყვირა — ჩიქოვანი... ვადაძეგვია და ვადაშკოცა. ჩვენ უკვე მახლობლები ვიყავით... ერთხელ იგი დარბაზში შემოვიდა, ერთმა ჩემმა მეგობარმა სთქვა — აი, მე პეიზაჟი ასეთი წარმოიძღვებოდა...“

ასე დაიწყო ბორის პასტერნაკის შეგობრობა სიმონ ჩიქოვანთან. დიდი პოეტისა და „ბრწყინვალე ფერმწერლური სახეების“ ჯერ მხოლოდ „მომავალი ოსტატის“ შეგობრობა, რომელსაც წლით წლობით ზრდა და გაღრმავება მოელოდა, რათა საბოლოოდ ისეთივე ხარისხისა და რანგის სულღერ სიხლოვედ გადაქცეულიყო, როგორც ბორის პასტერნაკის ტიციან ტაბიძესთან, პაოლო იაშვილთან, გიორგი ლეონიძესთან და ლდი ველაშვილთან სწორუპოვარი შეგობრობა იყო (აქვე ივლახსებება, რა თქმა უნდა, ნინო ტაბიძე და მარია ჩიქოვანი, ეფემია ლეონიძე და ნინო ველაშვილი, რომლებიც თავიანთი ცხოვრების განუყრელ მეგობართა თანატოლად და მათგან განუყოფელად შევიდნენ ბორის პასტერნაკის ცხოვრებაში. ნინო ტაბიძისა და ბორის პასტერნაკის დაქმნება ხომ, შეიძლება ითქვას, ბადალი არ ჰქონდა უახლესი მწერლობის ისტორიაში).

1931-33 წლებში პასტერნაკთან საქართველოში შეხვედრებისა და პირველი დაახლოების შემდეგ, სიმონ ჩიქოვანი 1935 წელს ხვდებოდა მას მოსკოვში. აი რამდენიმე ფრაგმენტი სიმონ ჩიქოვანის იმდროინდელი წერილებიდან მეუღლეს: „გუშინ პასტერნაკს დავურევე და მოვიდა ჩვენთან მაშინვე. ძალიან სერაიბული ავადმყოფია. ნერვები აქვს აშლილი და ყოველდღე ექიმთან დადის. საშინლად გამხდარია, გაუფიქრებელი, კიდევ უფრო აბრუული, ბევრი ლპარაკი არ შეუძლია და საწყალი ძალიან ცუდადაა... გვიტყვიცა სიყვარული და სთქვა საქართველოში მინდა წამოსვლაო. მაგრამ ექიმებმა მასხრეთი აუკრძალეს და არ იცის, რა ქნას. სულ ტიციანზე სწებს. ამბობს, ტიციანი რომ ჩემთან წამოვიდოდეს ავარაჯზე, კარგი იქნებაო...“ მეორე წერილიდან: „... შენ ნამდვილად ტიციანს უთხარი პასტერნაკის აშავი. დღეს წერილი მოგვივიდა ტიციანისაგან და შენი ნათქვამიდან გამოწვეული უნდა იყოს.

პასტერნაკი წუხელ ჩვენთან იწვა. საქმე იმაშია, რომ პარიზში წაიღებენ შვერლები, ხოლო პასტერნაკი რომ არ წასულა, ან უკეთ, რომ არ გუგუნიანო, არ მოსწონებია სტალინს და გუშინ აგარაკიდან გამოიძახეს პასტერნაკი და ზვალ მილის პარიზში ის და ბაბელი. რადგან სახლი დაკრძალული აქვს (ცოლიც აგარაკზე) ჩვენთან მოვიდა, სამხელად დღევანდელი. იქ მოვიყვით და ახლა ისევე დავიღვინეთ. მთელი დღე არ ეძინა და არც მე და ენგოს დავიღვინეთ. დამის სამ საათზე ჩავძინა, მაგრამ საათნახევრის შემდეგ გამოვღვიძი, ისე იყო, რომ შემეშინდა. მაგრამ რომ არ წაიღებინა არ შეიძლება. ზომ იყო ჩვენ ვერძირი წაიღებს და უნაჩს ნი იტყვის. ახლა ავტომობილი მოვიდა, წაიღებინა სტალინის მკურანეთან. ზვალ გავაცოლებთ ენგო და მე“.

სიმონ ჩიჭოვანისა და ბორის პასტერნაკის საბოლოო დაახლოებაში ვადაშეყვები როლი ითამაშა 1938 წელს იანვარში შეხვედრამ კვლავ მოსკოვში. სიმონი იკონებს: „მერი ანკაფარა-ძესთან ვიყავი და იქ დარეკა. როცა ბორისთან მივედი და დავრეკე, კარი ზინამ გაიღო. ეტყობა, მელოდა და დანახვისთანავე მიხტა: ბორისს პაოლოს დაღვების და ტიციანის ბუნების შესახებ ნურაფერს მოუთხრობო. ამის თქმა მოსწრო და ბორისი გამოეარდა, ვადაშეყვია, ვადაშეყვინა და თავის ვიწრო სასაღილოში შემოყვანა. ზინა საღილო გავიდა და ოთახში მე და პასტერნაკი დავრჩით... პაოლოს ცხოვრებაში მომხდარი იმ ტრავმატული საღამოს თვითელი მიზანსცენა და სულიერი მდგომარეობა მაშინ სტენოგრაფიულად მახსოვდა. მახსოვდა თუ როგორ ვანიცადეს ის საღამო ტიციანმა და ვალერიანმა. ჩვენ დიდხანს დავდიოდით გაოგნებულნი თბილისის ქუჩებში. მგლოვიარენი, დასტევილი და შემოგნებულნიც. ყველაფერი მოვუყვები. მერმე ტიციანს როგორ ვამოვებობდი... იგი დახალეებით ცრემლებს ღვრიდა და ისე ისწენდა. ამ დროს ზინა შემოვიდა და ბორისმა უთხრა, სიმონმა ყველაფერი მომიყვია, ისე ცოცხლად, თითქმის მეც იმ დროს მონაწილე ვიყავი. ჩემო საყვარელო, მეგობარი ცხოვრებაში ყველაფერი, პოეზია ამას ვერ გამოხატავს... მეც მომიბრუნდა — მე თქვენი შემოქმედებით ვამოხბობდი, მაგრამ ადამიანობა პოეზიაზე მეტად დგას. მე ყოველთვის მოვიგონებ ამ საღამოსო, ეს ჩვენი საღამო ორეული გახდება ჩემთვის... იმ დღიდან ჩვენი შეგობობა განუყრელი დარჩა. შემდეგში მან ელადას ჩემი ორი ლექსის სიტყვასიტყვითი თარგმანი ვაკეთებინა, ვადაშეყვინა და გამოგიგზავნა. 1939 წლის 12 იანვარს კი ასეთი წერილი მომიწერა: „კარგად იცით, როგორ ვაფასებთ თქვენ, როგორც მხატვარს, მაგრამ მე აღარ ვანიჭებ თქვენი არსებობის ამ მხარეს იმ მნიშვნელობას, რასაც წინათ ვანიჭებდი. უკანასკნელ განსაუღლებლათ ვამს ადამიანის ხასია-

თის ბევრად უფრო იშვიათმა თვისებებმა წამოიწიეს პირველ პლანზე და ქსოვრულად მომეცით თქვენი ზელი, ძვირფასო...“ (იხ. „ლიტერატურისა და პოეზია“, 1968, № 9).

1944 წლის 15 მაისს სიმონ ჩიჭოვანი მოსკოვიდან სწერს მეუღლეს... „წუხელ ჩვენი მერთე საღამო იყო, ვნახე პასტერნაკი, ძალიან გამოცვლილია, გარეალისტებულა ფსიქოლოგურად ძალიან. წუხელ ვიყავი მასთან. ჯერ მთელი მოხსენება გამოიკეთა თავისი ცხოვრების შესახებ. ორი საათი განუწყვეტლევ ლაპარაკობდა და ვისმეღი. შემდეგ ფედისს დაურეკა (მითხა, თუ გვასალოვნება, დავუბახებო). მომხსენებ ფედისი და ნიკიტინი, ვიყავი ოთხის ნახევრამდე. ძალიან კმაყოფილი წამოვედი. ეს იყო საუკეთესო საღამო, რომელიც ამ გაგებარე...“ 1944 წლისავე პირველ ივნისს კვლავ მოსკოვიდან: „...პასტერნაკს თითქმის ყოველდღე ზვლებდი, ერთად ვიყავით რამდენიმე ადგილად დამატებულნი. გავიყვანი ანა ახმატოვა. ის, მე და ბორისი რამდენიმე ადგილას ერთად ვიყავით მიწვეული და ძალიან დავახლოვდით. ანა ანდრეევნი მიხტა — ესა-თუდ თბილისში უნდა ჩამოვიდეთ. მეც დაეპატრე, გუშინ ლენინგრადში წავიდა...“

რას გულისხმობდა სიმონ ჩიჭოვანი, როდესაც 1944 წლის გაზაფხულზე ახასიათებდა თავის მეგობარს, როგორც „ძალიან გამოცვლილს“ და „გარეალისტებულს ფსიქოლოგურად“? ან რა ხასიათის „მთელი მოხსენება“ შეეძლო პასტერნაკს „გავეყვებინა თავისი ცხოვრების შესახებ“? რა თქმა უნდა, არავითარ ძირველ შინაგან ცვლილებებზე ან არ შეიძლება ყოფილყო ლაპარაკი კი. „ფსიქოლოგიური“ განწყობილებების ცვლილებებს კი მართლაც ჰქონდა ადგილი იმდენად, რამდენადაც დაწყებულმა სამამულო ომმა დამარდილა ოცდაათიანი წლების მეორე ნახევრის მტკიცეული განცდები და ყველა პარტიოტში, სოციალისტური იდეალების ყველა გულწრფელ მოზარდში უდიდესი სულიერი გადახალისება, შინაგან ძალთა მობილიზაცია, მთელი არსების ერთი გლობალური მისწრაფებით გამსჭვალვა გამოიწვია. სოციალისტებისა და ფაშისტების სამეფლო-სასიციო-ცხოვრებულთა ქამს, მამული წილხვედრად აღმართული საფრანხის წინაშე, რაღა თქმა უნდა, ერთ მწყობრში აღმოჩნდნენ ფადევეი და პასტერნაკი, ლენინოვი და ახმატოვა, პლატონოვი და ტვარდოვსკი, ალექსეი ტოლსტოი და ტიხონოვი, ერენბერგი და სელდინსკი, სიმონოვი და ბერგოლცი, სლენცი და მუეროვი, ყველა საბჭოთა რესპუბლიკის საუკეთესო მწერლები და ზელოვანი. ბორის პასტერნაკის ხსენებული განწყობილება საეცებით ბუნებრივი იყო: ეს იყო კანონზომიერი შედეგი და გამოვლენა მთელი მისი ცხოვრებისა და შემოქმედებისა, კერძოდ კი, ჩვენს მიერ ასე დეტალურად

ვანზილული ოცდაათიანი წლების მანძილზე მისი სულიერი მიზანსწრაფვისა და სულიერ-წნეობრივი ძიებებისა. აქაც საყვებთ დადას-ტურდა გამჭრიახი და ბრძნული შეფასება მაქ-სიმ გოჩისა, რომელმაც ბორის პასტერნაკის სამოქალაქო და პოეტურ ხმას კატეგორიულად უწოდა „სოციალური პოეტის ხმა, სოციალუ-რისა ამ ცნების საუკეთესო და უღრმესი მნი-შვნელობით“ („გოტი და საბჭოთა მწერლები. მიმოწერა“, 1963 წ. გვ. 300). სამამულო ომის წინა დღეს ბორის პასტერნაკმა გამოსცა თავისი ცნობილი კრებული „ადრთან მატარებლებზე“, სადაც 1936 წლის საქართველოსადმი მიძღვნი-ლი ორივე რკალი იყო წესული „აგრეღეცი-ნოს“ ციკლი ვერთინებულ ახალ ღმერთთან ერთად. ქართულ ციკლთა სოციალური ელერა-დობა ჩვენთვის ვარგადაა ცნობილი, ხოლო „აგ-რეღეციონ“, სხვა თვისებებთან ერთად, გამო-ირჩეოდა საოცრად ორგანული და ბუნებრივი დემოკრატიზმით, ხალხურობით, პუმანიური მსოფლშეგარანებით. სანიშნოდ საკმარისია თუნდაც ასეთი სტრიქონები:

В горячей духоте вагона  
Я отдавался целиком  
Порыву слабости врожденной  
И всосанному с молоком.  
Сжовь прошлого перипетии  
И годы войны и нищеты  
Я молча узнавал России  
Неповторимые черты.  
Превозможная обожанье,  
Я наблюдал, боготворя.  
Здесь были бабы, слобожане,  
Учащиеся, слесаря.  
В них не было следов холопства,  
Которые кладет нужда,  
И новости и неудобства  
Они несли, как господа.

ბუნებრივია, რომ სამამულო ომის განსაცდელ-ობა ამ სტრიქონების ავტორში ახალი ძალით ვაღლევა განცდა იმ ისტორიული გარდატეხისა, რომელმაც, მიუხედავად განვლილი გზის ყველა ვასაგები თუ ვაუგებარი სიმწელისა, ყველა „ჯანონიერი“ თუ „უჯანონო“ გართულებისა, მაინც შეამზადა თუნდაც ამავე სტრიქონებში აღწერილი სოციალური (სწორედ სოციალური!) სურათის თვით შესაძლებლობაც კი. და აი, 1942 წლის ექვს ნოემბერს, რომელმაც მოსკო-ვისაკენ მიიზიდა მთელი მსოფლიოს დაძაბუ-ლი ყურადღება, ბორის პასტერნაკი „კომსო-მოსკვათა პრადესისათვის“ წერს ოქტომბრის რე-ვოლუციის ოცდახუთი წლისთავისადმი მიძღვ-ნილ ლექსს. დასათავებულს ლაკონიურად და მრავალსმეტყველად — „1917-1942“:

Закладованное число!

Ты со мной при любой перемене.

Ты свершило свой круг и пришло  
И не верил в твое возвращенье.  
Как тогда, четверть века назад  
На заре молодых вероятий,  
Золотись ты мой ранний закат  
Светом тех же великих начатий.  
Ты справляешь свое торжество,  
И опять, двадцатипятилетье,  
Для тебя мне не жаль ничего.  
Как на памятном первом рассвете:  
Мне не жалко незрелых работ,  
И опять этим утром осенним  
Я оцениваю твой приход  
По готовности к свежим лишениям.  
Предо мною твоя правота.  
Ты ни в чем предо мной не повиново.  
И война с духом тьмы неспроста  
Омрачает твою годовщину.

ბუნებრივია ისიც, რომ ომის წლებში ბორის პასტერნაკი ასეთი დაბეჭდვითი უბრუნდება რევოლუციის მისებურ ვაზრებებს. 1943 წელს, ჩისტოპოლიდან მოსკოვში დაბრუნების შემ-დეგ, მწერალთა საფრონტო ბრიგადების მუშა-ობაში ენერგიულად ჩაბმული პასტერნაკი ერთ-ერთ თავის სამხედრო ნარკვევში ასე მსჯე-ლობს მის თვალწინ აბოზობრებულ შექაბუ-თა ისტორიული აზრისა და ფალოსოფიურ-წნეობრივი საფენელის შესახებ: მთელი მტე-ხრაბრეტი საუკუნის მანძილზე, განსაკუთრებით მის მიწერულს, რუსეთმა დიდი სისწრაფით და წარმატებით წაიწია წინ განათლების ვაზზე. მის ცნობიერებას ასაზრდოებდა ზოგადიყო-ბრიული გაქანების სულსკვეთება. გენიალუ-რობის საწყისი, რომელმაც შეამზადა ჩვენი რე-ვოლუცია როგორც წნეობრივ-ეროვნული მო-ვლენა (პოლიტიკურ შემზადებას ჩვენ აქ არ ვე-ხებით — ეს არაა ჩვენი სპეციალობა), თანა-ბარ იყო განთენილი მთელს ვარგომში და მსკვალავდა ისტორიული გარდატეხის მთელს ატმოსფეროს. ეს სულსკვეთება განსაკუთრე-ბული სიმძლავრით გამოშვლავნდა ლევ ტო-ლსტოის არსებობა, რომელმაც რუსული საშეა-ღებებით გამოიბარა და გამოაქვინა გენიოსის ბუნება და მიზანსწრაფვა, ისევე როგორც ინ-გლისური თვითმყოფადობის გარიგარეზე ასე-თივე საწყისი, ერთნაირად ნაშენული ბარე ოცე მისი წინამორბედისათვის, შეიწოვა, შეისისხლ-ხორცა და თავის თავში განასახიერა შექსიარმა. რა არის გენიოსი? — ეს არის მკვეთრად, ორ-განიულად შეგრძნობილი უფლება მკვეწად ყველაფერის თავისებურად შეფასებისა, საშეა-ჩრისთან ახლო ნაცნობობის ვრძნობა, ისტორი-ასთან ნათესაური სიახლოვის ბედნიერი ვანე-და, ყოველზე ცოცხლის აღქმა, როგორც ად-ვილად ხელმისაწვდომისა. გენიოსი პირველადი და ძალდაუტანებლად მოკლენილი. სიახლისა და ორიგინალობის სწორედ ამგვარმა თვისე-

ბებმა ჩამოაყალიბეს ჩვენი რევოლუციაც. მაგრამ ყოველივე გენიალურს თან ახლავს და კვალდაკვალ სდევს ისტორიულ-კულტურულ ნიადაგს მოწყვეტილი, „თვინიზადი“ არსების ულახოთა სიუხვით გამოვლენილი, შერით და დეჰარძლით აღსავსე უფერული რავითობა. ზედნიერი მეტოქის ღვაწლი და საქმე მას უცნაურობად და სიფიქვად მიაჩნდა. ტრბუცი კვეის სწავლებით იწყებს და ამთავრებს კი სისხლით“.

ამ ბრწყინვალე პუბლიცისტურ-ფილოსოფიურ წიაღწელში ჩვენ აღვიად განვეჭრეთო ლევ ტოლსტოის ლენინისებელ დახასიათებთა ციავს, თვით პასტერნაკის „მშალაი სნეულები“ დასკვნითი სტროფების კონცეფციასაც, და იმ საეულისხმო პარალელთა განვითარებას, რასაც ბორის პასტერნაკი ხან ლენინისა და ტოლსტოის, ხან რევოლუციისა და შექსიბრის, ხან საქართველოსა და რევოლუციის შედარებითა მწერებით გამოხატავდა ხოლმე არაერთგვარად.

მე არ შეეგებები, აქ დეტალურად ბორის პასტერნაკის სამამულო ომისდროინდელ მოღვაწეობას (საფრონტო ბრავადებში მონაწილეობა იყო ეს, მოსკოვში საპაერო განჯავთა დროს სახებრავებზე მორაგებობა თუ შრავალრიცხოვანი ლექსები და ნარკვევები, რომლებიც საბჭოთა ლტერატურის საბრძოლო მატინის უბრწყინვალეს ფურცლებს შეადგენენ). დევბრუნდები მხოლოდ 1944 წლის მაისს, როდესაც სიმონ ჩიქოვანმა იხანულა მოსკოვს ბორის პასტერნაკი და მოიწერა შინ ზემთმოყვანილი სტრიქონები „ფსიქოლოგიურად გარეალისტებელი“ და „ძალზე გამოცვლილი“ მეგობრის შესახებ. სწორედ 1944 წლის გაზაფხულზე შექმნა (და ამ გაზაფხულზე უძღენა) ბორის პასტერნაკმა თავისი კლასიკური ლირიული შედევრი „გაზაფხული“, რომელშიც 1945 წელს გამოცემულ ვიენის „მიწერი სივრცე“ დააბოლოვა და დაავიკავინა:

წლებად დედ გაზაფხულს ეცეალა იერი, ნიბლა-ჩიტიც კი ამღერდა სხვაგვარად, რაღაც მადლიანი ძალა მომერია და სულს სიღრმეში ნათელი ჩადგარა.

ვეფერობ თუ ვმეშობ — დამხარის მისი, სანის მომგვრელი ხმა ავეციცატ; შორიდან მედგარი ვუგუნე ვაისმის განთავისუფლებულ ტერატორიათა.

შევაბიეშებლებს და უნეტარესთა მისმა ზამთრობის კვალიც წარუხოცა, თაველმნალამებულ სლავებს უალერსა, ცრემლმუდურბეული დაწეები უეოცნა.

მინდვრები მზადია ასაბლახებლად, და შრავალანწელი ქუჩები პრალისა

ლამობენ წარხოცონ ის გაპარტახება და ვადაიფიქონ რაც ზედმეწმინდისა; მინდვლირთხისა

სერბნი და ზორვანნი, სლოვაენი და ჩენნი ვისაც კი სამშობლო ვადეცა ქვესენელად, დღეს თუ ზვალ იმედის სიძღვრას დასკვეენ და ვაიხარებენ, ვით თოვლში ენეგლა.

გარემო ზღაპრული შეუქით დაივარსა, თვალმაე აიცილა ლიბირი უეტრნები და მიბჭარე-მოქპარგა მიდამო, ეთარცა ნეტარი ბასილის თლთა ჩუქურთმები.

ჩვენ კო, მთვარეულებს და ვარსკვლავთ დარაქებს, არრა ვაგვანია მოსკოვზე სათეთი, რამეთუ სიყუთე, ქვეყნად რომ იმარყეებს, აქ იურის საფუძველს, აქა ნაეტრთხი.

ეს ლექსი სწორედ სიმონ ჩიქოვანის მიერ შექმნილი განწყობილებითა და სულისკვეთებითა აღსავსე და შთავგონებლიც. ომის ტრიუმფალურად დამთავრებასა და 1945 წლის საზღვიო და ხალისიან განწყობილებებს საქართველოში დაემტა ეიდეე ერთი სასიხარულო ვარეობა — ნიკოლოზ ბარათაშვილის ფართო მასშტაბით ჩატარებული იუბილე, რომელშიც სიმონ ჩიქოვანის ინიციატივით მოწვეულმა ბორის პასტერნაკმა გულთბადი მონაწილეობა მიიღო და რაც მთავარია, განახორციელა ბარათაშვილის პოეზიის სწორბუთვარი თარგმანი. პასტერნაკის თბილისში სტუმრობა კვლავ ვადაიქცა მისთვისაც და ქართული საზოგადოებისთვისაც ნამდვილ დღესასწაულად და კიდევ მეტი განმტაცება მოუტანა ამ უკვე ისტორიული მნიშვნელობის კავშირის. მოსკოვში დაბრუნების შემდეგ ბორის პასტერნაკი სწერდა სიმონ ჩიქოვანს: „ეაცოცხლებ წარმოდგენაში თქვენს სახელს. წამსვე მიტაცებს თქვენი კვიოანური, ნიჭიერი, მორიდებულად დაჭრებული ცხოვრების დინების ვანცედა... ამ ჩამოსვლამ ჩვენ საოცრად დაგვაახლოვა. არ დავიმალეთ: ჩემთვის მუდამ საქნელო იყო თქვენი უკვე დიდი ხნის შინძლზე აღიარებისა და ჩვენს შორის დაწეუბული და განსამტაცებლად შემზადებული მეგობრობის განხარება იმ შინძალურად გაზბიერებულ აღტაცებულ განწყობასთან, რომელიც ჩვენი საერთო წრისა და გარემოცვის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა... ძალზედ მიხარია, რომ თქვენ დიდი და ტეშმარტი ბელოვანი-ხართ და რომ ჩვენ ასე დაუეახლოვდით ერთმანეთს“.

1946 წლის მიწურულს ბორის პასტერნაკმა ერთ-ერთ თავის მაშინ გამოქვეყნებულ წერილში, რომელიც მის თარგმანთა კრებულს უნდა დართოდა (ეს წერილი ჩვენ გამოაქვეყნეთ „ვოპროსი ლტერატურის“ 1966 წლის პირველ ნომერში, პასტერნაკის მიმოწერის ნა-



წილთან ერთად), ასეთი შეფასება მისცა სიმონ ჩიქოვანის პოეზიასა და მის კანონზომიერ მოვლინებსა და ადგილს ახალ ქართულ პოეზიაში: „ჩვენი დროის პოეტური კულტურა მსოფლიოს ყველა კუთხეში, მათ შორის რუსეთსა და საქართველოშიც წარმოადგენს სიმბოლოებსა და მისგან გამოსული ან მასთან მოპავერე სკოლათა ბუნებრივ შედეგს. ყველა ამ მიმდინარეობათა საუბრეთესო დაგვირგვინების ნიშნად შეიძლება გამოვლენოთ სიმონ ჩიქოვანის სიახლით აღნიშნული მრავალსახოვანი და თვითმყოფადი შემოქმედება. უფლებას ასეთ ადგილზე მას ანიჭებს მისი ტონის ერთხელ და სამუდამოდ გამორკვეული, დასრულებული, ჩამოყალიბებული ხასიათი — ნიშნული თვისება ყოველივე დიდისა, განსხვავებით ბუნდოვან მიხედვებითობისაგან, რაც უძღვრთა და უღვრთათა ხედავია.“

„ხატოვანების, სახეითობის სტიქია, რომელიც საერთოდ ახასიათებს პოეზიას, იძენს სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებაში სახეცვლილ, უფრო არსებით მნიშვნელობას. ჩიქოვანი არტიტი და ფერმწერია თავისი ბუნებით და სწორედ ეს უიტმანისა და ვერხარნის ყაიღის არტისტინი ანიჭებს მას თემათა შერჩევისა და დამუშავება-გადამწვეტისას გაქანებასა და თავისუფლებას.“

„ტრფობა წამებული“ აგებულია ბარნოვის ფილოსოფიაზე — სიყვარულია ყველაფერი ამ ქვეყნად, იგი თვით ღმერთია, სხვა ყოველივე, თვით ისტორიაც, მასზე ტრიალებს. ორი იდეა — საქართველოს დამოუკიდებლობისა და გაერთიანებისათვის ბრძოლა და სიყვარულის იდეა, ორი სიუჟეტური ხაზი და აქედან გამომდინარე ორი კომპოზიციური მრუდი, რომლებსაც აერთიანებს ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირი აშოტ მეფე — ასეთია „ტრფობა წამებულის“ არქიტექტონიკული აღნაგობა. ორივე კომპოზიციური მრუდი, ყველა კომპონენტითურთ, ნაწარმოებში მოცემული იდეების გაშლასა და სრულყოფილ ჩვენებას, მკითხველამდე მთელი ცხოველყოფილობით მიტანას ემსახურება.

„ტრფობა წამებულის“ ძირითადი იდეიდან — საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი გაერთიანებისათვის ბრძოლის იდეიდან გამომდინარე სიუჟეტური ხაზი შემდგენიარად ვითარდება:

არაბებთან ბრძოლაში დამარცხებული აშოტი, ცოლ-შვილითა და ლტოლვილი ხალხითურთ, დაბანაკებულა თავფარავენის ტბასთან. იმედღა-კარგულ შეფეს საბერძნეთში გადასვლა განუზრახავს. აღმზრდელი ბარძიმი ამხელს შეფეს ასეთი სამარცხენო გადაწყვეტილების მიღებასათვის. ცდილობს მასში კვლავ გააღვიძოს მებრძოლი სული, კიდევაც აღწევს მიზანს. სწორედ ამ დროს მოდის ცნობა, რომ მტერი დაედევნა

<sup>1</sup> მ. ზანდუკელი, ი. ჭავჭავაძის მხატვრული ოსტატობა, გვ. 103, 1960 წ.

<sup>1</sup> ლ. ბარნაველი, ახალი მასალები ე. ბარნოვის ბიოგრაფიისათვის, 1964 წ. საქ. ლტ. მუზ., —23187.

და ლტოლვილებს განსაცდელი ელთა. აქ იყვრება კე ან ძი და იწყება მოქმედების განვითარება, რომელიც მთლიანად აღმათვლი ვრად-ციით მიემართება. საბრძოლო მზადება, ქალურმათა ვასტუმრება, ბრძოლა დაღვენებულ მტერთან და გამარჯვება (IV-XI თავები), შეუძლებელი ინტერესით ენაცვლება ერთმანეთს სურათები. ხალხი ზეიმით ხედება გამარჯვებულ შეფესა და მებრძოლებს ზერთვისის მიდამოებში. ხალხის აღტაცებას საზღვარი არა აქვს. მტრის დამარცხებით გამოწყველი აღფრთოვანება უმადლეს მწვერვალს, კულმინაციას აღწევს (თავი XV): „ისმინა ტკბილ-მეწყობილი სიმღერა მრავალხმოვანი. მიმანდი ხალხს მიუძღოდნენ მომღერალნი დას-დასად და ჭებას შესმდენიდნენ ერისთავის მშუდ ამოსულ ბუმბერაზს. ხალხი ბანს აძლევდა, ზმას აყოლებდა, ყველას უმღერდა გული, ყველა მღეროდა თუ დიდინებდა. მწყობრი გუგუნი ასიამოვნებდა მეომართ სმენას. რომელთა ყურში ჭერ ისევ მოისმოდა ანჭართა ეღერა, ბრძოლის ძახილი გულშეშარავი“<sup>1</sup>. მადლობის ნიშნად შეფეს მიართვეს ტბაში პურ-მარლით და თაიგული. მწერალი ახანგრძლივებს კულმინაციას. საქმე ვეაქვს რ ე ტ რ ა დ ა ც ი ა ს თ ა ნ.

„—მძღოთა მძღველო! ეს ზეიმით შენ წინაშე სვლა, შენ თავგანებად მოგებება — ქალთა და ყრმათა დღესასწაულთა: ისინი გილოცვენ დღე და გამარჯვებას. ეს იმითმ, რომ ყველა ვეაქია შენთან არის შენსავით თავადლებული“ (გვ. 149).

კულმინაციის შემდეგ სიუჟეტი კარგა ხანს აღმათვლი ხაზით მიემართება. ერთმანეთს ცეცის ამოტრის საბრძოლო თუ სადამშენებლო საქმიანობის ამსახველი სურათები: არტურუვის განახლება, ჭვეწნის აყვავება: „მრავალი მოიხრებული ციხე-ქალაქი აღაშენა. უზრუნველყო ხალხი. განამტკიცა და ააყვავა მისი ცხოვრება“ (გვ. 189). წერს ბარნოვი ამოტრის საქმიანობის შესახებ. ამას მოჰყვა გულსის გაძლიერება: „გამრავლა გულსები და მონასტრები ამ მკიცრე ზან-ნი. ააყვავა როგორც წალკოტნი სათნოებათა თვი სანერგენი“ (გვ. 149), ამბობს ამოტრის მადლიერარი ხალხი.

მეზობელ ქვეყნებთან კეთილშეგობრული ურთიერთობის დამყარება ამოტრის უდიდესი მიღწევა იყო. „რამდენიც უფრო იზრდებოდა და ფართოვდებოდა ამოტრის ხელმწიფური საქმიანობა... იმდენად მეტ პატივს იძენდა ვარეშთავან, მტერთვანაც, მოჯარუთავანაც“ (გვ. 196).

სიუჟეტის გაშლის დინამიკურობას ხელს უწყობს მრავალი მართული ეპიზოდი, განსაკუთ-

რებით ამოტრის ბრძოლების სურათები: „დაესწა თავს ამოტი გულდებით მსხდომარ ურდოებს. მოსრეს ქართველთა სიმრავლე მათქმულად შეეს დედა-წუღნი მათნი, ჭოგი, რემს, ცხენჭარნი და ყოველი ნაქონები მათი. იღიესო ლაშქარი ამოტრის ყოვლითა კეთილითა და სიხარულითა“ (გვ. 203) და სხვა მრავალი საბრძოლო სურათი და ბატალური სცენა.

ექსპოზიციის მრავალი ელემენტი, ჩართული ეპიზოდის სახით, ნაწარმოების შევნიშოთა გადაიტანილი. ესენია: ამოტრის მოგონებები ზაქვოტრისა და ყრმობას, ახალგაზრდული ვატაციების, გამეფებისა თუ დაოქავების შესახებ:

„უღარდელი ყრმა ამოტი უზრუნველად დაეპქრიალებს დასატულ დარბაზებში სიმეფო პალატა...“

მოზრდილი ვაჟია ამოტი. ბარძიშის კარს იმყოფება მის შვილებთან ერთად, სწვრთნის მათ სარდალი...

მემკვიდრეა ამოტი. მალე შეიქმნება გვირგვინოსანი. ზეიშია აღფრთოვანებული, აუტრთხებენ, მეფედა სმენ. გვირგვინები დაადგეს ცით მიღებული...

შესსლო ამოტმა იმედთა გამართლება. ძღვეამოსილი მიდის წინ მამულის განსათავისუფლებლად...“ (გვ. 138-139) და ა. შ.

სიუჟეტი დაძაბული ინტერესით ვითარდება მას შემდეგ, რაც საფუძველი ჩაეყარა მეფისა და შექურთის ტრფობას. აქ არის ნაწარმოების გზაჯვარედინი, სადაც გადაიკეთება „ტრფობა წამებულნი“ ორივე იღეა.

ამ გადაკეთებაშივე იწყება მეორე სიუჟეტური ხაზი — შექურთისა და ამოტის ტრფობა, რომელიც ამოტის მიღეაქვრის ზენიტს ჩაისახა... შექურთან დაახლოების შემდეგ, ჭვეწნის საკეთილდღეოდ მეფის მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი შექუბის ტრფობით არის შთავგონებული. ამოტის უტეხი ნებისყოფა ძალს იძენდა ვენებათა იმეათ აუისკროვნებაში, ძლიერებას მეფერს, რომ ურყევად წარემართნა განგებისაგან მისდა მინდობილი ბედი ქართლისა“ (გვ. 354).

შექუბის სიყვარულით შთავგონებული ამოტი მთელი ენერგიით, მონდომებით, ნიჭითა და უნართ მართავდა ქართლის ბერს. კიდევ დაინდა ეს ჭვეწანას. აყვავდა და განმტკიცოდა ამოტის საბრძანებელი. თბილისში აღარავინ დარჩა ვარდა ალი შეუბის ძისა — წერს შემატონე. ერთი გამრძოლებაც და ამოტი საბოლოოდ გაათავისუფლებდა ჭვეწანას, განამოცილებდა საქართველოს სანუკვარ ოცენებს. სწორედ ამ დროს დაკარგა ამოტმა სიყვარული და დაკარგა მოქმედების ძალაც. აქ კვლავ ერთმანეთს გადაეკაჯა ორი იღეა — „უშექუროდ არა სქრის ზმალი მეფისა“ (გვ. 402). უსიყვარულოდ დარჩენილმა მეფემ ველარ შეძლო მტრის გამკლავება, მტრმა იდროვა და დამარცხდა — კე ან ძ ი გ ა ი ხ ს ს ა. მოქმედების განვითარების

<sup>1</sup> ვ. ბარნოვი, თხზულებანი, „ტრფობა წამებული“, 1962 წ. ტ. V, გვ. 148 (შემდეგ ტექსტშივე იქნება მითითებული ნაწარმოების გვერდები).

მრუდი იმით შეიკრა, რითაც დაიწყო. პირველ სურათში ვავეციანთ დამარცხებულ ამოტს, ბოლო სურათშიც დაეშორად დამარცხებულ ამოტს. ამბავი კომპოზიციურად გამოლიანდა.

შეორე სიუჟეტური ხაზი გამომდინარეობს ნაწარმოების შეორე ძირითადი იდეიდან: ეს არის ფაქიზი და ზნემაღალი სიყვარულის იდეა. „უძლიველი იყო სიყვარული მისი, ვითა სიყვადლი: მატაცხლებელი იყო სიყვარული იგი, ვით ნამი უკვადეებისა ზეციით ნაცყარი“ (გვ. 320).

თავდაპირველად მწერალს განზრახული ჰქონდა რომანისათვის ეწოდებინა „ამოტის წამება“. I გარდა იმისა, რომ ამ სათაურს რელიგიური ელფერი დაჰყარა („შეშინიკის წამება“, „აბოს წამება“, „ლუარსაბ მეფის წამება“ და სხვ.), ზუსტად ვერ მიუთითებდა მწერლის მიზანდასახულობაზე. მწერლის მიზანი კი იყო, ეჩვენებინა ეოვლისმძლე სიყვარული, რომელმაც ტბილმწარე წამება ვანადევირა არა მარტო ამოტს, არამედ შექიასაც. ორივე ერთგვარად ეწამა. ორივემ ერთგვარად ვანადეა და ძალი სიყვარულითა, ერთგვარად შარავანდელით შეიშინა. და რომანმაც მიიღო შესაფერი სათაური „ტ რ ფ ო ბ ა წ ა მ ე ბ უ ლ ი“.

შეორე სიუჟეტური ხაზის ექსპოზიციია მე-13, 21-ე თავები, სადაც მოცემულია ამოტის ახალგაზრდობისა და დოჯახების ამბავი. ამოტის ცოლი წერთეს უსიყვარულოდ, სახელმწიფოებრივი ანგარიშით. უსიყვარულოდ კი, ბარნოვის შეხედულებით, აღმზიანი ვერ იარსებებს.

„აღმზიანის გული ერთხელ უსათუოდ აყვადება, სიყვარულის სხივი დაჰყარავს მის ვახაჯბულის მზესავით და ის ააყვავებს, დამშვენებს, ასურნელებს. თუ არა მზინწია იგი გული!“

ჩერ არ აყვავებულიყო ჰუმბოის გული; მიზინწიც არ იყო“ (გვ. 173). მიუხედავად ვერ მიანიჭა ამოტს სასიყვარულო ნეტარება და აი, ამოტმა იბილა შექიას თვალები. „მისკენ ლოცვად აღმართულ შექიას თვალთვან გამოკრთა ის მადლიანი ნათელი ცისფერი“, რომელმაც სამუდამოდ დაიპყრო. ამოტის გული — აქ შეიკრა შეორე სიუჟეტური ხაზის კვანძი და დაიწყო მოქმედების გრადაციული ვანდატარება, სადაც ჩართული ემპროდებით, ლირიკული წილანსებობით, მრავალი პერიპეტეებით, ასე, მავალითად: ეპიზოდები შექერის ქმრისა და ამოტის დამოკიდებულებისა (მატამ სისიყვადილო კრალიობა მეფის ვადარჩინის დროს მიიღო) — მეფის რამდენიმე სტუმრობა მათ ოჯახში, დაქვრივება შექერის სასახლეში სამსახური, მეფის ჰუმბოეტი გარტაცება შექერით, შექერის ვალიათის მოხატვა და სხვ. — დიდი დინამიკურობით და ექსპრესიულობით აეთარებს სიუჟეტურ ხაზს, რომ

მელიც უმაღლეს მწვერვალს აღწევს სისხლის ერთ-ერთ წვეულებაზე. ნაღვინემა მეფემ თეი ველარ შეიკრა და ვამელანდა მათი კრთილი.

— ველარ შეიკრა მეფემ თეი: — ძლიერია სიყვარული, სიყვადილზედ ძნელი. — მთლად მოხობილული ვაკაციო ქალისავანი. — სისხლის ნაცვლად წყალი უნდა ვიდლიოდეს ძარღვებში, რომ ვერ მოგზიბლოს ნაყურთის შეილი“ (გვ. 307).

აქ დაიწყო შეორე სიუჟეტური ხაზის ვახანგრძლივებული ექლმინაცია.

„დედოფლის ვამახელ ვრწინობის არ ვაგონებარა მთელი შეუფერებლობა შერყეულის წუთისა და ანთო, სასტყარი წყრომა აეცია სახეზედ. მარჯვენა ლევა აეთამაშდა, ძლივსდა შესძლო თაისი შემავრება. გულში დასკენა, ან დაღუბლიყო, ან სისხლი აელო“ (გვ. 306-307). გულსიის მსახტრებმა (თებრონიამ და გრიგოლმა, რომელთაც ვანკილი ჰქონდათ ძალი სიყვარულისა) შეამჩნიეს ზნეობის რღვევა სასახლეში. ჩამოვარდა კონფლიქტი მეფესა და ეკლესიის შორის. აქამდე მოდის შეორე სიუჟეტური ხაზის ვახანგრძლივებული ექლმინაცია.

ჩართული ემპროდები — დედოფლის რისხვა, ეკლესიის საბრძოლო მზადება და ჩარევა მეფის პირად ცხოვრებაში, მკითხველში ცხოველ ინტერესს იწვევს და ყურადღების უკიდურესად ძაბავს. ეკლესიამ მოახერხა და სატრფო მოსტაცე მეფეს — გრიგოლმა მოტრუებით წაიყვანა შექიდა და მეტეს მონასტერში ვადამოლა, მეფე უსიყვარულოდ დარჩა. „ნეტარ მას კაცსა, ენი არდა ცოცხალ არს“, აქმეფინა ეკლესიამ მეფეს — კვანძი ვაიხსნა. სიუჟეტური ხაზის დამთავრება დამავალი გზით წაიღო. მეფემ ვერ დაიბრუნა სატრფო, ველარ მართა სამეფო, რადგან უშექეროდ არ სქრდა ზნელი მეფისა. დიდი ამოტი ველარ გაუმკლავდა მტერს და მოლაღატის მსხვილით გულგანგმირული დაეცა. „მეფის სისხლით შეიღება საყრობეველი.“ ეკლესიის ურჩი ეკლესიის საყრობეველს დაეცა — ესაა ფინალი. ამბავი აქაც კომპოზიციურად გამოლიანდა. იდეა გამართლებულია: დაიღუპა სიყვარული, დაიღუპა მისი მატარებელი — საქართველოს ვაერთიანებისათვის მებრძოლი ამოტ დიდი.

ვასლ ბარნოვის თხრობის თავისებური მანერა აქვს. ამბავს მოვითხრობს თეითონ, ამბობინებს ვმირს (ვმირის მოგონებები), ხან ვმირები უამბობენ ერთმანეთს, კვლავ აეტორი ვანგრძობს, შემდეგ წყვეტს თხრობას, ესაუბრება ვმირებს, მკითხველს, ასაუბრებს ვმირებს თავის თათანი, ან საუბრობენ უცნობი ვმირები დასახელებულად.

ბარნოვისათვის დამახასიათებელია ერთი და იგივე ამბის რამდენჯერმე ვამოვრებაც, რითაც მეტ ეფექტურობასა და დამაჯერებლობას ქმნის. ასე, მავალითად:

1 ბ. ბარნაველი, ვასილ ბარნოვის ნაწარმოებთა სიები. საქ. ლიტ. მუზეუმი ა—13126-6.

„მბავს მოგვიტხოვს ავტორი: მეფე აშოტი თბილისთან შეებრძოლა არაბებს, ამ ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა და ცოლ-შვილითა და გადარჩენილი ხალხით საეჭრანეთში გადასახლულად გაეწერა.“

„უკანასკნელი დამარცხების შემდეგ დაქარგა გმირმა იმედი, სასოწარკვეთილებას მიეცა შწარს, დაწალა ფიქრი მშლავრად მოქმედი, უკუბრუნდა ზრუნვა სახელმწიფოებზე“ (გვ. 100).

„მავე ამბავს იგონებს თვით გმირი: „სოტალა შემრჩა ახლო მყოფთაგან, ჩამხოცა მთელი რაზმი, იძლია ჩემი ლაშქარი. განქარდა ძალა ეპ, აღარა ღირს ფიქრი გარდასრულვად. არც ზრუნვა რამე“ (გვ. 100).

„გმირები ეცაუბრებენ თან ერთმანეთს — მივირის, ბარბიმ, როგორც მოუვიდა დიდ აშოტს, თუნდაც დაძლეულს, ფიქრი მამდაბლებელი, როგორ?!... სამუდამოდ აურას და სხვათა მამულში გადასვლას არა სჯობია სიცილილი თავისავე სამკვიდრებელში? საღ მივდივართ, რომ მივდივართ? საღ შევაფართოთ საწყალი თავი? ვის შევაფედროთ ჩვენი ცოლ-შვილი? არა, არ ეგებებს! საყიარველ იყო მეფის განზრახვა. მოულოდნელად დაეპარცხდიო. სასტიკად ეილოინით და გული გაუტეხდა გმირულად შებრძოლს. დაქარგა ძალა შემშარბებელი“ (გვ. 115).

ერთი და იგივე ამბავს, ამ შემთხვევაში აშოტის თბილისთან დამარცხების ამბავს, მწერალი იმეორებს სხვადასხვა კუთხით, სხვადასხვა გმირის თვალსაზრისით, რითაც მკითხველზე მეტ ზემოქმედებას ახდენს. სურს, მკითხველზეც ისეთივე წარმოსული შთაბეჭდილება დასტოვოს ამ სავალალო მარცხმა, როგორც ნაწარმოების გმირებზე. მკითხველის შეყვანა მოქმედების მიმდინარეობაში ვასილ ბარნოვის სტილის დამახასიათებელი თავისებურებებია. ამაზე მიუთითებს მწერლის არაერთგზისი გასაუბრება მკითხველთან. გარდა ამისა, ამ ხერხით (ერთი და იგივე ამბის გაეორება სხვადასხვა გმირის თვალსაზრისით) მწერალი შესანიშნავად ახასიათებს თვით გმირს. ხაზს უსვამს გმირის დამოკიდებულებას მომხდარი ფაქტისადმი. თვით აშოტი მრავალჯერ იგონებს ტფილისთან-დამარცხების ამბავს. ეს გასაგებია. მწველი დასაყრდენებელი პირველი მარცხი და სამარცხენიო გაქცევა უძლეველი, მუდამ გამარჯვებებს ნახვევი აშოტ მეფისათვის. ძნელი დასაყრდენებელია ეს მარცხი გულზეადა და ამაყი გურამდუბტ დედოფლისათვის.

— როგორ, აშოტი მოლად დამარცხდა ეილაც საყინოსთაგან?! მეფის ლაშქარმა ტფილისი ვერ აიღო, თანაც გაიფანტა სირცხვილულო?! — კითხავდა განცვიფრებულ-განრისხებულ დედოფალი მწერაფლმსობოლულს“ (გვ. 142-143). ვერ ეპატებინა დედოფალს აშოტისათვის, რომ დამარცხებინოდ მიბრბოდა სა-

ქართველოდან. სირცხვილს ზედ ერთოდა ისიც, რომ გაუტეხდა ოცნება... ყოფილიყო გავრთიანებელი საქართველოს დედოფალი. არავითარი თანაგრძობა მსუქელი ქმრისადმი, არავითარი ნუგეში და მხარდაჭერა, მუდამ სიცივე და უკმეზობა უკუაგდებდა მისგან აშოტს. „შებრუნდა კარავში, დაკოცა შეიღებო განსაკდელში მიმავალმა (აშოტმა, დ. ბ.) და მოუბრუნდა მეუღლეს, რომ ვამოსიხოვებოდა ქალს თანამგრძობელს, გულშემატკივარი ქალის მაგივრად მას დახვდა მხოლოდ დედოფალი. უქმყოფილო განსახება სხვიმფენ დიდებისა, რომელს უკადრისი ჩრდილი ვის-დგომოდა აშოტისაგან უწმოდ მოქნეულ ხმლისაგან“ (გვ. 143-144). გორბო, გულზეადა, უკმეზი, განდიდების სურვილით შეპყრობილი — ასე დაახასიათა ბარნოვმა თავისი გმირი პირველ შემოყვანისთანავე. ზემოაღნიშნულ ფაქტთან დამოკიდებულებაში და ასეთივე დასტოვებო ბოლომდე. დაბოლოს, ძნელი დასაყრდენებელი იყო ტფილისთან დამარცხება გამარჯვებებს ნახვევი ქართველი ხალხისათვისაც. ამიტომაც ასე ხშირად იგონებდა ხალხი იმ აოხრება-აწიოცებას, რაც ამ მარცხს მოჰყვა.

ამიტომ, ტფილისთან მარცხის ამბავი რამდენჯერმეა რომანში განმეორებული, მაგრამ ზედმეტობა და ერთფეროვნება არავითარ შემთხვევაში არ იგრძნობა. ამას ზელს უწყობს თბილისის სხვადასხვა ხერხის გამოყენება, ამბის სხვადასხვა კუთხით და სხვადასხვა გმირის თვალსაზრისით ჩვენება. ეს მრავალფეროვნება თბილისის თანდათანობით იზიდავს მკითხველს და თავს ისე გრძნობს, თითქმის თვითონაც მოქმედ პირთა შორის ტრიალებდეს, თვითონაც რომანის გმირებზეთ ვანიციდის მომხდარ ფაქტს.

თბილისის ერთ-ერთ მხატვრულ ხერხად ვ. ბარნოვი იყენებს სიზმარსა და ჩვენებას. ბარნოვს სწამს ბედისწერა, განგება — აქედან მომდინარეობს წინასწარმეტყველები სიზმრებისა და ჩვენებების რწმენაც. ეთილის მომასწავებელი სიზმარი ნახა აშოტმა ფარავნის ტბასთან ბრძოლის წინ.

„... საყიარველი სიზმარი ენახე წინასწარ მოქმელო...“

— გველი მოდიოდა ჩვენზედ, ფრთასხმული, სიპრაველ გველისა პაერს მოაბნელებდა. შიშის ზარი დაეცა სულდგმულს. რომ მოვიდა და მოგვატანა, უზრო ისართა სიპრაველ იქცა, ბავშვთა სამღერ ბოძალთა გროვად, რომელთა სხტებობოდა ქაეშანუგდ, ხტებოდა ფარავნდ მთლად უვენებლად, ცეიოდა უღონოდ, იფინებოდა.

— ეთილის მომასწავებელი ზმანება მოგვენევილი“ (გვ. 163), აუხსნეს აშოტს.

ასეთივე ეთილის მომასწავებელი იყო აშოტის სიზმარი ბრძოლის შემდეგ (გვ. 140). შეჭურის ჩვენება თან სდევს აშოტს ბრძოლ-

ში, ცხოვრებაში: „იმ საშინელ ვანსაცდელის წმის, რომელმაც გადაიჭრა აშოტის თავ- წიღ, მას ხორცხმულად მოვლანდა შექუ- რი“... (გვ. 225).

„შექურის ეთეროვანი სურათი ჩაღვა მეფე- სი და მისი მეუღლის შუა“ (გვ. 393).

„თითქოს რაღაც ვაშმა ხელმა დაათრია ეფ- სერულისავენ“ — ასეთი ავის მომასწავებე- ლი სიზმარი ნახა შექურმა მონასტერში წაუ- ეანის წინ (354), ასევე ავის მომასწავებელი იყო შექურის სიზმარი — ჩვენება სიკვდილის წინ: „მიშველეთ! მიშველეთ! იხსენით აშოტი! მიხედით!... სისხლი საფდარში, სისხლი! (გვ. 393).

ვასილ ბარნოვის სტილისათვის დამახასიათე- ბელია აგრეთვე ამბავთა გადაადგილება — ექსპოზიციისა და შემდგომი ამბის ადგილთა გადაანაცვლება. ასე, მაგალითად, ჭრ მოცემუ- ლა აშოტის დამარცხება, შემდეგ ბრძოლა და მარცხი. ან კიდევ: ჭრ ლაპარაკია აშოტის გამარჯვებაზე, გამარჯვებული ხალხის ზეიმზე, შემდეგ ნაამბობია, როგორ გაიმარჯვეს, ან: მოცემული ამბავი აშოტის აღმშენებლობით საშინაობის შესახებ, შემდეგ ნათქვამია, რო- გორ შეუღლა ამ საქმიანობას. მას შემდეგ რაც გავიგეთ, რომ აშოტი დაელოწვილებულია, მწერალი გვიამბობს, როგორ შეირთო ცალი და ა. შ.

ამბავთა თანმიმდევრობით გადაადგილება შე- მდეგნიარად წარმოგვიდგება:

შემდეგი ამბავი — ეს არის ნაწარ- მოების ექსპოზიციაც. თავფარავნის ტბასთან დაბანაკებულა ლტოლელი ხალხი დამარც- ხებულ მეფესთან ერთად.

წინა ამბავი — აშოტ უძლეველმა (თბი- ლისთან დამარცხებამდე) შეაეწროვა მტერი, მტერი მხოლოდ თბილისშიღა დარჩა. და ა. შ. აშოტმა თბილისში მყოფი საჩირობების წინა- იმდღე გაილაშქრა. მაგრამ ამას წინ უსრრება კიდევ ერთი ამბავი. აშოტმა თავისი გამეფების მეორე წელსვე დაამარცხა კახეთის ქორაოხი გრიგოლი და თავის საბრძანებელს შემოუერთა მთელი ქართლი ქნის ნაპირამდე. ახლა ეს გრიგოლი დაეხმარა ვიზარს. აშოტს კი არ მოუ- ვიდა მამველი არც საბერძნეთიდან და არც აფხაზეთიდან, მათ ცდაში დააგვიანდა და დი- მარცხდა.

შემდეგი ამბავი — მტერი ხასან რეჯების ძის ხელმძღვანელობით აშოტს თავფარავნის ტბას- თან დაეწია. აშოტმა ძალები მოიკრიბა და გაი- მარჯვა.

წინა ამბავი — გადმოცემულია როგორ დაედევნენ აშოტს აფხაზანი პირველი გამარჯ- ვების შემდეგ და როგორ დაამარცხა ისინი: აშოტმა ფარავნის ტბასთან.

უფრო შორეული, შემდგომი ამბის წინასწარ გადმოცემაც შეუძლია ბარნოვს. იქ, სადაც ლა-

პარაკია აშოტის პირველ გამარჯვებაზე, მწერა- ლი წინ გაასრრებს მოვლენებს და მკითხველს წინასწარ აცნობებს — „აშოტის უძლეველი მფლობელი შეიქმნა შავშეთ-კლარჯეთისა, მბრძანებელი მორჭმით მქდომარე.“

ეს შემდეგში იყო, დასძენს იქვე მთხრობე- ლი.

ამ წინასწარი თქმით ინტერესი ნაწარმოები- სადმი სრულებით არ მკერდება, პირიქით, ძლიერდება. მკითხველს ებადება კითხვა: რო- გორ ვახდა აშოტი შავშეთ-კლარჯეთში მორჭ- მით მქდომარე არაბთა ბატონობის პერიოდში?

შემდეგისა და წინა ამბის ასეთი გადაადგილე- ბით მწერალი გვიძლევს ერთობლივად შხატე- რულად ჩასმული ამბის გრგხილს. ვარდა ამისა, ასეთი გადაადგილებით ავტორი ერთიანობის ეუბირსპირებს ორ მოვლენას, ორ ამბავს, რომ მკითხველს უფრო ნათლად უჩვენოს შედგენის სო- ძლიერე. ასე, მაგალითად: აშოტი დამარცხდა თბილისთან და გაიქცა. ამან არც გუნებაზე და- აყენა გამარჯვებული ემირი აფარიანთა და სწო- რედ მაშინ, როცა გამარჯვებას ზეიმობდა ამა- იყო ემირი, მოვიდა ცნობა, რომ სიხარული ნაადრევია, აშოტმა ძალი მოიკრიბა და დაამარ- ცხა ემირის წარი.

მიზეზ-შედეგისა, წინა და მომდევნო ამბის ზემოაღნიშნული გადაადგილებანი ვასილ ბარ- ნოვის სტილის ერთ-ერთი დამახასიათებელი მხატვრული ხერხია, რომლითაც ავებულია მთელი „ტრფობა წამებული“.

ვ. ბარნოვის სტილის განმსაზღვრელია ისიც, რომ მას პერსონაჟთა ხასიათების განხილს მრ- ვალი საშუალება აქვს. გვიჩვენს ახასიათებს თვითონ, ახასიათებინებს სხვა მოქმედ პიარებს, ახასიათებს მოქმედებაში, სხვა პირებთან, სავ- ნებსა თუ მოვლენებთან მიმართებაში. ყოვე- ლევე ამას მწერალი აკეთებს არჩვეულებრივი ოსტატობით. ადამიანის ბუნების ღრმა ცოდ- ნა, გვირის სულში წუდომის უნარი, მშვენიერე- ბის საოცარი ვანცა და ხელოვანის ოსტატო- ბა ბარნოვს საშუალებას აძლევს თანმიმდევრუ- ლად, გამოაკეთოს, ჩამოაქანდაკოს და მკითხ- ველს რელიეფურად წარმოუდგინოს თავისი გმირი, ისტორიული იქნება ეს პიროვნება თუ გამოვლილი.

„ტრფობა წამებულის“ ცენტრალური ფიგუ- რა არის აშოტ მეფე. აშოტ კურაპალატი ისტო- რიული პიროა. ისტორია მას იცნობს, როგორც კონიერ, უძლეველ, გმირ მეფეს, რომლის ღრ- მსაც აყვავდა და აღორძინდა შერვან ყრუს მიერ აოხრებელი ტაო-კლარჯეთი. ვასილ ბარნოვი მთლიანად ისტორიის მიჰყვება, მაგრამ, ამავე ღრმს, აშოტს წარმოვიდგენს, როგორც ზვეუ- ლბრივ, მომაკვდავ ადამიანს, ადამიანურ გრძობებობა და მისწრაფებებით. ძლიერი მე- ფე და უნახესი სულის ადამიანი — ასეთია ბარნოვის აშოტი. ბარნოვის სტილისათვის და- მახასიათებელია ისიც, რომ გვირის პორტრეტს

პირველადვე სრულად არ ხატავს, თანდათან იფესხს და ამდიდრებს სხვადასხვა შტრიხებით: „ახიხადა კარვის კალთა და გამოჩნდა ვაეკაცო... სუდად ღრმად აისახა მის ღიბრონ თვალეში“ (გვ. 98). ასე შემოიყვანს მწერალი ამოტის ნაწარმოებში და შემდეგ თანდათან კეთის მის რაინდულ, ძლიერ სახეს: „სისხლხორციით ხავსე, ცხოვრების მოხარული, კოპბ უღვაშ ქვეშ ეშხით შლიმარ; არწივივით შორს გამჟვრეტელი, შეხი, მღვდარი. მის მძალა შუბლს ხეშუტე თმა შოსლებოდა გარს, უჯილოდაც ძლიერ შეენოდა (გვ. 248).

ჭაღარაც შეერია ბოლოს რაინდს, მაგრამ მაინც შერჩა „მძლავრი აგებულება და სიყისყისე ტანისა“ (გვ. 247).

მწერალი ამოტს წარმოგვიდგენს, როგორც უძლეველ უშიშარ, შორსმჟვრეტელ და გონიერ მეფეს, რომელიც პირადი მავალითი უდიდეს ვავლენას ახდენს მეომრებზე: „როს-ტრომისებური მისი ძახილი მტერზედ მოწვენილ მესისტეხად უწნდათ ქართველებს“ — ამბობს მწერალი. დიდი გონიერება და შოსახრებულობა გამოიჩინა მეფემ, როცა ლტოლელი ხალხი წინ გაუშვა და თვითონ მცირერიცხოვანი მეომრებით შეეპობოლა მტერს.

აი როგორ ახასიათებს ხალხი მეფეს: „—ღმერთს დაეფარებინა, მტერი დაგვსხმოდა, როცა იმოღენა ხალხი თავს ვეხეია...“

— მშვენიერი ზერხი იხმარა ძალიან გამოცდილი დალოცვილი, მარჯვედ მომღიჭრებელი. ვიწროებში რომ შემოიტყუა მტერი, ღმერთმა მაშინ გადმოგვხედა წყალობის თვალთ. — რა შეუპოვარია ბრძოლაში უშიშია, როგორც უბორცო“ (გვ. 121).

მწერალი, ხალხისა და სხვა გმირთა დახასიათებაში, ამოტე არის შემართებული, აქვს მარჯვენა რეალისა, ნიჭი ცხოველი და ფხიზელი, გონება გამჭრიახი, არის სახეზდრო ნიჭით დაქილდოებული. რაინდი ჰველი, მუდამ წინ მისიწრფვის, ლომივით გრკვირავს, კისკისად მღიჭრის, ვითა უბორცო. ამოტმა ქედი მოახრევიანა მტრებს, სხელი გაუთქვა საქართველოს, განმტყიდა და გაძლიერდა მისი სამეფო. „რაიე მტრის თავდასხმისაგან უზრუნველყო ეს მხატვ (მეფეთი, დ. ბ.), მაკყო ხელი ქვეყნის შენების და მრავალი მოხრებული ციხე-ქალაქი აღაშენა“ (გვ. 188).

მ. ბარნოვი ხატავს ამოტს, როგორც ქვეყნის აღმაშენებელ და გამაძლიერებელ მეფეს, რა თქმა უნდა, ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით, რომლის დროსაც საქართველოს ძლიერება სცენს და აღიარეს მებობელმა სახელმწიფოებში: ბიზანტიამ, არაბებმა, ხაზარებმა. ესმოდათ არაბებს საქართველოს დიდი სახეზდრო შნიშენელობა, წერს მწერალი. არაბები საქართველოში ბიზანტიას ებრძოდნენ. ბიზანტიამ, თვით მხრივ, ამოტს არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში იყენებდა და მხოლოდ დამარცხებით ავ-

სებდა მას. თვითონ ძალია არ შესწევდა რეალური დახმარება გაეწია ამოტისათვის. გონიერი ამოტი უოველივე ამაქ ქარვედ ხედავდა: „ბიზანტიის ტახტი ყოველთვის ხუერსა გვიარდებდა, ცოტას გვისრულებს, ეუბნება მეფე ვეზირს, — თავდაჭერით მოგუყარით, გარნა ზრდილობით“ (გვ. 227). ამოტმა კარვად იცის თავისი სამეფოს როლი მეზობელთათვის და ფრთხილი, ტაქტიანი დამოკიდებულება აქვს მათთან. ამიტომაც კეთილმეზობლობაში არიან მასთან უფრო დიდი სახელმწიფოების მჟვრობელები. კეთილმეგობრობის დასამტყიებლად კეთსამა ამოტი ხუროთმოძღვრები გამოუგზავნა არტანუჯში: „მშვრატისი (ბიზანტიისა, დ. ბ.) საეკეთესო მოსავითხს უძღენიდა ამოტს; მოღმის იხდიდა, რომ აქამდისინ საესეებით ვერ ასრულა დანაბი...“

ამავე დროს აფხაზთა მეფე თეოდორე მოკითხვის წიღისა სწერდა ამოტს, პატივობდა თავისთან...

ამავე დროს იყო, რომ დესპანები მოუვიდა ამოტს ხაზართა ხაყისისაგან“ (გვ. 196-197).

ხაზართა ხაყანის წეჩილიში შორსმხედველმა პოლიტიკოსმა მაშინვე გაშვრითა დაფარული აზრი — „თუ გადმოვიდა ხაზარი კავკასიონს და სძლია სარკინოხი, რაღა დაუშლის მას შიის აქეთაც მოიკიდოს ფეხი და დანაყავს. საქართველო განთავისუფლდება ერთი მტრისაგან, რომ ხელთ ჩაუვარდეს მეორეს“ (გვ. 198). ფიქრობდა ამოტი და მოზიშოლო პასუხი გასცა ხაყანის ელჩებს.

გოიარგი მერჩულე ამოტს ახასიათებს, როგორც ძლიერ და დიდებულ მეფეს, როგორც ეკლესიის სიმტკიცესა და ქრისტიანობის ზღუდეს. „სიმტკიცეო ეკლესიათო, და ზღუდეო ქრისტიანეთო“, — დასტორის იგი დაღუბულ მეფეს.

ბარნოვის დახასიათებითაც ამოტი ქართული ეკლესია-მონასტრების მფარველი და ბურჯია. ეკონომიური სიმტკიცეა. ამოტმა, როგორც გონიერმა ადამიანმა, კარვად იცის, რომ ურჯულეობთან ბრძოლაში ეკლესია მეფის მარჯვენა ხელია ეკლესია ამოტთან ერთად მედღარად იბრძვის „ყვითი ხელში აგარიანთა წინაღმდეგ“. ამიტომაც უწყობს ხელს ამოტი ეკლესია-მონასტრების ნიეთიერ ზრდა-განმტკიცებას. ამოტის დროის ეკლესიის სიძლიერე მთელმა ქრისტიანულმა აღმოსავლეთმა აღიარა. ეკლესიის სიძლიერე მერჩულესათვის ღვთის ნებაა, ბარნოვისათვის — ამოტის დაშინებება.

ბარნოვი ამოტს ხატავს, როგორც ჩვეულებრივ, მომაკვდავ ადამიანს, ჩვეულებრივი, აღამანური, ძლიერი თუ სუსტი მხარეებით. ამოტი გმირი რაინდია, მაგრამ აქვს ადამიანური სისუსტენიც. „ხანდისხან ეს შემმართებული ვეკაცი, ბუმბერაზი დაკარვავდა ბრძოლის სურვილს თუ უნარს, მოღუნდებოდა ნებაშა-

ტრეულის... ამისთანა შემთხვევაში ეს იმედინი ვაჟაკი ვლადა უშიზნოდ, უაზროდ, თვითმოქმედების ემსპოყლებელი, საკუთარ მკვეთარ აზრთაგან ხელსარიელი" (გვ. 103). იყო შემთხვევად, თბილისთან დამარცხების შემდეგ, როცა მეფემ დაიფიქვა მეფური ვალი ხალხისა და ქვეყნის წინაშე და მხოლოდ საკუთარი ცოლ-შვილის გადარჩენაზე ფიქრობდა, როგორც ერთი უბრალო ადამიანთაგანი.

ვ. ბარნოვის გმირი, თუნდაც მეფე იუოს ის ჩვეულებრივი ადამიანი და ამიტომ დადებითი გმირის ეს სისუსტეც ბუნებრივია. მითუმეტეს, რომ მწერალი დიდხანს არ ტრეუებს თავის სათაყვანო გმირს ამ მდგომარეობაში.

მართალია, ამოტი დამარცხების შემდეგ სასწრაფოცხეთილებს მიეცა, მაგრამ მისმა აღმზრდელმა ბარნიშმა იღაროვა. ჩაიხედა აღზრდილი სულში. იცოდა, რომ იქ ძლიერი სიბრძოლედ, ოღონდ მისი გამოფხიზლება იყო საჭირო. მოაგონა ამოტს ქსანთან მოპოვებული საარაკო გამარჯვება, მოაგონა მეფის მოვალეობა ხალხისა და ქვეყნის წინაშე, ბოლოს — საკუთარი იჯახი, რომელსაც საბერძნეთში „მობრძნენებდა“, და ამოტს კვლავ დაუბრუნდა მებრძოლი სული, მასში გააღვიძა თავმოყვარეობამ, მოვალეობის გრძნობამ. საკმაო იყო მეფის გამოფხიზლება, საომარ გუნებაზე დადგომა, რომ აქამდე ფრთამოტეხილი ხალხი კვლავ გამარჯვების რწმენით ფრთაშესტმელი ამოტის ირგვლივ დაჩაბნულიყო. ამოტმა ვასცა მოკლე და იმედით აღსავსე ბრძანება:

„დაამხეთ ყვიროსტვირი! ჰყარით დაბდაბ! შეამზადეთ ხალხი! შეეკაზმენით! ამ წაბს თქვენთან ვარ. ცხენი!“

არ გაუვლია საათს, რომ მთელი მებრძოლ-ხალხი ამოტის წინ იყო შეყრილი" (გვ. 117).

ამოტი სწრაფი და უნარიანი სარდალია, საქმარისია ხალხის დასარჩევად მისი სიტყვა ასეთია ბარნოვის გმირი. მართალია, მწერალი შესანიშნავად ახასიათებს გმირს მოქმედებაში, მაგრამ ამოტის საზე გამოკვეთილად და სრულყოფილად იხსენება სხვა მოქმედ პირებთან ურთიერთობაში და იმ იდეებთან მიმართებაში, რომლებიც ნაწარმოებშია გატარებული.

ამოტის სხვადასხვა ხასიათი ელნიდება დედოფალთან, შუქრასთან, აღმზრდელ ბარნიშთან, ვრაიოლსა თუ სხვებთან დამოკიდებულებაში. გარდა ამისა, ამოტის საზე გახსნილია ნაწარმოების მთავარი იდეების — საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლისა და „ხეციოტურ-რთხეტლი“ სიყვარულის საფუძველზე. ამოტი შორისმჭერტელი პოლიტიკოსი და გონიერი სარდალი არის, ეს კარგად ჩანს საკუთარ ვეზირებთან, სარდლებთან, თუ მეზობელი ქვეყნების მფლობელებთან მის ურთიერთობაში. ბიზანტიის იმპერატორი, ხანართა ხაყანი თუ

სხვანი ედილობდნენ კეთილშეზობლური განწყობილება ჰქონოდათ მასთან.

ამოტი რაინდია. რაინდულ სულისმოსაზრებებს ამტკიცებს იგი დამარცხების შემთხვევაში: „შრომის შემდეგ შეენით ზეიმი, მაგრამ არა ჰხამს მღუელ მტრის მეტად დამცირება, — ამბობს ამოტი, მებრძოლი ფერხტევეს აბის დღეს განარხმებული და ჩვენი ვალა დიდსულოვნად მოეპყროთ მათ. უნდა შევემსუბუქოთ ტვირთი დამდაბლებისა“ (გვ. 304). და ამოტს არ სურს იზეიმოს გამარჯვება მაშინ, როცა მისი ტყვენი სისხლის ცრემლით ტირიან.

რაინდული იყო მისი დამოკიდებულება პატივსთან, ვიდრე შუქიას შეიყვარებდა. „რაც გადავარჩინე (ამოტი, დ. ბ.) პირდაპირ მეძმო, ამოტი არასდროს არ იფიქრებს თუნდ მებრძოდენ სიყვარულს“, — ამბობს პატა. მეფის ვაჟაცოლას ჩრდილი შიდაცა მას შემდეგ, რაც მისთვის თავდადებული მეგობრის შეუღლე შეიყვარა, ხანდახან შხადაც იყო გაუგებრა მტროქის ვული, მაგრამ სინდისი მაინც ჰქენჩნდა მეფე-რაინდს: „ვერს ჰეპრიგებოდა იმ ამბავს, რომ უხედურება პატაგან, რომელიც ოდენმე რაინდულად უყვარდა... ესლა სიხარულს შექსა ჰხადებდა მის გულში“. არ დაინდობდა მშობილსო — ამბობს მწერალი და მაინც ამართლებს, რადგან ყოველმხელე სიყვარულს ჰყავდა გმირი დამორჩილებული.

სიყვარული — ეს არის იდეა, რომელზეც აყინებულია მთელი ნაწარმოები და რომლის საფუძველზეც გახსნილია გმირის საზე. შუქიასადმი სიყვარულში გამოიკვეთება ნახი და მგრძობიარე ამოტი-მეფერის საზე. შუქიასთან ურთიერთობაში ამოტი ნახია, თვინიერი და კეთილი. სიყვარული ამართლებს მეფის ვარტაცებას, მეუღლის ღალატს. მეუღლესთან დამოკიდებულებაში ამოტი მარად მის პატივისმცემლად რჩება. გურანდუბტს თავისი ადგილი უთავია, როგორც დედას და როგორც დედოფალს. ამოტი დაუფლარავად ეუბნება ცოლს, რომ ის არის „დედოფალი გვირგვინისანი, თანამეხებდრე ეკლესიისგან მოცემული... დედა შევლთა ჩემთა! ვერაფერს შეგვეცოლოს შენ ამაში უკნასოდეს! მაგრამ... სუსტია გული ციცისა... უნდოდა ბოღიმი მოეთხოვნა თვისგან უნებლით შეურაცხყოფილი მეუღლის წინაშე“ (გვ. 350), ამბობს მწერალი და ედილობს უოველმხრეც გაამართლოს ამოტის ტრეუბა შუქიასადმი.

ნაწარმოების მეორე მოქმედი პირის — შუქიას საზე მთლიანად სიყვარულის იდეის საფუძველზე იშლება. სიყვარული და მშვენიერება ერთმანეთზეა გადაფუძელი და ამიტომაც ბარნოვისათვის სიყვარულის ობიექტი მშვენიერებაა ასეთია მისი შუქიაც. „შუქური ვართული იყო სარკვემი მწერით. იგი ეალერსებოდა

სიციცხლით სავსე სახეს, მიჭვრიტადან რომ გამოჰმებრდა მას მოზღვიმარე, უაღურსებდა თავის სპეტაკ ლოყას ვარდით შეფერილს, მოსწონდა ტვერი დახილ წამწამთა, თვალთა სხივის რომ გაეშეჭებინა, მწვანე ციფად გამოკრთომილსა“ (გვ. 235).

არც შექმის მთლიან პორტრეტს იძლევა მწერალი ერთი დახატვით. შექმის სახეს ბარნოვი მთელი ნაწარმოების მანძილზე ავსებს, განსაკუთრებული სიყვარულით გამოჰკვეთს მის თვალებს. ყვევლების თაიფელით, ხელწინფურე მასაობელი თვალებით შემოიყვანს მწერალი თავის გვირ ქალს და მკითხველიც ამორტთან ერთად მუდამ ხელდავს შექმის ცისფერ თვალებს, რომლებშიც იხატება „მეფისადმი მოწონება, აღტაცება, თავჯანსიყვამა უსაზღვრო“ (გვ. 149).

შექმის დასახატავად მწერალი არ იშვრებს ეპითეტებს თუ შედარებებს, შეტაფორებსა თუ სხვა მხატვრულ სახეებს. „სახეზე კდემის ყუყუო ვადეშალა. თვალნი სხიოსანნი ძირს დახარა, ვეკეცს თვლი მოსტყა ცოლის მორცხემა სიშვენიერემ“ (გვ. 142). კდემის ყუყუო, თვალთა ძირს დახარა, მორცხევი სიშვენიერე შექმის არა მარტო ვარეგან, არამედ შინაგან, სულოერ კდემამოსილებასა და სიშვენიერეზე მოუთითებენ. მწერალი ვიტაცებით აღწერს შექმის ღაწვეებს, „მარჯნის ტუნ-ბაგეთ, ფოსოგებს ლოყებზე — შექტართა ღამბ სავებრბებს“, „სპეტაკ სელს“, „თლილ თითებს“, „ბროლის ყელ-ყურს“, „ტანს ლერწმად ახელს“, „შოღტვით მოწინილს“, „სპეტაკ ხორცსმულ ბაწიწინა ხელს, შაქრისგან ნაწინდაყებ მოგტაო თითებს“, „ტერეად დახრბილ წამწამებს“, „მარკალიტის ნიყარისავით სპეტაკ ზურბებს“.

შექმის სიყვარული ამოტიანდმი იდეალური, ბარნოვის ვაგებით, ლეთიერია. შექმია — ეს სიყვარულია, სიყვარული კი თვით ღმერთია. მასშალამე, შექმია ღმერთია, ამქვეყნად მშვენიერების სახით მოვლენილი. შექმია პაეროვანია, განტვირთულია ამქვეყნიერისაგან, ნივთიერისაგან, მისი სიყვარული ამოტიანდმი არ ათის ხორციელი, მერჩულეს შიერ „სიძვალ“ მონათლელი. ბარნოვი ხსნის მას ქმრის მოღალატე ქვრივის სახელს. მისი შექტარი სპეტაკი და წმინდა, გულტბრევილი და ფაქიზი, მარად ეზიწოა ანგელოზიებით. შექტრის სავანეში „მომაკვლავი ვინმე დედაყაი კი არ ჰხედებოდა ნაა (ამოტს, ღ. ბ.), არამედ ხორცსმული ფერია მარად ქალწული“, ამბობს ბარნოვი.

დედოფალს არ შეუძლია შექმისებარ სიყვარული, ამიტომაც არ ათის შექმისავით მშვენიერი. მასში გონება სკარბობს გრძნობას. დედოფალი ჰკვიანი, თავდჭერილი და ხვიადია. მუდამ გაერთიანებული საქართველოს გვირგვინისაგან ისწრაფვის, საჭიროების დროს ჰუ ვეჭვს ემსგავსება.

ღტოვლილ ხალხში ძრწოლა და არეულობა შეიქნა. ამის შესახებ დედოფალს<sup>[1]</sup> მოასწუნეს „— მომგვარეთ ცხენი! — მარანა დედოფალმა და „იქ მომართა ტე ვეფხემა, სად მეტი იყო ხმაურობა, დარტენვა და წუხილი... — ნუ ვემინათ! ნუ შეძრწუნდებით არ ვაგეწირავს ღმერთი კეთილი და მის შეწვევით მეფე ამოტრ. და თუ მოხდა უბედურება, პირველი მსხვერპლი ვიქნები მე ჩემის შვილებით“ (გვ. 132).

გერანდუბტი საქართველოს ღირსეული დედოფალია, მაგრამ ვოროზი და ცივი ქალი, ვერ უწევს მეუღლეს ღირსეულ ცოლობას, არა აქვს უნარი სიყვარულისა და, ბარნოვის აზრით, ანეთი აღამიანი ღმერთისგან, ე. ი. სიყვარულისგან განწირულია. მამინაც კი, როცა სატრფიალოდაა მოწოდებული, მასში სკარბობს ნივთიერი მეფე და დედოფალი. „ნელის ნაბიჯი ვაგმართუნე გალიაკისკენ. წუნარად მუსლიფობდნენ, მძიმე მოხანდა დედოფალი, მეუღლე ნივთიერი“. ქმრის სიყვარულს მასში ყოველთვის სკარბობდა პატემოყვარებობა და განდიდების სურვილი. თანაგტანობის არც ერთი სიტყვა არ დასცდა დედოფალს, როცა ამოტი შტერად დაშარცხდა. არც ერთი სიტყვით არ გამოხატა სიხარული, როცა ამოტმა ვაიმარჯვა. არც შეეგება ვაიმარჯვებულ მეფეს ომიდან დაბრუნებული მეფე კი მოსალოცად გამოსულ ხალხში დედოფლისა და შვილების ტაბტრევენს ეჭებდა: „ხეიადობას ნება არ მიეცია მისთვის ხალხს ვაყოლოდა. აღბათ არც ჩემი ვაიმარჯვება მიანია მეტის პატევის ღირსად. ეკ, მისთვის მიანე მხოლოდ იარაღი ვარ დიდის დიდების“ (გვ. 148). მწარედ ფიქრობდა მეფე ამითვე ვაიმართლა მწერალმა ამოტიის ნაბიჯი.

მშვენიერი იყო თებრონიაც, ვიდრე უყვარდა. დაქვარება სიყვარული და დაქვარება სილაშხეც. შეეღვით შალხაში თებრონია თვალბამოზრეტულ დედობად ვადიქცა. გულიც ვაუ-სასტიყდა. და ერთ დროს სასიყვარულოდ მოწოდებულმა ქალმა, მას შემდეგ რაც გრძნობათაგან დაიცილა და ყინულის გროვად იქცა, შეუბრალულად მოსპო სიყვარული — ამოტიისა და შექმის მშვენიერი ტრფობა.

წარმოსადგეი ვაგეკი იყო გრივოლი, ხილვითა დიდი, მშრალი აგებულების, ძარღვიანი, ხორციითა თხელ, მასაყითა სრული, სრულიად გვაითა მრთელ. ვამჭერტი თვალი ღრმად შემხუდველი. მარბთაგან ნაკვალი შებლი. თმა ხშირი, ლომის ფაფარივით ვარდმოფენილა“ (გვ. 250-251). თითქმის მერჩულესებარ აღწერს ბარნოვი გრივოლის პორტრეტს, მაგრამ სასტაკია გრივოლი მიწნობა — გრივოლის ღმერთი. სიყვარულის ღმერთი ამშვენიერებს აღამიანს. გრივოლის ღმერთმა კი წელში მოხარა ის, ამოტი და გრივოლი თითქმის ტოლები არიან. მაგრამ ამოტი სიყვარულით არის ვასხივისნებული. ქალბარმერთული რაინდი“ კისკისად დაქ-

ქრისი, გრიგოლი კი წელში მოხრილი, უაჯარ-  
ყენს დაურღნობილი ნიხეცია, გრიგოლმა უარ-  
პყო თებრონიას სიყვარული და ამქვეყნიური  
მშვენიერებისაგან განიტვირთა კიდევ-ღარა  
მხოლოდ სხეული, ცოდვის ტური, საღმრთო  
შურით თვალბამომწვარი.

სამაგიეროდ, გრიგოლი სულიერი რაინდია.  
ბავშვობიდანვე ამისათვის გაჩენილი. „მარხუ-  
ლობაში იზრდება მსგავსად წინამორბედისა;  
ღვინოს და ხორცს არ ეხება; მთლად ერთდება  
ბალღურ ცელქობას თუ ღალობას; განმარტოე-  
ბით ატარებს დროს თავის სადგომში; მხოლოდ  
წიგნია მისი მეგობარი“ (გვ. 247), მოგვიტხ-  
რობს ავტორი.


გრიგოლის მოქმედებაში ვლინდება მისი ხა-  
სიათის სიმტკიცე, ნებისყოფა. უარპყო გრიგო-  
ლმა ამქვეყნიური სიამე, დიდება, უარი სთქვა  
მსოფლიო (ე. ი. ამქვეყნიურ) ეკლესიის მეთა-  
ურობაზე და აირჩია შწირის ეკლესია გზა.  
მერჩულეც და ბარნოვიც ხაზს უსვამენ გრიგო-  
ლის მტკიცე ნებისყოფას, მის შეუდრეკელ და  
ენერგიულ ბუნებას, ღვთისადმი ძლიერ სიყ-  
ვარულს.

მერჩულეს გრიგოლი განსხვავდება ბარნოვის  
გრიგოლისაგან. მერჩულეს გრიგოლი წმინდა-  
ნია, უბიწოა, სასწაულომოქმედი. მის სიწმინ-  
დესთან შიახლოება, ზელის მიყარება სწეულებს  
ჯერნავს, დაგრდომილთ აღადგენს. ასე ლოცვი-  
თა და ჭერის შეხებით განკურნა მერჩულეს  
გრიგოლმა ბავშვი, რომლის „ქელნი და ფერქნი  
მტერისაგან (ეშმაკისაგან, დ. ბ.) მიხუმელ იყ-  
ვნენ და პირი გარემოქცეულ იყო“. მერჩულეს  
გმირი გარდაცვალების შემდეგ „შეერთო ანგე-

ლოზთა კრებულსა“. ბარნოვის გმირი კი არ არის.  
ანგელოზივით წმინდა. მას მარტოა მტერი — შტე-  
რი როდი ამოძრავებს. მისი შტერი სწეულებით  
აღამიანურია. მის ლოცვებში, მონოლოგებში,  
ამოტთან შეტოვებაში ჩანს პატივმოყვარეო-  
ბა, ღტოლეა, მიღწიის დიდებას და დასქარ-  
ბოს მეფეს. იგი ყოველთვის ერთმანეთს ადა-  
რებს ამოტის ტახტს და თავის ზეციურ ხატს.  
ამოტის გვირგვინს და თავის სხივოსან გვირ-  
გვინს. როცა ამოტისა და შტეიას ტრფობაში  
ჩაერია, გრიგოლს მინც მარტო ღვთიერი ვალი-  
არ ამოძრავებდა. სურდა „თავისი ძალა გამოე-  
ჩინა და სამეფო ტახტი საბოლოოდ ეკლესიასა-  
თვის დაემორჩილებინა. „შემომხებულყო ლო-  
ცვა განდევლისა, ვერღა ვიღოდა საყდრად-  
მალისა. მისთვის დაბეგოდა მის ეედრებას  
ფრთა, რომ მის მისწრაფებაში მეფის შესაბე-  
რეული იყო ნივთთა თვისება ბნელი და მიძიე;  
ნასახი იმ თვითმოყვარებისა თუ გამოჩინებო-  
სა, რომელმან დასცა სატანელი“ (გვ. 402).

ამოტისა და სახელმწიფოსთან ურთიერთობა-  
ში რაივე მწერალი გრიგოლს ახასიათებს, რო-  
გორც ქრისტიანული ზნეობისა და ეკლესიის  
სიმტკიცის დამცველს.

ამრიგად, ვასილ ბარნოვის ყველა გმირის  
სახე მხატვრულად იხსენება სახეთა შთიან  
კომპლექსში. გმირთა სახეები რელიეფურად  
იყვებებიან და ქანდაკებიან მკითხველის წი-  
ნაშე ნაწარმოებში გატარებული იდეების სი-  
ფუძველზე, ამ იდეების განამტკიცებელ გმირთა  
ურთიერთდამოკიდებულებასა და საგნებას თუ  
მოვლენებთან მათი მიმართების საფუძველზე.



ბურამ რჩეულიშვილის სსოვნას

გურამ რჩეულიშვილის გამოჩენა ჩვენს მწერლობაში მოვლენა იყო. ეს კი იმდენად იშვიათი რამ გახლავით, ბედნიერი ვარ, ამ მოვლენას მიწმე რომ ვიყავი. ათა წელი გავიდა მისი გარდაცვალების დღიდან და მაინც ვერ შევრიცხებია, ვერ დამიჯერებია მისი სიყვდილის შემსარავი ფაქტი. მკონია, ზვეულბერივად, სადღაც, შორს, სამიჯნურთოდ არის წასული და გელოდები, რომ უსათუოდ დაბრუნდება.

ის იყო მართალი, პირდაპირი და გულწრფელი ადამიანი. ქალაქში მთელითი დადიოდა, მუდამ საკინძვასხნისი, თავაწული, დაძაბული. მუდამ რაღაცზე კამათობდა. ასეთი ცხარე კამათი იმით იციან, ვისაც რაიმე შეწონა სწავლით, შეწონა არა ზურგულედ, არამედ ღრმად, რათა ის რაიმე თავიანთი არსების ნაწილად აქციონ.

როდესაც მას უსმენდა, გრძნობდი, ამ ქვეყნად მხოლოდ მწერლობისთვის იყო ვაჩენილი. ის იყო მწერლობისაგან დადღასმული, სათავისოდ გამოჩვეული ათას მის მეგობარს და ამხანაგს შორის. ამ დღს ის ხაამაგიით ატარებდა და სწამდა, რომ საქმის გაკეთება ნამდვილად შეეძლო. ეს ურყევ რწმენა კი მისი სულის სიმძლიერესე მტკიცელებდა.

გათუავებელი ხეტილი მიუხედავად და უკაცრიელ ტრამალბში, მუხადურბთან ერთად თვესის ქარაჭების დევნა, შეცხარებისა და გელოდების კარგეში დაშვების თვე, თბილისიდან თვეობით გადაკარგვა ზოგს მამინ მტკად უგნაურად ეჩვენებოდა. დღეს კი ვველა დარწმუნდა, რომ ეს მისთვის იხეთვე მუნებრივი იყო, როგორც სხვებისთვის ოთხსში, მაგიდასთან ჯდომა, ანდა თეატრში სიარული, თუმცა თეატრი მასაც ძალიან უყვარდა და თუდაცვისი წლის ჭაბუკს მამინ მტკად ხაინტკერესო პიესა დარწმუნებდა. ის იმ მიჯნური იყო, რომელსაც ადამიანთა ყველეს გუთონიდა, რომლებზე პირველი ჩადიან ველკანას კარატრში, პირველინი ჭირან მათუღლხარობებს, პირველინი აბუენ კარს, პირველინი აღიან მწვერვალზე და ასევე პირველინი ფეხიან უსინდისობისა თუ ღალატის შუბზე. პირველინი ეს გრძნობა მათ ინსტიტუციითა აქეთ თანდაყოლილი და თუმცა ეს ტყვილის მტკად არაფერს ანიჭებთ, მაინც ბედნიერები არიან.

ისიც ბედნიერი იყო! მართალია, დღეს შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს ეს სიტყვები, მაგრამ ერთი წუთით იმაზედაც უნდა დაფიქრდეთ — განა ბედნიერება მხოლოდ უსრუნველობა და სიხარულა? რამდენი დათმობდა, ცხოვრებას ამ ბედნიერებას ერთი წამით მაინც რომ ზიარებულყო! მას კი ღვთისგან ჭკონდა მოხადლებული ეს მძიმე, მაგრამ ნეტარი საჩუქარი.

მას უყვარდა მთები, ცხენები და ზღვა — ხიმაღლე, მიძარბა და ზიერცე. უყვარდა პირველყოფილი, კაცის გახელებითა და ენებით და სამყაროს ქვის კედლებისაგან შუბლზე კობი აჯდა და შუხლისთავები, გადატყვევებული ჭკონდა.

მთა მისთვის იქცა იმ მოჯადოებულ სამყაროდ, სადაც ის პოულობდა თავისივე ფანტაზიით შექმნილი კონფლიქტების შესატყვის მოვლენებს. გურამ რჩეულიშვილი ბობოქარსა და ძლიერ სახაბოებს ეძებდა იქ, დიდი, თანამედროვე ცივილიზაციის კერებისაგან დაშორებით. ეს შეიძლება იმ რომანტიკული წარმოსახვების სიჭარბითაც აიხსნას, რითაც 'სე მდღარია სიტყბევე. მთების დაღებულსა და მკაცრ ფონზე ზოგადად იყვითება ადამიანის ენება: სიყვარული, სიძულვილი თუ დილატი. ეს ენებები პირდაპირი კრიტიკებით მხურვალა და მტკივნეული.

„ქ პოესია განუკეთისავედ მატრონოს პრისაზე, პოესია თვისი „ულოგიო“ ენებებითა და გამოხატვის შეუღლებელი დრამატული სიმშვენიერით“ — წერდა ის და მისი მოთხრობები „სიყვდილი მთაში“, „ბათარეკა ჭანჭარული“ და სხვა მრავალი სწორედ ამ „დრამატული სიმშვენიერითა“ განათებულა.

ეს უცნაური ძალით განიცდიდა ბუნებას, რომელიც, აღტაცებასთან ერთად, აკრიბობდა კიდევ. შეიძლება ეს შეკრიბომა იყო სწორედ ის, რაც მას სტიქიასთან ხაზრძოლველად აღინაშენებდა. მას გამუდმებით აოცებდა კონტრასტი სამყაროს მარადიულობისა და ჩიტის კვერცხებით ხელში ჩამტყვარა კაცის სიცოცხლის წამოვრებასა. ეს ერთი შეხედვით, ძალით მარტივი კონტრასტი, როგორც შუკი და ჩრდილი, თეთრი და შავი,

ტკბილი და მწარე, მაგრამ ამავე დროს კაცის გონები-  
სთვის მიუღწეველი და ამოუხსნელი.

ის წერდა მას, რასაც ხედავდა ან განიცდიდა, ამი-  
ტომ მისი მოთხრობები დღიურის ფურცლებს მოგვა-  
ვონებს, სადაც მისი ცხოვრება თამამი გულახდი-  
ლობითაა გადმოცემული. ზოგიერთი კომპია და მონა-  
ლისტ კალმონსანეით მას დამირცხვება არ ახასიათებ-  
და და ამითაც დიდი მწერლის თვისებას ამგვარებ-  
და. ის გრამობდა, რომ ყველაფერზე შეეძლო წერა,  
რადგან იმასაც გრამობდა, რომ ნამდვილად ცხოვ-  
რობდა.

„ნათელა ვარბოდა უსარმაზარ მთებს შუა ჩაწო-  
ლილ შავ მინდორზე. მუს უკვე გაედნო დილანდე-  
ლი ჭირბილი. დიდ, ძლიერ გარეშობი სულ ერთი ბე-  
წო მოჩანდა მისი შეპრობილი სხეული“. მთებით მე-  
მორაკალური სამყაროს ნაფლეთით შეპყრობილი სხე-  
ული აღმანიანსა იო, როგორი ვეება წარმოდგენები  
ქჷონდა მას, როგორი პლასტიკური და მკაფიო აზრო-  
ვნება!

გურამ რჩვეულიშვილი თავის მშვენიერ მოთხრობა-  
ში „მუზენი ახმედი და სიკოლეტე“ წერდა: „ზღვა მი-  
სთვის არც ლამაზი იყო და არც უმნი. ზღვა იყო  
ის, ურომლისოდაც ცხოვრება ვერ წარმოვლვინა ამ-  
შედს“. ამ სიტყვების ავტორისთვისაც ეს ქვეყანა არც  
ლამაზი იყო და არც უმნი. ეს იყო ის, ურომლისო-  
დაც მას არსებობა არ შეეძლო. საკვირველია, რო-  
დის მოსაწრო მან ამდენი რამის ასე მსაფრად შევყა-  
რება, მაგრამ კიდევ უფრო საკვირველია ის, რომ  
შესძლო ეს სიყვარული ჩვენთვისაც ასევე მამაფრად  
გადმოვცა.

შატალში, მთის ამ ყველაზე უფრო მივარდნილ სო-  
ფელში, ჩაბნელებულ კომპეტი ცხოვრობს შიხა —  
ბათარეკა ჭინჭარაულის ცამეტე წლის ქალიშვილი.  
იგი ქვეს შირის ამოსული ფავილიეთი ნახია და სა-  
კვირველი. მისი სული ძეგითი ფაქიზია. თითქოს აპრა-  
ლის ქარის ფრთაზე ასვენაო, მისი, ფიქრი თუ სიზ-  
მარი სავერა მთვართა და შიხა, ვარსკვლავებითა და  
აფვავებულ რტოებით. ვინც კი შეხვდება, ყველას  
უკერის „უცნაურია, საიდან გამოვიდა ასეთი ქალი  
შატალის კომპეტი“. მის გვერდით ცხოვრობს მამა-  
მისი, ბათარეკა ჭინჭარაული, ავაზაკიეთი უკმური  
ხასიათითა და ქვეცილი. ბათარეკა თოვლმა კომპეტი  
გამოკვება, უმოქმედობამ კიდევ უფრო გააბოროტა.  
აღარ იყის, როგორ გადმოიხსენის დავარცხლებული  
ენერჯია და ღონე. ერთ დილით მან თავის ქალი-  
შვილზე შეაფრება მზერა, თითქოს პირველად დაეჩა-  
ხის ოცნებებს გადავილილი შვილი, სიძრასზე წაყი-  
და ბათარეკას „ისევე, როგორც საქონლის პარსვი-  
ხას ამხანაგის უმოქმედობის დროს სჩვეოდა“. უკვებ  
ინსტიტუტით იფრანო იმ უფსკრულის სიღრმე, მას  
რომ თავის ქალიშვილისგან ყოფიდა და თითქოს რა-  
დაცის წინააღმდეგ ამხედრდაო, გამეტებით ხილა  
შეშოკება ქალიშვილი.

დილით შიხა ჯაჭვზე ჩამოყიდებული იპოვეს.

ეს მოთხრობა თავისი ელერით „მორცხვა“ შატალის  
კომპებს და კიდევ ერთხელ მოგვაგონებს „ქუჩის ღმ-  
დი გაფრთხილება ჭირბეება იმას, რასაც აღმანიანის  
ოცნება ქვეია.

გურამ რჩვეულიშვილს აქვს რამდენიმე მოთხრობა,  
სიოფლიოს ყველა ანთოლოგიას რომ დაამწვენებდა.  
მათ შორის უპირველესად უნდა დაეასახელო „ნათე-  
ლა“ და „ცეცხო“.

„როცა გამოვლიდა, უკვე დამე იყო. წვიმას გადაე-  
ლო და დახლელი დარბაზებიდან საესე მთვარე  
ანათებდა. ცეცხო უწყარასთან მივიდა, გუბეებში  
მთვარე და სწრაფად მიძრაგი დახლელი დარბაზ-  
ში მოჩანდა. ქარი წამოხუტუნავდა ხოლმე და ცის გა-  
მოსახულებას აკასგალებდა გუბეში. ღობის ძირას  
საკოდავად გულშეპული კნუტა კნაოდა. ვილაცამ  
ხარი დარგვა. ცეცხომ საათის დახედა, პირველი საა-  
თი იყო. მერე კარი გააღო და შემოსულ მამას მივ-  
გება.

— ხად იყავი, მამა, ამდენ ხანსა?“

ეს მოთხრობა ხედიის ბალახითაა მოქოვილი და,  
როცა კითხულობ, ნელ-ნელა, თორიდან, ურედ, მაგრამ  
თანდათან უფრო მკაფიოდ ითიქოს ხალხური ლექსის  
ნაღვლიანი მელოდია გესმის:

სიკვდილმა ჩამოიძრა,  
თბოლი დახედა წინაო,  
სიკვდილო, თან წამაყვანე,  
თბლობა მიმეწვიანო.

რასაკვირველია, ეს ასოციაცია მეტად სუბიექტუ-  
რია, მაგრამ განა ყველა ჭუმშარტი ნაწარმოები ასე-  
თივე განსხვავებულს, მაგრამ ამავე დროს ულოგიკოდ  
მსგავს მელოდებს არ წარმოიშობს?

სიადან სქონდა ამ სიცოცხლით საესე ჭაბუკს  
ამოდუნა სქონდა, რა ხმები ესმოდა, რა წვენებებით  
ქჷონდა თვალი საესე? რამდენი რამე უნდოდა ეო-  
ქვა და ვერ კი თქვა. ეს კიდევ უფრო იმიტომ არის  
დასანანი, რომ ვიციო, რისი უნარიც ქჷონდა.

ზოგს არჩნია უკერავებ ხელში და მწერლის ღირსე-  
ბას იმიო ზომავს, მაგრამ როცა განკითხვის ეამი მო-  
ვა, ერთი, ჭადრის ფოთოლიეთი მსუბუქი ფურცელი  
მრავალ, მდიდრულად გამოცემულ ტომს გადაწოის  
ხოლმე, სამწუხაროდ, ეს სასწორი ჩვენს ძვირფას  
შეკობამ, ჩემი თაობის სიამაყეს ნაადრევად დაუღვეს.  
ასა, მისი ბნა მინევა და ბარაქიანი.

გურამ რჩვეულიშვილის სიტყვა სწორედ იმ ხნულში  
ჩაგარდა, საიდანაც ის კიდევ უფრო გამწვენიერებუ-  
ლი დაუბრუნდება თავის მშობლიურ ლიტერატურას.  
ეს ხნული კი ჩვენი მადლიერი ხელია.

ამიბენ, ნამდვილი მწერლობის ყველაზე პირუთ-  
ნელი მამული დროაო. სრული ჭუმშარტიგანა! და  
სწორედ ამიტომ შკონია, რომ მოვიდა ის დღეც, რო-  
ცა ქართულმა მწერლობამ გურამ რჩვეულიშვილის  
ნეშტი დიდუბის პანთეონში უნდა გადმოსავენოს.

5

б. 26/4

8360 80 333.

  
ИНДЕКС  
761-28 01033

## **«М Н А Т О Б И»**

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

**ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ**